

K 113 196  
3



საქართველოს  
 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

მთავარი ბიბლიოთეკი



# თურქიზმი

და

## ოსმალეთის საბერძნეთო პოლიტიკა

K 113.196  
3

საქიზ-2000  
მეცნიერებათა



სახელმწიფო ბაზოციფიკაცია „ცოდნა“

თბილისი — 1963.

წევნი განხილულია თურქიზმის წარმოშობისა და განვითარების ისტორია. დაზასიათებულია ოსმალეთის სოციალური, ეკონომიური და ისტორიული თავისებურებანი, რომელთაც განაპირობებს თურქიზმის გადაქცევა ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკის წარმმართავ იდეოლოგიად.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი პირველი მსოფლიო ომის პერიოდს, როდესაც ოსმალეთმა პრაქტიკულად სცადა თურქიზმის საგარეო პოლიტიკური იდეების ცხოვრებაში გატარება და თურქიზმის იდეალის — თურანის შექმნა.

## წინასიტყვაობა

თურქიზმი ანუ პანთურქიზმი, როგორც მას ხშირად უწოდებენ, ექმნა მე-19 საუკუნეში, ხოლო განვითარდა და ოსმალეთის სახელმწიფო პოლიტიკის წარმართავ იდეოლოგიად იქცა პირველი მსოფლიო ომის წლებში. თურქიზმი არ იყო შემთხვევითი მოვლენა, მისი ქექმნა და გაძლიერება გაპირობებული იყო თურქეთის სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების თავისებურებებით.

თურქიზმის იდეების განხორციელებისათვის ბრძოლაში ოსმალეთი არ იყო მარტო. ამ საქმეში მას პირდაპირი თუ არაპირდაპირი მხრით ხელს უწყობდნენ და ეხმარებოდნენ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები.

თურქიზმი და თურქიზმზე დაყრდნობილი ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა განსაკუთრებით საინტერესოა ქართველი მკითხველისათვის, ვინაიდან საქართველოს საკითხს თურქიზმის თეორიის პრაქტიკული რეალიზაციისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თურქიზმის იდეების განხორციელებისათვის ბრძოლის კულმინაციურ წერტილს წარმოადგენდა 1918 წლის ოსმალეთის ანტიისაბჭოთა ინტერვენცია საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მშრომელები კომუნისტური პარტიის მეთაურობით გმირულად იბრძოდნენ ოსმალეთის ვრესიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მშრომელებს მხარს უჭერდა და ეხმარებოდა საბჭოთა უსეთი. ეს იყო თურქიზმის მარცხის ძირითადი მიზეზი. ოსმალეთი კუიქცა, მაგრამ თურქიზმი საბოლოოდ არ მოსპობილა. მის გამოწეებას ახლაც ცდილობენ იმპერიალისტური სახელმწიფოები.

საბჭოთა კავშირი განუხრელად ატარებს სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას—სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე სახელმწიფო-მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას. მაგრამ არ შეიძლება იყოს თანაარსებობა იდეოლოგიურ სფეროში. ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს შეფასებული თურქეთის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები.

წინამდებარე ნაშრომში გაშუქებულია საკითხები თურქეთის ისტორიიდან. ყურადღება უმთავრესად გამახვილებულია იმ მომენტებზე, რომლებიც უშუალოდ თურქეთთან არიან დაკავშირებული. შიშობით მოკლედ ვეხებით ოსმალეთის მეზობელ ქვეყნებს. კერძოდ საქართველოს, ვინაიდან ეს საკითხი არ არის ამ ნაშრომის ძირითადი კვლევის საგანი.

ქართველმა ისტორიკოსებმა ბევრი გააკეთეს საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის შესასწავლად; სახელდობრ, მათ მიერ საფუძვლიანად არის შესწავლილი უცხოეთის იმპერიალისტური ინტერვენციის წლები, რამაც დიდი დახმარება გაგვიწია ჩვენს წიგნზე მუშაობის დროს.

ავტორი

თურქიზმი — ახალგაზრდა თურქთა კოლიტივის  
იდეოლოგიური საფუძველი

შინაგანი ფეოდალური მღელვარებით დასუსტებული ბიზანტიის დამარცხება თურქების მიერ 1071 წელს მანასკერტთან ბრძოლაში მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის საბედისწერო შეიქნა. მანასკერტთან წაგებულ ბრძოლის შედეგად ბიზანტია იძულებული გახდა 1074 წელს სელჯუქიანთა სულთანს მელიქ შაჰს დაზავებოდა და მისთვის ანატოლიის დიდი ნაწილი დაეთმო. ამრიგად, სამხრეთიდან საქართველოს დაუმეზობლდა თურქთა სახელმწიფო, რომელიც „მახვილით იყო შექმნილი და მხოლოდ მახვილით შეეძლო ეარსება“<sup>1</sup>. საქართველო დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. „ხოლო განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქუეყანანი, ციხენი და ქალაქნი მათნი რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს, და წარვიდეს; რომელნიცა აიხუნეს თურქთა, დაემკუიდრნენ მას შინა. ვინათგან მეზობლობით მიეახლნეს საზღვართა ჩუენთა, გამრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩვენ ზედა: რამეთუ იწყეს მიერთგან რბევად და ტყუევანად, მიოხრებად და წვად სრვად ქრისტიანეთა“<sup>2</sup>. თუ აქამდე თურქები საქართველოში ხანგამოშვებით თარეშობდნენ და ამით კმაყოფილდებოდნენ, ახლა ქართული მიწა-წყლის მიტაცებას მიჰყვეს ხელი.

თურქული მოდგმის ტომები ადრევე გამოჩნდნენ აღმოსავლეთ ანატოლიის სივრცეებში. მეჯოგე, განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი კალაჩის, კარლუკების, კანგლის, ყივჩაღებისა<sup>3</sup> და მათი მო-

<sup>1</sup> В. Д. Смирнов, Кучибей Гёмюрджинский и другие османские писатели XVII в. о причинах упадка Турции, Спб. 1873, 211.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942, გვ. 200.

<sup>3</sup> В. А. Гордлевский, Избранные сочинения, т. I, Москва, 1960, გვ. 48.

ნათესავე სხვა ტომები მე-8 საუკუნიდან დაწყებული განსუყვეტულ  
ნაკადად მიედინებოდნენ აღმოსავლეთიდან მცირე აზიისაკენ ჰეკა-  
ნადგურეს კულტურული პროვინციები, რომლებზედაც შემდგომში  
გაიარეს და შეერივნენ მახლობელი აღმოსავლეთის მოსახლეობაში.  
ეს იყო დიფუზიის მსგავსი პროცესი და დროთა ვითარებაში თურ-  
ქული ელემენტის რაოდენობრივი ზრდის შედეგად ანატოლიის მნი-  
შვნელოვანი ნაწილი თითქმის მთლიანად გათურქდა\*.

არსებული ისტორიული მასალებისა და გამოკვლევების მიხედ-  
ვით საკმაოდ ზუსტად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თურქული ტო-  
მების ერთ ხალხად გაერთიანებისა და მათ მიერ ანატოლიაში მოსა-  
ლე ხალხთა ასიმილირების პროცესი<sup>1</sup>. თურქებს მახლობელ აღმო-  
სავლეთში განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა დახვდათ,  
რამაც მათ შორის დააჩქარა ფეოდალიზაციის პროცესი. აქ იქმნება  
პირველი თურქული სახელმწიფო გაერთიანება — სელჯუკიანთა სა-  
ხელმწიფო, ისევე, როგორც კიროსის, ალექსანდრე მაკედონელის,  
იულიოს კეისრისა და კარლოს დიდის იმპერიები. სელჯუკიანთა სა-

\* თურქული მოდგმის ტომების ძველი, მათი მცირე აზიაში მოსვლის წინა  
პერიოდის (მე-8 საუკუნემდე) ისტორიის შესახებ არსებობს ა. ბერნშტამის სა-  
ფუძვლიანი გამოკვლევა — *Социально-экономический строй орхон-ени-  
сейских тюрок VI—VIII веков*, М.—Л., 1946.

<sup>1</sup> იმ ეთნიკური ელემენტების შესახებ, რომელთაც ანატოლიისა და ბალკანეთის  
ნახევარკუნძულის თურქული მოსახლეობა შექმნეს, მოსაზრება არა ერთ ისტო-  
რიკოსს გამოუთქვამს. მათ შორის დავასახელებთ რუს მეცნიერებს: ნ. უსპენსკინ,  
ვ. ბარტოლდს და ვ. გორდლევსკის, დასავლეთ ევროპელთაგან: ვიბს და ვიტეკს.  
თურქ ისტორიკოსთაგან: მეჰმედ ფუად ქეფრულუს (*Anadoluda islamiyet  
Türk edebiyatında ilk mutasavvıflar: Oğuz etnolojisine dair tarihi not-  
lar. Türkiyat mecmuası I; Les origines de l'Empire Ottoman*), ისმაილ  
ჰაქი უზუნჩარშილის (*Türkiye Tarihi I cilt*), ჰუსეინ ნამიქ ოზქუნს (*Oğuzlara  
dair*), მეტრეიმინ ჰალილს (*Anadolunun fethi*), ბუსიმ ათალაის, შევეტთ ახის  
ქანსუს და სხვ.

<sup>2</sup> ამ პროცესს არც თურქი ისტორიკოსების ნაწილი უარყოფს, მაგრამ ისინი  
მას რეაქციულ-თურქისტულ<sup>2</sup> პოზიციებიდან განიხილავენ, როგორც მაღალი კულ-  
ტურის მქონე თურქების მიერ განვითარების დაბალ დონეზე მყოფი ხალხების  
ასიმილირების პროცესს. თურქთა მაღალკულტურობის შესახებ ამგვარ თვლასა-  
ზრის ისინი იყენებდნენ თურქეთის ისტორიის ყოველი მომენტის მიმართ. ერთ-  
ერთ დამახასიათებელ მაგალითს წარმოადგენს პროფესორ შემსედინ ვიუნალთან  
სიტყვები: „თურქთა ჯენტლმენობამ მოსპო ის სისასტიკე, რომელიც ჯვაროსნებში  
რომის ეკლესიის პროპაგანდად გამოიწვია. დიდი ხნის განმავლობაში ჯვაროსნები  
ახლო ურთიერთობაში იყვნენ აღმოსავლურ კულტურასთან, ამან დასავლეთში  
ნიდადაგი შოამხადა აღორძინებისათვის“ (В. Д. Гордлевский, დასახ. ნაშრ., 45).

ხელმწიფოც წარმოადგენდა დროებითსა და არამყარ სამხედრო-ადმინისტრაციულ გაერთიანებას. „ხალხების კონგლომერატს. ურუმდუნულს ბიც ცხოვრობდნენ თავიანთი ცხოვრებით და ჰქონდათ არაფერი“<sup>7</sup>. ამიტომაც, როგორც სელჯუკიანთა სასულთნო, ისე მისი მომდევნო რამდენიმე თურქული სახელმწიფოებრივი გაერთიანება ეფემერული აღმოჩნდა. ტომთა და ხალხთა ამ კონგლომერატებს სათავეში თურქთა ტომები ჩაუდგნენ. მათი თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ განსხვავებით, მაგალითად, ველიკოროსებისაგან რუსეთში, გერმანელებისაგან ავსტრიაში, მაღიარებისაგან უნგრეთში, თურქები, მათი მეთაურობით გაერთიანებულ ხალხებსა და ტომებთან შედარებით, როგორც საწარმოო ძალების, ისე საწარმოო ურთიერთობათა განვითარების თვალსაზრისით, ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ელემენტს წარმოადგენდნენ. ტომთა და ხალხთა ასეთი გაერთიანება წარმოადგენდა არა მარტო ეფემერულს, არამედ რეაქციულ გაერთიანებასაც, რომელიც გაერთიანებულ ხალხთა ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ დაქვეითებას იწვევდა. ამაში იყო თურქთა მიერ დაპყრობილ ხალხთა ისტორიული ტრაგედია. გაბატონებული ხალხის ეკონომიურმა ჩამორჩენილობამ, მისი ცხოვრების ნომადურმა ხასიათმა, ნაწილობრივ მის შემდეგაც კი, რაც მათ კონსტანტინოპოლი და ბალკანეთის ნახევარკუნძული დაიპყრეს, საბოლოო ჯამში განსაზღვრა თურქული ფეოდალიზმის ბარბაროსული ხასიათი. ეს სპობდა საშუალებას, კაპიტალისტურ ურთიერთობათა იმ ჩანასახების საფუძველზე, რომლებიც სპორადიულად ჩნდებოდნენ უმთავრესად ოსმალეთის ზღვისპირა რაიონებში, შექმნილიყო წარმოების კაპიტალისტური წესი, როგორც საზოგადოებრივი წარმოების გაბატონებული ფორმა. ამას მოჰყვა თურქული სამხედრო-ფეოდალური სისტემის ხანგრძლივი კრიზისი, რომელიც მე-19 საუკუნემდე ვერ გადაიზარდა რღვევის ატადიაში.

ოსმალეთში შექმნილმა ექსპლოატაციის სისტემამ გამოიწვია მწარმოებელი მოსახლეობის განადგურება. იგი ამავე დროს სპობდა პროგრესის ყველა შესაძლებლობას. „ახიაში მიწის რენტის ნატუ-

<sup>7</sup> რამდენადაც ამ პერიოდში თურქული ენა გვართვნული და ტომობრივი ენების განვითარების დონეზე იდგა და მისი სახალხო ენად ვადაქცევის პროცესს მხოლოდ მაშინ იწყებოდა, იგი არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო პირველი თურქული სახელმწიფოს ოფიციალური ენა. ამიტომ სასახლის კარზე და დაწესებულებებში იხმარებოდა სპარსული ენა.

რალური ფორმა, ამავე დროს, სახელმწიფო ხარჯების მთავარ ელემენტს შეადგენს; იგი დამყარებულია საწარმოო ურთიერთობაზე, რომელიც უცვლელად მეორდება მსგავსად ბუნების მოვლენათა და უკუქცევითი გავლენით განამტკიცებს თავის მხრივ წარმოების ძველ ფორმას, იგი წარმოადგენს ოსმალეთის იმპერიის გამძლეობის ერთ-ერთ საიდუმლოებას“<sup>9</sup>.

ოსმალეთში არსებული გლეხური თემი, მიწათმოქმედების შეერთება ხელოსნობასთან, შრომის საზოგადოებრივი განაწილების პრიმიტიულობა, დიდი პროდუქტიული რენტა წარმოადგენდა ოსმალური ფეოდალიზმის კონსერვატიზმის დასაყრდენს. სავაჭრო და სავაზრო კაპიტალს, რომლებიც, განსაკუთრებით კი უკანასკნელი, საკმაოდ იყვნენ განვითარებულნი თურქეთში, ხელი არ უხლდათ იქ არსებული საწარმოო ურთიერთობისათვის, პირიქით, მათ მხოლოდ დააჩქარეს მწარმოებელი მოსახლეობის განადგურების პროცესი. „აზიური ფორმების დროს მევახშეობას შეუძლია იარსებოს მეტად დიდხანს. ისე, რომ არ გამოიწვიოს არაფერი, გარდა ეკონომიური დაცემისა და პოლიტიკური კორუპციისა“<sup>10</sup>; „იგი კონსერვატულია და მხოლოდ ანადგურებს წარმოების არსებულ წესს“<sup>11</sup>.


ამრიგად, თურქეთში არ შექმნილა პირობები, რათა სასაქონლო წარმოება გადასულიყო თავის უმაღლეს ფორმაში — კაპიტალისტურ წარმოებაში. სამხედრო-ლენური სისტემის კრიზისმა ახალი საუკუნეების ეპოქაში განსაზღვრა თურქეთის ადგილი სახელმწიფოთა შორის. „ქვეყანა, რომელიც დაჟინებით ინახავდა უცვლელად საზოგადოების ფეოდალურ წყობილებას, იმ დროს, როდესაც ყველა მისი მეზობლები განიცდიდნენ პროგრესს, აყალიბებდნენ ბურჟუაზიას, განავითარეს ვაჭრობა და მრეწველობა და შექმნეს დიდი ქალაქები — ასეთი ქვეყანა დასაღუპად იყო განწირული“<sup>12</sup>. თუ თურქების დამარცხება ასტრახანისკენ ლაშქრობის დროს ლეპანტოსთან და ვენის კედლებთან მეტად თუ ნაკლებად სამხედრო შემთხვევითობას შეიძლება მივაწეროთ, სამაგიეროდ, 1699—1700 წლების კარლოვიცისა და კონსტანტინოპოლის ხელშეკრულებები წარმოადგენენ ზღვარს, რომლის შემდეგაც იწყება საზა-

<sup>9</sup> ე. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1930, გვ. 103.

<sup>10</sup> К. Маркс, Капитал, т. III, 1949, 611.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 623.

<sup>12</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XIII, г. 1-я, 159.



ვო ხელშეკრულებებით ფიქსირებული ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიული შემცირების განუწყვეტელი პროცესი.

აღმოსავლეთიდან მოსულ დამპყრობთა შორის ოსმალეთ-თურქები ფაქტიურად ერთადერთნი იყვნენ, რომელთაც შეძლეს სხვა, მათ მსგავს თურქ ტომთა მიერ შექმნილ ეფემერულ სახელმწიფოთა ნანგრევებზე შეექმნათ მყარი ფეოდალური სახელმწიფო.

ოსმალები ერთსა და იმავე დროს იპყრობდნენ ტერიტორიებს როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ისე სამხრეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით. მათი სწრაფი წინსვლა მახლობელი აღმოსავლეთის ძლიერი სახელმწიფოების დასუსტების შედეგს წარმოადგენდა. სელჯუკიანთა ეფემერული სახელმწიფო, ეს არამყარი სამხედრო-ადმინისტრაციული გაერთიანება, ადვილად დაიშალა მონღოლთა შემოსევების შედეგად. მონღოლთა ბატონობამ დიდი ხნით დაასუსტა წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო — საქართველო, ხოლო შინაგანი არეულობით დასუსტებული ბიზანტია ჯვაროსანთა ლაშქრობების შედეგად საბოლოოდ დაუძლურდა.

ოსმალების პოლიტიკა, რომელსაც ისინი ატარებდნენ დამპყრობილ ტერიტორიებზე, არ იყო ერთნაირი ბალკანეთსა და კავკასიაში, აფრიკის ქვეყნებსა და ქურთისტანში. ეს განსხვავება ღრსებითი იყო, თუ შევადარებთ, მაგალითად, საქართველოსა და ბულგარეთს. უკლებილთ გარშემორტყმულ ძველ სელჯუკიანთა სახელმწიფოს ნაკვალევი ბოლომდე შემორჩა ოსმალეთის იმპერიას, სანამ მისი აღსასრულის დღე არ დადგა. შესაძლებელია, რომ საკითხის ამ თვალსაზრისით განხილვამ ბევრი ახალი შემატოს ახალციხის საფაშოს ისტორიას, და მისმა ოსმალეთის იმპერიის სხვა განაპირა რაიონების ისტორიასთან შედარებითა შესწავლამ ბევრი რამ გააშუქოს არა მარტო ოსმალეთის, არამედ საქართველოს ისტორიაშიც.

სულთნების სელიმ I იავუზისა (1512—1520 წწ.) და სულეიმან I კანუნის (1520—1566. წწ.) დროს ოსმალეთი ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა. თურქთა ურდოები ღრმად შეიჭრნენ ევროპაში, მიადგნენ ვენის კედლებს, აზიაში კი დაიმორჩილეს არაბთა ქვეყნები. მსოფლიოში თითქოს აღარ ჩანდა ძალა, რომელიც შეძლებდა ოსმალთა შეჩერებას. შინაგანი არეულობითა და საგარეო შემოსევებით დასუსტებულმა საქართველომ დიდი მსხვერპლის შედეგად მაინც შეძლო არა მარტო თავისი ფიზიკური არსებობის, არამედ სახელმწიფოებრიობის გადარჩენაც.

კონსტანტინოპოლში ოსმალთა დამკვიდრების შედეგად გენუელები განიდევნენ შავი ზღვიდან და ოსმალებმა შედარებით ადვილად ჩაივდეს ხელში ყირიმი და აზოვი. შავ ზღვაზე ოსმალეთის გაბატონ-

ნება ნიშნავდა მათ მიერ საქართველოს გარშემოვლას ჩრდილოეთის მხრიდანაც და რუსეთისაკენ მიმავალი გზების დაბშობას, აქედან ოსმალეთი ესაზღვრებოდა საქართველოს სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან; სწორედ ამიტომ საქართველოსა და რუსეთს შორის კავშირი რეალური ვახდა მხოლოდ ქუჩუქ კაინარჯის ზავის შედეგად, ე. ი. შავი ზღვის საკითხის რუსეთის სასარგებლოდ გადაჭრის შემდეგ.

სულთან სულეიმან კანუნის მიერ საფრანგეთის მეფე ფრანცისკო I-სთვის 1535 წელს გაცემულმა კაპიტულაციამ დასაბამი მისცა სრულიად ახალ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც შემდგომში ძირითადად მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ და იწვევდა ევროპის ქვეყნების დაინტერესებას, რომ საქართველო ოსმალეთის ტერიტორიულ ფარგლებში ყოფილიყო მოქცეული. ამიტომ სულხან-საბა ორბელიანის ელჩობას ევროპაში და დახმარების ძიებას იმათი მხრიდან, ვინც თვით იყო დაინტერესებული ოსმალეთის დაშვიდრებით საქართველოში, არ შეეძლო სასურველი შედეგი მოეტანა. უკვე ამ პერიოდში ისახება ევროპის სახელმწიფოთა კავკასიური პოლიტიკის პირველი კონტურები, რამაც დასრულებული სახე მხოლოდ მე-17 საუკუნის პირველ ორ ათეულ წელში მიიღო.

ნაპოლეონ ბონაპარტეს დამარცხების შემდეგ თურქეთისათვის ბრძოლაში ძირითად მეტოქეებად რუსეთი და ინგლისი გვევლინებიან. თურქეთთან დაკავშირებით ინგლისელთა ინტერესი კავკასიისადმი განსაკუთრებით ძლიერდება მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ადრიანოპოლის ზავით ფეხი მოიკიდა კავკასიის სამხრეთ მთიანეთზე, საიდანაც ტიგროსისა და ეფრატის ხეობებით დაშვება და სპარსეთის ჭურისაკენ გზის გაკაფვა რეალურ შესაძლებლობად იქცა<sup>12</sup>. ინგლისისათვის, მისი კოლონიური იმპერიის უშიშროებისა და შემდგომი ექსპანსიისათვის აუცილებელი იყო თურქეთში დაშვიდრება და თურქეთის გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ, ოსმალეთის საშინაო ვითარებამ მე-19 საუკუნეში ხელი შეუწყო ინგლისის გავლენის გაძლიერებას თურქეთსა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.

<sup>12</sup> კავკასიის მიმართულების ასეთ მნიშვნელობას აღნიშნავს თურქეთის ოფიციალური ისტორიაც **Tarih**-ი „სან-სტეფანოს ხელშეკრულებით მეფის იმპერატორ ხმელთაშუა ზღვის მიმართულებით გადადგა დიდი ნაბიჯი და სრუტეებს შემოუარა დასავლეთიდან, ხოლო ანატოლიის მხრიდან ბათუმის, ყარსისა და ბაიაზეთის დაცემებით რუსეთი წინ მიიწევა აღქსანდრიისა და ბასრის მიმართულებით“ (**Tarih**, c. III, Istanbul, 1951, 259).

ოსმალეთის იმპერია მე-19 საუკუნეს თითქმის ხელუხლებელ ფეოდალური წყობილებით შეხვდა. იმპერიის საფუძველს წინააღმდეგობურად წარმოადგენდა ფეოდალური საკუთრება მიწაზე, მიწათმფლობელობის სპეციფიკური იურიდიული ფორმულით, რომელიც გამოხატავდა მიწათმფლობელობის სამხედრო-ფეოდალურ სისტემას, თავისი თიხარებით, ზემოთებითა და ხასებით.

ოსმალთა ბატონობა ამუხრუქებდა დაპყრობილ ხალხთა განვითარებას. ამიტომ ყოველგვარი სეპარატისტული მოძრაობა, მიმართული ოსმალეთისაგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, წარმოადგენდა ისტორიულად პროგრესულ მოვლენას, ხოლო ის ძალები რომლებიც ხელს უწყობდნენ ამ ხალხთა ოსმალეთისაგან გამოთიშვას, ობიექტურად ხელს უწყობდნენ ისტორიულ პროგრესს.

ოსმალეთის მმართველი წრეების პირველ სერიოზულ ცდას, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებით გადაერჩინათ იმპერია, წარმოადგენდა სელიმ III-მეორე განხორციელებული რეფორმები. ევროპაში ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცებისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნის პერიოდში სელიმ III ცდილობს ჩაატაროს რეფორმები ისეთ სახელმწიფოში, სადაც „თურქების მმართველობის ქვეშ მყოფი 25 მილიონი ადამიანის მთავარი დამახასიათებელი თვისება იყო ის, რომ ისინი არც ერთი თვალსაზრისით არ იყვნენ ერთიანნი“<sup>12</sup>.

ამ რეფორმებს არაფერი ჰქონდათ საერთო ევროპის სახელმწიფოებში მომხდარ ცვლილებებთან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გარეგან მსგავსებას; ეს უფრო იყო ცდა დაძლეულიყო მე-18 საუკუნის დასასრულისათვის ოსმალეთში შექმნილი კრიზისი, როდესაც „როგორც სულთანათის ცენტრში, ისე პროვინციებში ადმინისტრაცია და ადმინისტრაციული ზნე-ჩვეულებანი დიდად შეირყა. ფული და ხანჯალი — აი რითი შეიძლებოდა ყველაფრის ყიდვა, ყველაფრის გაყიდვა, ყველაფრის მიღწევა... ..მას, ვისაც ჰქონდა ბევრი ფული, ემსახურებოდა იანიჩართა და სიფაჰიების ხანჯალი და მახვილი. მათ შეეძლოთ საჩუქრებით, ქრთამებით ანდა დაშინებით მიე-

<sup>12</sup> Enver Ziya Karal, Selim III-nun Hat-ti Hümayunları, Nizam-i cedid. 1789—1807, Ankara, 1946, 1. ამ შემთხვევაში უნვარ ზია კარალი განსაკუთრებით ბუნს უსვამს იმ მომენტს, რომ თურქეთის იმპერიაში მოსახლეობდნენ სხვადასხვა წარმოშობის ხალხები. „თურქთა გვერდით, — წერს კარალი, — რომლებმაც შექმნეს იმპერია და მართავენ მას, ჩვენ ვხედავთ ბერძნებს და ლათინებს, სლავებს, ჩერქეზებსა და ქართველებს, სომხებსა და სენტიურ წარმოშობის არაბებს და ებრაელებს, რომელთაც ცნეს თურქთა ხელმძღვანელობა“.

დწიათ უმაღლესი თანამდებობისთვისაც კი<sup>14</sup>. სელიმ III რეფორმებში არ ვასცილებია ზედაპირულ ადმინისტრაციულ სფეროს, ამ რეფორმების მოთავენი ქაფუდან ფაშა<sup>15</sup>, ქუჩუქ პუსეინი<sup>16</sup> და ქაპია — „ბ-ნ პიტის და ინგლისის კონსტიტუციის დიდი პატივისმცემელი“<sup>17</sup> და მათი თანამებრძოლები, იმ დროისათვის ყველაზე უფრო პროგრესულად მოაზროვნე თურქთა რიცხვს ეკუთვნოდნენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პირთა პროგრესულობა, ისევე როგორც მათი რადიკალიზმი, მხოლოდ და მხოლოდ შეფარდებითია. მაშინდელ თურქეთში, მაგალითად, „რევოლუციონერებად“ თვლიდნენ ზოგიერთ ვლახელ ბოიარებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ევროპელებთან ერთად ბუქარესტის კაფეებში დროს ატარებდნენ და ფრანგულ გაზეთებს კითხულობდნენ.

თურქეთისათვის პრინციპულად ახალი არც მომდევნო წლების მოვლენებს მოუტანიათ. იანიჩრების ლიკვიდაცია და რეგულარული ჯარის შექმნა, სამხედრო-ლენური სისტემის გაუქმება, იმპერიის ახალი ადმინისტრაციული დაყოფა, მმართველობის სისტემის ნაწილობრივი რეორგანიზაცია (სამინისტროების შექმნა), კონფისკაციების სისტემის გაუქმება და სხვ. წარმოადგენდა მხოლოდ ოსმალური ფეოდალური სისტემის მოდერნიზაციის ცდას სელიმ III რეფორმებით დასახული გზით. სამაგიეროდ ეს ცვლილებანი მოწმობდნენ თურქეთის უიმედო ჩამორჩენას ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით და ამავე დროს წარმოადგენდნენ თურქეთში უცხოეთის კაპიტალის გაძლიერებული შეჭრის შედეგს. კაპიტულაციები თურქეთის სულთნების მიერ ევროპის სახელმწიფოთათვის ბოძებული ცალმხრივი დიპლომებიდან გადაიქცა ოსმალეთის იმპერიის მძიმე სახელმწიფოებრივ ვალდებულებად.

<sup>14</sup> *Tarih*, c. III, 82.

<sup>15</sup> ქაფუდან ფაშა, ანუ კაპიტან ფაშა—ოსმალეთის სამხედრო-სახლგაო მინისტრი და სამხედრო სახლგაო ძალების სარდალი-ადმირალი, ამავე დროს ეგეოსის ზღვის კუნძულების (არქიპელაგის) ფაშა. ქაფუდან ფაშას ოფიციალურად უწოდებდნენ აგრეთვე „ქაფუდან-ი დერის“, ანუ „ზღვის კაპიტანს“. ეს იგივეა, რაც „ამირ-ი ბაპრ“ — ზღვის გამგებელი, ბატონი, აქედან ამირბარი და ადმირალი.

<sup>16</sup> მე-18—19 საუკუნეების მიჯნაზე ოსმალეთის იმპერიის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე წარმოშობით ქართველი იყო. ბავშვობაში ის სასახლეში წაიყვანა სულთან სელიმ III დედამ, აგრეთვე ქართველმა და თავის შევლთან, მომავალ სულთან სელიმ III ერთად ზრდიდა. ამიტომ ქუჩუქ პუსეინი ძალიან იყო დაახლოებული სელიმ III-თან და მასზე დიდი გავლენა ჰქონდა. დაიბადა 1757 წ., გარდაიცვალა 1803 წ.

<sup>17</sup> А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар, Москва, 1947, 76.

უცხოეთის კაპიტალი თურქეთში განსაკუთრებით მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან ძლიერდება. ამ პერიოდის რეფორმა, რომელსაც მაჰმუდ II ატარებს, უკვე ასახავს უცხოეთის კაპიტალის უშუალო მოთხოვნებს. 1838 წლის თურქეთ-ინგლისისა და თურქეთ-საფრანგეთის სავაჭრო კონვენციებმა კარგად დაანახეს მაშინდელ მსოფლიოს, რომ ევროპის სახელმწიფოთა მიერ თურქეთის ეკონომიური დამორჩილების საქმე საკმაოდ შორს იყო წასული. ამიერიდან თურქეთის შემდგომი განვითარება სულ უფრო და უფრო მეტად ემორჩილებოდა უცხოეთის კაპიტალის ინტერესებს. ასეთ პირობებში ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევა, ერთი მხრივ, იწვევდა სახელმწიფოს ეკონომიური სისტემის მოშლას და ქვეყნის გადაქცევას კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ნედლეულის წყაროდ და აგრარულ დანამატად, ხოლო, მეორე მხრივ — ამ პროცესის დიდად გახანგრძლივებას, ვინაიდან უცხოეთის კაპიტალი ცდილობდა თურქეთში არსებული ფეოდალური ურთიერთობა კოლონიური ექსპლოატაციის ინტერესებისათვის დაემორჩილებინა. ამ მიზნით ისაობა სახელმწიფო საკუთრება მიწაზე, მაგრამ გლეხის ფეოდალური ვალდებულებები უცვლელი რჩება. ფეოდალური თურქეთის მმართველი კლასი უცხოეთის კაპიტალის ერთგულ მოკავშირედ გადაიქცა.

✓ ოსმალეთის იმპერიის განაპირა რაიონების არაფურქ ხალხთა ერებად კონსოლიდაციის პროცესმა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სწრაფი ზრდა გამოიწვია. ამ ხალხთა ბრძოლა მიმდინარეობდა ჩამორჩენილი, ფეოდალური ქვეყნის პირობებში, როდესაც სახელმწიფოს გამაერთიანებელი ხალხი — თურქები ჯერ კიდევ არ იქცნენ ერად და წარმოადგენდნენ იმპერიის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ელემენტს. დროთა ვითარებაში ეროვნული საკითხი ევროპის სახელმწიფოთათვის გადაიქცა მეტად მოხერხებულ საშუალებად ოსმალეთის შინაგან საქმეებში ჩასარევად და იქ თავისი გავლენის განსამტკიცებლად.

თურქეთის მმართველი წრეების მიერ 1839 წელს ჩატარებულმა ცდამ, იმპერიის ქვეშევრდომთათვის, განურჩევლად რელიგიისა, სიცოცხლის, ღირსებისა და ქონების გარანტირების გზით გადაეჭრა ეროვნული საკითხი, შედეგი არ გამოიღო.

სამაგიეროდ, 1856 წელს, თანზიმათის მეორე პერიოდში, უცხოეთის პირდაპირი ზემოქმედების შედეგად ოსმალეთი იძულებულია ქრისტიანებს და სხვა არამუსლიმანებს პრივილეგიები მიანიჭოს.<sup>18</sup> ეს

<sup>18</sup> კაპიტულაციების ძალით პრივილეგიები ენიჭებოდათ იმ ქვეყნის ქვეშევრდომებს, რომელთანაც ხელშეკრულება იდებოდა, ხოლო 1856 წელს უფლებები მიენიჭათ თურქეთის ქვეშევრდომ ქრისტიანებსა და სხვა არამუსლიმანებს.

კი სინამდვილეში ნიშნავდა უცხოეთის კაპიტალის პირდაპირი წარ-  
მომადგენლის — კომპრადორული ბურჟუაზიისათვის უპირატესო-  
ბის მინიჭებას.

ქართული  
საგარეო საკმეო

ყირიმის ომის შემდეგ თურქეთი უკვე მთლიანად დაემთხრო  
დასავლეთის კაპიტალს, ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ სულთა-  
ნის მიერ 1856 წელს გამოქვეყნებული ჰათ-ი ჰუმაიუნი, თურქეთის  
ეს შინაგანი კონსტიტუციური აქტი, ევროპის სახელმწიფოებმა მოი-  
ხსენიეს პარიზის ტრაქტატის მე-9 მუხლში. მიუხედავად მითითებისა,  
რომ ეს არ აძლევს უფლებას ტრაქტატის ხელისმომწერ სახელმწი-  
ფოებს ცალ-ცალკე თუ ერთობლივად ჩაერიონ თურქეთის საშინაო  
საქმეებში, თვით ფაქტი ჰათ-ი ჰუმაიუნის ხსენებისა საერთაშორისო  
ხელშეკრულებაში უკვე ნიშნავდა მის გარანტირებას ამ ხელშეკრუ-  
ლების დამდებ სახელმწიფოთა მიერ. ეს კი მათ აძლევდა მომავლი-  
სათვის საფუძველს ჩარეულიყვნენ ოსმალეთის შინაურ საქმეებში.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ დერბის 1876  
წლის 4 ნოემბრის დეპეშის საბასუხოდ, სადაც ის ამტკიცებდა „ოს-  
მალეთის იმპერიის დამოუკიდებლობისა და განუყოფლობის აუცი-  
ლებლობას“, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გორჩაკოვი იმა-  
ვე წლის 18 ნოემბერს წერდა: „აუცილებელია ვაღიაროთ, რომ თურ-  
ქეთის დამოუკიდებლობა და განუყოფლობა უნდა იყოს დამოკიდ-  
ებული იმ გარანტიებზე, რომელთაც მოითხოვს კაცობრიობა, ევრო-  
პის ქრისტიანული გრძნობა და საყოველთაო მშვიდობა..... რამდენ-  
ადაც ოსმალეთს არა აქვს უნარი შეასრულოს ვალდებულებანი,  
რომლებიც მან აიღო თავის ქრისტიან ქვეშევრდომთა მიმართ 1856  
წლის ხელშეკრულებით, ევროპას აქვს უფლება და კიდევ უნდა შე-  
ენაცვლოს თურქეთს იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია, რათა  
უზრუნველყოს ამ ვალდებულებათა შესრულება“<sup>11</sup>.

ამრიგად, ვინაიდან თურქეთმა არ შეასრულა ჰათ-ი ჰუმაიუნით  
ნაკისრი ვალდებულებანი თავის ქრისტიან ქვეშევრდომთა მიმართ,  
გორჩაკოვის აზრით, ევროპის სახელმწიფოებმა, რამდენადაც მათ  
ხელი მოაწერეს ტრაქტატს, თვით უნდა გაუნადღონ ეს დაპირებანი  
ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომებს, ანუ უნდა ჩაერიონ თურქე-  
თის საშინაო საქმეებში.

პარიზის ზავის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თურქეთი დამარცხე-  
ბულ სახელმწიფოს უფრო წააგავდა, ვიდრე გამარჯვებულს. ომში  
მონაწილე არც ერთი სახელმწიფო, თვით ომში დამარცხებული რუ-

<sup>11</sup> René Pinon, L'Europe et l'Empire Ottoman. Les aspects actuels  
de la question d'Orient, Paris, 1917, 22.

სეთიც კი, ისე არ დაზარალებულა როგორც თურქეთი. არავისთვის არ მოუტანია ომს ისეთი მძიმე შედეგები, როგორც თურქეთისათვის. ყირიმის ომის წლებში თურქეთმა აიღო პირველი უცხოური სესხი, შეიქმნა ოსმალეთის ბანკი და გაცემულ იქნა პირველი უცხოური სესხები. პირველი სესხის მთელი თანხა სახელმწიფო დეფიციტის დაფარვას მოხმარდა, თუმცა მაშინდელ თურქეთში, რომელსაც არ გააჩნდა სახელმწიფო ბიუჯეტი\*, შეუძლებელი იყო როგორც სახელმწიფო დეფიციტის ნამდვილი ოდენობის დადგენა, ისე თანხების ხარჯვაზე კონტროლის დაწესება. 1854 წლიდან დაწყებული თურქეთი განუწყვეტლივ იღებს უცხოეთის სესხს. 1863 წლისათვის მას აღებული ჰქონდა ათი სესხი ერთი მილიარდი ფრანკის საერთო რაოდენობით. მარტო სესხის პროცენტებმა ისეთ დიდ თანხას შეაღწია, რომ ოსმალეთის მთავრობა იძულებული გახდა ახალი სესხი აეღო არა ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, არამედ მხოლოდ მიღებული სესხის პროცენტების გადასახდელად. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ოსმალეთი სესხის თანხა ფაქტობრივად არც კი იღებს, მას უთვლიან ასეთს პროცენტების დაფარვის ანგარიშში. მეტად მძიმე ფინანსურ-ეკონომიური მდგომარეობის გამო თურქეთის მთავრობა იძულებული გახდა დათანხმებულიყო ინგლისის ელჩის წინადადებაზე ოსმალეთის იმპერიის ფინანსებზე ინტერნაციონალური კონტროლის დაწესების შესახებ.

✓ რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომით კვლავ ისარგებლეს ინგლისმა და საფრანგეთმა, რათა თურქეთი საბოლოოდ თავისი ფინანსური კონტროლისათვის დაემორჩილებინათ. ამჯერად რუსეთ-თურქეთის ომს და ბერლინის კონგრესს მოჰყვა „ოსმალეთის საჯარო ვალის ადმინისტრაციის“ შექმნა 1881 წელს. სინამდვილეში ეს იყო მანამდე არსებული „ექვსი არაბირდაპირი გადასახადის სამმართველოს“ ფუნქციების გაფართოება. ისევე როგორც ოსმალეთის ბანკი, „ოსმალეთის საჯარო ვალის სამმართველოც“ ოსმალეთის სახელმწიფო აპარატის ნაწილს წარმოადგენდა და მისი 5000 მოსამსახურე ითვლებოდა ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო სამსახურში. „ოსმალეთის ვალის ადმინისტრაციის“ უშუალო გამგებლობაში იმყოფებოდა თამბაქოსა და მარილის მონოპოლიები, საღერბო გადა-

\* სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა ოსმალეთში დაწესებულ იქნა 1856 წლის 18 თებერვლისა და 1862 წლის 19 იანვრის კანონებით. ოსმალეთის იმპერიის პირველი ბიუჯეტი შეადგინეს 1862 წელს, მაგრამ ეს ბიუჯეტი არარეალური იყო. იგი არ იძლეოდა წარმოდგენას სახელმწიფო შემოსავლისა და ხარჯების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ. მანამდე წლის დასასრულს ადგენდნენ მხოლოდ ფაქტობრივი შემოსავალ-გასავლის ბალანსს.

სახადი, გადასახადი ალკოჰოლიან სასმელებზე და სხვ. თავის მხრივ „სამმართველო“ შემოსავლის ზოგიერთ წყაროს იჯარით გასცემდა. მაგალითად, თამბაქოს მონოპოლია იჯარით გადაეცა „რეჟის“ კომპანიას. საიჯარო ხელშეკრულების ძალით თურქეთის თამბაქოს მთელი მოსავალი, „რეჟის“ კომპანიის საწყობებს უნდა ჩაბარებოდა. „რეჟის“ ეკუთვნოდა ოსმალეთის იმპერიაში თამბაქოს შესყიდვის, გადამუშავებისა და გაყიდვის მონოპოლიური უფლება. „რეჟის“ მონოპოლია მძიმე ტვირთად დააწვა თურქეთის ეკონომიკას. მისი მოქმედების შედეგად თურქეთში 450-თამბაქოს კერძო ფაბრიკამ შეწყვიტა არსებობა<sup>21</sup>. ასეთივე შედეგი პქონდა უცხოეთის კონცესიებისა და მონოპოლიების საქმიანობას თურქეთის ეკონომიკის სხვა დარგებისთვისაც.

„ოსმალეთის სახელმწიფო ვალის ადმინისტრაციამ“ თურქეთში დაბანდებულ უცხოეთის კაპიტალს უშიშროებისა და მაღალი მოგების გარანტია მისცა, რამაც გააძლიერა უცხოეთის კაპიტალის ლტოლვა თურქეთისაკენ. უცხოეთის კაპიტალის პოზიციები განამტკიცა აგრეთვე მუჰარემის დეკრეტმა<sup>22</sup>. დეკრეტით ოსმალეთის იმპერიის საგარეო ვალი 5,3 მილიარდი ფრანკიდან 2,4 მილიარდ ფრანკამდე შემცირდა. ამავე დროს „ოსმალეთის სახელმწიფო ვალის სამმართველოს“ განსაკუთრებული პრივილეგიები მიენიჭა. რითაც უცხოეთის კაპიტალს მრავალჯერად აუნაზღაურდა ოსმალეთის სახელმწიფო ვალის შემცირებით გამოწვეული დანაკლისი. უცხოეთის კაპიტალი, რომლის მოგება და უშიშროება გარანტირებულია ოსმალეთის მთელი სახელმწიფო აქტივებით, მიისწრაფვის სარკინიგზო და „რეჟის“ თამბაქოს მონოპოლიის მსგავს კონცესიებში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მოიპოვა კილრმეტრული გარანტიებით უზრუნველყოფილმა სარკინიგზო კონცესიებმა, რომლებიც ფართო ვზას უხსნიან ევროპულ კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც „უახლესი კაპიტალიზმისათვის, მონოპოლიების ბატონობით, ტიპური გახდა კაპიტალის ვატანა“<sup>23</sup>. სარკინიგზო კონცესიები გადაიქცა თურქეთის ეკონომიური და პოლიტიკური დამონების მძლავრ საშუალებად. ერთმა ბალკანელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ გასული საუკუნის 80-იან წლებში მოხდენილად შენიშნა, რომ „რკი-

<sup>21</sup> А. Д. Новичев, Очерки экономики Турции в период первой мировой войны. Москва, 1937, 199.

<sup>22</sup> მუჰარემი — მუსლიმანური კალენდრის პირველი თვე. 1881 წელს, როდესაც დეკრეტი იქნა გამოცემული, მუჰარემი ემთხვეოდა ნოემბერ-დეკემბერს.

<sup>23</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 22, თბილისი, 1951, გვ. 301.

ნიგზები დაძლევენ თურქეთს და აღმოსავლეთის საკითხის გადასაჭრელად გააკეთებენ მეტს, ვიდრე კუთხვილლულიანი ზარბაზნებზე, თურქეთში რკინიგზების მშენებლობას იმპერიალისტური ნებისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მახლობელი და შუა აღმოსავლეთისათვის ბრძოლაში. ისინი ცდილობდნენ ხელი ეგდოთ თურქეთის ძირითადი სარკინიგზო ხაზები და ამით განემტკიცებინათ თავიანთი სტრატეგიული პოზიციები ერთმანეთის წინააღმდეგ<sup>25</sup>.

ასეთ პირობებში რკინიგზების მშენებლობას არ შეეძლო რამდენადმე მაინც ხელი შეეწყო თურქეთის სამრეწველო განვითარებისათვის, ვინაიდან ეს გზები გაპყავდათ ან სტრატეგიული მოსაზრებებით ისეთ რაიონებში, რომლებიც იმ პირობებში რკინიგზებს არ სპვიროვებდნენ, ან რადიალური მიმართულებით, რათა თურქეთის სანავსადგურო ქალაქები დაეკავშირებინათ ქვეყნის შიდა რაიონებთან<sup>26</sup>. რკინიგზების რადიალური მიმართულება ხელს უწყობს კომპრადორული ბურჟუაზიის გაძლიერებას და სანავსადგურო-სავაჭრო ქალაქების ზრდას. სანავსადგურო ქალაქების ზრდისა და ხელოსნობის ტენდენციის, ქვეყნის შიდა ქალაქების დაკნინების ტენდენცია დაპა-

<sup>25</sup> Раздел Азиатской Турции, по секретным документам 6. Министерство иностранных дел, Москва, 1924, 10.

<sup>26</sup> დამახასიათებელია, რომ ბალღადის რკინიგზის გაყვანის იდეა წარმოიშვა ინგლისში ჯერ კიდევ 1835 წელს. ე. ი. ინგლისში და მთელ მსოფლიოში პირველი რკინიგზის ხაზის გაყვანის 10 წლის შემდეგ. ეს პროექტი ითვალისწინებდა რკინიგზის გაყვანას ალექსანდრეტიდან სპარსეთის ყურსაკენ ბალღადზე გავლით, სპეციალური ექსპედიცია პოლკოვნიკ ჩესნეის მეთაურობით გაემგზავრა კიდევ თურქეთში გზის გაყვანის შესაძლებლობათა აღვილზე შესასწავლად. ეს რკინიგზა ინგლისისათვის იქნებოდა ყველაზე უფრო ხელსაყრელი სატრანსპორტო მაგისტრალი ინდოეთისაკენ, მაგრამ სუეცის არხის გაყვანამ ამ პროექტს დაუქარგა ეკონომიური ეფექტი.

<sup>27</sup> რკინიგზების ქსელის რადიალური განვითარება ტიპურია კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნებისათვის. ამ მხრივ კლასიკურ მაგალითს იძლევა ინდოეთი, სადაც ინგლისელთა მიერ აშენებული რკინიგზები სანავსადგურო ქალაქებიდან მარაოსებრ იშლებიან ქვეყნის შიდა რაიონების მიმართულებით. ამავე დროს ქვეყნის შიდა პუნქტები დაუკავშირებელი რჩებოდა ერთმანეთთან. რკინიგზების რადიალურ მშენებლობას თან ერთვოდა სათანადო სატარიფო პოლიტიკა, რომლითაც შეღავათი ეძლეოდათ იმათ, ვისაც ტვირთი გადაჰქონდა ქვეყნის შიდა პუნქტებიდან სანაპირო ქალაქებში და, პირუკუ, ე. ი. შეღავათები ენიჭებოდათ იმათ, ვისაც შემოჰქონდა უცხოეთის ნაწარმი და გაჰქონდა უცხოეთში ადგილობრივი ნედლეული.

ხასიათებელია კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ დამორჩილებული ყველა აღმოსავლური ქვეყნისათვის. გამონაკლისს არც თურქეთი წარმოადგენდა, სადაც ოდესღაც ხელოსნობით ვანთქმული შიდა ანატოლიის ქალაქები გაპარტახდა, ხოლო კომპრადორული ბურჟუაზიის ადგილსამყოფელმა — სანავსადგურო ქალაქებმა სწრაფი ზრდა იწყეს. თუ რას წარმოადგენდა მე-19 საუკუნის თურქეთის სანავსადგურო ქალაქები, კარგად ჩანს ინგლისელი კონსულის პალგრევის ანგარიშიდან<sup>21</sup>. ეს იყო ნამდვილი ვაჭართა ქალაქები. მე-19 საუკუნის 70-იან წლებში სინოპში 9668 მცხოვრებზე იყო 500 დუქანი, ტრაპიზონში 3330 მცხოვრებზე — 1232 დუქანი, სამსუნში 700 მცხოვრებზე — 360 დუქანი და ა. შ. ესენი უმთავრესად წვრილ ვაჭრებს ეკუთვნოდნენ, რომლებიც უცხოეთის კაპიტალის კონტრაგენტებსა და კომპრადორული ბურჟუაზიის ქვედა ფენას წარმოადგებდნენ.

თურქეთის შინაგან ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ უცხოეთის ფინანსური დაწესებულებანი. „ოსმალეთის ბანკი“ და „ოსმალეთის სახელმწიფო ვალის სამმართველო“ ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო ორგანიზმთან იყვნენ შერწყმულნი და ფინანსურის გარდა სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ფუნქციებსაც ასრულებდნენ. ამათ გარდა, თურქეთში უცხოელთა უამრავი ფინანსური დაწესებულება არსებობდა, რომლებიც განსაკუთრებით გამრავლდნენ ყირიმის ომის შემდეგ. ასე, მაგ., 1864 წ. „ოსმალეთის საიმპერიო ბანკის“ მონაწილეობით დაარსდა „ოსმალეთის იმპერიის გენერალური საზოგადოება“. 1868 წელს საფრანგეთის კაპიტალმა დააარსა ბანკი „ოსმალეთის გენერალური კრედიტი“.

1871 წელს საფრანგეთის პრუსიასთან დამარცხების შემდეგ ვენის ბანკირებმა დააარსეს „ავსტრია-ოსმალეთის ბანკი“, ხოლო 1872 წელს — „ავსტრია-თურქეთის ბანკი“. შემდგომში თურქეთში თავის განყოფილებას ხსნის საფრანგეთის ბანკი „ლიონის კრედიტი“. 1888 წელს არსდება „სალონიკის ბანკი“ ფრანგული, ავსტრიული და უნგრული კაპიტალით. მე-19 საუკუნის დასასრულიდან დაიწყო გერმანიის ფინანსური აქტივობაც. 1899 წელს დაარსდა „ბალესტინის გერმანული ბანკი“, 1906 წელს გერმანულმა კაპიტალმა დააარსა „გერმანული აღმოსავლეთის ბანკი“, რომელსაც ფართო განშტოება ჰქონდა მთელ თურქეთში. გერმანიის შემდეგ ოსმალეთის ფინანსურ ასპარეზზე გამოჩნდა იტალია. 1907 წელს არსდება „იტალიის

<sup>21</sup> Джибфорд Пальгрев, Отчеты о провинциях Анатолии за 1867—1868 и 1869—1872 гг., Приложение к VII тому „Известий Кавказского отдела Русского географического общества“.

კომერციული ბანკის“ ფილიალი, იმავე წელს თურქეთში თავის განყოფილებას ხსნის „რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბანკი“. მთელი ამ ხნის განმავლობაში თურქმა კაპიტალისტებმა თავისი კაპიტალით შეძლეს მხოლოდ ერთი ბანკის დაარსება, რომლის მიზანი იყო ვაჭრობისა და მრეწველობის წახალისება<sup>24</sup>.

უცხოეთის ბანკებს შორის მთავარი იყო „ოსმალეთის საიმპერიო ბანკი“, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამავე დროს წარმოადგენდა ოსმალეთის სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ორგანოს<sup>25</sup>. ის იყო ოსმალეთის იმპერიის მთავრობის ერთადერთი ოფიციალური შუამავალი თურქეთის საგარეო და საშინაო ვალების აღებისა და დაფარვის საქმეში; მას მინიჭებული ჰქონდა ბანკოტების გამოშვების მონოპოლიური უფლება. 1875 წ. კონცესიის განახლებისას მას მიეკუთვნა სახელმწიფოს სახაზინო ფუნქციებიც.

უცხოეთის კაპიტალის მოქმედების შედეგად თურქეთის მთავრობა სწრაფად კარგავდა კონტროლს ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ყოველ უბანზე. უცხოელთა ხელში აღმოჩნდა არა მარტო რკინიგზები, არამედ საზღვაო ტრანსპორტიც. ასე, მაგ., 1911 წელს სტამბოლის ნავსადგურის ტვირთბრუნვაში თურქეთის გემების ტონაჟი უდრიდა მხოლოდ 2%, იზმირისაში — 4,9%, ხოლო ტრაპიზონისაში — 15% (1910 წ.)<sup>26</sup>.

უცხოელთა ხელში იყო აგრეთვე იმპერიის საგარეო ვაჭრობაც, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული თურქეთის სახლგაო და

<sup>24</sup> ცნობები ბანკების შესახებ აღებულია წიგნიდან: А. Д. Новичев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 204—208.

<sup>25</sup> „ოსმალეთის საიმპერიო ბანკი“ შეიქმნა 1863 წელს „ოსმალეთის ბანკი“ ბაზაზე. „ოსმალეთის ბანკი“ 1856 წელს ინგლისელებმა დააარსეს.

<sup>26</sup> ტრაპიზონის ნავსადგურის ტვირთბრუნვაში თურქეთის გემების ტონაჟი ერთგვარად მეტია სტამბოლსა და იზმირთან შედარებით იმის გამო, რომ ტრაპიზონის პორტში დიდი ადგილი უკავია კაპოტაქურ ნაოსნობას მცირე წყალწვევის იალქნიანი გემებით, რომლებიც თურქეთის ქვეშევრდომებს ვკუთვნობდათ. დიდი გემების მისაღებად ტრაპიზონის ნავსადგური არ ვარგოდა, ვინაიდან არ გაჩნდა ნავსაყუდი და არ იყო დაცული ღია ზღვის ტალღებიდან, სამსუნიდან აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე, ერთადერთი ნავსადგური, სადაც დიდ გემებს თავისუფლად შეეძლოთ შესვლა, იყო ბათუმი. ამიტომ 1878 წელს ბათუმის დაკარგვა თურქებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დანაკლისს წარმოადგენდა ვირიშის დაკარგვის შემდეგ. კავკასიის ფრონტზე მოქმედ თურქეთის არმიას კი ამით მოესპო მომარაგებისა და სტამბოლთან დამაკავშირებელი პირველხარისხოვანი ბაზა.

სახელეთო ტრანსპორტთან, „რეის“ მსგავს უცხოელთა მონაპოვ-  
ლიებთან და ფინანსურ დაწესებულებებთან.

ნახევრად კოლონიური თურქეთის ეკონომიურ და სოფლის მეურნეობის მდგომარეობას კარგად ახასიათებს მისი ექსპორტ-იმპორტი. თურქეთიდან უმთავრესად ვაჭრობდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და შემოაქვდათ სამრეწველო საქონელი. საგარეო ვაჭრობის ასეთი სტრუქტურის შედეგად მე-19 საუკუნის 40-იან წლებში დიარბაქირი და ბურსა, რომლებიც განთქმულნი იყვნენ ხავერდისა და სატინის წარმოებით, ამზადებდნენ არა უმეტეს ერთ მეათედს იმისას, რასაც ამზადებდნენ მე-19 საუკუნის დასაწყისში. ბურსაში ძლივსღა აწარმოებდნენ 400.000 პიასტრის ღირებულების აბრეშუმს, იმ დროს, როდესაც თურქეთიდან უცხოეთში ყაჭისა და აბრეშუმის პარკის გატანის თანხამ 9 მილიონ პიასტრს მიაღწია<sup>31</sup>.

თურქეთიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაძლიერებული ექსპორტი და სოფლად ფულადი ურთიერთობის ზრდა იწვევს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას, უპირველეს ყოვლისა, სანაპირო რაიონებში, რკინიგზების გასწვრივ და ევროპულ თურქეთში, სადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საქონლიანობა შედარებით მაღალი იყო. სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის რაიონებში ვითარდება კაპიტალისტური ურთიერთობანი, წვრილი და საშუალო გლეხობა სწრაფად კარგავს მიწებს, იქმნება მსხვილი მემამულური მეურნეობანი. ამ პროცესს დიდად უწყობდა ხელს თანხმობის მეორე პერიოდში მიღებული მიწის კოდექსი.

ოსმალეთის იმპერიაში არსებობდა აგრეთვე ისეთი ტერიტორიები, რომლებსაც არ შეხებია არც უცხოეთის კაპიტალი და არც სარკინიგზო მშენებლობა. ამ რაიონებში ფეოდალური ურთიერთობა განაგრძობდა არსებობას პირველი მსოფლიო ომის შემდგომ წლებშიც. ასეთი მდგომარეობა იყო ქურთისტანში, ნაწილობრივ ერაყში, საუდიეს არაბეთში და ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ვილაიეთებში.

უცხოეთის, ძირითადად ინგლისის, საფრანგეთის, ხოლო შემდგომ გერმანიის კაპიტალმა თურქეთი თავისი ქვეყნის აგრარულ დანამატად გადააქცია. თურქეთის ეკონომიურ ცხოვრებაში კოლონიური რეჟიმი დამყარდა. ევროპის ქვეყნები აფერხებდნენ თურქეთის სამ-

<sup>31</sup> M. A. Ubicini, *Lettres sur la Turquie*, Deuxième édition, Paris, 1853, 357. ეს ცნობები მოყვანილი აქვს აგრეთვე ა. დ. ნოვიჩევის დასახ. ნაშრომში, 92.

რეწველო განვითარებას და ხელს უწყობდნენ ფეოდალურ ურთიერთობათა კონსერვაციას.

თურქეთის მმართველი წრეები არა თუ არ უწევდნენ ჩინაუბრე ტიპურ წინააღმდეგობას ინგლისის, საფრანგეთის და შემდგომ გერმანიის გავლენის ზრდას, არამედ, პირიქით, ხელს უწყობდნენ კიდევ მას. თურქეთს არც გააჩნდა სათანადო ძალა, რათა გაეწია წინააღმდეგობა უცხო სახელმწიფოთა გავლენის ზრდისათვის. თურქეთის დანაწილების გეგმებით, რომელთაც ასე უხვად ადგავდნენ ევროპა-სა და რუსეთში, პრაქტიკულად დაინტერესდნენ ევროპის დიდი სახელმწიფოები. და თუ ოსმალეთის იმპერია პირველ მსოფლიო ომამდე მაინც შერჩა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას, ეს მხოლოდ დიდ სახელმწიფოთა ქიშპობას უნდა მივაწეროთ. ყოველ უცხო სახელმწიფოს, რომელიც გავლენით სარგებლობდა თურქეთში, ჰყავდა თავისი აგენტურა როგორც კომპარადორულ ბურჟუაზიასა და თურქეთში მოსახლე არათურქთა შორის, ისე მმართველ წრეებში. ამიტომ დიდ სახელმწიფოთა ბრძოლამ მახლობელ აღმოსავლეთში ბატონობისათვის თავისი გამოძახილი ჰპოვა თურქეთში წარმოებულ შიდა პოლიტიკური ბრძოლის სახით. ✓

პირველ მსოფლიო ომამდე პირველობა თურქეთში ეკუთვნოდათ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მახლობელ აღმოსავლეთში რუსეთს უპირისპირდებოდნენ. მათ შორის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით ინგლისის პოლიტიკური გავლენა ძლიერდება.

ინგლისი თურქეთში გამოჩნდა მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა უკვე საკმაოდ მტკიცედ მოიკიდა იქ ფეხი. ინგლისის გავლენის ზრდა მსოფლიოს მაშინდელ გზაჯვარედინზე მიმდინარეობდა ინგლისის ინტერესების ზრდასთან ერთად აღმოსავლეთში. აღმოსავლეთის საკითხში ისკვენებოდა მაშინდელი სამყაროს პოლიტიკურ ურთიერთობათა კვანძი. ეს იყო ერთადერთი პუნქტი, სადაც უშუალოდ ხვდებოდნენ ერთმანეთს რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთის, გერმანიისა და უფრო გვიან ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები. აღმოსავლეთის საკითხზე <sup>22</sup> უმალ ახდენს გავლენას პოლიტიკური მდგომარეობის ყოველგვარი, სულ მცირედი ცვლილება. კი არა მარტო ევროპაში, არამედ შორეულ მხარეებშიაც, იქნება ეს შუა აზია, ჩინეთი თუ ამერიკის კონტინენტი.

ყველა იმ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ აღმოსავლეთის საკითხით, ყველაზე უფრო შენიღბული ოს-

<sup>22</sup> აქ აღმოსავლეთის საკითხს ვხმარობთ მისი ვიწრო გაგებით, ე. ი. როგორც სრუტეების, ევროპული თურქეთისა და სრუტეების მახლობლად მდებარე ანატოლიის ტერიტორიების საკითხს.

მალეთის მიმართ უთუოდ ინგლისის პოლიტიკა იყო. ინგლისი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ის იცავს ოსმალეთის იმპერიის მთლიანობას და რომ ოსმალეთის იმპერიის მთლიანობა და განუყოფლობა წარმოადგენს ბრიტანეთის აღმოსავლური პოლიტიკის საფუძველს. ამ მხრივ ინგლისის პროპაგანდას ჰქონდა კიდევ ერთგვარი წარმატება<sup>23</sup>.

თურქეთის განუყოფლობისა და ერთიანობის პრინციპის დროშით არა ერთხელ გამოსულა ინგლისი დიპლომატიურ ასპარეზზე. ეს პრინციპი ბრიტანეთმა აღმოსავლურ პოლიტიკაში გამოიყენა ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მას თავის მოქმედებას საფუძვლად დაუ-

<sup>23</sup> ეს თვალსაზრისი ინგლისური ლიტერატურიდან გავრცელდა სხვა ქვეყნების საისტორიო ლიტერატურაშიც, კერძოდ ფრანგულში, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის საუბრებში საფრანგეთი მუდამ ინგლისის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა. ზოგიერთი ფრანგი ავტორი იქამდეც კი მიდის, რომ ინგლისს ოსმალეთის იმპერიის მხსნელად აცხადებს. ასე, მაგ., ლარშე წერს: „ოსმალეთის იმპერია ისევე, როგორც სპარსეთი და ავღანისტანი, რუსეთის შემოსევასაგან გადაარჩინა მხოლოდ და მხოლოდ ბრიტანეთის წინასწრობის პოლიტიკამ“ (M. Larcher La guerre turque dans la guerre mondiale, Paris, 1926, 23) ამ თვალსაზრისმა თავი იჩინა თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეთა შეფასების დროსაც. ის პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ინგლისური ორიენტაციისა არ იყვნენ, გამოაცხადეს არა მარტო რეაქციონერებად, არამედ სამშობლოს მოღალატეებადაც. ამ მხრივ დამახასიათებელია თურქეთის დიდი ვეზირის მაჰმუდ ნედიმ ფაშას შეფასება, რომელიც თანამედროვე თურქულმა ისტორიოგრაფიამაც გაიზიარა. „ცნობილ თურქთა ენციკლოპედიის“ ავტორი იბრაჰიმ ალაეთინ ვიოვსა წერს: „მაჰმუდ ნედიმ ფაშას მოქმედება თურქეთში, როგორც ცარიზმის აგენტისა, წარმოადგენს ეროვნულ ლალატს, რასაც მას არ ამატიებს ისტორია Ibrahim Alaettin Gövsa, Türk Meşhurları ansiklopedisi, Yedigün Neşriyatı, 235) თავის დროზე მაჰმუდ ნედიმი თურქეთში ნედიმოვდაც კი მონათლეს, რათა ხაზი გაესვათ მისი რუსული ორიენტაციისათვის. მაჰმუდ ნედიმის მოღვაწეობის მკვეთრად უარყოფითი შეფასება ერთგვარად საბჭოურ თურქოლოგიურ ლიტერატურაშიც გავრცელდა. სინამდვილეში მაჰმუდ ნედიმი წარმოადგენდა ვასული საუკუნის 70-იანი წლების ოსმალეთის ტიპურ სახელმწიფო მოღვაწეს და მისი საგარეო პოლიტიკური კურსი იმ მომენტში ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყო მაშინდელი თურქეთისათვის.

მაჰმუდ ნედიმ ფაშა ქართველი იყო. მამამისს ნეჯბ ფაშას ეკავა ბაღდადის ვალის თანამდებობა. მაჰმუდმა მაშინდელი პირობების კვალობაზე საქმიანად კარგი განათლება მიიღო. ახალგაზრდობიდანვე დაწინაურდა სახელმწიფო საშსახურში. ომდენაქრემ იყო ნახორი (მინისტრი) და ორჯერ დიდი ვეზირი (პრემიერ-მინისტრი).

დებდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი ლორდი ბიკონსფილდი ბერლინის კონგრესზე 1878 წელს. სახელდობრ, აღნიშნულ პრინციპს ინგლისი დაეყრდნო 1833 წელს, უნკიარ-ისეკლესის ხელშეკრულებებში პერიოდში რუსეთის წინააღმდეგ და 1840 წელს მეკმედ აღნიშნულ ლუი ფილიპეს წინააღმდეგ, მაგრამ ის ძირითადად მაინც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. მისი საშუალებით ინგლისი ცდილობდა, რათა რუსეთი უკუეგდო რაც შეიძლება შორს სრუტეებიდან და კავკასიიდან. სწორედ ამიტომ „ოსმალეთის იმპერიის მთლიანობისა და სულთნის სუვერენიტეტის პრინციპი ინგლისის ხელში წარმოადგენდა ომის მანქანას“<sup>24</sup>. მაგრამ ინგლისი როდი იცავდა ამ პრინციპს ყველგან და ყოველთვის. იგი გამოდიოდა ამ დებულების დამცველად მაშინ, როდესაც საქმე ეხებოდა კავკასიას, ანატოლიას ანდა ბალკანეთის ნახევარკუნძულს (ამ უკანასკნელის მიმართ მაშინ, როდესაც ინგლისს არ ჰქონდა იმედი, რომ ოსმალეთის იმპერიას ჩამოცილებული ტერიტორია მისი გავლენის ქვეშ მოექცეოდა). ამიტომ ყოველთვის, როდესაც რუსეთთან ომში დამარცხებული თურქეთის წარმომადგენლები რუსეთის წარმომადგენლებთან ერთად საზავო კონფერენციის მაგიდას შემოუხსდებოდნენ, ინგლისი ცდილობდა, რომ ოსმალეთის იმპერიის ერთიანობისა და განუყოფლობის პრინციპი საფუძვლად დაედო მოლაპარაკებისათვის. ინგლისი ამ პრინციპს იცავდა, მიუხედავად იმისა, ის თურქეთის მოკავშირე იყო თუ მოწინააღმდეგე.

ინგლისის პოზიციისათვის დამახასიათებელია ინგლისის ელჩის კონსტანტინოპოლში ლაიარდის 1877 წლის 13 ივნისის დეპეშა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ ედუარდ დერბისადმი. დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ პოლიტიკა, რომელმაც აიძულა ინგლისი დახმარებოდა თურქეთს საკუთარი მიზნების, უშიშროების და არა თურქებისა და მათი რელიგიის მიმართ აბსტრაქტული სიყვარულის გამო, ნაწილობრივად დაფუძნებულია რწმენაზე, რომ „თურქეთი ჯებირია, რომელიც წინ უდგას რუსეთის პრეტენციოზულ მისწრაფებებს აღმოსავლეთში და რომ სულთანმა—მაჰმადიანური რელიგიის აღიარებული ბელადმა—არა მარტო სასარგებლო, არამედ საჭირო მოკავშირეცაა ინგლისისათვის, რომელსაც ჰყავს მილიონობით მუსლიმანი ქვეშევრდომი“<sup>25</sup>. ამრიგად, რამდენადაც საქმე ეხება ოსმალეთის იმპერიას როგორც ჯებირს რუსეთის წინააღმდეგ, იმდენად ინგლისი განუხრელად იცავს მისი ერთიანობისა და განუყოფლობის პრინციპს. სწორედ ამიტომ ინგლისი მეტად მტკივნეულად განიცდიდა

<sup>24</sup> Renè Pinon, დასახ. ნაშრომი, 16.

<sup>25</sup> Renè Pinon, დასახ. ნაშრომი, 16.

სან-სტეფანოს ზავის პირობებს და რუსეთის წინსვლას ანატოლიისა და ბალკანეთში.

1878 წლის აპრილში პეტერბურგს ჩამოდის რუსეთის ელჩი ვუქლიცკი დონში გრაფი ივანე შუვალოვი, რომელმაც რუსეთს მთავრად დასაბუთებას შეუთანხმა ორი მემორანდუმის ტექსტი. მემორანდუმებს ხელი მოაწერეს ლონდონში იმავე წლის 30 მაისს, რითაც განისაზღვრა აზიასა და ევროპაში რუსეთის დათმობები თურქეთის მიმართ. ეს არის დიდი ბულგარეთი, ეფრატის სათავეები, ალაშკერტი და ბაიაზეთი. ანუ გზა ტრაპიზონიდან ირანში.

მხოლოდ ამ დათმობების მიღების შემდეგ თანხმდება ინგლისი ბერლინის კონგრესის მოწვევაზე, რომელსაც შექმნილ ვითარებაში რჩება მხოლოდ დეტალების დაზუსტება „კეთილსინდისიერი მაკლერის“ ბისმარკის თავმჯდომარეობით. დათმობების შემდეგ რუსეთს მაინც დარჩა ბათუმი, ყარსი და არტაანი. ამიერიდან რუსეთს ხელთ ჰქონდა შესანიშნავი სტრატეგიული პოზიციები სპარსეთის ყურისა და სირიისაკენ წინსვლისათვის.

შექმნილ ვითარებაში კარგად გამოჩნდა თურქეთის ერთიანობისა და განუყოფლობის ინგლისური პრინციპის ნამდვილი შინაარსი. ინგლისის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ლორდი ბიკონსფილდი ინგლისის ელჩს კონსტანტინოპოლში ლაიარდს უგზავნის ინგლის-თურქეთის მომავალი შეთანხმების ტექსტის პროექტს, რომელიც ლაიარდმა გადასცა თურქეთის მთავრობას და მოსაფიქრებლად მისცა 48 საათი. სინამდვილეში ეს ულტიმატუმს უფრო წააგავდა, ვიდრე ხელშეკრულების დადების წინადადებას. ბიკონსფილდი არწმუნებდა თურქეთს, რომ რუსეთის საშიშროებისა და მუქარის წინაშე, თუკი ეს უკანასკნელი დაიკავებს ყარსს, არდაგანს ან ბათუმს, ან ერთ რომელიმე მათგანს, თურქეთს აუცილებლად დასჭირდება ინგლისის დახმარება. ამისათვის თურქეთმა ინგლისს უნდა გადასცეს სათანადო ტერიტორია სამხედრო ბაზების შესაქმნელად. ეს იმ დროს, როდესაც ინგლისმა რუსეთს მისცა პრინციპული თანხმობა ყარსის, არტაანისა და ბათუმის დაკავების შესახებ.

1878 წლის 4 ივნისს, ბერლინის კონგრესის დაწყების რამდენიმე დღით ადრე, კონსტანტინოპოლში ხელი მოაწერეს ინგლის-თურქეთის საიდუმლო „საკავშირო თავდაცვის ხელშეკრულებას“ ინგლისის მიერ სულთანის ტერიტორიების იარაღით-დაცვის შესახებ. ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ მისი საიმპერატორო უდიდებულესობა სულთანი იმ მიზნით, რათა მიეცეს ინგლისს შესაძლებლობა შეასრულოს აღებული ვალდებულებანი, თანხმდება გადასცეს

ინგლისს კუნძული კვიპროსი ოკუპაციისა და ადმინისტრირებისათვის\*.

კვიპროსის ხელში ჩაგდება ინგლისის დიდი ხნის ოცნებას წარმოადგენდა. ბიკონსფილდმა ადრევე დასახა სათანადო ვეგმა. ჯერ კიდევ 1847 წელს თავის ნაწარმოებში „ტანკრედი“<sup>26</sup> ის წერდა: „ინგლისელებს სჭირდებათ კვიპროსი და ისინი მას დაიკავებენ კომპენსაციის სახით. ისინი ამიერიდან არ გააკეთებენ თურქეთის საქმეებს უსასყიდლოდ“. პრემიერ-მინისტრმა ბიკონსფილდმა როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ თავს იღო განეხორციელებინა ის აზრი, რომელიც თვითონ გამოთქვა როგორც მწერალმა.

კუნძულ კვიპროსის ინგლისის მფლობელობაში გადასვლის ისტორია დამახასიათებელია მე-19 საუკუნის თურქეთისათვის, ვინაიდან მას უკვე აღარ შესწევს ძალა არა თუ დამოუკიდებლად გაუმკლავდეს ევროპის სახელმწიფოებს, არამედ იყოს მათი სრულუფლებიანი მოკავშირე მაინც. ამიტომ თურქეთი ცდილობს გამოიყენოს დიდ სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობანი აღმოსავლეთის საკითხში და ამით შეინარჩუნოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა.

მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში თურქეთში გავლენის მოპოვებისათვის აქტიურ ბრძოლას იწყებს გერმანიაც. გერმანია-თურქეთის კავშირის იდეა დაიბადა და რეალური პოლიტიკური ფორმები მიიღო ჯერ კიდევ ფრიდრიხ II ეპოქაში, როდესაც პრუსია ავსტრიასა და რუსეთს დაუპირისპირდა. ფრიდრიხ II ავსტრიისა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ცდილობს დაეყრდნოს თურქეთის სულთანსა და ყირიმის ხანს. პრუსიის დიპლომატია სტამბოლში საკმაოდ გააქტიურდა და სათანადო შედეგსაც მიიღწია. პრუსიისა და ინგლისის დაპირებებით დაიმედებული თურქეთი 1787 წელს ომში ჩაება რუსეთის წინააღმდეგ.

შემდგომმა მოვლენებმა გამორიცხეს პრუსიისა და თურქეთის კავშირის ყოველგვარი შესაძლებლობა (პრუსიის პოლიტიკა პოლონეთის მიმართ, პრუსიის, ავსტრიისა და რუსეთის ურთიერთდამოკიდებულება საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში, საღვთო კავშირი და სხვ.). მხოლოდ 1871 წლიდან, საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ, იწყება გერმანიის გავლენის ზრდა თურქეთში. მარამ 1890 წლამდე, გერმანიის საგარეო პოლიტიკის ე. წ. „კონტინენტურ პერიოდში“, როდესაც ბისმარკის მთავარი საზრუნავი საგანი

<sup>26</sup> G. Noradounghian, Becueil d'actes internationaux de l'Empire Ottoman, V. III, Paris, 522—523.

<sup>27</sup> Tankred, or the new Crusade, არის რუსული თარგმანი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში „Нелезя“ 1878, № 8—10.

ევროპაში არსებული მდგომარეობის შენარჩუნება იყო, თურქეთის საკითხი გერმანიისათვის საბოლოოდ მომწიფებულად არ ჩანდა. მის წინაშე იმ დროისათვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რუსეთთან საფრანგეთთან და ინგლისთან ურთიერთობის პრობლემები იდგა. აქედან გამომდინარეობდა გერმანიის პოლიტიკა თურქეთისა და ბალკანეთის მიმართ.

ბისმარკი, რომელიც ცდილობდა გამოეყენებინა ყოველი შესაძლებლობა, რათა გაემწვაგებინა ურთიერთობა ევროპის სახელმწიფოთა შორის და ამით თავი დაედგინა „კოალიციის კოშმარიდან“, ბუნებრივია ხელს ჩასჭიდებდა აღმოსავლეთის საკითხს. გერმანიის კანცლერი მართლაც ასე მოიქცა. თუმცა მას კარგად ესმოდა, რომ გერმანიის ექსპანსია ბალკანეთსა და თურქეთში დროის საქმე იყო, ის საქვეყნოდ აცხადებდა, რომ „ბალკანეთის მთელი პრობლემა გერმანიისა არ უღირს ერთი პომერანიელი გრენადერის ძვლებადაც კი“. ეს სიტყვები ნათქვამი იყო რუსეთის გასაგონად. აშკარად რუსეთის გასათამამებლად და გულის მოსაგებად წამოისროლა ბისმარკმა 1887 წლის 12 ივნისს ბულგარეთის შესახებ რეიხსტაგში ფრაზა, რომ „გერმანია აღმოსავლეთის საკითხის გამო არასდროს არ ჩაებმება ომში რუსეთის წინააღმდეგ“. ამ აზრმა თავისი გამოხატულება პპოგ. 1887 წლის გერმანია-რუსეთის ხელშეკრულების დამატებით სრულიად საიდუმლო ოქმში, სადაც ნათქვამი იყო: „იმ შემთხვევაში, თუ მისი უდიდებულესობა რუსეთის იმპერატორი საჭიროდ ჩათვლია რუსეთის ინტერესების დაცვის მიზნით აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა შავ ზღვაში შესასვლელის დაცვისათვის, გერმანია ვალდებულებას კისრულობს მხარი დაუჭიროს კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტითა და დიპლომატიური საშუალებებით იმ ზომებს, რომელთა მიღებასაც საჭიროდ ჩათვლის მისი უდიდებულესობა, რათა შეინარჩუნოს თავისი იმპერიის გასაღები“<sup>28</sup>.

გერმანია ოსმალეთის იმპერიას უშუალოდ არ ესაზღვრებოდა და იმ წლებში არც ჰქონდა რაიმე ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ. ამიტომ ბისმარკი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გერმანია აღმოსავლეთის საკითხით უშუალოდ დაინტერესებული არ არის. „რკინის კანცლერმა“ ამავე დროს მისცა ძირითადი მიმართულება გერმანიის შემდგომ პოლიტიკურ კურსს აღმოსავლეთის საკითხში. 1890-იანი წლებიდან, უკვე ბისმარკის გადადგომის შემდეგ,

<sup>28</sup> ტექსტი გამოქვეყნებულია „Norddeutsche Allgemeine Zeitung“, 12 sept, 1919, № 443, ციტირებულია წიგნიდან: Moukhtar Pacha, La Turquie, l'Allemagne et l'Europe depuis le traité de Berlin jusqu'à la guerre mondiale, Paris, 1924, 19.

როდესაც დაიწყო გერმანიის საგარეო პოლიტიკის ე. წ. „კოლონიურ-  
რი პერიოდი“, გერმანია საგრძნობლად გააქტიურდა აღმოსავლეთში<sup>39</sup>  
და კერძოდ თურქეთში. გერმანული „შეტევა აღმოსავლეთში“<sup>40</sup>  
ჰელმ II დროს იღებს ახალ მიმართულებას. ახლა ის  
სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადაიხარა და ბალკანეთისა და თურ-  
ქეთისაკენ წარიმართა. ახალი საგარეო პოლიტიკური კურსის გატა-  
რების პირველ ხანებში გერმანია კარგად ხედვს, რომ თურქეთის  
ტერიტორიული დანაწილების შემთხვევაში მას არაფერი ერგება.  
ამას თან ერთვის გერმანიის ეკონომიური პოზიციების სისუსტე თურ-  
ქეთში, რის გამოც გერმანია იმ ხანებში გამოდის თურქეთის ყოველ-  
გვარი დანაწილების წინააღმდეგ.

თუ საგარეო პოლიტიკის „კონტინენტურ პერიოდში“ გერმანია  
აცხადებდა, რომ ის საერთოდ არ არის დაინტერესებული აღმოსავ-  
ლეთის საკითხით და ამდენად თურქეთითაც და გულგრილია მისი  
ტერიტორიების ბედის მიმართაც „კოლონიურ პერიოდში“ უკვე  
აცხადებს, რომ ის არ არის დაინტერესებული თურქეთის ხარჯზე  
ტერიტორიების შექმნით, მაგრამ ამდენადვე დაინტერესებულია, რომ  
თურქეთი არ იქნეს დანაწილებული დიდ სახელმწიფოთა მიერ. ამა-  
ვე დროს გერმანია ენერგიულად იბრძვის თავისი ეკონომიური პო-  
ზიციების განმტკიცებისათვის თურქეთში.

გულგრილობის ნიღაბი ხელსაყრელი აღმოჩნდა გერმანიისათვის.  
შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ გერმანიას „არ ჰქონდა ტერიტორიუ-  
ლი პრეტენზიები ლევანტში, რომ მას იქ არ ჰქონდა დიდი ეკონო-  
მიური ინტერესები და, ამრიგად, არ ჰქონდა პრეტენზია, რომ ამა თუ  
იმ სახით გაეწია კონტროლი იმპერიის მთავრობისათვის. ეს კი ქმნი-  
და კიდევ უფრო მეტ მიზეზებს, რომ გერმანია მოსწონებოდა აბ-  
დულჰამიდს<sup>41</sup>, რომელსაც სურდა ყოფილიყო პატრონი თავის საკუ-  
თარ სახლში“<sup>42</sup>.

აქეთკენ მიისწრაფოდა ბისმარკიც. ბერლინის კონგრესზე ბის-  
მარკმა აშკარად შეუქმნა შთაბეჭდილება თურქებს, კერძოდ სულთან  
აბდულჰამიდსა და მის ვეზირს საიდ ფაშას, რომ იგი იცავდა თურ-  
ქეთის ინტერესებს. სწორედ ამიტომ აბდულჰამიდი მუდამ აღნიშ-  
ნავდა იმ „დიდ სამსახურს, რომელიც ბერლინის კონგრესის დროს  
ბისმარკმა თურქებს გაუწია“. ამან წარმოშვა თურქეთში გარკვეუ-  
ლი აზრი, რომ მისთვის დიდ სახელმწიფოთა შორის ყველაზე ნა-  
ლებად საშიში იყო გერმანია და ავსტრია-უნგრეთი, ხოლო ყველაზე  
მეტად საშიში — ინგლისი და რუსეთი“<sup>43</sup>.

<sup>39</sup> აბდულჰამიდი (1842—1918) თურქეთის სულთანი 1876—1909 წწ.

<sup>40</sup> Maurice Pernot, La question turque, Paris, 1923, 223.

<sup>41</sup> Moukhtar Pacha, დაახ. ნაშრომი, 257.

ასეთ შთაბეჭდილებას აძლიერებდა კიდევ ერთი გარემოება: ინგლისი და საფრანგეთი ოსმალეთის იმპერიის მიმართ აწარმოებდნენ ე. წ. „ქრისტიანულ პოლიტიკას“. ეს პოლიტიკა მდგომარეობდა იმაში, რომ ორივე ზემოხსენებული სახელმწიფო თავის თავს აცხადებდა თურქეთში ქრისტიანთა დამცველად. პრაქტიკულად „ქრისტიანული პოლიტიკა“ ნიშნავდა, ერთი მხრივ, მფარველობის გაწევას ამ სახელმწიფოთა უშუალო კონტრაგენტის კომპარადორული ბურჟუაზიისათვის, რომელიც ძირითადად ქრისტიანული ელემენტისაგან შედგებოდა (სომხები, ბერძნები), ხოლო, მეორე მხრივ, ქრისტიანთა დაცვის საჭიროების მომიზეზებით მუდმივი საბაზის შექმნას ოსმალეთის იმპერიის შინაგან საქმეებში ჩასარევეად, რასაც ისინი სათანადოდ იყენებდნენ კიდევ ყოველ საჭირო შემთხვევაში. ამავე დროს ევროპის სახელმწიფოები ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანთა მდგომარეობის საკითხს შინაგანი მოხმარებისათვისაც იყენებდნენ. ასე, მაგალითად, ყოველთვის, როდესაც მათ სურდათ გაემართლებინათ თურქეთის საშინაო საქმეებში ჩარევა, თავისი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის დამუშავების მიზნით პრესას ავალებდნენ დაეწყო ლაპარაკი „თურქეთის საშინელებათა“ შესახებ.

ძირითადად ასეთსავე პოლიტიკას ატარებდა რუსეთიც, როცა იგი თავს აცხადებდა აღმოსავლეთის მართლმადიდებლური და სომხური ეკლესიის დამცველად.

ამრიგად, ქრისტიანთა დევნა, რომელიც ოსმალეთის იმპერიაში აწარმოებდა, მუდმივ საბაზს უქმნიდა ინგლისს ჩარეულიყო ოსმალეთის საშინაო საქმეებში, და ეს კი უადვილებდა მას მოემზადებინათ თურქეთის ტერიტორიული დანაწილება ისე, რომ არ გამოემყდებინათ თავისი ნამდვილი მიზნები. ინგლისის დიპლომატია გამუდმებით ცდილობდა უკიდურესობამდე გაემწვავებინათ ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიან და მუსლიმან მოსახლეობას შორის ურთიერთობა და მიეყვანა ისინი შეიარაღებულ შეტაკებამდე. ეს იყო ინგლისის ტრადიციული და ნაცადი პოლიტიკა.

„ქრისტიანულ პოლიტიკას“ მხოლოდ სახელი ჰქონდა „ქრისტიანული“. სინამდვილეში ინგლისს არ აინტერესებდა არც ქრისტიანი და არც მუსლიმანი. იგი „იცავს“ ქრისტიანებს მუსლიმანთაგან, არათურქებს თურქთაგან. იწვევს საამისოდ საერთაშორისო კონფერენციებს, ქმნის ბლოკებს, აგზავნის სამხედრო შენაერთებს, ადგილზე კი აქეზებს ორივე მხარეს და ორივეს უწევს დახმარებას, რათა კიდევ უფრო გაამწვავეს ბრძოლა. ასე, მაგალითად, 1919 წელს, როდესაც ინგლისი ინტერვენციას აწარმოებდა თურქეთში, ის თურქეთის წინააღმდეგ აქეზებდა საბერძნეთს და პირდებოდა მას ხმელთაშუაზღვისპირა და შავიზღვისპირა ტერიტორიებს. კერძოდ განზრახული

იყო ტრაპიზონის რაიონში ბერძნული „პონტოს სახელმწიფოს“ შექმნა, ანუ ტრაპიზონის იმპერიის აღდგენა, რომლის მთელი წარსული დიდი ხნით ადრე ევროპის ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფებმა ბერძენთა შემოქმედების ნაყოფად გამოაცხადა. ამავე დროს პონტოს სახელმწიფოს მომავალ დედაქალაქში—ტრაპიზონში ანტანტის მიერ ოკუპირებული კონსტანტინოპოლიდან დანიშნული ინგლისის წარმომადგენელი, ინგლისის ხელისუფალთა მიერ მიცემული მითითებების თანახმად, ატარებს აშკარად თურქოფილურ და ანტიბერძნულ პოლიტიკას. მისი მოქმედება მიდის იქამდე, რომ ბერძნებს უკრძალავს ქალაქში შემოსვლას და საკუთარი ხელით ხევს ბერძნულ პასპორტებს. ინგლისის მთავრობა კი აცხადებს, რომ ის მთლიანად ეთანხმება თბილისში წარმოებულ საბერძნეთ-სომხეთის მოლაპარაკების საიდუმლო გადაწყვეტილებებს, რის შესახებაც მას აცნობა საბერძნეთის მთავრობამ. ამ გადაწყვეტილებათა თანახმად ტრაპიზონი უნდა ჩამორთმეოდა თურქეთს და შესულიყო პონტო-სომხეთის კონფედერაციაში<sup>42</sup>.

უფრო შორს წავიდა ქ. იზმიდის კომენდანტი ინგლისელი გენერალი ტრომსაიდი. მან განაიარაღა როგორც თურქების, ისე ბერძნების სამოქალაქო მოსახლეობა, რამდენადაც მათ შორის აღგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებებს და მეორე დღესვე საიდუმლოდ დაუბრუნა იარაღი თურქებს ბერძენთა ქლეტის მოსაწყობად.

რამდენადაც ქრისტიანული ელემენტი თურქეთში წარმოადგენს ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის პოლიტიკის დასაყრდენს, იმდენად გერმანია ეძებს ახალ ელემენტს, რომელიც ისევე დაუპირისპირდებოდა ქრისტიანულ ელემენტს, როგორც თვით გერმანიის პოლიტიკა უპირისპირდებოდა ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის პოლიტიკას. ამის გამო გერმანიის გარკვეულ წრეებში შემუშავდა აზრი, რომ გერმანიამ თავის მოწინააღმდეგეთა ქრისტიანულ პოლიტიკას უნდა დაუპირისპიროს მუსლიმანური პოლიტიკა. ამ თვალსაზრისის გამომხატველი იყო ფრიდრიხ ნაუმანი<sup>43</sup>, ის აცხადებდა, რომ ქრისტიანთა დაცვის პოლიტიკას აწარმოებენ სახელმწიფოები, რომლებმაც დაასწრეს გერმანიას აღმოსავლეთში გაბატონება. ამიტომ გერმანია იძულებულია მოძებნოს სხვა დასაყრდენი. „ვართ რა ქრისტიანები, ჩვენ ყოველგვარ

<sup>42</sup> Berthe Georges—Gaulis, *Angora, Constantinople, Londres, Mustafa Kemal et la politique anglaise en Orient*, Paris. 1922, p. 67.

<sup>43</sup> ფრიდრიხ ნაუმანი (1860—1919) — მღვდელი, გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, იმპერიალიზმის იდეოლოგი. გერმანიის იმპერიალიზმს ნაუმანი ერთგვარი „დემოკრატიზმით“ აფერადებდა („დემოკრატიული იმპერატორი“ და სხვ.). ეწეოდა გერმანიის მეთაურობით ცენტრალური ევროპის გაერთიანების პროპაგანდას.

წარმატებას ვუსურვებთ ჩვენ რწმენას, რომელიც ჩვენ დროშას წი-  
მოადგენს. მაგრამ ჩვენი პოლიტიკა არ ისახავს მიზნად შეასრულოს  
ქრისტიანული მისია..... გერმანიამ უნდა დაკარგოს ინტერესი ქრისტი-  
ანთა ქლეტისადმი აღმოსავლეთში“ — აცხადებდა ნაუშმანი“. ამ  
პრინციპებმა თავისი გამოხატულება პოვა გერმანიის აღმოსავლურ  
პოლიტიკაში. ვილჰელმ II საქვეყნოდ აცხადებს თავის თავს და გერ-  
მანიას მთელი მსოფლიოს მუსლიმანების დამცველად.

შას შემდეგ, რაც გერმანია ამ პოლიტიკურ კურსს დაადგა, მან გა-  
ილაშქრა ბალკანეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მო-  
ძრაობის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა ოსმალ დამპყრობლებს.  
გერმანელი გენერალი ფონ დერ გოლცი (გოლც ფაშა), რომელმაც  
თითქმის მთელი თავისი სამხედრო კარიერა თურქეთის არმიის რეო-  
რგანიზაციასა და ომისათვის მზადებას მოახმარა, 1896 წლის დასაწყ-  
ისში სულთანისაგან მოითხოვს სამხედრო ზომების მიღებას მაკე-  
დონელთა წინააღმდეგ და მეტიც, გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა  
იმავე წლის იანვრის დასაწყისში გააფრთხილეს სულთანის მთავრობა  
მაკედონელთა კომიტეტების მოსალოდნელი გააქტიურების შესახებ  
და ურჩიეს ამ კომიტეტების მიმართ „მტკიცე ზომების“ მიღება“. ისეთივე  
უარყოფითი პოზიცია ეკავა გერმანიას კუნძულ კრეტას  
ბერძენ აჯანყებულთა მიმართ და მხარს უჭერდა სულთანს სომხების  
დარბევაში.

გერმანიის პოზიციაში ბალკანეთის მიმართ დიდი როლი შეასრუ-  
ლა ავსტრია-უნგრეთის იმპერიამ, ვინაიდან თურქთა წინააღმდეგ  
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება ბალკა-  
ნეთის ხალხთა შორის აუცილებლად გამოიწვევდა მრავალეროვან  
ავსტრია-უნგრეთის იმპერიის კრიზისს. მეორე მხრივ ეროვნულ-გან-  
მათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება ოსმალეთის იმპერიაში  
დააჩქარებდა ოსმალეთიდან განაპირა ტერიტორიების ჩამოცილებას,  
რომელთა ხელში ჩასაგდებად იმ ხანებში გერმანია ჯერ კიდევ არ  
იყო მზად. „მუსლიმანური პოლიტიკის“ გატარებისას გერმანია კარ-  
გად ხედავდა, რომ ეს პოლიტიკა საჭიროების შემთხვევაში შეიძლე-  
ბოდა ყოფილიყო ისეთივე უნივერსალური და პრაქტიკული, რო-  
გორიც იყო ინგლისის „ქრისტიანული პოლიტიკა“, ე. ი. გერმანული  
„მუსლიმანური პოლიტიკა“ საქმით ისევე არ გამოირჩევა ვადა გერმა-  
ნულ „ქრისტიანულ პოლიტიკას“, როგორც ინგლისური „ქრისტიან-  
ული პოლიტიკა“ ინგლისურ „მუსლიმანურ პოლიტიკას“.

“ Frédéric Naumann, Asia, 148. ციტირებულია წიგნით Maurice Per-  
not, დასახ. ნაშრომი, 102.

“ А. С. Ерусалимский, Внешняя политика и дипломатия германского  
империализма в конце XIX века, М—Л, 1948, 317.

„მსოფლიოს“ გადანაწილებისათვის მზადების პროცესში გერმანია უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევს თურქეთს, როგორც მეტად ხელსაყრელ პლაცდარმს მსოფლიო ბატონობისათვის. გერმანიის მმართველ წრეებში თურქეთზე დაყრდნობით მახლობელი და შორეული აღმოსავლეთისათვის მწიფდება ბრძოლის აუცილებლობა. ეს უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთით საერთო შეტევის ნაწილი. ამდენად იგი სამხრეთიდან რუსეთის წინააღმდეგ შეტევა-საც გულისხმობდა. გერმანიაში შემდეგნაირად მსჯელობდნენ: „თავისი საუკუნეობრივი მისიის ერთგულმა გერმანიამ უნდა უკუაგდოს სლავები კავკასიიდან ისევე, როგორც მან უკუაგდო ისინი 800 წლის წინ ელზის გაღმა მხრისაკენ“. ამისათვის „თურქეთი უნდა ეკუთვნოდეს გერმანიას ისევე; როგორც ეგვიპტე ეკუთვნის ინგლისს“<sup>46</sup>. თურქეთი რომ გერმანიის მტკიცე დასაყრდენი გახდეს, „თურქეთს გერმანული ადმინისტრაცია ესაჭიროება. გერმანელები ერთდროულად გაატარებენ სამმაგ რეფორმას — სამხედროს, ფინანსურს და აგრარულს, გაგზავნიან თურქეთში პრუსიულ ადმინისტრაციას“, გერმანელებმა „უნდა გავუყვლით გზა (თურქეთში — ო. გ.) ერთგვარ მეგობრულ დიქტატურას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეძლებს უთხრას (თურქებს — ო. გ.) — ჩიტო, ჭამე ან მოკვდი“<sup>47</sup>.

ეს მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ თურქეთის საშუალებით გერმანელები მთელი აღმოსავლეთის ქვეყნების ხელში ჩაგდებას იმედოვნებდნენ. პოლ რორბახი<sup>48</sup> წერდა: „თურქები ჩვენგან შეიძენენ გამოცდილებას, რომლისაგანაც შემდგომში დამოკიდებული იქნება ჩვენი პრესტიჟი და ჩვენი წარმატებანი აღმოსავლეთის სხვა ხალხთა: სპარსელთა, ავღანელთა, მუსლიმან ინდოელთა, არაბთა და ეგვიპტელთა შორისაც კი“<sup>49</sup>. ამასთან ერთად გერმანელები აცხადებდნენ, რომ ომში გამარჯვების შემთხვევაში გერმანიას დაეკისრება აღმოსავლეთის ქვეყნების, ისევე როგორც აფრიკის ტერიტორიების, პოლიტიკური და ინტელექტუალური ტრანსფორმაციის პასუხისმგებლობა.

<sup>46</sup> Amicus Patris, Armenien und kreta, 1899, 14.

<sup>47</sup> Frederic Naumann, Asia, გვ. 162, 164, ციტირებულია წიგნიდან Mauris Pernot, დასახ. ნაშრომი, 227.

<sup>48</sup> პოლ რორბახი—გერმანიის იმპერიალიზმის იდეოლოგი. განსაკუთრებით დაინტერესდა აღმოსავლეთის ქვეყნებით და ეწეოდა გერმანიის მიერ აღმოსავლეთის დაპყრობის პროპაგანდას. ბევრს მოგზაურობდა აღმოსავლეთში, იყო საქართველოში, სადაც მოიარა სვანეთი და მესხეთი.

<sup>49</sup> P. Rohrbach, Unsere Koloniale Zukunftarbeit, 62.

ამრიგად, ოსმალეთის იმპერია და იქ გაბატონებული თურქთა  
ერი, რომელიც ამავე დროს გაბატონებულ ძალას წარმოადგენდა ის-  
ლამის სამყაროში, განდებოდა აღმოსავლეთში გერმანიის იმპერიის  
ზმის დასაყრდენი. ამისათვის გერმანიას უნდა ებოვნა ოსმალეთის  
იმპერიაში ისეთი ძალები, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებოდნენ  
და ხელს შეუწყობდნენ თურქეთის უსაზღვრო განვრცობას აღმოსავ-  
ლეთისაკენ და მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში გაადიდებდ-  
ნენ გერმანიის ადამიანთა რესურსებს, ნედლეულის მარაგს და  
სტრატეგიულ ბაზებს. რამდენადაც ამ მომავალი უნაპირო თურქე-  
თის იმპერიის ვული და მამოძრავებელი ძალა—ოსმალეთის იმპერია  
თვით ხდებოდა გერმანული ადმინისტრაციის მოქმედების ასპარე-  
ზად, აღმოსავლეთისაკენ გადაჭიმული მთელი ეს უსაზღვრო სივრცე-  
ებიც გერმანიის „პოლიტიკური და ინტელექტუალური ტრანსფორმა-  
ციის ობიექტად“ გადაიქცეოდნენ. ამ ძალებისათვის საჭირო იყო აგ-  
რეთვე განსაზღვრული პოლიტიკური კონცეფციის შექმნა. ასეთი  
პოლიტიკური კონცეფცია შეიქმნა თურქეთში ჯერ ისლამიზმის, ხო-  
ლო შემდეგ მისი შემცვლელი თურქიზმის სახით, რომელიც სინამდ-  
ვილეში ოსმალეთისა და ოსმალთა მიმართ ექსპონირებულ რასიულ  
თეორიას წარმოადგენდა. თურქიზმის შექმნაში დიდი და შეიძლება  
ითქვას გადაწყვეტი რილი გერმანელებმა შეასრულეს.

ოსმალეთის იმპერიის დასუსტებამ და ტერიტორიულმა შემცი-  
რებამ საკმაოდ ძლიერი რეაქცია გამოიწვია თურქეთის მმართველ  
ფეოდალურ-კლერიკალურ წრეებში. ამ რეაქციას ისლამიზმის შექ-  
მნა წარმოადგენდა. ეს მეტად აგრესიული და რეაქციული მიმდინა-  
რეობა წარმოიშვა მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, მას შემ-  
დეგ, რაც თურქეთმა ყირიმი დაკარგა. ოსმალეთის ტერიტორიული  
შემცირება დაიწყო ბევრად უფრო ადრე, ვიდრე საქმე ეხებოდა  
ქრისტიანებით დასახლებულ ტერიტორიებს, ყირიმი კი თურქეთის  
მიერ დაკარგული პირველი მუსლიმანური ქვეყანა იყო.

1774 წლის ქუჩუქ კაინარჯის ზავი წარმოადგენდა რუსეთის მიერ  
მაალობელ აღმოსავლეთისაკენ გადადგმულ გივანტურ ნაბიჯს, რო-  
მელსაც უნდა გადაეწყვიტა რუსეთის ბატონობის საკითხი შავ ზღვა-  
ზე და კავკასიაში. ამავე დროს ყირიმის დაკარგვის შედეგად სუსტ-  
დებოდა თურქეთის ფრონტი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, ინგ-  
ლისსა და საფრანგეთს კი საიმედო მოკავშირე აკლდებოდათ.

ქუჩუქ კაინარჯის ზავის დადების შემდეგ თურქეთი კიდევ კარგა  
ხანს ცდილობდა, რომ როგორმე ყირიმი უკანვე დაებრუნებინა. თა-  
ვის მოთხოვნას თურქები ასაბუთებდნენ იმით, რომ თურქეთის სულ-  
თანს ამავე დროს ხალიფაც იყო და ამიტომ ყირიმი, როგორც მუს-  
ლიმანებით დასახლებული ტერიტორია, ხალიფას გამგებლობაში უნ-

და დარჩენილიყო. ეს მოსაზრება მალე „ოსმალური სახალიფოს“ თეორიად იქცა, რომლის თანახმად ოსმალეთის სულთან-ხალიფას მთელი მსოფლიოს მუსლიმანები უნდა დამორჩილებოდნენ.

„ოსმალური სახალიფოს“ თეორია, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იყო რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ, რამდენადაც გამოხატავდა თურქეთის რევანშისტულ მისწრაფებას რუსეთის მიმართ და აცხადებდა პრეტენზიას გაეწია მფარველობა მსოფლიოს ყველა მუსლიმანისათვის (რომელთა დიდი რაოდენობა ინგლისისადმი დამორჩილებულ ტერიტორიებზე ცხოვრობდა) ისევე, როგორც ევროპა უწყვედა მფარველობას თურქეთის ქრისტიანებს.

ეს თეორია დიდ პოპულარობას იხვეჭს თურქეთის მმართველ წრეებში, რომლებიც ამიერიდან ცდილობენ არა მარტო აღადგინონ სულთნის ძალაუფლება დაკარგულ მუსლიმანურ ტერიტორიებზე, არამედ ხელში ჩაიგდონ მთელი ის მიწა-წყალი, სადაც კი მუსლიმანები მოსახლეობენ, განურჩევლად იმისა, თუ სად მდებარეობენ ეს ტერიტორიები.

თანდათანობით „ოსმალური სახალიფოს“ თეორია გარდაიქმნა ოსმალური ყაიდის ისლამიზმად, რომელიც მოითხოვდა მსოფლიოს ყველა მუსლიმანის თურქეთის სულთან-ხალიფას მეთაურობით ერთი სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანებას. ამრიგად, ისლამიზმის თანახმად, ყველა მუსლიმანი, რომლებიც ემორჩილებიან თურქეთის სულთანს როგორც ხალიფას, უნდა დაემორჩილონ მას აგრეთვე როგორც სულთანს, ე. ი. ხალიფასა და სულთნის ძალაუფლების გავრცელების ტერიტორიული საზღვრები ერთმანეთს უნდა დაემთხვას. ის, რომ „ოსმალური სახალიფოს“ თეორია მიმართული იყო არა მარტო რუსეთის, არამედ ინგლისის წინააღმდეგაც, ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ ის შეიქმნა საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობათა გამწვავების პერიოდში და მის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ვინმე მურაჯა დ'ოსონმა, საფრანგეთის ქვეშევრდომმა, წარმოშობით სომეხმა და შვეციის სამსახურის დიპლომატმა.

ამრიგად, ოსმალური ისლამიზმი გულისხმობდა მთელი მუსლიმანური სამყაროს ოსმალეთის იმპერიისადმი დამორჩილებას. ამ პრეტენზიის დასასაბუთებლად ყოველთვის მოჰყავდათ მურაჯა დ'ოსონის მიერ გავრცელებული ლეგენდა, რომ თითქოს სულთან სელიმ I იაფუზს<sup>50</sup> ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ უკანასკნელმა ხალიფამ აბასელთა გვარიდან ნებაყოფლობით გადასცა ხალიფას ტიტული, რის გამოც თურქეთის სულთანი ამ ტიტულის კანონიერი მემკვიდრე გახ-

<sup>50</sup> სულთანი სელიმ I იაფუზად (მრისხანედ) წოდებული მეფობდა 1512 — 1520 წლებში. ეგვიპტე დაიპყრო 1517 წელს.

და. თურქული ისტორიოგრაფია ამ ვერსიას შემდგომში ერთგვარად დასცილდა და ამჟამად მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ „ეგვიპტის დაპყრობის შედეგად სულთან სელიმ I იავუზმა ხალიფას ტიტულუმ ხელში ჩაიგდო ჰიჯაზის იმ ნაწილთან ერთად, რომელიც ეგვიპტის ეკუთვნოდა“<sup>51</sup>. სამაგიეროდ, ისლამის სამყაროში თურქეთისა და თურქების პრიორიტეტის დასასაბუთებლად თანამედროვე თურქმა ისტორიკოსებმა საკითხი შემდეგნაირად დააყენეს: „ძლიერება არაბებისა, რომლებმაც ისლამი გაავრცელეს, თითქმის მთლიანად მოიხსნა. მაგრამ მათე საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით მდგომარეობა შეიცვალა, ისლამის ხელმძღვანელობა სხვა ერმა აიღო ხელში. ამ ერის შეოხებით ისლამის სამყარომ კვლავ შეიძინა ძალა, რათა კვლავ გაფართოებულიყო, კვლავ გავრცელებულიყო ახალ ტერიტორიებზე და დაეპყრო ქვეყნები, რომლებიც მანამდე არ იყო მუსლიმანური. ეს იყო თურქთა ერი“<sup>52</sup>. მე-19 საუკუნის ოსმალეთში უკვე დაიწყეს წერა ისლამის წინაშე თურქების დამსახურების შესახებ და ამით ამტკიცებდნენ, რომ მუსლიმანთა გაერთიანებული სახელმწიფო თურქების მეთაურობითა და ხელმძღვანელობით უნდა შექმნილიყო. ეს შლიდა ზღვარს ისლამიზმის ოსმალურ ვარიანტსა და თურქიზმს შორის. ორივე ეს მიმდინარეობა ერთი და იმავე შინაარსის შემცველი ხდებოდა, რაც კარგად გამოხატა მწერალმა აჰმედ ჰიქმეთმა<sup>53</sup>. მისი ერთ-ერთი ლიტერატურული ნაწარმოების გმირი ოსმან ჩაეუშ სულთანი ამბობს: „მუსლიმანურ ერთა შორის არ არსებობს სხვა ენერგიული ერი თურქებს გარდა. თურქები წარმოადგენენ რელიგიის დასაყრდენს, ისლამის დამცველებს“.

ისლამის სამყაროში, რომლის ხელმძღვანელობასაც თურქეთის სულთანი ჩემულობდა, ყველანი როდი თვლიდნენ სინამდვილედ მურაჯა დ'ოსონის მიერ შეთხზულ ლეგენდას. გარკვეული მუსლიმანუ-

<sup>51</sup> Jbrahim Alaettin Gövsa, დასახ. ნაშრომი, 349.

<sup>52</sup> Süha Sakıb Faner, Mahmud Gaznevi'nin bilunan sarayı, გახ. „Cumhuriyet“ 21 nisan, 1950.

<sup>53</sup> აჰმედ ჰიქმეთ მუფთუოღლუ (1870—1927) ცნობილი მწერალია, თურქიზმის მიმდევარი. ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისში თანამშრომლობდა ვაზეთ „იქლამში“ და ჟურნალ „სერვეტ-ი ფიუნუნში“. დიდხანს იმყოფებოდა დიპლომატიურ სამსახურში, უმთავრესად მუშაობდა საკონსულოებში. მე-19 საუკუნის დასასრულს (1895 წ.) იყო თურქეთის კონსული ფოთში. მისი სიტყვით, ფოთში ყოფნის დროს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა თურქული ლიტერატურისათვის დაისახოს ეროვნული მიზანი.

კითხულობდა ლიტერატურის კურსს ვალათასარაის (სტამბოლი) ლიცეუმში და ვერობის ლიტერატურის ისტორიის კურსს სტამბოლის უნივერსიტეტში.

რი წრეები, განსაკუთრებით არაბულ ქვეყნებში, სადაც ძლიერი იყო სეპარატისტული მიდრეკილება, თურქეთის სულთანი ხალიფას ტიტულის უზუტუბატორად მიიჩნდათ და ხალიფობის არაბებისთვის დაბრუნება სურდათ.

არაბთა შორის არსებული ამგვარი ტენდენციებისათვის ხელის შეწყობა და არაბული ქვეყნების ხელში ჩასაგდებად მათი გამოყენება მე-19 და მე-20 საუკუნეებში და განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ინგლისის პოლიტიკის საზრუნავი გახდა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში არაბულ ქვეყნებში ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურას იბნ საუდთან ერთად წარმოადგენდა მექის შერიფი ჰუსეინი, რომელიც არაბული სახალიფოს შექმნის იდეით იყო შეპყრობილი და თვით ჰქონდა ხალიფობის პრეტენზიები<sup>54</sup>. მაგრამ ჰუსეინი, მიუხედავად იმისა, რომ მექას მართავდა, ფაქტურად იყო მხოლოდ ჰაშიმელთა ოჯახის და არა საერთოდ არაბების წარმომადგენელი, ამიტომ „მთელი არაბთა ერის წარმომადგენლის“ ტიტული, რომელიც მან მიითვისა, მოკლებული იყო რეალურ აზრს. ინგლისელებს კარგად ესმოდათ, თუ რაში მდგომარეობდა ჰუსეინის სისუსტე, და შეძლეს კიდევ მისი მისწრაფება — ხელთ ეგდო ორი გვირგვინი: ყველა არაბთა მეფისა და ხალიფისა — გამოეყენებინათ არაბული სახალიფოს იდეის საკუთარ სიმსახურში ჩასაყენებლად.

ასე დაუპირისპირდა ერთმანეთს ოსმალური და არაბული სახალიფოს იდეები. პირველი გერმანიის ანტირუსულ და ანტიბრიტანულ მისწრაფებებს გამოხატავდა, მეორე კი აღმოსავლეთში ინგლისის ინტერესებს ემსახურებოდა. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში გარკვევით აღნიშნავდნენ, რომ „მსოფლიო ომის დროს იმპერატორ-ხალიფას ქვეყანასთან კავშირი პანგერმანელთა პრეტენზიებს უხსნიდა მსოფლიო ბატონობის პორიზონტს. დედამიწის ზურგზე გაფანტულ ასობით მილიონი მუსლიმანის მორალურ და მატერიალურ დახმარებას, თუკი ეს განხორციელდებოდა, გერმანიის სამხედრო და პოლიტიკურ ბალანსში შეიძლება მნიშვნელოვანი წონა ჰქონოდა“<sup>55</sup>.

ჩერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე თურქეთის მმართველი წრეები სრულიად გარკვეულად უსვამდნენ ხაზს ოსმალური ისლამიზმის ანტიინგლისურ არსს იმ მიზნით, რათა ვაეზარდათ თავისი მნიშვნელობა გერმანიის თვალში. „ინგლისის ყველა მტერმა. —

<sup>54</sup> ამასთან დაკავშირებით არსებობს საინტერესო დოკუმენტები ეგვიპტეში ინგლისის უმაღლესი კომისრის მაკ მაგონის მიმოწერის სახით, რომელიც ინგლისის მთავრობამ გამოსცა 1939 წელს.

<sup>55</sup> Moukhtar Pacha, დასახ. ნაშრომი, 1.

ამბობდა სულთანი აბდულჰამიდ II. — დიდი მნიშვნელობა უნდა  
მიანიჭოს ჩვენთან მეგობრობას. არ არის აუცილებელი ეყო ქვეყანა  
იმის გასაგებად, რომ მე, ხალიფას, შემეძლო მხოლოდ ერთი სიტყვა  
ვის თქმით დიდი საშიშროება შემექმნა ინგლისის ბატონობისათვის  
ინდოეთში. ინგლისის მტრებმა დაკარგეს ხელსაყრელი მომენტი და  
მათ ამიერიდან არასდროს არ ექნებათ ისეთი შემთხვევა, როგორც  
იყო ბურებთან ომი. რუსეთსა და გერმანიას შეეძლო ჩემი დახ-  
მარებით სულ ადვილად დაენგრაათ ინგლისის ფიქტულა კოშკი ინ-  
დოეთში<sup>106</sup>.

როგორც ვხედავთ, ოსმალური ისლამიზმი, მსგავსად არაბული ის-  
ლამიზმისა, წარმოადგენდა უკიდურეს რეაქციულ მიმდინარეობას.  
ოსმალური ისლამიზმი მიიწრაფოდა არა მარტო ოსმალეთის ის-  
ტორიული საზღვრების აღდგენისაკენ, არამედ ინგლისისა და რუსე-  
თის ტერიტორიების ხარჯზე მისი შემდგომი გაფართოებისაკენაც და  
ხელს უწყობდა გერმანიის იმპერიალიზმს მსოფლიო ბატონობისა-  
თვის ბრძოლაში. ხოლო არაბული ისლამიზმი არაბული ხალიფატის  
სახით გამოხატავდა არაბეთის ფეოდალურ-კლერიკალური წრეების  
მისწრაფებებს და წარმოადგენდა ინგლისის იარაღს მახლობელი აღ-  
მოსავლეთის ხალხების დამონებთათვის ბრძოლაში.

არსებობდა ისლამიზმის კიდევ ერთი სახეობა, რომელიც თავისე-  
ბური რეაქცია იყო კაპიტალისტური ქვეყნების მიერ მახლობელი  
აღმოსავლეთის ქვეყნების დამონებაზე. უცხოეთის კაპიტალის პო-  
ზიციების განმტკიცება მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმანურ  
ქვეყნებში, იწვევდა ამ ქვეყნების მწარმოებელი მოსახლეობის მდგო-  
მარეობის სწრაფ გაუარესებას. საკუთარ ფეოდალთა ექსპლოატა-  
ციას ემატებოდა ექსპლოატაცია უცხოელი კაპიტალისტების მხრით.  
ფეოდალური არისტოკრატის ხარჯზე იზრდებოდა მემამულეთა მი-  
წის ფონდები. ფეოდალური არისტოკრატის ეკონომიური ძლიერე-  
ბა და პოლიტიკური გავლენა სუსტდებოდა. ილახებოდა მუსლიმანურ  
სამღვდელოების ინტერესები. უცხოური წარმოშობის საფაბრი-  
კო ნაწარმი ანადგურებდა აღმოსავლური ქალაქის ხელოსნობასა და  
შინამრეწველობას. დატაკდებოდა წვრილი ბურჟუაზია. ფეოდალე-  
ბი, სამღვდელოება, წვრილბურჟუაზიული ფენები შენატროდნენ იმ  
დროს, როდესაც მათ არ ჰყავდათ კონკურენტი ქვეყნის ექსპლოატა-  
ციის საქმეში. როგორც ხშირად ხდებოდა ფეოდალურ აღმოსავლეთ-  
ში, მუსლიმანური სამყაროს ქრისტიანულსადმი დაპირისპირების  
გზით, მოწოდებით მუსლიმანებისადმი, რომ გაერთიანებული ძალებ-  
ით განედევნათ ქრისტიანები მუსლიმანური აღმოსავლეთიდან.

<sup>106</sup> Pansées et souvenirs de l'ex-Sultan Abdul-Hamid. Paris, 1936.

ბრძოლამ უცხოელთა წინააღმდეგ რელიგიური ელფერი მიიღო. ამასთან დაკავშირებით იქმნება აზრი ისლამის ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანებისა ხალიფას მეთაურობით. ამრიგად, აღმოსავლეთის ქვეყნების ანტიიმპერიალისტური ბრძოლა ისლამიზმის გზითაც მიემართება. ამ მოძრაობას აღმოსავლეთის მშრომელი მასებიც მიემხრნენ, რამდენადაც ძლიერი იყო მუსლიმანური ეკლესიის გავლენა. უცხოელები კი კონცესიონერთა სახით მათ უშუალო ექსპლოატატორებად გვევლინებოდნენ. ცხოვრების პირობების გაუარესებას, გადასახადებისა და ექსპლოატაციის ზრდას ისინი, უპირველეს ყოვლისა, აბრალებდნენ უცხოელებსა და მათ კონცესიებს. ამ მხრივ დამახასიათებელია პროკლამაცია, რომელიც ვრცელდებოდა თამბაქოს მონოპოლიის წინააღმდეგ გამოსულ დემონსტრანტთა შორის ირანში 1891 წელს: „მორწმუნეო! მუსლიმანებო! თამბაქოს მონოპოლია წავიდა ჩვენგან, მდინარე ქარუნი წავიდა, შაქრის წარმოება წავიდა, ბანკი მოვიდა, ტრამვაი მოვიდა, ქვეყანა უცხოელებს ჩაუვარდა ხელში. შაჰი არ აქცევს ყურადღებას ჩვენს ინტერესებს. მაშ ავიღოთ საქმე ჩვენს ხელში“. ეს იყო მოწოდება, რომ მორწმუნე მუსლიმანებს ხელში აეღოთ უცხოელთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმე.

ამ მიმართულების ისლამიზმი, რომლის შემქმნელადაც ითვლება ვინმე ჯემალ ედ-დინი, დიდი პოპულარობით სარგებლობდა აღმოსავლეთში, ვინაიდან გამოხატავდა აღმოსავლეთის ხალხთა ანტიიმპერიალისტურ განწყობილებას. მაგრამ ამ მოძრაობის მიზანი იყო მუსლიმანური ქვეყნებიდან ევროპელთა განდევნა ძველი წესწყობილების, ფეოდალთა და სამღვდელთა ძალაუფლების აღსადგენად. ამიტომ ვ. ი. ლენინი ისლამიზმს აფასებდა როგორც მოძრაობას, რომელიც ცდილობს ევროპისა და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული განმათავისუფლებელი მოძრაობა შეაერთოს ხანების, მემამულეების, მოლეების და სხვ. პოზიციების განმტკიცებასთან<sup>67</sup>.

ოსმალეთის იმპერიის ძლიერების დაცემა. მუდმივი დამარცხებანი ომებში, დიდ სახელმწიფოთა შორის ბრძოლის გაძლიერება „ავადმყოფი ადამიანის“ მემკვიდრეობის ხელში ჩასაგდებად, უცხოეთის გაძლიერებული ჩარევა თურქეთის საშინაო საქმეებში და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა თურქეთის მმართველი წრეებისაგან მოითხოვდა სასწრაფო ზომების მიღებას.)

მეჰმედ ალის განმტკიცებამ ეგვიპტეში ყველას დაანახა, თუ რა-რიგად დასუსტდა იმპერიის ცენტრალური ხელისუფლება, ხოლო საბერძნეთის ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის ცხადყო, რომ

<sup>67</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, 170.

ცენტრალურ ხელისუფლებას დაუპირისპირდა სრულიად ახალი ძა-  
ლა, ბევრად უფრო ძლიერი და საშიში, ვიდრე ურჩი ფეოდალები. ეს  
იყო დაჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა  
ოსმალთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში თურქეთი უძლიერი აღმოჩნდა.  
მან უიმედოდ წააგო ბრძოლა საბერძნეთში; ასეთივე ბედი მოე-  
ლოდა ბალკანეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიას, სადაც და-  
ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მხარს  
უჭერდა რუსეთი.

საჭირო იყო გეზის დადგენა ოსმალეთის იმპერიისა და მის სათა-  
ვეში მდგომი ფეოდალური კლასის პრივილეგიების გადასარჩენად.  
„ოსმალური სახალიფოს“ თეორია საამისოდ არ გამოდგებოდა, ვი-  
ნაიდან ის მხოლოდ საგარეო ავანტიურებს შეიცავდა, იმ დროს, რო-  
დესაც საჭირო იყო შინაგანი რეფორმების გზით სიარული. რეფორ-  
მები სჭირდებოდა თურქეთის მმართველ ფეოდალურ კლასს ცენტ-  
რალური ხელისუფლების გაძლიერების, იმპერიის წარსული ძლიე-  
რების აღდგენისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის  
დათრგუნვისათვის. თურქეთს თავი უნდა დაეღწია აგრეთვე მის სა-  
შინაო საქმეებში უცხოელთა ჩარევისაგან და, რაც მთავარია, პოსე-  
პო საბაბი ასეთი ჩარევისათვის, არ დაეშვა თურქეთის დისკრიმინა-  
ცია საერთაშორისო ასპარეზზე თურქეთში არსებული დესპოტიზმი-  
სა და ჩაგვრის მომიზეზებით. რეფორმების საშუალებით თურქეთს  
უნდა მიეღო გარეგნულად ევროპული სახე და გამხდარიყო „ევრო-  
პული კონცერტის“ სრულუფლებიანი წევრი.

მე-19 საუკუნის 30-იანი წლებისათვის ოსმალეთის სახელმწიფო  
აპარატში უკვე მუშაობდა საკმაოდ დიდი რიცხვი ფეოდალური, ნა-  
წილობრივად დაბალი ფეოდალური წრეებიდან გამოსული მოხელე-  
ებისა, რომლებმაც ან დაამთავრეს თურქეთში გახსნილი ევროპული  
ტიპის სკოლები (მუჰენდისჰანე—საინჟინრო სასწავლებელი და მარ-  
ბიე—სამხედრო სასწავლებელი), სადაც ევროპელი მასწავლებლები  
მუშაობდნენ, ან განათლება უშუალოდ ევროპაში მიიღეს. სახელმწი-  
ფო მოხელეთა ეს წრეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმპერია  
დაღუპვის პირადაა, რომ საჭიროა მისი გადარჩენა რეფორმების სა-  
შუალებით. რამდენადაც ამ რეფორმების მიზანი იყო არა მარტო  
უცხო სახელმწიფოთა მეურვეობისაგან ოსმალეთის დახსნა, არამედ  
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაც როგორც  
მთავარი საშიშროებისა, რომელიც იმპერიას და მისი მმართველი  
კლასის პრივილეგიებს ემუქრებოდა, ამდენად ეს რეფორმები არა  
მარტო ლიბერალური ხასიათისა იყო, არამედ თავისი მიზნებით უკი-  
დურესად რეაქციულიც. რეფორმებს ხელი უნდა შეეშალა შედარე-  
ბით მაღალი კულტურის მქონე ხალხებისათვის განათავისუფლებუ-

ლიყვნენ უფრო დაბალი კულტურისა და სოციალურ-ეკონომიური ვანვითარების დონის მქონე თურქების ბატონობიდან.

რეფორმების საშუალებით თურქ ფეოდალთა ფართო ფენებს სურდათ მოეპოვებინათ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლება, რაც მთლიანად სულთნისა და მასთან ახლო მდგომ ფეოდალთა ვიწრო წრის ხელში იყო. ეს მისწრაფება საფუძვლად ედო „ახალგაზრდა ოსმალთა“ ბრძოლას სულთანის დესპოტიზმთან. სინამდვილეში „ახალგაზრდა ოსმალთა“ წარმატების შემთხვევაში სულთანის დესპოტიზმი შეიცვლებოდა კიდევ უფრო მკაცრი და დაპყრობილ ხალხთა მიმართ კიდევ უფრო დაუნდობელი ტირანიით. თურქ მოხელეთა წრეებში — იმ დროის პირველ თურქ ინტელიგენტთა შორის თავს იჩენს ეროვნული თვითშეგნების პირველი ჩანასახები. მაგრამ ეს თვითშეგნება იმდენად სუსტი იყო, რამდენადაც თვით თურქები იმ დროისათვის სუსტად იყვნენ ერად კონსოლიდირებულნი. ინტელიგენცია, რომელმაც „ახალგაზრდა ოსმალთა“ ჯგუფი შექმნა, იმპერიის ქრისტიან ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისათვის უპირისპირებს კანონის წინაშე სულთნის ყოველი ქვეშევრდომის, განურჩევლად რელიგიისა, თანახმობის უფლებას. ასე შეიქმნა ოსმანიზმი, რომლის თანახმად ოსმალეთის იმპერიის ყველა ქვეშევრდომი, განურჩევლად რელიგიისა, ეროვნებისა და რასისა არის ოსმალთა. ამ ცნებამ თავი იჩინა 1839 წლის პათ-ი შერიფში, რომელშიც პირველად ოსმალეთის ისტორიაში დაიბადა გარკვეული ტერიტორიული ფარგლებით შემოზღუდული სამშობლოს იდეა<sup>28</sup>.

სინამდვილეში ეს იყო ნაციონალური საკითხის წამოყენება, მაგრამ, როგორც ცნობილია, ნაციონალური საკითხი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინტერესს ემსახურება. სხვადასხვა ელფერს იღებს იმის მიხედვით, თუ რომელი კლასი როდის წამოაყენებს მას.

„ნაციონალური საკითხი“ თურქეთში წამოაყენა ფეოდალური წრიდან გამოსულმა მოხელე ინტელიგენციამ ოსმალეთის იმპერიის კრიზისის, უცხო სახელმწიფოთა გავლენის ზრდისა და თურქთა მიერ დაპყრობილ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობის პერიოდში. ყველაფერი ეს ემუქრებოდა თურქეთის ფეოდალური კლასის პრივილეგიებს და თურქთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს, რომელთა ექსპლოატაციაზე იყო დამოკიდებული ოსმალ-ფეოდალთა კეთილდღეობა. ამიტომ თურქ რეფორმატორებს, უპირველეს ყოვლისა, ფეოდალური კლასის კეთილდღეობის აღდგე-

<sup>28</sup> Зареванд, Турция и Пантуранизм, Париж, 53.

ნა სურდათ. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თურქების ბურჯუაზიულ  
ერად კონსოლიდაციის პროცესი მხოლოდ დასაწყის ფაზაში იმყო-  
ვებოდა. ფორმირების პროცესში მყოფი თურქი ბურჯუაზიული ფორ-  
მის გაბატონებულ კლასად რჩებოდა ფეოდალური კლასი. თურქი  
ბურჯუაზია ჯერ კიდევ მეტად სუსტი იყო და მას არ შესწევდა ძალა  
და უნარი ჩამდგარიყო მოძრაობის სათავეში, იმ დროს, როდესაც  
თურქთა მიერ დაპყრობილ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ  
მოძრაობას ამ ერების ბურჯუაზია ხელმძღვანელობდა (მაგ., ბერძ-  
ნები).

ფეოდალური კლასის ხელმძღვანელობამ თავისი დალი დაასვა  
აღმოცენებულ ეროვნულ საკითხს. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოი-  
ხატა იმაში, რომ პირველ ეტაპზე ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული  
„ნაციონალიზმი“, რომელიც ასახავდა თურქ ფეოდალთა მისწრაფე-  
ბას განემტკიცებინათ ოსმალეთის ფეოდალური იმპერია, შეენარჩუ-  
ნებინათ თურქ ფეოდალთათვის ხელმძღვანელი როლი და არ დაეშ-  
ვათ ფეოდალური პრივილეგიების დაკარგვა.

ამ პერიოდში თურქი ბურჯუაზია სისუსტისა და მცირერიცხოვ-  
ნობის გამო არ უპირისპირდება ფეოდალურ კლასს. თურქი ბურჯუ-  
აზიის უშუალო მოთხოვნებიანი თითქმის არ ჩანს რეფორმების პე-  
რიოდის პირველ ეტაპზე: ის, რაც არის ამ რეფორმებში ბურჯუაზი-  
ული, უფრო წარმოადგენს თურქეთის ფეოდალური კლასის კომპრო-  
მისს ოსმალეთის იმპერიის არათურქი ბურჯუაზიისა და უცხოეთის  
კაპიტალის მიმართ, ვიდრე თურქი ბურჯუაზიის მოთხოვნებთან  
გამოხატულებას.

განხეთქილება არსებობდა ფეოდალური კლასის შიგნითაც. აღ-  
მოსავლეთის დესპოტურ იმპერიებში სამეფო ხელისუფლებასა და  
ფეოდალური კლასის დანარჩენ ნაწილს შორის ბევრად უფრო მკვეთ-  
რი უფლებრივი განსხვავება არსებობდა, ვიდრე ევროპის სახელმწი-  
ფოებში. ეს განსაკუთრებით ითქმის საშუალო და წვრილ ფეოდალე-  
ბზე. რომლებიც აღმოსავლეთის ქვეყნებში მთლიანად იყვნენ დამო-  
კიდებულნი სამეფო ხელისუფლების თვითნებობაზე. სელიმ III  
პერიოდისაგან განსხვავებით, როდესაც რეფორმების გატარებას სა-  
თავეში თვით სულთანი და მასთან ახლო მდგომი პირები უდგნენ,  
მამმუდ II სულთნობის დასასრულს საშუალო და წვრილი ფეო-  
დალები, რომელთა წრიდან იყო გამოსული იმპერიის სახელმწიფო  
აპარატის მოხელეთა დიდი უმრავლესობა, უკვე ახდენენ თავის გავ-  
ლენას რეფორმათა შინაარსზე. ფეოდალთა ეს წრეები მოითხოვენ სი-  
ცოცხლისა და ქონების გარანტირებას სულთნის თვითნებობისაგან  
და მიისწრაფვიან მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში,  
რათა მეტი წილი დაიღონ დაპყრობილ ხალხთა ძარცვისა და საკუ-  
თარი ხალხის ექსპლოატაციის საქმეში.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, მე-19 საუკუნეში ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევა თურქეთში მეტად ნელა, უცხოეთის კაპიტალის ბატონობის პირობებში მიმდინარეობდა, ამიტომ ეროვნული საკითხი თითქმის მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში გაქვნილია ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმით და მხოლოდ მე-20 საუკუნეში თავისი ობიექტური მიმართებით ის ხდება ბურჟუაზიული.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რეფორმების შედეგად 60-იანი წლებისათვის თურქეთში უკვე არსებობს ევროპის ბურჟუაზიულ იდეებთან გაცნობილი და ეროვნული იდეით გამსჭვალული საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია. ეს ინტელიგენცია ქმნის „ახალგაზრდა ოსმალების“ პირველ ჯგუფს. ამ ჯგუფის წარმომადგენელი იბრაჰიმ შინასი<sup>59</sup> 1860 წელს აარსებს პირველ თურქულ არაოფიციალურ გაზეთს „თერჯუმანი აჰვალს“ (ამბების ამხსნელი). ხოლო 1862 წელს კი — „თასვირი ეფქიარს“ (აზრების გამოხატვა), რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე თურქულ პრესას. თურქეთის მმართველ წრეებს ამ დროისათვის უკვე შემუშავებული აქვთ პოლიტიკური პროგრამები ფეოდალური იმპერიის ცენტრალური სელისუფლების გაძლიერების, ოსმალეთის წარსული ძლიერების აღდგენის და დაკარგული ტერიტორიების კვლავ შემოკრებისათვის. ეს პროგრამები იყო ისლამიზმისკენ გადახრილი „ოსმალური სახალიფოს“ თეორია და ოსმანიზმი. პირველიც და მეორეც ერთი მიზნისკენ მიისწრაფოდა, პირველი — აშკარად, ხოლო მეორე — თანასწორობის ლიბერალური ლოზუნგის საფარქვეშ. ორივეს მოტრფიალედ გვევლინება შინასი, რომლის მთელი მოღვაწეობა გამსჭვალულია სურვილით აღადგინოს ოსმალეთის იმპერიის წარსული დიდება და დაუბრუნოს მას დაკარგული.

თავისი გაზეთის პირველსავე ნომრებში შინასი ბეჭდავს სტატიებს: „რუსეთი“ და „ჩერქეზები“. უკვე სათაური სტატიისა „ჩერქეზები“ მიგვიჩვენებს, რომ შინასი თურქებს კავკასიისკენ მოუწოდებდა. შინასი იცავს თვალსაზრისს, რომ თურქეთმა მთელი თავისი ყუ-

<sup>59</sup> იბრაჰიმ შინასი (1824—1871) — ახალი ოსმალური ლიტერატურის ფუძემდებელი. ეკუთვნოდა იმ თურქების რიცხვს, რომლებმაც დიდი ვეზირის რეზიდენსის მეოხებით მიიღეს ევროპული განათლება. სწავლობდა პარიზში, სადაც დაუახლოვდა ფრანგ რევოლუციონერთა წრეებს და მონაწილეობდა 1848 წლის რევოლუციაში. რევოლუციური გამოსვლების დროს პარიზში პანთეონის თავზე რესპუბლიკური დროშა აღმართა. პარიზშივე დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. ტიპოური წარმომადგენელია წვრილ ფეოდალთა წრიდან გამოსული თურქი ინტელიგენციისა.

რადღება უნდა მიაქციოს რუსეთთან ბრძოლას, რათა დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები. „ოსმალთა მახვილი მაგნიტის ისარივით მუდამ ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული“—წერდა შინასი. მისი სიტყვით, თურქეთი მრავალჯერ დამარცხებულა ჩრდილოელ მეზობელთან ბრძოლაში, მან დაპყარგა ამ ბრძოლებში ტერიტორიები და უნდა გადაუხადოს სამაგიერო რუსეთს, დაიბრუნოს დაკარგული კულტურული ხალხები არ კმაყოფილდებიან იმით, რომ ინახავენ მოგონებას გამარჯვებათა შესახებ, ისინი გადასცემენ მემკვიდრეებს მოგონებას დამარცხებათა შესახებაც, თავს იმშვიდებენ შურისძიების იმედით და ამით მომავალს უქმნიან ერის დიდებას<sup>60</sup>.

შინასის შემოქმედებიდან კარგად ჩანს, რომ ახალგაზრდა ოსმალებს ევროპული ყაიდის რეფორმები სურდათ, უპირველეს ყოვლისა, არა ამ რეფორმების ბურჟუაზიული მიმართების გამო, არამედ იმიტომ, რომ ეს აიყვანდა თურქეთს ევროპის სახელმწიფოთა ძლიერების დონემდე და მისცემდა მას საშუალებას კვლავ დაეპყრო დაკარგული ტერიტორიები. სტატიაში, რომელიც დაწერა შინასიმ გაზეთ „ჯერიდვი ასკერიესათვის“ (სამხედრო გაზეთი), იგი ხაზს უსვამს, რომ წინაპართა მერ მოპოვებული დიდება შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს მხოლოდ დასავლეთიდან მოხერხებული გადმოღებებით<sup>61</sup>.

ამრიგად, „ახალგაზრდა ოსმალებისათვის“—შინასისა და მის მიმდევართათვის, ძირითადად გარკვეული იყო, თუ რა სურდათ მათ, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, თუ რას და ვის უნდა დაყრდნობოდნენ. ომებმა რუსეთთან მე-19 საუკუნეში გამოაშკარავეს, რომ იმპერიის ქრისტიანულ მოსახლეობას არავითარი ოსმალური პატრიოტიზმი არ გააჩნდა, თუმცა საჭირო გახდა კიდევ არაერთი წელიწადი, რათა ოსმანიზმს საჯარო მარცხი განეცადა. „პირველ ახალგაზრდა ოსმალთა მიმართებაში არსებობდა ერთგვარი გაურკვეველობა. ზოგი მათგანი მეტ შნიშვნელობას ანიჭებდა ისლამის სჯულს, იმპერიის მუსლიმან ქვეშევრდომებსა და საერთოდ მთელ მსოფლიოს მუსლიმანებსაც კი და ეწინააღმდეგებოდა ოსმანიზმის იდეას. როგორც კი დამტკიცდა ფაქტებით, რომ არ არსებობს ოსმანიზმის კონსტიტუციური რეჟიმის საშუალებით განხორციელების

<sup>60</sup> Вл. Гордлевский, Очерки по новой османской литературе, Москва, 1912, 7.

<sup>61</sup> იქვე, 9.

შესაძლებლობა, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცა მუ-  
ლიმანთა ერთიანობის იდეას<sup>42</sup>. *✓*

შინასიმ დიდი ყურადღება მიაქცია თურქული ენის მდგომარეობას.

მახლობელი აღმოსავლეთის მაღალი კულტურის სამიწათმოქმედო ქვეყნებში შემოსვლისას მეჭოვრე თურქი ტომების სიტყვიერი მარაგი ღარიბი იყო. თურქულში იყო მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც ესაჭიროებოდა მწყემსების პრიმიტიულ ენას. ეს პრიმიტიული ენა შეესაბამებოდა თურქი ტომების პრიმიტიულ ყოფას და საწარმოო ძალთა განვითარების დაბალ დონეს. თურქთა ტომების მახლობელ აღმოსავლეთში მოსვლის შემდგომ თურქული ენა მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა განვითარებული ენების გავლენის ქვეშ მოექცა, რის შედეგად მან შეითვისა უამრავი სიტყვა და გამოთქმა სპარსულიდან, არაბულიდან და ბერძნულიდან. თურქული ენა იმდენად განუვითარებელი აღმოჩნდა, რომ ვერც კი შეძლო უცხო სიტყვების თურქული ენის ფონეტიკურ საფუძვლებზე გარდაქმნა.

როდესაც თურქები პირველად ჩაუდგნენ სათავეში სახელმწიფოს, მათი ენა მეტად პრიმიტიული იყო იმისათვის, რომ შეესრულებინა სახელმწიფო ენის როლი. ამიტომ სელჯუკიანთა კარზე გაბატონდა სპარსული ენა. არისტოკრატიულ წრეებში სპარსულად ლაპარაკობდნენ, სპარსულ ენაზე ადგენდნენ სახელმწიფო დოკუმენტებს და წერდნენ თხზულებებს. შენდგომში სპარსულ ენასთან ერთად გავრცელდა არაბული ენაც. იგივე მდგომარეობა იყო ოსმალთა სახელმწიფოშიც. მხოლოდ შუა საუკუნეების გვიანდელ პერიოდში შემოდის ხმარებაში თურქული როგორც ენა, რომელზედაც იწერება სახელმწიფო საბუთები. მაგრამ ამ თურქულ ენაში არაბული, სპარსული და ბერძნული ელემენტები მეტია, ვიდრე თურქული. მე-19 საუკუნეში თურქეთის არისტოკრატიულ წრეებში სწრაფად გავრცელდა ფრანგული ენა. არისტოკრატია ცდილობს ფრანგულად ილაპარაკოს, წეროს და ასწავლოს ბავშვებს.

შინასიმ 1845 წელს დაწერილ ლექსში, ხოლო შემდეგ პიესაში „პოეტის ქორწინება“ მოითხოვა, რომ არაბულ, სპარსულ და ფრანგულ ენათა შორის თურქულ ენასაც დაეთმოს თავისი ადგილი. ეს ჯერ არ იყო გარკვეული პოლიტიკური მოთხოვნა, მაგრამ ამით თურქული ენა პირველად იქნა დაპირისპირებული სხვა ენებისადმი. ასე დაიბადა თურქთა ეროვნულ შეგნებაში „ენის საკითხი“, რომლი-

<sup>42</sup> Tarih, c. III, 296.

თაც პირველად გაივლო ზღვარი თურქებსა და არათურქებს შორის. ეს იყო თურქული ეროვნული შეგნების პირველი მკაფიო გამოხატულება, რაც შემდგომში თურქიზმისაკენ ვითარდება. სწორედ ამიტომ თანამედროვე თურქიზმის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა იუსუფ აქჩურამ შინასის უწოდა „ოსმალთურქი, რომელმაც პირველმა შეიგრძნო თურქიზმი“<sup>45</sup>.

შინასის საქმეს თურქული ენის დარგში აგრძელებენ ნამიქ ქემალი<sup>46</sup> და ზია ფაშა<sup>47</sup>, განსაკუთრებით კი ნამიქ ქემალი, რომელიც აღარ ჯერდება თურქული ენისათვის სპარსული, არაბული და ფრანგული ენების გვერდით თანასწორუფლებიანი ადგილის მოპოვებას და ყურადღებას აქცევს თვით თურქული ენის მდგომარეობას, რომელიც ამ დროისათვის იმდენად იყო გადატვირთული უცხო სიტყვებითა და გამოთქმებით, რომ ფაქტიურად წარმოადგენდა რამდენიმე ენის ნარევს. ნამიქ ქემალი ამტკიცებს, რომ ასეთმა ენამ მომავალში არ შეიძლება იარსებოს და მოითხოვს თურქული ენის გაწმენდას უცხო წარმოშობის სიტყვებისაგან. ენაში მხოლოდ თურქული სიტყვების დატოვებას<sup>48</sup>.

---

<sup>45</sup> იბრაჰიმ ჯაფსოღლუს შენიშვნები წიგნში *L. Râsonyi, Dünya Tarihinde Türklük*. Ankara, 1942. 221.

<sup>46</sup> ნამიქ ქემალი (1840—1888) წარმოშობით ეკუთვნოდა წარჩინებულთა წრეს, შინასის მიმდევარ „ახალგაზრდა ოსმალთა“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, თურქული დრამატურგიის ფუძემდებელი და ენის რეფორმატორი. დიდხანს ცხოვრობდა ევროპაში. დღევანდელ თურქეთში მას აფასებენ როგორც მწერალსა და პოეტს, რომელმაც თურქეთში „პირველმა გამოიწვია აღფრთოვანება სამშობლოსა და თავისუფლების იდეით“ (იხ. *Ibrahim Alâettin Gövsa*, დასახ. ნაშრომში, 212).

<sup>47</sup> ზია ფაშა აბდულჰამიდი (1825—1880) — ახალგაზრდა ოსმალთაგანი, მწერალი და პოეტი. თურქეთის სახელმწიფო მოხელე-ინტელიგენტთა ტიპური წარმომადგენელი. მუშაობდა სულთანის კარზე მდივნად. ერთხანს განაგებდა კონძულ კვიპროსს. შემდეგ ეკავა ვალის (გუბერნატორის) თანამდებობა ვეზირის რანგით სირიასა, კონიასა და ადანაში. კონსტიტუციური მონარქიის მომხრე. ნამიქ ქემალთან ერთად შეადგინა კონსტიტუციის პროექტი.

<sup>48</sup> უცხო წარმოშობის სიტყვების თურქული ენიდან განდევნის ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა ქემალისტური რევოლუციის შემდეგ. ავიღოთ მაგ., პრეზიდენტის აღმნიშვნელი არაბული სიტყვა *reis-i cumhur*. აქ ჯერ მოსპეს სპარსული იზაფეტი და გახადეს *cumhurreisi*, შემდეგ კი საერთოდ მოიგონეს ახალი სიტყვა *bakan*. ნეოლოგიზმები, რომლებითაც უმთავრესად შეინაცვლებოდა ხელმე არაბული და სპარსული სიტყვები, აუცილებლად თურქული წარმოშობის სა-

სამშობლოს ცნება, რომელიც შინაისთან მხოლოდ ჩაისახა, ნამიქ ქემალის შემოქმედებაში წამყვანი თემა ხდება. სამშობლოსადმი სიყვარულს ნამიქ ქემალი უკავშირებს რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ლას. ეს იყო მისწრაფება, რათა თურქეთს აღედგინა ბატონობა ბალკანეთის ქვეყნებზე და კავკასიაზე. სამშობლოსადმი სიყვარულს ნამიქ ქემალი ცდილობს ამოაფაროს ოსმალთ ფეოდალთა დაპყრობითი ინტერესები. ნამიქ ქემალის ამ თემას ხშირად უწოდებენ პატრიოტულს იმ დროს, როდესაც სინამდვილეში ის შოვინისტურია. „შოვინისტი ეწოდება იმას, ვინც „სამშობლოს დაცვის“ ცნებით ჩქმალავს „თავისი“ მმართველი კლასების მძარცველურ ინტერესებს“<sup>47</sup>.

სამშობლოს ცნება ნამიქ ქემალის შემოქმედებაში, ისევე, როგორც საერთოდ „ახალგაზრდა ოსმალებთან“ მეტად ბუნდოვანია. თურქიზმი ჯერ მხოლოდ ენის საკითხებში ვლინდება. საერთო პოლიტიკური კონცეფცია კი ისლამისტურია. „ზოი ფაშა და ნამიქ ქემალი სტამბოლში დაბრუნების შემდეგ (უცხოეთიდან, სადაც ისინი ემიგრაციაში იმყოფებოდნენ— ო. გ.) იმ აზრს იცავდნენ, რომ ქვეყნის გადარჩენა უფრო შესაძლებელია ოსმალეთის ფაღვიშაპის საშუალებით, რომელსაც ეკუთვნოდა ისლამის ხალიფობა, მსოფლიოს მუსლიმანებზე დაყრდნობით, ვიდრე კონსტიტუციური მონარქიით, რომელიც დაეყრდნობოდა მუსლიმანთა და არამუსლიმანთა ერთიანობას და ამით დაიცავდა იმპერიას“<sup>48</sup>. ნამიქ ქემალი ქადაგებს კიდევ ისლამიზმს თავის ნაწარმოებებში „ჯელალ ედ-დინი“ და „დაფანტული ფურცლები“.)

ტყვის ძირიდან უნდა ყოფილიყო ნაწარმოები. გამოდიოდნენ რა თურქიზმის დებულებიდან, თურქული ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ხალხთა ერთგონობის შესახებ, თურქმა ენათმეცნიერებმა დაიწყეს სიტყვების გადმოტანა თურქმენულიდან. უზბეკურიდან და სხვ. იმ მიზნით, რომ შეექმნათ ყველა თურქული მოდგმის ხალხთათვის საერთო ლიტერატურული ენა. მაგრამ ხალხმა ნეოლოგიზმების უმეტესი ნაწილი არ შეითვისა. თურქული ზმნიდან **okumak** (კითხვა, სწავლა) შეიქმნა სიტყვა **okul** (სკოლა), მაგრამ ხალხი განაგრძობს არაბული **mektep**-ის ხმარებას. ასევე სრულიად ხელოვნურად ზმნა **ölmek** -იდან (სიკვდილი) შექმნეს **ölmek** (თვითმკვლელობა), მაგრამ ხალხიც და პრესაც განაგრძობენ არაბული **intihar**-ის ხმარებას და ა. შ. ახალი სიტყვებით გადაწერეს თურქეთის კონსტიტუცია. მაგრამ ამ ბოლო დროს არსებობს ძლიერი ტენდენცია კვლავ დაუბრუნდნენ არაბული და სხარსული სიტყვების ხმარებას. ნეოლოგიზმების დიდი ნაწილი მავალითად უარყო თურქეთის ყოფილი მმართველი დემოკრატიული პარტიის ორგანომ გახეთმა „Zafer“-მა (გამარჯვება).

<sup>47</sup> ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 25, 318.

<sup>48</sup> Tarih, c. III, 296.

თურქიზმის შემდგომ განვითარებას ვხედავთ აჰმედ ვეფიქ ფაშას<sup>69</sup> ნაწერებში.

აჰმედ ვეფიქ ფაშამ გააფართოვა თურქული ენის ცნების საზღვრები. წიგნში „ლეჰჩე-ი ოსმანი“ (ოსმალური დიალექტი). იგი ლაპარაკობს ოსმალურზე, როგორც თურქული ენის მხოლოდ ერთ დიალექტზე. თვით თურქული ენა მან წარმოიდგინა როგორც კრებადი ცნება. რომელიც მოიცავს ჩალათაელთა, უიღურთა, კალაჩბისა და სხვათა ენებს. კიდევ უფრო გამოკვეთილ სახეს იღებს თურქიზმი სულეიმან ფაშას<sup>70</sup> ნაწარმოებებში. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე თურქიზმს 60—70-იანი წლების თურქ მოღვაწეთაგან ყველაზე უფრო სულეიმან ფაშა დაუახლოვდა. თურქიზმი სულეიმან ფაშას გადააქვს ისტორიის დარგში. იმ პერიოდში თურქეთის სკოლებში ისწავლებოდა უცხო ავტორების, უმთავრესად ფრანგი ავტორების ისტორიის სახელმძღვანელოები, რომლებიც, სულეიმან ფაშას აზრით, შეიცავდნენ მცდარ ცნობებს თურქებისა და მათი რელიგიის შესახებ. ამიტომ პარბიეს მასწავლებლად ყოფნის დროს ის წერს „თარიჰ-ი ალემს“ (მსოფლიო ისტორია). ამ ნაწარმოებში სულეიმან ფაშა ამტკიცებს თურქული ჯგუფის ენაზე მოლაპარაკე ყველა ხალხთა ერთიანობას, რომ ისინი ვითომც შეადგენენ ერთ ერს საერთო ისტორიით. ამრიგად, სულეიმან ფაშას ნაწერებში პირველად ვხვდებით ლინგვისტურ საფუძველზე გამოტანილ დასკვნას თურქული ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ხალხთა ისტორიული ერთიანობისა და ერთგვარების შესახებ. ამ დასკვნის საფუძველზე შეიქმნა პოლი-

<sup>69</sup> აჰმედ ვეფიქ ფაშა (1823—1891). განათლება მიიღო პარიზში, სადაც ის ვაგზავნა დიდმა ვეზირმა რეშიდ ფაშამ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შევიდა სახელმწიფო სამსახურში. ორჯერ იყო დიდ ვეზირად. ეწეოდა დიპლომატიურ მოღვაწეობას. ერთ დროს მუშაობდა თურქეთის საელჩოს პირველ მდივნად პეტერბურგში. იყო სტამბოლის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი. იცოდა მრავალი ენა როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური, მათ შორის რუსულიც. თურქულად თარგმნა შილერის, მოლიერის, შექსპირის და დასავლეთ ევროპის ლიტერატურის სხვა კლასიკოსთა თხზულებანი. 1877 წელს თავმჯდომარეობდა ოსმალეთის პირველ პარლამენტს.

<sup>70</sup> ჰუსნი სულეიმან ფაშა (?—1892)—სტამბოლელი მეშაქარალამის შვილი. დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი (პარბიე), შემდგომში იმავე სასწავლებელში ასწავლიდა ლიტერატურასა და ისტორიას. 1876 წელს მიიღო ლიჯას (გენერლის) წოდება. იღებდა აქტიურ მონაწილეობას სულთან აბდულაზიზის ტახტიდან ჩამოგდებაში. 1876 წელს რუსეთ-თურქეთის ომის წინ მონაწილეობდა დამსჯელ ექსპედიციებში სერბებისა და შთაშველთა წინააღმდეგ. სახელი გაითქვა რუსეთ-თურქეთის, 1877—1878 წლების ომის დროს შიპასთან ბრძოლებში.

ტიკური პროგრამა, რომელიც მოითხოვდა ამ ხალხის მომავალში გაერთიანებას და მათგან ერთი სახელმწიფოს შექმნას. ამრიგად, სულეიმან ფაშამ პირველმა წამოაყენა თურქთა ისტორიული ერთიანების აზრი. რამდენადაც სულეიმან ფაშას მიხედვით ყველა თურქ აქვს საერთო ისტორია, არ შეიძლება თურქეთის ისტორიის დაწყება ოსმალთა სახელმწიფოს შექმნით. თურქეთის ისტორიის სათავეები მან გადაიტანა ჩვენს წელთაღრიცხვამდე. გაილაშქრა აგრეთვე ტერმინ „ოსმალის“ წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ თურქებს არ შეიძლება ვუწოდოთ ოსმალები.

✓ დღევანდელი თურქიზმი ვეფიქ ფაშასა და სულეიმან ფაშას თვლის „თურქიზმის პირველ მამებად“<sup>21</sup>.

ის, რასაც ქადაგებდნენ სულეიმან ფაშა და ვეფიქ ფაშა, არ იყო მხოლოდ მათი შემოქმედების ნაყოფი. მართალია, სულეიმან ფაშა მკაცრად ილაშქრებდა ევროპელ ავტორთა წინააღმდეგ და აცხადებდა, რომ მათი თხზულებანი არასწორ ცნობებს შეიცავენ თურქთა შესახებ, მაგრამ სინამდვილეში იგი გამოდიოდა ევროპელ და განსაკუთრებით გერმანელ აღმოსავლეთმცოდნეთა თეორიების პოპულარიზატორად თურქთა შორის.

ევროპელმა აღმოსავლეთმცოდნეებმა ადრევე მოხაზეს თურქთა ერთიანობის თეორიის კონტურები. განსაკუთრებით დიდი წვლილი ამ საქმეში გერმანული ენის ქვეყნების აღმოსავლეთმცოდნეებს მიუძღვით.

მაშინ, როდესაც ბისმარკი აცხადებდა, რომ გერმანია სრულიად ინდიფერენტულია აღმოსავლეთის საკითხის მიმართ, გერმანელ აღმოსავლეთმცოდნეებს უკვე დაწყებული ჰქონდათ თურქეთის შესწავლა. არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ თურქეთის ყველაზე ვრცელი ისტორია დაწერილია გერმანულ ენაზე ჰამერის მიერ. გერმანელმა ენათმეცნიერებმა ხელი მოჰკიდეს აგრეთვე აღმოსავლეთი ენების, კერძოდ თურქული ენის შესწავლას. ერთ-ერთმა მათგანმა ვამბერიმ<sup>22</sup> პირველმა შექმნა თეორია ერთიანი თურქული ჯგუფის ენების არსებობის შესახებ. ამ თეორიის საფუძველზე გერმანელებმა თურქებზე უფრო ადრე გააკეთეს პოლიტიკური დასკვნები, რითაც უპირველეს ყოვლისა, დაინტერესდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში

<sup>21</sup> იბრაჰიმ ქაფესოღლუს შენიშვნები წიგნში L. Rasonyi, დასახ. ნაშრ. 228.

<sup>22</sup> არმინი ვამბერი (1832—1913) — წარმოშობით უნგრელი ებრაელი, ენათმეცნიერი, თურქოლოგი და ეთნოგრაფი. ბევრს მოგზაურობდა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფაქტიური მასალით მეტად მნიშვნელოვანია მისი შრომები ჩალათური და უიღურული ენების შესახებ, აგრეთვე შრომები თურქულ-თათურულ და უგრო-ფურ ლექსიკოგრაფიაში.

მომუშავე გერმანელი ოფიცრები. ისინი ყურადღებით სწავლობდნენ გერმანიის პოლიტიკურ შესაძლებლობებს თურქეთში და გარკვევით იხრებოდნენ იმ თვალსაზრისისაკენ, რომ საჭიროა არა მარტო აღსანიშნავი ლამიზმის, არამედ თურქიზმის გამოყენებაც. ეს უკანასკნელი გერმანელთა ნელების აზროვნებაში გარკვეულ რასობრივ ელფერს იღებდა.

იმპერია, დაყრდნობილი თურქულ ელემენტზე, რომელიც იქნება გერმანიის პოლიტიკის დასაყრდენი აღმოსავლეთში, სრულიად გარკვევით ესახებოდათ გერმანელ გენერლებს. ჯერ კიდევ 1842 წელს ჰელმუტ მოლტკე<sup>73</sup> (იმ დროს პოლკოვნიკი და ოსმალეთის არმიის ინსტრუქტორი) გარკვევით ურჩევდა თურქებს ყურადღება მიეპყროთ აზიისაკენ, იმ სივრცეებისაკენ, საიდანაც თვითონ მოვიდნენ, ურჩევდა მათ გადაეტანათ თავისი დედაქალაქი კონიაში ან სადმე კიდევ უფრო აღმოსავლეთით. ეს სივრცეები, მოლტკეს აზრით, წარმოადგენდა ყველაზე უფრო კარგ ბაზას ოსმალეთის იმპერიის წარსული ძლიერების აღსადგენად.<sup>74</sup> რაზედაც ასე ოცნებობდნენ იმდროინდელ თურქეთში. მოლტკეს რჩევას ჰქონდა კიდევ ერთი მიზანი—თურქეთის რევანშისტულ მისწრაფებათა შებრუნება აღმოსავლეთისაკენ და ამით ყურადღების ჩამოცილება ბალკანეთისაკენ. ოსმალეთის იმპერიისა და რომის საღვთო იმპერიის დაპირისპირების პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა საფრანგეთი მრავალი წლის განმავლობაში და რომლის შედეგად აღმოცენდა კავშირი საფრანგეთის მეფე ფრანცისკო I და თურქეთის სულთან სულეიმან კანუნს შორის, არ ჰქონდათ დაიწყებული არც ავსტრიაში და არც პრუსიაში.

ჰელმუტ მოლტკეს მიერ თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეებისადმი მიცემული რჩევა თურქეთის პოლიტიკის აღმოსავლეთისაკენ წარმართვის შესახებ შემდგომში ჩამოყალიბდა გერმანიის გენერალური შტაბის კონკრეტულ გეგმად. ამ გეგმის თანახმად გერმანია აღმოსავლეთისაკენ წინსვლის დროს დაეყრდნობოდა თურქული რასის ელემენტს, რომელიც გაერთიანების შემთხვევაში შექმნიდა მძლავრ ძალას. ეს თურქული ელემენტი გერმანელთა წარმოდგენით ანატოლიელმა თურქებმა დატოვეს ვზადავზა. როდესაც ისინი მომართაობდნენ დასავლეთისაკენ და რომელთაც ვითომდა არ ჰქონდათ დაიწყებული თავისი წარმოშობა.<sup>75</sup> ამრიგად, გერმანელები ბალკა-

<sup>73</sup> გრაფი ჰელმუტ მოლტკე (1800—1891) — გერმანიის არმიის ფელდმარშალი, პრუსიის არმიის რეორგანიზატორი, პრუსია-ავსტრიისა (1866) და პრუსია-საფრანგეთის (1870—1871) ომებში ვილჰელმ I-ის საველე შტაბის უფროსი და ფაქტიური მთავარსარდალი.

<sup>74</sup> Roger Labonne—*La crise orientale et le nationalisme en Asie* „Le Correspondent“, 1922, 385.

<sup>75</sup> Maurice Pernot, *დასახ. ნაშრომი*, 95.

ნეთში თავიდან იცილებდნენ მოწინააღმდეგეს, რომელიც ინგლის-საფრანგეთის ხელში შეიძლება გამხდარიყო მძლავრი ძალა, და იმედ-დნენ მოკავშირეს აზიაში.

ასე დაიბადა გერმანიის ინტერესებისათვის თურქიზმის გამოყენების აზრი. მაგრამ თურქისტების მიერ მოხაზული თურქული ტომების ბინადრობის საზღვრები არ ემთხვეოდა ისლამის სამყაროს საზღვრებს. მეორე, ბევრად უფრო ვრცელი იყო და ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის მიერ დაკავებულ ტერიტორიებს მოიცავდა. ამიტომ ინგლისი, როგორც მუსლიმანებით დასახლებული ტერიტორიების მფლობელი ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო, ენერგიულად ებრძოდა ოსმალურ ისლამიზმს. თურქიზმი კი პრეტენზიებს აცხადებდა მხოლოდ ჩრდილოეთ ირანსა და რუსეთის ტერიტორიებზე. სწორედ ამიტომ ოსმალური ისლამიზმის თურქიზმით შეცვლა მხოლოდ ხელსაყრელი იქნებოდა ინგლისისათვის და ხელს შეუწყობდა მისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას კავკასიასა და შუა აზიაში. თურქეთის მთელი ენერჯია ამიერიდან მთლიანად იქნებოდა მიმართული რუსეთის წინააღმდეგ, რაც აგრეთვე ეთანხმებოდა ინგლისის ტრადიციულ პოლიტიკას. მაგრამ პირველ ხანებში ინგლისი თურქიზმის მიმართ მხოლოდ მაყურებლის როლში გამოდიოდა, გერმანიამ კი ენერგიულად მოჰკიდა ხელი მის გაღვივებას.

თურქეთის მთელი ყურადღების აღმოსავლეთისაკენ მიმართვა გერმანიას საშუალებას აძლევდა არა მარტო გამოეყენებინა თურქეთის მატერიალური და ადამიანთა რესურსები ომის შემთხვევაში, არამედ თურქეთის საშუალებით შეექმნა კიდევ თავისი აგენტურა რუსეთის ტერიტორიაზე. შუა აზიის, ვოლგისპირეთის და კავკასიის მუსლიმანური მოსახლეობა ამიერიდან თურქად ცხადდებოდა ამ მოსახლეობის კლერიკალური, ფეოდალურ-მემამულური და ბურჟუაზიული წრეები წარმოადგენდა იმ გარემოს, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ისლამისტური და თურქისტული პროპაგანდის გაშლა. კავკასიის ომებმა და შამილმა უკვე შისცეს სათანადო მაგალითი თურქეთსა და დასავლეთ ევროპას. შამილი ხომ თვითონაც არ მალავდა, რომ ის მხოლოდ თურქეთის სულთნის წარმომადგენელი იყო. „თურქეთის სულთანი მაჰმადიანთა მეთაურია და მისი სურვილი წმინდაა ყველა მუსლიმანისათვის“<sup>76</sup>.

<sup>76</sup> Русская старина, 1882, т. 36, письмо из Хасав-Юрта, 30 марта 1856 г. к барону Николаю.

ამგვარ ტაქტიკას თურქეთმა მიმართა მე-19 საუკუნეზე ბევრად უფრო ადრე. საქართველო-თურქეთის ომებს ყოველთვის ემთხვეოდა ლეკთა გაძლიერებული თარეში საქართველოში, რაც თურქეთის უშუალო შიითითებით ხდებოდა. ამგვარად, გერმანელთა გეგმაში ფაქტიურად ახალი არაფერი იყო გარდა იმისა, რომ თურქეთის ემისრების მოქმედების გეოგრაფიული საზღვრები მნიშვნელოვნად ფართოვდებოდა. იგი ცილდებოდა კავკასიას და ვრცელდებოდა ვოლგასა და პამირამდე და ისლამიზმს უმატებდა რასობრივ პრინციპზე აგებულ თურქიზმს.

თურქიზმი სწრაფად ვრცელდება ვეფიქ ფაშასა და სულეიმან ფაშას მოღვაწეობის შემდგომ პერიოდში და განსაკუთრებით 1897 წლის თურქეთ-საბერძნეთის ომის შედეგ. ნეჯიდ ასიმი<sup>77</sup> წერს თურქეთის ისტორიას, რომელიც იწყება არა ოსმალებით, არამედ ბევრად უფრო ადრეული პერიოდით, იკვლევს ორხონულ და ურალურ-ალტაურ ენებს.

1897 წელს დაიბეჭდა მეჰმედ ემინის ლექსი „მე თურქი ვარ“. აქ ნათქვამი იყო:

„მე თურქი ვარ, ჩემი რწმენა, ჩემი მოდგმა დიდია,  
ჩვენ თურქნი ვართ, ჩვენ ამ სისხლით, ამ სახელით  
ვიცხოვრებთ და გვიცხოვრია“.

შემდეგ მეჰმედ ემინი, ავითარებდა რა იგივე მოტივებს, წერდა:

„ასო შალიონო თურქო, ძველო და ახლო თურქესტანო,  
მთელი მსოფლიო და მომავალი შენია“.

თურქიზმი, ისევე როგორც ოსმანიზმი, განვითარების ახალ ფაზაში შედის 1908 წლის ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის შემდეგ. ახალგაზრდა თურქთა პარტია „ერთიანობა და პროგრესი“, რომელიც წარმოადგენდა „ახალგაზრდა ოსმალთა“ ჯგუფის პირდაპირ მემკვიდრეს, მხოლოდ უფრო შეფერადებულს ბურჟუაზიული იდეებით, თავისი აღმოცენების პირველ პერიოდში ირყევა ისლამიზმსა, თურქიზმსა და ოსმანიზმს შორის<sup>78</sup>. ამ მხრივ დამახასიათებელია „ერ-

<sup>77</sup> ბალასანოდლე იაზიქსაზ ნეჯიდ ასიმი (1861—1935)—სტამბოლის უნივერსიტეტის თურქეთის ისტორიისა და თურქული ენის ისტორიის პროფესორი.

<sup>78</sup> Tarih, c. IV, 182.

თიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრის აჰმედ ფერიდის<sup>79</sup> განცხადება ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის წინ: „ისლამიზმი განუხორციელებელია და არა აქვს მომავალი, მაგრამ ამჟამად ფეიხვენი გვაძლევს ერთგვარ უპირატესობას და ჩვენ ის უნდა გამოვიყენოთ.

თურანიზმს აქვს ბრწყინვალე მომავალი, მაგრამ ამჟამად იგი რეალურად არ არსებობს და გამოყენება იმისა, რაც არ არსებობს, არ შეიძლება. ოსმანიზმის პოლიტიკა თუ არაფერს გვბირდება კარგს, სამაგიეროდ წარმოადგენს ყველაზე ადვილ, ყველაზე სასარგებლო, ყველაზე აუცილებელ პოლიტიკას ჩვენ დროში. ამის გარდა, ოსმანიზმი ის ერთადერთი პირობაა, რომლითაც არის შესაძლებელი თურქეთის შემდგომი არსებობა“<sup>80</sup>.

ახალგაზრდა თურქების ბლოკი ოსმალეთის იმპერიის არათურქ ეროვნებათა პარტიებთან, რომელიც ოფიციალურად გაფორმდა 1907 წლის პარიზის კონგრესზე, არ აძლევდა ახალგაზრდა თურქებს საშუალებას უარი ეთქვათ ოსმანიზმზე. ამავე დროს ოსმანიზმი ჯერ კიდევ საჭირო იყო ევროპის საზოგადოებრივი აზრისათვის, როგორც საბუთი ეროვნებათა თანასწორუფლებიანობისა ოსმალეთის იმპერიაში. მაგრამ ახალგაზრდა თურქებმა ოსმანიზმს მისცეს სრულიად ახალი შინაარსი, „მე უპირველეს ყოვლისა ოსმალ ვარ, მაგრამ მე არ მავიწყდება, რომ მე ვარ თურქი. — წერდა ჯემალ ფაშა,<sup>81</sup> — და არავის არ შეუძლია შეარყიოს ჩემი რწმენა. რომ თურქი ხალხი წარმოადგენს დედაბოძს მთელი ოსმალეთის იმპერიისათვის. თურქული კულტურა ემსახურება ოსმალურ ერთიანობას და აძლევს ძალას იმ-

<sup>79</sup> აჰმედ ფერიდ თეჰი დაიბადა 1877 წელს, მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა თურქთა მოძრაობაში, შემდეგ ჩამოცილდა „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიას. ქემალისტური რევოლუციის შემდეგ იყო მეჭლისის დეპუტატი. ერთ დროს ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი, შემდეგ იყო თურქეთის ელჩი ლონდონში, ვარშავასა და ტოკიოში.

<sup>80</sup> Зареванд, დასახ. ნაშრომი, Париж, 58.

<sup>81</sup> აჰმედ ჯემალ ფაშა (1872—1922) „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ერთ-ერთი ლიდერია წევრია არაოფიციალური „ტრიუმვირატისა“, რომელიც მართავდა თურქეთს პირველი მსოფლიო ომის წინ, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სომხების დარბევაში. თურქეთის მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ გერმანიაში გაიქცა. 1920 წელს ამანულა ხანის მოწვევით მიემგზავრება ავღანისტანში თურქ სამხედრო სპეციალისტთა ხელმძღვანელად, საიდანაც 1922 წ. ბრუნდება. ანტანტის მოთხოვნით სამხედრო სასამართლომ სტამბოლში ჯემალი დაუსწრებლად გასამართლა და სიკვდილი მიუსჯა სომხთა დარბევის მოწყობის გამო, იმავე მიზეზით დაშნაკების პარტიამ ტერორი დაუწინა. დაშნაკებმა თავიანთი განჩენი სიარულში მოიყვანეს 1922 წელს, თბილისში, სადაც ჯემალი გავლით იმყოფებოდა, როდესაც კვლავ მიემგზავრებოდა ავღანისტანში.

პერიას, ვინაიდან ოსმანთა იმპერია არის თურქთა ქმნილება. ეს ნიშნავდა, რომ ოსმანიზმი ახალგაზრდა თურქთა ხელში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ სიტყვას ძალიან ხშირად იმეორებდნენ, იყვე როგორც ლოზუნგს „იმპერიის ყველა ხალხთა ერთიანობა განუ-  
რჩევლად რელიგიისა და ეთნიკური წარმოშობისა“, სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ ყველა ეს ხალხები ურთიერთდათმობების გზით თურქებთან ერთად უნდა გაერთიანებულიყვნენ საერთო და ნეიტრალურ საფუძველზე ოსმალეთის იმპერიის თანასწოროფლებიან წევრებად. ოსმანიზმი და იმპერიის ყველა ხალხთა ერთიანობის ლო-  
ზუნგი ახლა ნიშნავდა, რომ არათურქი ელემენტი უნდა ყოფილიყო თურქთა მიერ შთანთქმული და ასიმილირებული, თუ საჭირო გახდებოდა ძალდატანებითაც კი<sup>20</sup>.

როდესაც ახალგაზრდა თურქები ლაპარაკობდნენ ოსმალთა ერის შექმნაზე, ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამ ერთან ერთად დროთა ვითარებაში შეიქმნებოდა ერთი ენა და ერთი კულტურა<sup>21</sup>. ენაც და კულტურაც უნდა ყოფილიყო თურქული. ოსმალეთის იმპერიის ერთიანობა და განუყოფლობა მიღწეული იქნებოდა არათურქ ეროვნებათა გათურქების გზით. ამიერიდან ამ მიზანს ემსახურებოდა ახალგაზრდა თურქთა მოღვაწეობა ქვეყნის შიგნით. ამ მხრივ აღსანიშნავია ღონისძიებანი თურქული ენის, როგორც იმპერიის სახელმწიფო ენის, გასავრცელებლად, ადმინისტრაციული ცენტრალიზმის გაძლიერება, სამხედრო სამსახურის სისტემა და სხვ.

ამრიგად, ოსმანიზმის პოლიტიკა ქვეყნის შიგნით ფაქტიურად იქცა თურქიფიკაციის პოლიტიკად, ანუ, ოსმანიზმის პოლიტიკა ახალგაზრდა თურქთა ხელში თურქისტული პოლიტიკის ორგანული ნაწილი გახდა, რამდენადაც თურქიზმი და ოსმანიზმი იმპერიის შიგნით ერთმანეთს დაემთხვა. ასეთი შინაარსით ოსმანიზმი არ შეიძლებოდა დარჩენილიყო ოსმალეთის იმპერიის ეროვნებათა ურთიერთობის საფუძველად, ე. ი. ამიერიდან ის ვეღარ იქნებოდა „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის სახელმძღვანელო პოლიტიკური პრინციპი. მართლაც, სულ მალე, ბალკანეთის ომების დროს ოსმანიზმმა სრული მარცხი განიცადა.

▼ 1908 წლის ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის შემდეგ თურქიზმი გარკვეულ პოლიტიკურ სისტემად ყალიბდება. ამაში მთავა-

<sup>20</sup> Джемал паша, Записки, 1913—1919, Тифлис, 1923, 206.

<sup>21</sup> Ahmed Emin, The Development of Modern Turkey as Measured by its Press, 1924, New York, 100; Зареванд, დასახ. ნაშრომი, 61.

<sup>22</sup> Зареванд, დასახ. ნაშრომი, 60.

რი როლი ზია გიოკალბმა<sup>88</sup> შეასრულა ზია გიოკალბი თავისი მოღვაწეობის დასაწყისში სათავეში ჩაუდგა ლიტერატურულ ჯგუფებს: „გენჩ ქალემლურს“ (ნორჩი ყლორტები) და „იენი ლისანს“ (ახალი ენა); პირველ ხანებში ამ ლიტერატურული ჯგუფების ძირითად მოთხოვნა იყო თურქული ცხოვრებისა და თურქული ენის გაწმენდა უცხოურისაგან. თავის დროზე ამ ლიტერატურულ ჯგუფებს ეკუთვნოდნენ აგრეთვე შემდეგში ცნობილი ჟურნალისტი რეაქციონერები ჰუსეინ ჯაპიდ იალჩინი, მწერალი ქალი ჰალიდე ედიპი და სხვ. }  
88

ზია გიოკალბმა გამოიყენა იმათი შრომები, ვინც შექმნა თურქიზმი ენათმეცნიერებაში, ლიტერატურასა და ისტორიაში, განურჩევლად იმისა, რყვნენ ისინი თურქები თუ ევროპელები. უკვე არსებობდა თურქული ჯგუფის ენების გავრცელების მიახლოებით მონახული საზღვრები: თურქეთის ისტორიას ახლა იწყებდნენ შორეული წარსულიდან და არა ოსმანის დაპყრობებითა და ქეის ტომის ანატოლიაში დამკვიდრებით. შეიქმნა თურქული მოდგმის ყველა ტომის ისტორიის ერთ ნაკადად ასახვის ტენდენცია. ჭეშმარიტ მეცნიერებასთან ყველა ამგვარ „თეორიებს“ ხეერთო არა ჰქონდათ რა, მაგრამ, სამაგიეროდ, ისინი თანდათანობით თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკური პროგრამის ხასიათს იღებდნენ.

ზია გიოკალბი აწარმოებს ძიებას თურქულ მითოლოგიაში, რომლის გავრცელების საზღვრები, მისი აზრით, მეტად ფართოა. ამ ძიების დროს ის წვდება იაკუტებსა და ალტაის მკვიდრთ და, ამრიგად, აქცევს მათ „თურქული კულტურის“ გავრცელების ჩარჩოებში. გიოკალბი ქმნის თურქული ტომების სოციალური განვითარების თანმიმდევრულ ფაზებს, რასაც ის აყალიბებს ევროპის ბურჟუაზიულ ისტორიკოსთაგან ნასესხები სქემების მიხედვით. ეს ფაზებია ჩინური, მუსლიმანური და ევროპული ცივილიზაცია. ამრიგად, თურქული ტომები აღმოჩნდნენ ერთადერთნი მსოფლიოში, რომელთაც მო-

<sup>88</sup> შემდეგ ზია, ფსევდონიმი ზია გიოკალბე (1875—1924)—წარმოშობით დიარ-ბაქირელი ქურთი, „ერთიანობა და პროგრესის“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. ახალგაზრდობაში დაავადებული იყო ფსიქიურად. სწავლობდა სტამბოლში ბეითლობას, მაგრამ სწავლა არ დაუმთავრებია. შემდეგ ჟურნალისტობა დაიწყო. ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის შემდეგ კითხულობდა ფილოსოფიის კურსს სტამბოლის უნივერსიტეტში, აქვეყნებდა ნაშრომებს თურქეთის ისტორიიდან. წერდა ლექსებს. ქეშალისტური რევოლუციის შემდეგ იყო მექლისის დეპუტატი დიარბაქირიდან. დაწერილი აქვს წიგნები: „თურქეთის ცივილიზაციის ისტორია“, „თურქიზმის საფუძვლები“, „ახალი ცხოვრება“, „წითელი ვაშლი“, „წერილები მალტადან“ და სხვ. ყველა მისი ნაწერები თურქიზმითაა გაფლენილი.

იცვეს მთელი მსოფლიო ცივილიზაცია დასაბამიდან დღევანდლამდე. ეს ჯერ კიდევ არ არის ქემალისტური ტიპის, რელიგიაზე მალა მდგომი თურქიზმი, ვინაიდან ისლამი ზია ვიოკალპთან რეფორმების საფუძველია, ხოლო აღმოსავლური და დასავლური ფილოსოფია, ჩინური და ევროპული ცივილიზაცია, რომელთა მონაწილენი, მისი აზრით, არიან თურქები, მას სურს შეურიგოს ისლამს და, ამრიგად, შექმნას ერთი მთლიანი განვითარების ხაზი თურქთა მოდემის ტომებისათვის, გახადოს ისინი მსოფლიო ცივილიზაციის შემაკავშირებელ ძაფად. ეს ხიდი, რომელსაც ის დებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, გამოიხატა მის ცდაში მიეღო ერთდროულად რეფორმებისა და რენესანსის პრინციპები. ეს იყო ის, რაც ქმნიდა თურქიზმის მიმდევართაგან, ამავე დროს შედასავლეთეებსაც — ტენდენცია, რომელიც მათ მოსდევდათ ჯერ კიდევ შინასიდან დაწყებული და რაც პოლიტიკურად გამოიხატა თურქიზმის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესებისადმი დამორჩილებაში. ეს დასავლური თრიენტაცია მოცემულია ახალგაზრდა თურქთა შორის პოპულარულ ლოზუნგში „გარბა დოღრუ“ (დასავლეთისაკენ). ამ მხრივ ახალგაზრდა თურქებს პქონდათ მაგალითი, რაც მათ იდეალად იქცა. ეს იყო აზიური ქვეყანა — იაპონია, რომელმაც, მათი აზრით, დაამტკიცა, რომ შესაძლებელია დასავლური ცივილიზაციის მიღება და ამავე დროს საკუთარი რელიგიის, კულტურისა და ეროვნულ მისწრაფებათა შენარჩუნება.

72  
[თურქეთში განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთ-იაპონიის 1905 წლის ომმა. რუსეთი თურქიზმის მიმდევრებმა წარმოსახეს. როგორც თურქეთის შეურიგებელი და ყველაზე უფრო საშიში მტერი. თუ იაპონიამ შეძლო რუსეთის დამარცხება, მას თურქეთიც შეძლებს იაპონიისმაგვარი მოდერნიზაციის შემდეგ ასევე გაიმარჯვოს რუსეთთან ომში, მიუხედავად იმისა, რომ მე-18—19 საუკუნეებში რუსეთთან ის მუდმივად მარცხდებოდა. თურქული მოდემის ტომების პოლიტიკური გაერთიანების თურქისტული გეგმების განხორციელება კი შესაძლებელი იყო მხოლოდ რუსეთის სამხედრო დამარცხების შედეგად. სწორედ ეს მისცემდა საშუალებას ოსმალეთს გამხდარიყო თურქთა გამაერთიანებელი. ზია ვიოკალპის სიტყვით, ოსმალეთმა თურქული მოდემის ხალხთა მიმართ უნდა შეასრულოს იგივე როლი, როგორიც შეასრულა პრუსიამ გერმანელების მიმართ, როდესაც მათგან ერთი ძლიერი ფედერაციული იმპერია შექმნა.]

[ზია ვიოკალპმა ასეთი იმპერიის შესაქმნელად თურქიზმზე დამყარებული პოლიტიკური პროგრამა შეადგინა.] მართალია, ოსმანიზმში ამ დროისათვის წარმოადგენდა მხოლოდ ფარდას, რომლის უკან

ოსმალეთის იმპერიის სრული გათურქების მოთხოვნა იმალებოდა, მაგრამ გიოკალპი წინააღმდეგი იყო ასეთი ფარდისაც. გიოკალპის მიმდევართათვის ოსმანიზმი წარმოადგენდა თურქთა და არათურქთა შორის თიანობის არაბუნებრივ იდეას. თურქებმა უარი უნდა თქვან ბუნებრივ კონცეფციასზე და მიმართონ წმინდა სახის თურქიზმს. ამიტომ გასაგებია, რომ გიოკალპის დოქტრინამ პირველ ხანებში ოსმანიზმის მიმდევართა მხრიდან საკმაოდ მკვეთრი საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია.

✓ { თურქიზმის ნამდვილი არსი კარგად აქვს ჩამოყალიბებული „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ერთ-ერთ ლიდერს მუსტაფა ნაზიმ ფაშას<sup>66</sup>, რომელიც წერდა: „სახელმწიფო უნდა გახდეს მთლიანად თურქული, ვინაიდან სხვა ეროვნებათა არსებობა მუდმივ საბაბს აძლევს ევროპას ჩაერიოს ჩვენს საქმეებში. ეს ერები ძალდატანებით უნდა გავათურქოთ“.

ამ მიზეზის გამო ზია გიოკალპმა და მისმა მიმდევრებმა უარყოვეს თანზიმათის პრინციპი, რომლის თანახმად ქრისტიანებს ოსმალეთის იმპერიაში თანასწორუფლებიანობა ენიჭებოდათ. ქრისტიანების თანასწორუფლებიანობა, მათი აზრით, წარმოადგენდა თურქ დამპყრობთა შეცდომის გაღრმავებას, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ მათ არ მოსკეს არათურქები. დამახასიათებელია, რომ აქ ხაზი ესმება განსხვავებას თურქებსა და არათურქებს შორის. ის, ვინც არ არის თურქული კულტურის ადამიანი, ვისაც აქვს თავისი, საკუთარი, თურქთაგან განსხვავებული ისტორია, მიუხედავად იმისა, არიან ისინი ქრისტიანები თუ მუსლიმანები, წარმოადგენენ თურქების მტრებს. ისინი არ ივლიან თურქების გზით. საერთო გზა კი არ არსებობს, ამიტომ ამ დიამეტრალურად მოწინააღმდეგე ელემენტების ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მოთავსება შეუძლებელია. ოსმალეთის იმპერიის არათურქი მოსახლეობა არა თუ არ დაეხმარება, არამედ პირიქით ხელს შეუშლის თურქებს, რომ მათ განხორციელონ თავისი მიზანი— შემოიერთონ ოსმალეთის იმპერიის ფარგლებს გარეთ დარჩენილი თურქული მოდგმის ხალხები. ამ მიზნის განხორციელებას შეძლებს მხოლოდ მთლიანად გათურქებული თურქეთი და თურქთა გაერთიანებული იმპერიის შექმნის პირველი ეტაპი ეს იქნება თვით თურქეთის მომზადება ამ მიზნის მისაღწევად. განვითარების ამ ეტაპს გიოკალპი არქმევს თურქიზმს. თურქიზმის განხორციელებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს მთავრობამ და თურქმა ინტელიგენციამ. ინტელიგენციამ თურქთა ეროვნულ გრძნობას უნდა და-

<sup>66</sup> მუსტაფა ნაზიმ ფაშა (1862—1909). 1908 წლის ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის შემდეგ იუსტიციის მინისტრი. განათლებით იურისტი.

უმატოს შეგნებული თურქიზმი, ხოლო მთავრობამ უარპყოს ოსმალ-  
ნიზმი, განასხვავოს ერთმანეთისაგან მუსლიმანი და თურქი და დაე-  
ყრდნოს მხოლოდ და მხოლოდ თურქებს. დანარჩენი ეჭოვნებოდეს  
თურქეთში არ უნდა არსებობდნენ. არათურქები ან უნდა გათურქდნენ  
ნენ, ან დასტოვონ თურქეთის საზღვრები. მხოლოდ თურქიზმის სა-  
ფუძვლების განხორციელების შემდეგ თურქეთს ექნება უნარი და-  
იწყოს მის საზღვრებს გარეთ დარჩენილ თურქთა გაერთიანება.

ოსმალეთის იმპერიის საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ თურქული  
მოდგმის ტომები, რომელთაც, ვიოკალბის რწმენით, აქვთ საერთო  
კულტურა ოსმალეთის იმპერიაში მოსახლე თურქებთან. კულტურა  
კი განსაზღვრავს ეროვნებას, ამიტომ ეს ხალხები შეადგენენ ერთი-  
ან თურქთა ერს. პირველ რიგში ესენი არიან აზერბაიჯანისა და  
ჩრდილო ირანის მცხოვრებნი. მათ და ოსმალეთის იმპერიაში მოსახ-  
ლე თურქებს ჰყავთ საერთო წინაპარი ოლუზხანის სახით<sup>87</sup>. დიდი  
ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ყველა ესენი შეადგენდნენ ერთ  
ოჯახს და მათ დღესაც შერჩენიან საერთო ენა, ლიტერატურა, კულ-  
ტურა და ზნე-ჩვეულება. ამ ხალხებს ჰყავთ საერთო სახალხო გმირე-  
ბი — კორკუდი, ისმაილ შაპი, ამიქ ქერიბი, ქოროლი, აგრეთვე —  
საერთო პოეტები, მაგალითად ფიზული და სხვ. აქედან ვიოკალბი ას-  
კენის, რომ თურქი ერის გაგრძელების გეოგრაფიული საზღვრები  
ბევრად უფრო ვრცელია, ვიდრე ოსმალეთის იმპერიის საზღვრები.

ოლუზთა მოდგმის ხალხთა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას,  
რაც თურქეთის უახლოესი ამოცანაა, ვიოკალბი უწოდებს ოლუზიზმს.  
ამრიგად, ოლუზიზმი არის თურქიზმის განვითარების შემდეგი მე-  
ორე საფეხური.

ოლუზიზმის განხორციელების შემდეგ თურქეთის სახელმწიფოს  
საზღვრებს გარეთ დარჩებიან იაკუტები, ყირგიზები, უზბეკები, თათ-  
რები და სხვანი, რომელნიც ოლუზებთან ერთად შეადგენენ ერთ  
ლინგვისტურ-ეთნიკურ ჯგუფს. ყველა ესენი არიან თურანელები, ხო-  
ლო ტერიტორიას, რომელზედაც ეს ხალხი მოსახლეობს, ეწოდება  
თურანი. თურანელები აგრეთვე ეკუთვნიან თურქ ერს. თურანელთა  
გაერთიანება ერთი სახელმწიფოს ფარგლებში არის თურქიზმის გან-  
ვითარების მესამე — დასკვნითი ეტაპი. მას ვიოკალბი უწოდებს თუ-  
რანიზმს.

<sup>87</sup> მათე ოლუზხანი მითოლოგიური პიროვნებაა. მისი სიცოცხლის წლებად  
თელთან 209—174 წწ. ჩვენს ერამდე. მას მიაწერენ თურქული სახელმწიფოს შე-  
ქმნას, რომელიც ეითომც ვრცელდებოდა იამონიის ზღვიდან, ვიდრე მდინარე  
ეოლგამდე. თურქიზმის მიმდევართა წარმოდგენით ის არის აგრეთვე თურქი ტო-  
მების პირველი გამაერთიანებელი და დიდი სარდალი, რომელმაც ჩინეთი დაი-  
მორჩილა.

ზია გიოკალბის მტკიცება თურქული ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ხალხთა ერთგონების შესახებ იმდენად სცილდება რეალობის ფარგლებს, რომ ის იძულებულია აღიაროს უზბეკების, ტურკმენებისა და თათრების და სხვათა მისწრაფება — ჰქონდეთ თავისი, ოსმალ-თურქთაგან განსხვავებული კულტურა. მიუხედავად ამისა ისინი, გიოკალბის რწმენით, მაინც უნდა გაერთიანდნენ და შექმნან დიდი თურანი. გიოკალბი ეძებდა მომავალი თურანისათვის პოლიტიკური მმართველობის ფორმას. ასეთად მას მიაჩნდა ჩინგის ყაენის განახლებული იმპერია<sup>88</sup>.

თურანიზმი თურქიზმის მიმდევრებმა წარმოიდგინეს როგორც თურქთა ეროვნული პრინციპი, რომელიც, მათი აზრით, თურქებს აქამდე აკლდათ. მსგავსი პრინციპი, მათი აზრით, თანამედროვე ცივილიზებული ერისათვის სრულიად აუცილებელი რამ არის. „უკვე რამდენიმე წელია, — წერდა თურქიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი თექინ ალფი, — რაც ეროვნული პრინციპი წარმოადგენს სახელმძღვანელო დებულებას პოლიტიკურ იდეათა სამყაროსა და მოვლენებში. ოსმანიზმის უარყოფით და თურქიზმის აღიარებით თურქები გამოვლენ არანორმალური მდგომარეობიდან და ჩადგებიან თანამედროვე ცივილიზებულ ხალხთა რიგებში“<sup>89</sup>.

ეროვნული იდეალი, რომელიც ოსმალეთის იმპერიის საზღვრებს გარეთ დარჩენილი თურქული ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ხალხთა შემოერთებაში მდგომარეობდა, თურქიზმის მიმდევრებმა ირიდენტისმად წარმოიდგინეს. „ის, რასაც ჩვენ ვქადაგებთ, — ამბობდნენ ისინი, — არის არა იმპერიალიზმი, არამედ ირიდენტა“, „ყველა თანამედროვე ერებს აქვთ თავისი ირიდენტა“<sup>90</sup>.

თურქებს ბრწყინვალე მომავალი აქვთ, ამტკიცებენ თურქიზმის მიმდევრები. ისტორიული კანონზომიერების გამო ყოველ ერს აქვს თავისი წარმოშობის, განვითარებისა და დაკნინების პერიოდი. მაგალითისათვის მათ ძველ ცივილიზებულ ხალხთა — სპარსელებისა და ეგვიპტელების ბედი მოჰყავთ, რომლებიც მიუხედავად მაღალგანვითარებული ცივილიზაციისა, მაინც გადაგვარდნენ. ისტორიულ ასპარეზზე მათ შემდეგ გამოსულმა ევროპელებმა უკვე გაიარეს თავისი განვითარების კულმინაციური წერტილი და დღეისათვის დაკნინე-

<sup>88</sup> ზია გიოკალბის მოძღვრება მოცემულია შემდეგი ლიტერატურის მიხედვით: G. Dery, Ziya Goek Alp, *Revue du Monde musulman* vol. LXI, 1952; Mme B. G. Gaulis, *La question turque*, Paris, 1931; Зареванд, დასახ. ნაშრომი.

<sup>89</sup> Зареванд, დასახ. ნაშრომი, 86.

<sup>90</sup> იქვე, 86—87.

ბის გზაზე დგანან. ამჟამად ცენტრალური აზიის ხალხთა დრო დადგა და თურანელები მომავლის ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენენ“.

ზია გიოკალბისა და მის მიმდევართა მიერ შექმნილი „თურქების“ იდეოლოგია საფუძვლად დაედო ახალგაზრდა თურქთა საზოგადოებასა და საშინაო პოლიტიკას. თურქისტების მიერ დასახული ამოცანა იქცა „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის და ამდენად ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკურ მიზნად. ეს კი იყო უნაპირო თურანის შექმნა. ამიტომ თურქისტების მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარება, ოსმალეთის იმპერიის მთავრობისა და „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის საზრუნავ საგნად იქცა. ჯერ კიდევ ბალკანეთის ომებამდე, 1911 წელს, „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „იმპერია უნდა გახდეს მუსლიმანური, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი პატივისცემა მუსლიმანური ორგანიზაციებისა და ტრადიციებისადმი. უცხო წარმოშობის ელემენტებს უარი უნდა უთხრათ მათ უფლებაზე—ჰქონდეთ საკუთარი ეროვნული ორგანიზაციები. ისინი წარმოადგენენ *quantité négligeable*-ს“. თურქული ენის გავრცელება საუკეთესო საშუალებაა მუსლიმანთა ბატონობის დასამყარებლად და უცხო ელემენტების ასიმილაციისათვის“.

ამ რეზოლუციისათვის დამახასიათებელია, რომ აშკარად გამოკვეთილ თურქიზმთან ერთად ლაპარაკია მუსლიმანურ ორგანიზაციებსა და ტრადიციებზე და თურქული ენა გამოცხადებულია საუკეთესო საშუალებად, ერთი მხრივ, მუსლიმანთა ბატონობის დასამყარებლად, ხოლო, მეორე მხრივ, არათურქული ასიმილაციისათვის. ისლამიზმი ახალგაზრდა თურქებისათვის აუცილებელი იარაღი იყო იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა არ იყო თურქული, მაგალითად, ქურთისტანში. ასეთ ადგილებში ისლამიზმის დროშით ითიპადელები ცდილობენ შეიტანონ თურქული შეგნება. ამასთან ერთად ისლამიზმი აუცილებელ პროპაგანდისტულ იარაღს წარმოადგენდა „თურქულ ირიდენტაზე“ ზემოქმედებისათვის. ვინაიდან რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები თურქული მოდგმის ტომები სრულიად ინდიფერენტულნი აღმოჩნდნენ თურქიზმის მიმართ, ისლამიზმი აქ უმთავრესად ფეოდალურ-კლერიკალურ წრეებს ეყრდნო-

<sup>91</sup> Зареванд, დასახ. ნაშრომი, 88.

<sup>92</sup> L'Asie française, Oct—Dec. 1917, № 171, გვ. 174.

ბოდა და ცდილობდა მოსახლეობაში სულთან-ხალიფასადმი ერთგუ-  
ლების გრძნობა გაეღვივებინა. ისლამიზმის ეს ვარიანტი ახალგაზრ-  
და თურქებთან, რომლებიც თურანის შექმნისაკენ მიისწრაფოდნენ,  
მხოლოდ და მხოლოდ თურქიზმს ემსახურებოდა.

თურქიზმი რომ „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიისა და  
ოსმალეთის სახელმწიფოს სახელმძღვანელო იდეოლოგია გახდა, ამას  
მოწმობს აგრეთვე ამ პარტიის ხელმძღვანელთა უშუალო დახმარე-  
ბითა და ხელისშეწყობით თურქისტულ საზოგადოებათა დაარსება  
ოსმალეთში. მათ შორის აღსანიშნავია საზოგადოება „თურქ ოჩაღი“  
ანუ „თურქული კერა“, რომელიც მუშაობას აწარმოებდა მისდამი  
დამორჩილებული ოთხი ორგანიზაციის საშუალებით. ეს ორგანიზა-  
ციები იყო:

1. „თურქთა სამშობლო“<sup>92</sup>. ორგანიზაციის მთავარი ამოცანა იყ. ა  
ნაბეჭდი ლიტერატურისა და, კერძოდ, პერიოდული პრესის საშუა-  
ლებით თურქიზმის იდეების პროპაგანდა. „თურქთა სამშობლოს“  
თურქებისათვის უნდა ჩაეგონებინა, რომ ისინი კაცობრიობის უდი-  
დეს ერს წარმოადგენენ. ამასთან დაკავშირებით თურქიზმის მოტრ-  
ფიალენი საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ლოზუნგს  
„ძმობა, ერთობა, თავისუფლება“, რომელიც ერთ დროს დიდი პოპუ-  
ლარობით სარგებლობდა თურქ ლიბერალ-მედასავლეთეებს შორის,  
ცვლიან გერმანელებიდან ნასესხები და თურქულ ყაიდაზე გადაკეთე-  
ბული ლოზუნგით: „თურქეთი ყველაზე უფრო მაღლა“. იმის და-  
სამტკიცებლად, რომ თურქი ერი კაცობრიობის უდიდესი ერია, ორ-  
განიზაციის წევრებს თურანის ისტორიის პროპაგანდა უნდა ეწარ-  
მოებინათ და დაესაბუთებინათ, რომ მბრძანებელთა როლი აღა-  
მინათა შორის თურქებს თვით განგებამ განუშნადა. ორგანიზაცია  
განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ბრძოლას ყოველი არაბუ-  
ლის წინააღმდეგ, კერძოდ, ენის საკითხებში.

ოსმალეთის იმპერიის ყველა იმ საზოგადო თუ პოლიტიკურ მო-  
ღვაწეს, რომლებიც არ იყვნენ გაქდენთილი ფანატიკური თურქიზმით,  
აცხადებდა ორგანიზაცია უცხო წარმოშობის ელემენტად, არათურ-

<sup>92</sup> Türk yurdu, ფრანგულად ამ ორგანიზაციის სახელწოდებას თარგმნიან  
როგორც La Royamme Ture, ანუ თურქთა სამეფო.

ქად და თურქული საქმის მოლაპატრედ. ასე გამოაცხადეს მოლაპატრე-  
ებად რიზა ნური<sup>34</sup> და ლუთფი ფიქრი<sup>35</sup>.

2. „კემშარიტი თურქი“. ამ ორგანიზაციის მიზანი იყო ეროვნუ-  
ლი იდეის პროპაგანდა. ეს იდეა გულისხმობდა იმპერიის არათურქუ-  
ლი მოსახლეობის გათურქებას.

3. „თურქული დროშა“. მას დავალებული ჰქონდა მომავალ ომში  
გამოსაყენებლად ოსმალეთის იმპერიის ფარგლებს გარეთ აგენტუ-  
რის შექმნა და ძირგამომთხრელი მუშაობის ჩატარება უმთავრესად  
რუსეთის ტერიტორიაზე. ორგანიზაცია აწარმოებდა თურქულ ენა-  
ზე წიგნების თარგმნასა და გამოცემას. თურქული ენა მას ეროვნულ  
იდეასთან ერთად რუსეთში უნდა გავრცელებინა, რათა რუსეთის  
მუსლიმანურ მოსახლეობასა და ოსმალეთის იმპერიას შორის კონ-  
ტაქტი დამყარებულიყო. თურქული „ეროვნული იდეის“ გავრცე-  
ლება კი ნიშნავდა თურქული ისლამიზმისა და თურქიზმის ქადაგე-  
ბას.

4. „თურქული ძალა“. ამ ორგანიზაციას ნაწილობრივ სპორტუ-  
ლი ხასიათი ჰქონდა. ორგანიზაციის წევრად შეიძლებოდა ყოფილიყო  
ყველა მხოლოდ თურქები, რომელნიც თავის მუსლიმანურ სახელს  
თურანულზე გამოიცივლიდნენ. ასე, მაგ., ჰუსეინს — ჰულაგუდ, სე-  
ლიმს — ჩინგისად და ა. შ. ორგანიზაციის ყოველი წევრი ვალდებუ-  
ლი იყო აღეთქვა, რომ ის მთელ თავის სიცოცხლეს თურქი ერის გან-  
დიდების საქმეს შეწირავდა. „თურქულ ძალას“ ფილიალების ფარ-  
თოდ განშტოებული ქსელი ჰქონდა, რომლის საშუალებითაც თურქ-

<sup>34</sup> რიზა ნური (1879—1943) — პროფესიით ექიმი. ცნობილია თავისი შრო-  
მებით შედიცინასა, ლიტერატურასა და თურქეთის ისტორიაში, კერძოდ, 14-ტომი-  
ანი თურქეთის ისტორიით. იგი „ერთიანობისა და პროგრესის“ ერთ-ერთი ცნობი-  
ლი მოღვაწეა, 1908 წლის ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის შემდეგ მიემხრა  
„თავისუფლებისა და თანხმობის“ პარტიას. ქემალისტური რევოლუციის შემდეგ  
თარჩევს დიდი ეროვნული კრების დებუტატად. მონაწილეობას იღებდა მოლაპა-  
რაკებაში რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასა და  
თურქეთს შორის 1921 წელს მოსკოვში და უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ  
რესპუბლიკასა და თურქეთს შორის 1922 წელს ხარკოვში. 1924 წელს პოლიტი-  
კურ მოღვაწეობას ჩამოშორდა.

<sup>35</sup> ლუთფი ფიქრი (1872—1934) — განათლებით იურისტი. 1910 წლიდან იყო  
ვახუთ „თანზიმათის“ გამომცემელი, რომელიც ხელისუფლების მიერ რამდენიმე-  
ჯერ იქნა აკრძალული. აკრძალვის პერიოდებში ეს ვახუთი სხვადასხვა სახელწო-  
დებით გამოდიოდა: „თემქილათი“, „თავდირათი“, „თენზიმათი“ და „თესისათი“.   
ქემალისტური რევოლუციის შემდეგ ოპოზიციაში ედგა მუსტაფა ქემალს და გა-  
ნაგრძობდა საადვოკატო მოღვაწეობას.

თა ისტორიის პრობაგანდა წარმოებდა. [საზოგადოებამ არც თურქი ქალები დაივიწყა, რამდენადაც ისინი მომავალი თაობის აღმზრდელნი არიან. ამიტომ კვირაში 3 დღე ეთმობოდა თურქიზმის პროპაგანდას განდას ქალთა შორის, რათა ქალებსაც ჰქონოდათ სათანადო მომზადება ბავშვების თურქისტულ იდეებზე აღსაზრდელად.

ეს ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა „რელიგიის ნაციონალიზაციას“ და მკვეთრად ილაშქრებდა ყოველივე არაბულის წინააღმდეგ. „ყურანი“ ითარგმნა ძველ თურქულ ენაზე და საქმე იქამდე მივიდა, რომ მეჩეთებში დაიწყეს არაბული წარწერების ჩამოხსნა, ვინაიდან ორგანიზაციის ხელმძღვანელთა განცხადებით, არაბული წარწერები და საერთოდ ყოველივე არაბული ასუსტებს თურქთა ეროვნულ გრძნობას\*.

ამრიგად, ეს იყო საბოლოო გამიჯვნა ყოველივე არაბულიდან, ოსმანიზმის კრიზისმა თავი იჩინა თავდაპირველად ალბანელებსა და სომხებთან ურთიერთობაში, ხოლო მისი საბოლოო მარცხი აშკარა გახდა ბალკანეთის ომების პერიოდში. ბალკანეთის ომებმა დაამტკიცეს, რომ ოსმალეთის იმპერიის არათურქი მოსახლეობა არ არის იმპერიის ერთგული და მისი ერთიანობის მოსურნე. პირიქით, ის მოჩვენებითი თანხმობა ერებს შორის, რომელიც ზოგჯერ თითქოს იქმნებოდა ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის წინ, რევოლუციის შემდეგ არც ერთხელ არ განმეორებულა. ერთა შორის თანხმობა სუსტდებოდა თურქიზმის გაძლიერებასთან ერთად. იმპერიის არათურქ მოსახლეობას ოსმალური პატრიოტიზმი არ აღმოაჩნდა; ეს შეუძლებელიც იყო, ვინაიდან საამიო პოლიტიკური და ეკონომიური პირობები თურქეთში არ არსებობდა. სოლიდარობა დაპყრობილსა და დამპყრობს შორის ისეთი ფორმულის საფუძველზე, რომელიც ახანგრძლივებდა და განამტკიცებდა დამპყრობლის ბატონობას, შეუძლებელი იყო.

თურქისტებმა წამოაყენეს ისლამიზმის ახალი ვარიანტი — ჯერ თურანის შექმნა, ხოლო შემდეგ — მის გარშემო ისლამის სამყაროს დარაზმვა: „გაერთიანებული და დამოუკიდებელი თურანი უნდა გახდეს მუსლიმანური სამყაროს მიმზიდველობის ცენტრი, — წერდა თექინ ალფი, — არაბეთი, ეგვიპტე, მაროკო, ალჟირი, ტუნისი, სპარსეთი, ავღანეთი და სხვანი, შეინარჩუნებენ რა დამოუკიდებლობას შინაგან საქმეებში, ყოველთვის უნდა გამოდიოდნენ ერთიანი ფრონ-

\* ორგანიზაციათა დახასიათება მოცემულია წიგნით B. G. Gaulis, დასახ. ნაშრომი, 73—74.

ტით გარე სამყაროს წინაშე, მაჰმადიანური სამყარო უნდა განსტეკ-  
განუყოფელ პოლიტიკურ ერთეულად“<sup>91</sup>.

ბალკანეთის ომებში ოსმანიზმის მარცხის შემდეგ <sup>ნაგრიზონა</sup>  
ლად ძლიერდება თურქიზმი, რომელიც ცხოვრების ყოველ სფერო-  
ში კიდევ უფრო მკვეთრად უარყოფს ყოველივე არათურქულს.  
ნდობა ენიჭებოდა მხოლოდ წარმოშობით. თურქს, დანარჩენები კი,  
მიუხედავად იმისა, იყვნენ ისინი მუსლიმანები თუ ქრისტიანები,  
ცხადდებოდნენ თურქეთისათვის არასაიმედო პირებად. ჰმ მხრივ და-  
მახასიათებელია დიალოგი, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველი  
მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ერთ თურქ ოფი-  
ცერსა და მის მსმენელებს, თადარიგის ოფიცრებს შორის: „ჩვენ,  
ბატონებო, უპირველეს ყოვლისა ვართ თურქები, — განაცხადა  
თურქმა ოფიცერმა. მე ჩემ თავს ვეკითხები, რატომ გვიწოდებენ  
ჩვენ ოსმალებს? ვინ არის ის ოსმანი, რომლის გამოც ჩვენ მოგვცეს  
სახელი? ის ალტაელი თურქია, რომელმაც თურქების ლაშქრით და-  
იპყრო ეს ქვეყანა. ამიტომ ჩვენთვის უფრო საპატიოა ვიწოდებო-  
დეთ იმ ხალხის სახელით, რომელსაც ოსმანი ეკუთვნოდა, ვინემ თვით  
ოსმანის სახელით. მეგობრებო, თქვენ მალე ჯარში წახვალთ და გახ-  
დებით ჩვენი გმირი ჯარისკაცების მეთაურები. შთააგონეთ მათ, რომ  
ისინი თურქები არიან, ებრძვიან მტერს თურქეთისა და თურქული  
დროშისათვის და მოაპოვებენ გამარჯვებას. იცოდეთ, რომ თურ-  
ქული ეროვნება ჩვენ გვირჩევენია ისლამს და რომ რასობრივი სიამა-  
ყე ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი სოციალური მადლია“.

ამ სიტყვების გაგონებისას ერთმა მსმენელმა, არაბმა თადარი-  
გის ოფიცერმა, პროტესტი განაცხადა: „ყველა ოსმალო — თქვა  
მან — თურქი არ არის და თუ ჩვენ ოსმალეთის იმპერიას განვიხი-  
ლავთ როგორც წმინდა თურქულს, მაშინ ყველა არათურქი მისთვის  
უცხო იქნება. ეს იმის მაგივრად, რომ ისინი ორგანულ ნაწილს შეა-  
დგენდნენ იმ პოლიტიკური ორგანიზმისა, რომელსაც ოსმალეთის იმ-  
პერია ეწოდება“.

არაბი ოფიცრის ასეთ შენიშვნაზე თურქმა ოფიცერმა უბასუხა:  
„იცოდეთ, რომ ფაქტები განსხვავდებიან გრძნობებისაგან. თქვენ არა-  
ბი ხართ, მაგრამ თქვენ და თქვენი რასა თურქეთის ქვეშევრდომებს  
წარმოადგენთ. განა თურქებმა არ მოახდინეს თქვენი ქვეყნის კოლო-  
ნიზაცია? და განა მათ არ დაიპყრეს თქვენი ქვეყანა მახვილით? ოს-  
მალთა სახელმწიფო, რომლის სასარგებლოდაც თქვენ ახლა ლაპა-  
რაკობთ, მხოლოდ პოლიტიკურ თვალთმაქცობას წარმოადგენს. რი-

<sup>91</sup> Tekin Alp, Turkismus und Panturkismus, Weimar, 1915, ციტირებუ-  
ლია წიგნიდან Заповедя, დასახ. ნაშრომი, 107.

თაც თქვენ სარგებლობთ, რათა მიალწიოთ თქვენს მიზნებს. რაც შეეხება რელიგიას, მას არა აქვს რაიმე დამოკიდებულება პოლიტიკასთან“.

ამ სიტყვების შემდეგ თურქმა ოფიცერმა მიმართა იქ მყოფ თურქ თადარიგ ოფიცერებს შემდეგი სიტყვებით: „მალე ჩვენ წავალთ წინ თურქეთისა და თურქული დროშის სადიდებლად და ყუოადლებას არ მივაქცევთ რელიგიას, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ პირად და მეორეხარისხოვან საქმეს, თქვენ და თქვენ ერს კარგად უნდა გასმოდეთ, რომ თქვენ თურქები ხართ, და არ არის არაფერი, რასაც მსგავსება ჰქონდეს არაბ ერთან და არაბულ სამშობლოსთან. დააყენეთ არაბები მოწინააღმდეგეთა ტყვიებზე. ეს მათი თავიდან მოცილების საუკეთესო საშუალება იქნება. არაბების სიკვდილი წმინდა მოგებაა ჩვენთვის“<sup>95</sup>.

[თურქიზმის მიმდევართა რწმენით, თურქული საქმისათვის, ანუ თურანის შექმნისათვის ერთგული მებრძოლი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ თურქი, ხოლო თურქიზმის იდეების გამავრცელებელი კი მხოლოდ ახალი ინტელიგენცია—მასწავლებლები, ექიმები, ოფიცრები, რომელთაც ეკისრებოდათ თურქიზმის პროპაგანდა იმპერიის შიგნით და მის გარეთ.

ამ საკითხთან დაკავშირებით როგორც თურქიზმი, ასევე ევროპის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია მიუთითებდა, რომ ანატოლიასა და ბალკანეთში თურქთა წინაშე წარმოიშვა იგივე საშიშროება, რომელიც წარმოიქმნა არაბების წინაშე ესპანეთში და მონღოლთა წინაშე ინდოეთში; როდესაც პირველნიც და მეორენიც გაითქვიფნენ ადგილობრივ მოსახლეობაში და საბოლოოდ მოისპნენ. ეს რომ არ განმეორებულყო თურქთა მიმართ ანატოლიაში, საჭირო იყო თურქების სოციალური ბაზისის რეორგანიზაცია. ამ მიზნის მისაღწევად თავისი საზოგადოების ზედა ფენა თურქებს ინტელიგენციის სათანადო ბირთვით უნდა გაეძლიერებინათ.

ასეთ ინტელიგენტ-პროპაგანდისტ „მასწავლებელთა“ მომზადების მიზნით ახალგაზრდა თურქებმა შექმნეს „დარ ოლ მოალემინ“—სამასწავლებლო სემინარიები, სადაც მხოლოდ „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრ თურქებს იღებდნენ. ამ სკოლებში სწავლება გაქვნილი იყო რასისტული სულით, ხოლო სწავლის მიზანი და პროგრამა გამოხატული იყო ლოზუნგით „ყველა მუსლიმანი გადაიქცევა თურქად“<sup>96</sup>.

თურქიზმის პროპაგანდისტთა ეს მრავალრიცხოვანი კადრი, რომელიც თურქეთში მზადდებოდა, განკუთვნილი იყო მსოფლიოს იმ

<sup>95</sup> L'Asie française, Avril—Juin, 1917, № 169, 72.

<sup>96</sup> Лахути, Курдистан и курды, журнал „Новый Восток“, 1923, № 4, 65.

რაიონებისათვის, სადაც, ახალგაზრდა თურქთა რწმენით, თურქული მოსახლეობა არსებობდა. ახალგაზრდა თურქები ამ შემთხვევაში ეყრდნობოდნენ სტატისტიკურ მონაცემებს, სადაც თურქებად იყვნენ მიჩნეული არა მარტო თურქული ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე პირები, არამედ ხშირად საერთოდ მუსლიმანები. ამგვარი სტატისტიკური მონაცემებიდან აღსანიშნავია ე. დენის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობები, რომელთა თანახმად 1914 წლისათვის თურქების ძირითადი მასა შემდეგ ქვეყნებში მოსახლეობდა:

1. თურქეთი	— 10. 000. 000	სულ
2. რუსეთი	— 19. 000. 000	"
3. სპარსეთი	— 2. 500. 000	"
4. ჩინეთი	— 1. 800. 000	"
5. ავღანეთი	— 500. 000	"
6. ბალკანეთი	— 800. 000	"

სულ 34.600.000<sup>100</sup> "

ამრიგად, ახალგაზრდა თურქთა მიერ მომზადებული პროპაგანდისტების უმრავლესობა რუსეთისაკენ უნდა გამგზავრებულიყო, რათა ამ 19 მილიონ თურქში შეეტანა თურქიზმის იდეები და გაეხადა ისინი თურქების პატრიოტებად, სინამდვილეში კი ეწარმოებინა ჯაშუშური საქმიანობა და მოეშაადებინა დივერსიული აქტები ომის დაწყების შემთხვევაში. ამიტომ თურქების შექმნა და თურქთა პოლიტიკური ერთიანობის მიღწევა, თურქიზმის რწმენით, შესაძლებელი იყო მხოლოდ ომის შედეგად, რომელიც რუსეთის ძლიერებას მოსპობდა. ამრიგად, თურქიზმი ვარაუდობდა გარდუვალ შეტაკებას რუსეთთან, და სათანადო მზადება თურქეთში დაიწყო კიდევ დაუყოვნებლივ ბალკანეთის ომების დამთავრების შემდეგ, როდესაც ოსმანიზმმა საბოლოო მარცხი განიცადა და თურქიზმი გახდა ოსმალეთის სახელმწიფოს წარმმართავი იდეოლოგია.

ამ დროიდან დაწყებული რუსეთში გაგზავნილი თურქი ემისრები რიცხვი გამუდმებით იზრდებოდა. პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე ახალგაზრდა თურქთა ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე აბდულაჰ სუბუჰი ბეი ამბობდა: „თურქეთი ხდება თავისი აზიელი მეზობლების განმათავისუფლებელი. კონსტანტინოპოლი ყველა მუსლიმანისათვის განათლების ცენტრს წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით ითქმის ყირიმის, ციმბირისა და ბუხარელი თურქების მიმართ. მე შევხვდები ახლა რამდენიმე ჩემს ყოფილ მოწაფეს იმ დღეება-

<sup>100</sup> M. Larcher, დასახ. ნაშრომი, 23.

ციების შემადგენლობაში, რომელთაც ბუხარა ჩვენთან ავზავნის. როგორც კი დაიდება ზავი, მცირე აზიის (ანატოლიის—ო. გ.) სკელებზე აივსება ცენტრალური აზიიდან ჩამოსული ახალგაზრდებით, სინდონი სი იღვიძებს ყველა ჩვენგანის გულში და ეს ხდება ჩინეთისა და ციმბირის ყველაზე უფრო მივარდნილ კუთხეებშიდაც კი. ყირიმში, ბუხარაში, აზერბაიჯანში პოეტები წერენ იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობენ კონსტანტინოპოლში. ყველა ქვეყანაში გამოდის გაზეთები, რომლებიც ავრცელებენ ოსმალურ თურქულს. მთელ აზიაში კონსტანტინოპოლურ ენას უწოდებენ ლამაზ თურქულს. სასკოლო, ლიტერატურული და მეცნიერული წიგნები თურქულ ენაზე მიღებულია თურქული აზიის ყველა სკოლაში. ახალგაზრდობა ამ შორეული მხარეებიდან ჩვენთან ჩამოდის. ლებულობს განათლებას და ბრუნდება შინ ჩვენი იდეებით გამსჭვალული. ამ იდეებს ისინი ავრცელებენ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ვინაიდან ჩვენი აზრები ერთნაირია<sup>101</sup>.

რამდენადაც, თურქიზმის აზრით, ოსმალეთის იმპერია თურქული მოდემის ხალხთა შორის ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, იგი იღებს თავის თავზე ვალდებულებას გამოუზარდოს თურქულ სამყაროს თურქული საქმისათვის მებრძოლთა კადრი. ერთი მხრით თურქეთიდან რუსეთს მიემგზავრებიან თურქიზმის მქადაგებლნი, ხოლო, მეორე მხრით, რუსეთის მუსლიმანთაგან თურქეთში ჩაპყავთ ახალგაზრდობა, რათა მათგან თურქიზმის საქმისათვის ერთგული მებრძოლნი აღზარდონ.

ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ემისრების ჩამოსვლა რუსეთში განსაკუთრებით გახშირდა ახალგაზრდა თურქთა 1908 წლის რევოლუციის შემდეგ. ბევრი მათგანი რუსეთის ტერიტორიაზე არალეგალურად ვადმოდიოდა. 1908—1909 წლებში ეს ემისრები ბუხარამდე აღწევენ. მათ შორის ოსმალეთის იმპერიის მაღალი თანამდებობის პირებიც იყვნენ. უსე, მაგალითად, იმ წლებში ბუხარაში ჩავიდა თურქეთის სულთნის ყოფილი ადიუტანტი ისმაილ ჰაქი ბეი. შემდგომში ახალგაზრდა თურქთა მთავრობის წევრი. მათი მეშვეობით თურქიზმი და ისლამიზმი ვრცელდება ბუხარელ ფეოდალთა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის წრეებში და ხდება ნაციონალისტური ჯგუფების იდეოლოგიური დასაყრდენი.

ოსმალთა ემისრები ადგილობრივი ხანებისა და ბეგების დახმარებით ავრცელებენ თურქულ გაზეთებს, დადიან სოფლიდან სოფლად ვრცელდება ისეთი მწერლების ნაწერები, როგორიც არის მეჰმედ

<sup>101</sup> Berthe Georges—Gaulis, Angora, Constantinople, Londres, Mustafa Kèmal et la politique anglaise en Orient, Paris, 15—16.

ეპინი. მას „კითხულობდნენ აზერბაიჯანში, ყირიმში, ბუხარაში, ყაზანში“<sup>102</sup>, რუსეთის მუსლიმანებს უწევდნენ აგიტაციას, რომ თავისი შვილები მათ მიაბარონ მხოლოდ თურქულ სკოლებში. შემდგომში ვ. ვ. თოდანი, თანამედროვე თურქიზმის ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე, სტატიაში „იდეოლოგიური კრიზისი თურქებს შორის“ წერდა: „ჩვენ მხოლოდ ახლა ვისხენებთ და ვაფასებთ, თუ რა დიდი გავლენა ჰქონდა ოსმალეთის თურქების ლიტერატურას და სხვ. რუსეთის თურქებზე ევროპული ომის წინ.“<sup>103</sup>

ოსმალეთის ემისრების ზეგავლენით ზოგიერთი მუსლიმანი რუსეთიდან კონსტანტინოპოლს მიემგზავრება, რომ იქ სასკოლო საქმეს გაეცნოს. ოსმალეთში რუსეთის მუსლიმანები კონტაქტს ამყარებენ ახალგაზრდა თურქთა ლიდერებთან, რომელთა დახმარებით სტამბოლში შეიქმნა „ბუხარაში სასარგებლო ცოდნათა გამავრცელებელი საზოგადოება“. საზოგადოების წესდება ნათლად მტყვევლებს, რომ ის წარმოადგენდა წმინდა ჯაშუშურ ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავდა დახმარებოდა ოსმალეთსა და მის მოკავშირეებს შუა აზიის დაპყრობაში. წესდების მე-4 მუხლში ვკითხულობთ, რომ საზოგადოების ამოცანაა ბუხარელი ღარიბი ქაბუკებიდან და ქალიშვილებიდან აღზარდოს საიმედო აგიტატორები, რომლებიც საზოგადოების დირექტივებითა და მითითებებით იმუშავენ.<sup>104</sup>

საზოგადოება ქმნიდა კადრს, რომელსაც ომის შემთხვევაში უნდა ეწარმოებინა ძირგამომთხრელი მუშაობა რუსეთის ტერიტორიაზე. ენვერ ფაშა, ისევე როგორც ახალგაზრდა თურქთა სხვა ლიდერები, მოითხოვდა მათგან აქტიური ბრძოლის გაშლას რუსეთის არმიის ზურგში პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. მართლაც, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სტამბოლში განათლებამიღებული ბუხარელები ოსმალებმა რუსეთში შემოაგზავნეს, სადაც მათ ახალგაზრდა თურქთა წამბაძველობით „ახალგაზრდა ბუხარელთა“ პარტია შექმნეს. შუა აზიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სტამბოლში აღზრდილი „ახალგაზრდა ბუხარელები“, ისეთები, მაგალითად, როგორნიც იყვნენ ოსმან ხოჯა, ჰაშიმ შაიქი, ყულუმჰამედოვი და სხვანი, ბასმაჩებს უერთდებიან<sup>105</sup>, არც ის არის შემთხვევითი, რომ მსოფლიო ომში თურქეთის დამარ-

<sup>102</sup> Berte Georges—Gaulis, Angora, Constantinople, Londre, Moustafa Kèmal et la politique anglaise en Orient, 1922, 13.

<sup>103</sup> „Türk yurdu,“ 1926, № 24, ციტირებულია ჟურნალით „Новый Восток“ № 24, 251.

<sup>104</sup> М. Н. Под знаком Ислама, „Новый Восток“, кн. 4, 1923, 90.

<sup>105</sup> იქვე.

ცხების შემდეგ ენვერ ფაშა შუა აზიაში მიდის და იქ სარდლობას უწევს ბასმაჩთა რაზმებს, რომელთა მეთაურებს შორის მრავალი იყვნენ მისი სტამბოლელი მოწაფეები.

რუსეთში ძირგამომთხრელი მუშაობის წარმოება თურქებისათვის ახალი რამ არ იყო. ამ მხრივ მათ საკმაოდ დიდი გამოცდილება კავკასიის ომებმა მოუტანა. 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ოსმალებმა ინგლისელების მხარდაჭერით კვლავ სცადეს თავისი ემისრების დახმარებით შეიარაღებული აჯანყება მოეწყოთ ჩრდილო-კავკასიაში. ამ ომის შემდეგაც ოსმალეთს უარი არ უთქვამს რუსეთთან ბრძოლის ასეთ ტაქტიკაზე. 80-ან წლებში გაძლიერდა რუსეთიდან მუსლიმანთა წასვლა ოსმალეთში „სასწავლებლად“. თავისი აგენტურის შესაქმნელად თურქეთი ფართოდ იყენებდა აგრეთვე მუჰაჯირობას. რუსეთიდან მექასა და მედინაში სალოცავად წასულთა ნაწილი თურქეთის დაზვერვის ხელში მოხვდა და დაბრუნების შემდეგ თურქეთის სასარგებლოდ მუშაობდა. 3

ასე გაჩნდნენ რუსეთის ტერიტორიაზე მუსლიმანურ მოსახლეობაში როგორც ცალკეული პირები, ისე მთელი ნაციონალისტურაჯგუფები, რომლებიც „ეროვნული საქმის“ ნიღაბქვეშ ცდილობდნენ ამ მოსახლეობაზე ოსმალეთის ბატონობა დაემყარებინათ. ეს „ეროვნული საკითხი“, რომელიც ამ პირებმა და აჯგუფებმა წამოაყენეს, აშკარა და შეუნიღბავ თურქიზმსა და ისლამიზმს წარმოადგენდა. რუსეთში თურქიზმის გამავრცელებელთა შორის გამოირჩეოდნენ ალი ჰუსეინზადე, იუსუფ აქჩურა, ისმაილ გასპირალი, არიფ ქერიმოვი, ზეჟი ველიდი, მარიამ პარაჩოვა და სხვები. აღსანიშნავია, რომ თურანიზმის ერთ-ერთ პირველ გამოვლინებას წარმოადგენდა რუსეთიდან კონსტანტინოპოლში ჩასული ალი ჰუსეინზადეს<sup>106</sup> ლექსი

<sup>106</sup> ალი ჰუსეინ-ჰუსეინზადე თურანი (1864—1941) დაიბადა სალანში (აზერბაიჯანი). საშუალო განათლება მიიღო თბილისში. შემდეგ დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1889 წელს შეემგზავრება სტამბოლს, სადაც შედის სამხედრო-სამედიცინო სასწავლებელში. მონაწილეობს თურქეთ-საბერძნეთის ომში. 1903 წელს, როგორც სულთან აბდულჰამიდის წინააღმდეგ მებრძოლი მიდის ემიგრაციაში და ბრუნდება რუსეთში, სადაც აწარმოებს თურქიზმის პროპაგანდას. ბაქოში მან დააარსა ყოველდღიური გაზეთი „კაიათი“ (ცხოვრება) და ყოველკვირეული „ფიუზჰაითი“ (ღია სივრცე) და რედაქტორობდა ბაქოს რუსულ გაზეთს „კასპიას“. 1909 წელს ბრუნდება ოსმალეთში. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ეწეოდა თურქიზმის პროპაგანდას ვეროპოში და მოათხოვდა აზერბაიჯანის გამოყოფის რუსეთიდან. ქეშალისტური რევოლუციის შემდეგ მიიღო პროფესორის წოდება მედიცინის დარგში.



„თურანი“ ალი ჰუსეინზადემ შემდეგ თვითონაც გეარად თურ-  
ნი დაირქვა. მის გარშემო შემოიკრიბენ აზერბაიჯანელი ბურჟუაზი-  
ული ნაციონალისტები როგორც აზერბაიჯანში, ისე თურქეთში.

თურქისტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იუსუფ აქჩურას<sup>167</sup>, რომელიც ზია გიოკალბთან ერთად ქმნის თანამედროვე თურანიზმს. განსაკუთრებით აღსანიშნავია იუსუფ აქჩურას სტატია „სამი პოლიტიკური სისტემა“, რომელიც დაიბეჭდა კაიროს გაზეთ „თურქში“. ამ სტატიაში აქჩურამ ჩამოაყალიბა თურანიზმი. მან მძაფრად გაილაშქრა ოსმანიზმის წინააღმდეგ, რომელიც, მისი აზრით, განუხორციელებელია, რადგან იგი აცხადებს ოსმალეთში მცხოვრებ ყველა ერის თანასწორუფლებიანობას და ამით არ აძლევს საშუალებას თურქებს იყოს გაბატონებული ერი, ათანასწორებს ქრისტიანებსა და მუსლიმანებს, რაც ეწინააღმდეგება ისლამის კანონებს. ოსმანიზმში, აქჩურას აზრით, მიუღებელია თურქთა მიერ დაპყრობილ ხალხთათვის, ვინაიდან მათ იმპერიიდან გამოყოფა სურთ, რუსეთისათვის, რომელიც სრუტეებისაყენ მიისწრაფვის, და ევროპის ქვეყნებისათვის, ვინაიდან ამ ქვეყნებს სურთ თურქების განდევნა ევროპიდან. რაც შეეხება ისლამიზმს, იგი მუსლიმანურ ქვეყნებში დაუპირისპირდა მზარდ ეროვნულ გრძნობებს და ეწინააღმდეგება კოლონიების მფლობელი ქვეყნების ინტერესებს. ამრჩვად, არც ოსმანიზმი და არც ისლამიზმი არ შეიძლება ჩაითვალოს ოსმალეთის იმპერიის აღორძინების ფაქტორად.

ოსმალეთის იმპერიის შიგნით იმპერიის დამცველი ერთადერთი ელემენტი არის თურქობა, ხოლო იმპერიის ფარგლებს გარეთ, თავისი ძლიერების აღდგენისას, ოსმალეთს შეუძლია დაეყრდნოს მხოლოდ თურქულ ელემენტს. როგორც ოსმალეთის იმპერიის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებმა თურქებმა ამიერიდან მთელი ენერგია უნდა წარმართონ სახელმწიფოებრივი ერთიანობის

<sup>167</sup> იუსუფ აქჩურაოღლუ (1876—1933) დაიბადა სამარაში მეფაბრძოლის ოჯახში. მშობლებმა ჯერ კიდევ ბავშვობისას გაგზავნეს სასწავლებლად სტამბოლში, სადაც იღებს საშუალო განათლებას და შედის სამხედრო სასწავლებელში. შემდეგ მიდის პარიზში, იქიდან კი ბრუნდება რუსეთში და თანამშრომლობს ყაზანის გაზეთ „ვაკითსა“ და ბახჩისარაის გაზეთ „თურქუმანში“. ორივე გაზეთი თურქიზმს ქადაგებდა. 1908 წელს დაბრუნდა სტამბოლში, სადაც ხელმძღვანელობს თურქისტების ორგანოს „თურქ იურდუს“. ხოლო სტამბოლის უნივერსიტეტში კითხულობს ისტორიის კურსს. პირველი მსოფლიო ომის დროს კვლავ ჩამოღის რუსეთში „წითელი ნახევარმთვარის“ ორგანიზაციის წარმომადგენლის სახით და ეწევა ჯანმრთელობის საქმიანობას. ქემალისტური რევოლუციის შემდეგ შეშაობს ანკარაში ოურიდიული ფაქულტეტის პროფესორად.

შესაქმნელად. ამრიგად, თურანიზმს არა აქვს ის უარყოფითი თვისებები, რომლებიც აქვთ ოსმანიზმსა და ისლამიზმს. ამავე დროს, თურანიზმი მიმართულია არა კოლონიების მფლობელი ქვეყნების წინააღმდეგ საერთოდ, არამედ ძირითადად რუსეთის წინააღმდეგ, რომლის დამარცხება, აქტურას აზრით, მიუხედავად მისი სიდიდისა, მაინც შესაძლებელია.

ამრიგად, — განაგრძობს აქტურა, — თუ ოსმანიზმი და ისლამიზმი მიუღებელია როგორც რუსეთისათვის, ასევე ევროპისათვის, სამაგიეროდ, თურანიზმი მიუღებელია მხოლოდ რუსეთისათვის. რაც შეეხება ევროპის დიდ სახელმწიფოებს, ისინი არა თუ არ შეუშლიან ხელს ოსმალეთს თურანის შექმნაში, არამედ, პირიქით, ხელსაც კი შეუწყობენ მას. ამრიგად, თურქეთი ევროპის დახმარებით რუსეთის ხარჯზე შექმნის თურანს.<sup>108</sup>

ალი ჰუსეინზადესა და იუსუფ აქტურაზე უფრო ადრე თურქისტულ-ისლამისტური მოღვაწეობა რუსეთში ისმაილ გასპირალიმ<sup>109</sup> დაიწყო. მან სათითაოდ დაიარა რუსეთის მუსლიმანებით დასახლებული პუნქტები, ესწრებოდა ბაზრობებსა და დღეობებს, სადაც აწარმოებდა პროპაგანდას თურქეთის სასარგებლოდ. ყვაახანებთან გახსნა საღამოს სკოლები, რომ იქ მუსლიმანებისათვის თურქული წერა-კითხვა ესწავლებინა.

დღევანდელ თურქეთში გასპირალის განსაკუთრებით დიდად აფასებენ იმის გამო, რომ მან გაილაშქრა თათრულ, ბაშკირულ, აზერბაიჯანულ, თურქმენულ და თურქული ჯგუფის სხვა ენების არსებობის წინააღმდეგ და ცდილობდა ყველა მათთვის დაენერგა ერთი საერთო ენა. ასეთ ენად გასპირალის მიჩნეული ჰქონდა ოსმალური, რომელსაც დაემატებოდა თურქული ჯგუფის სხვა ენებიდან აღებული სიტყვები. ამ ენაზე გამოდიოდა მისი გაზეთი „თერჯუმანი“. ამ ენას მრავალი თავისებურება გააჩნია და ცნობილია რო-

<sup>108</sup> Зареванд, დასახ. ნაშრომი, 56—57.

<sup>109</sup> ისმაილ ბეი გასპირალი (1851—1914) წარმოშობით იყო ყირიმელი თათარი. დაიბადა ყირიმში ბახჩისარაის მახლობლად. სწავლობდა ევროპეის კადეტთა კორპუსში, შემდეგ სწავლას განაგრძობს მოსკოვში. მოსკოვში სწავლას დროს სცადა თურქეთში გაქცევა, რათა დახმარებოდა თურქებს კენძულ კრებულზე აჯანყებული ბერძენების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ოდესიდან მას რუსეთის ხელისუფალნი უკანვე აბრუნებენ. სწავლის დამთავრების შემდეგ მიემგზავრება პარიზში, შემდეგ სტამბოლში, სადაც ეყრნალისტობს. რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ ბრუნდება ყირიმში, რუსეთში აარსებს გაზეთებს „თუნგუს“ და „თერჯუმანი“. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მოგზაურობს ევროპტესა და ინდოეთში, სადაც ეწეოდა ისლამიზმის პროპაგანდას.

გორც „გასპირალის ენა“. თავის ნაწერებში გასპირალი რუსეთის მუსლიმანებს არწმუნებს, რომ ისინი როგორც ენობრივად, ასევე რელიგიურად ქვემარტ თურქებს წარმოადგენენ. თურქისტი იბრაჰიმ ქაფესოღლუ ნარკვევში „თურქიზმის ისტორია“ გასპირალის ზია გიოკალს უტოლებს და მას რუსეთის მუსლიმანთა შორის თურქიზმის იდეების გავრცელების მთავარ დამსახურებას მიაწერს. ქაფესოღლუს თქმით, გასპირალი იყო მასწავლებელი, რომელმაც მთელი თავისი მოღვაწეობა მოანდომა ყირიმში, კავკასიაში, ურალზე და შუა აზიაში გაბნეულ თურქთათვის ახალი ცხოვრების (იგულისხმება თურქიზმი—ო. გ.) გაცნობას და რომელმაც ბევრი გააკეთა თურქი ერის გასაერთიანებლად და მისი „თურქთა ერის“ იდეასთან დასაახლოებლად.<sup>110</sup>

[თურქიზმი რუსეთში პირველ ხანებში მოქმედებს ლოზუნგით „ენის ერთიანობა“. ამ პერიოდში წარმოებს თურქიზმის იდეების გაძლიერებული პროპაგანდა, უმთავრესად პრესის საშუალებით, მაგრამ მალე ეს ლოზუნგი იცვლება ახლით—„ერთიანობა საქმეში“. ამ დროიდან იქმნება მრავალი ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს ოსმალეთის იმპერიის დაპყრობითი მიზნებისათვის ხელისშესაწყობად თურქიზმის მომხრეთა დარაზმვას. მსგავს ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ოსმალეთის იმპერიას განიხილავდნენ როგორც თავის ნამდვილ სამშობლოს. ასე, მაგალითად, ზეჟი ველიდი წერდა: „აღმოსავლელი თურქების სისხლითი ძმების თურქეთის თურქების ქვეყანა (ე. ი. ოსმალეთი — ო. გ.) უპირველეს ყოვლისა თურქული ეროვნული აღზრდის ცენტრია“<sup>111</sup>. იგივე აზრს იმეორებდა ალაშორდელთა ბელადი მუსტაფა ჩოქაევი: „ჩვენ—თურქმენები, უზბეკები, ყაზახები, ყირგიზები, ბაშკირები, თათრები — ყველანი ერთი დიდი თურქული ოჯახის წევრები ვართ. ყველანი ჩვენ ვცდილობთ ვიყოთ ერთიანი სახელმწიფოს შემქმნელი თურქი ერი“<sup>112</sup>.

იმ ორგანიზაციათა რიცხვს, რომლებიც ცდილობდნენ განეხორციელებინათ რუსეთის მუსლიმანთა მოქმედების ერთიანობა, ეკუთვნიან ყოველგვარი „მუსლიმანური“ პოლიტიკური პარტიები მსგავსად აზერბაიჯანული მუსავათისა.

<sup>110</sup> იბრაჰიმ ქაფესოღლუს შენიშვნები წიგნში: L. Rásonyi, დასახ. ნაშრომთა, 136.

<sup>111</sup> Z. V. Toğan. Türkili, Ankara, 1943, 593.

<sup>112</sup> „Новый Восток“, № 22, 251.

ოსმალეთის ემირები ადგილობრივ კადრებზე დაყრდნობით ცდილობდნენ შეექმნათ სრულიად რუსეთის მუსლიმანთა გამაერთიანებელი ორგანიზაციები, რომლებიც არ იქნებოდნენ გამაგრებული აზერბაიჯანის, ყირიმის ან რომელიმე სხვა მხარის ვიწრო ფარგლებში. 1905 წელს ნიუნი ნოვგოროდში შეიკრიბა მუსლიმანთა სრულიად რუსეთის პირველი კონგრესი, რის შემდეგაც ასეთი კონგრესების მოწვევა სისტემად იქცა. თუ რას წარმოადგენდნენ ისინი, კარგად ჩანს მუსლიმანთა სრულიად რუსეთის მესამე კონგრესის დადგენილებებიდან. ამ კონგრესმა, რომელსაც 800 დელეგატი ესწრებოდა (შეიკრიბა ქ. მაკარიევში. კადეტისა და მუსსავათელის, სახელმწიფო სათათბიროს წევრის ალი მარდან ბეკ თოფჩიბაშევის თავმჯდომარეობით), დაადგინა შემოიღოს ოსმალური ენა და ოსმალეთის იმპერიის სკოლების პროგრამები რუსეთის იმ სკოლებში, რომლებიც მუსლიმანებისათვის არის განკუთვნილი<sup>113</sup>.

თურქისტულ ორგანიზაციათა ნაწილი მოქმედებდა საქველმოქმედო დაწესებულებათა ნიღაბქვეშ. 1912 წელს, ბალკანეთის ომის დროს, რუსეთის მუსლიმანები ხელისმომწერითა და წითელი ნახევარმთვარის დახმარებით აგროვებენ და ოსმალეთში გზავნიან თანხებს, მედიკამენტებს და სხვ. ყველაფერი ეს თურქეთში იგზავნებოდა თურქისტული ორგანიზაციის „თურქ ოჩაღის“ მისამართით,<sup>114</sup> რაც ამტკიცებს იმას, რომ ყოველი ამგვარი „საქველმოქმედო“ ორგანიზაცია სინამდვილეში მხოლოდ „თურქ-ოჩაღის“ ფილიალს წარმოადგენდა.

თურქისტულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც მრავლად ჩამოყალიბდნენ რუსეთის ტერიტორიაზე, შექმნეს ფართოდ განშტოებული ქაშუშური ქსელი.

პირველი მსოფლიო ომის დროს ეს ორგანიზაციები უშუალოდ საშხედრო დახმარებას უწევდნენ თურქეთსა და გერმანიას. ასეთ დახმარებას წარმოადგენდა, მაგალითად, რუსეთში სამხედრო ტყვეთა ბანაკებიდან თურქი ოფიცრებისათვის გაქცევის მოწყობა. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია იყო „ასტარის-მუსლიმანური კომიტეტი“, რომელიც მოქმედებდა რუსეთ-სპარსეთის საზღვარზე. მისი დახმარებით 1915 წლის 2 აგვისტოს რუსეთის ტყვეობიდან გაქცეული თურქი გენერალი 6 თურქ ოფიცერთან ერთად სპარსეთში გადავიდა. „ასტარის მუსლიმანურ კომიტეტს“ უშუალოდ კავშირი ჰქონდა მუსსავათის პარტიასთან და ამ პარტიის ხელმძღვანელო-

<sup>113</sup> La Revue politique internationale, vol. 18. Janvier—Mars 1920, 65; Revue du Monde musulman, vol. LXI, Décembre. 1923, 140.

<sup>114</sup> M. Larcher, დასახ. ნაშრომი, 26.

ბასთან ბაქოში და ჯენგალიელთა საზოგადოებასთან სპარსეთში. ეს უკანასკნელი კი მოქმედებდა ამ დროს თურქებისა და გერმანელების უშუალო ხელმძღვანელობით რეშის, ზენჯანის და ყარაღლის რაიონებში და იმდენად გაძლიერდა, რომ ფაქტიურად განაგებდა ხსენებულ ტერიტორიებს. ჯენგალიელთა წარმომადგენელმა ასტარაში მუჰამედ ხან იჯებრიმ გადააყენა ირანის მთავრობის ვიცე-გუბერნატორი და ეს თანამდებობა მიითვისა.

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსისადმი 1918 წლის 25 იანვრის № 2172 მოხსენებაში აღნიშნავს, რომ „თანახმად ოფიციალური ცნობებისა, იჯებრ სულთანის სპარსეთის ასტარაში ყოფნის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობასა და ადმინისტრაციას შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება და მოსახლეობის შევიწროების მოსპობა, ხოლო საიდუმლო მონაცემებით — ძალების თანდათანობითი კონცენტრაცია რუსეთის გავლენისათვის აქტიური წინააღმდეგობის გაწევის მიზნით. აი ამ ორგანიზაციასთან მუჰამედ იჯებრ სულთან ჯენგალის სახით კავშირი აქვს მუსლიმანურ კომიტეტს რუსეთის ასტარაში“.<sup>115</sup>

ასტარის მუსლიმანური კომიტეტის, მუსავათის პარტიის ხელმძღვანელებისა და ჯენგალიელთა ურთიერთდამოკიდებულება და ერთობლივი მოქმედება ეჭვს არ იწვევდა იმაში, რომ „არსებობს ერთგვარი კავშირი რუსეთის წინააღმდეგ მეომარი არმიების მოსამსახურეებსა და სპარსული ორგანიზაციის ჯენგალიელთა შორის მისი თავმჯდომარის მუჰამედ ჯენგალის სახით. ამას გარდა, ეს კავშირი შეიძინებდა რუსეთის ტერიტორიაზეც რუსეთისადმი მტრულად განწყობილი არმიების მოსამსახურეებსა და ასტარის, ლენქორანის და ბაქოს მუსლიმანთა გავლენიანი წრეების ურთიერთდამოკიდებულებაში, ვინაიდან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1915 წელს 6 თურქ ოფიცერს ამ მუსლიმანური წრეების დახმარებით მიეცათ საშუალება არა მარტო თავისუფლად გაქცეულიყვნენ სპარსეთში, არამედ არანაკლებ თავისუფლად ეცხოვრათ რუსეთში“.<sup>116</sup>

როდესაც რუსეთის ტყვეობიდან გაქცეულ ამა თუ იმ თურქ სამხედრო მოსამსახურეს აპატიმრებდნენ, მის გასანთავისუფლებლად ერთობლივად იწყებდნენ ბრძოლას ერთმანეთიდან ისეთი დაცილებული პუნქტების მუსლიმანური ორგანიზაციები, როგორიც იყო

<sup>115</sup> საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. (ორსა) ფონდი 57. საქმე 1. ფურცელი 52—53.

<sup>116</sup> იქვე. ფურცელი 55.

ასტარა, ლენქორანი და ბაქო.<sup>117</sup> ყველაფერი ეს გვაძლევს სადღეგრესო ვიფიქროთ, რომ ამ ტერიტორიაზე მოქმედებდა ფართო, განშტოებული ქსელის ერთი და იგივე ორგანიზაცია.

ახალგაზრდა თურქებმა თავისი აგენტურა შექმნეს ახალციხე-ახალქალაქის რაიონებშიც. აქ თურქების აგენტურას, როგორც ეს საბუთებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, ხელმძღვანელობდა ვინმე ომარ ეფენდი ნემან ზადე. მისი ბიოგრაფია დამახასიათებელია რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედი თურქისტებისათვის. იგი დიღხანს ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში, სადაც მიიღო საშუალო განათლება, რის შემდეგაც შედის სახელმწიფო სამსახურში. ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის შემდეგ მას ავზავნიან რუსეთში სპეციალური ჯამუშური დავალებებით.

ომარ ეფენდი მუდმივ და მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდა კავკასიის მუსლიმანურ ორგანიზაციებსა და თურქ ისლამისტებთან. ომის დროს აგროვებდა ჯამუშურ ინფორმაციას რუსეთის ჯარის მოძრაობის შესახებ და ატყობინებდა თურქეთის არმიის შტაბს. ომარ ეფენდი პირდაპირ აცხადებდა, რომ „მისი სანუკვარი ოცნებაა მუსლიმანთა ბატონობა კავკასიაში“ და რომ „ამისათვის აუცილებელია კავკასიის შესვლა თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში, ვინაიდან მაშინ კავკასიაში გაბატონებული ძალა მუსლიმანობა იქნება.“<sup>118</sup>

ომარ ეფენდისთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა როტმისტრ გუდიევს, ეროვნებით ინგუშს, „ველური დივიზიის“ ყოფილ ოფიცერს, რომელიც აგრეთვე თურქეთის დაზვერვის აგენტი იყო.<sup>119</sup> ოსმალეთის დავალებით გუდიევმა დატოვა სამხედრო სამსახური, სამუშაოდ პოლიციაში გადავიდა და ომის დასასრულისათვის ფაქტიურად დაეპატრონა ახალციხის მაზრას. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ომარ ეფენდისა და მისი ხალხის დახმარებით გუდიევი უკვე კომისრის სახით ახალციხის მაზრის სათავეში აღმოჩნდა და ტყვეობიდან გაქცეულ თურქ ოფიცერთა დახმარებით შექმნა სამხედრო ბანდები რუსეთის არმიის ზურგში მტრული მოქმედებისათვის.

ახალგაზრდა თურქებმა თავიდანვე გაითვალისწინეს, რომ რუსეთთან ომის შემთხვევაში, როდესაც თურქანის შექმნის საკითხი პრაქტიკულად დაისმებოდა, რუსეთში მცხოვრებ მუსლიმანთა შორის აგიტაციისა და სამხედრო მუშაობისათვის შესაძლებელი იქნებოდა თურქ სამხედრო ტყვეთა გამოყენება. მართლაც, ასობით თურქმა

<sup>117</sup> იქვე.

<sup>118</sup> იქვე, ფურცლი 57.

<sup>119</sup> იქვე.

ოფიცერმა ისარგებლა რუსეთის ტყვეობაში ყოფნით, რათა მიეღო მონაწილეობა რუსეთში თურქული ჯგუფის ენებზე მოლაპარაკებლად მოსახლეობისათვის თურქული სკოლების დაარსებაში<sup>120</sup> და შემდგომში ვა სამხედრო ინსტრუქტორად ისე, როგორც ამას ადგილობრივი ხალხის მხარეში.

ცნობილია, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობდა გერმანია აღმოსავლეთის ქვეყნებში პროპაგანდას. ამ მიზნით გერმანელები ბეჭდავდნენ წიგნებს არაბულ, სპარსულ, თურქულ, ბენგალის, პენჯაბის, მალაურ, ჩინურ, ანამიტურ, ჰინდის, სიამურ და სხვ. ენებზე და ნეიტრალური ქვეყნების, უმთავრესად ჰოლანდიისა და ესპანეთის გემებით გზავნიდნენ დანიშნულებისამებრ. გერმანია არანაკლებ ყურადღებას აქცევს რუსეთში მცხოვრებ მუსლიმანებს, რომელთა შორისაც თურქეთთან ერთად დიდ სააგიტაციო მუშაობას აწარმოებს, უმთავრესად ისლამიზმ-თურქიზმის ნილაბქვეშ. ასე, მაგალითად, რუსეთის მუსლიმანებისათვის გერმანიამ გამოსცა ისლამიზმის სულით გაყვნილი წიგნი „მაროკოში საფრანგეთის გენერალ-რეზიდენტის სიტყვის შესახებ“, სპეციალურად ყაზანელი და ასტრახანელი თათრებისათვის „ეკონომიური მდგომარეობა გერმანიაში და ევროპის კრიზისი“ თათრულ ენაზე, აზერბაიჯანულ ენაზე დაიბეჭდა „მსოფლიო ომის უმნიშვნელოვანესი ამბები 1915 წლის 31 ივლისამდე“<sup>121</sup> და სხვა. ეს წიგნები გერმანია-თურქეთის აგენტურის ფართოდ გაშლილი ქსელის საშუალებით რუსეთის მუსლიმანურ მოსახლეობას შორის ვრცელდება. ამ ლიტერატურაში გერმანია ჩანდა როგორც მთელი მსოფლიოს მუსლიმანთა მფარველი, მეგობარი და ხალიფას ერთგული მოკავშირე.

ერთ-ერთ ასეთ წიგნაკში, რომელიც არაბულ ენაზე იყო დაწერილი და ვრცელდებოდა თურქებისა და გერმანელების მიერ, მუსლიმანებს მოუწოდებდნენ, რომ მათ ყურადღება მიექცროთ უზარმაზარი ციმბირისათვის, თურქესტანისათვის, ხივასა და ბუხარასათვის, კავკასიისათვის, ყირიმისათვის, ყაზანის, ფერგანის და ყაზახეთისათვის. წიგნაკი თავდებოდა სიტყვებით: „თურანი — თურანელ მუსლიმანებს, ბუხარა — ბუხარელ მუსლიმანებს, კავკასია — კავკასიელ მუსლიმანებს და ოსმალეთის იმპერია არაბ და თურქ მუსლიმანებს“<sup>122</sup>.

იმ დიდ მზადებასთან ერთად, რომელიც ოსმალეთის იმპერიაში თურანის შესაქმნელად დაიწყო, ახალგაზრდა თურქებმა თურანის

<sup>120</sup> Berte Georges—Gaulis, La question turque, Paris 1931, 210.

<sup>121</sup> L'Asie française, Avril—Juin, 1917, № 169, 78.

<sup>122</sup> Henri Morgenthau, Mémoires de l'ambassadeur Morgenthau. Cinq—six mois en Turquie, Paris, 1919, 153.

სახით თავის ტერიტორიული პრეტენზიები მოხაზეს. მომავალ თურანის საზღვრები ზია გიოკალის თურქისტულ თეორიებს ემყარებოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ აჰმედ ალავეყი მოხაზული თურანი, რომელიც შემდეგ ტერიტორიებს მოიცავდა: ბალკანეთს, მცირე აზიას, ყირიმს, კავკასიას, დაღესტანს, ვოლგისპირეთს—ასტრახანის, სარატოვის, სამარისა და ყაზანის ჩათვლით, ციმბირს, მონღოლეთს, რუსეთისა და ჩინეთის თურქესტანს, ბუხარას, ხივას, ხორასანს, სპარსეთის აზერბაიჯანსა და კასპიის ზღვის მთელ სანაპიროებს<sup>124</sup>. იყო სწორედ ის, რასაც ახალგაზრდა თურქები თურქეთის ბუნებრივ საზღვრებს და ეროვნულ იდეალს უწოდებდნენ.

ჯერ კიდევ ბალკანეთის ომებამდე, 1911 წელს, ახალგაზრდა თურქთა „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტია თავის თავს განიხილავდა არა როგორც პარტიას, რომელიც ოსმალეთის იმპერიის ფარგლებითაა შემოზღუდული, არამედ ყველა იმ ხალხთა პარტიას, რომლებსაც ისინი თურქებად თვლიდნენ და რომელთა დიდი უმრავლესობა რუსეთში ცხოვრობდა. სწორედ ამიტომ „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის მორიგ კონგრესზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებად აირჩიეს თურქიზმის ლიდერები რუსეთში: ისმაილ გასპირალი, ალი ჰუსეინზადე და იუსუფ აქჩურა. ამასთან ერთად ოსმალეთი ხელშეკრულებით უკავშირდება თურქისტებს რუსეთიდან, რაც მომავალ ომში ერთობლივი მოქმედების საფუძ-

<sup>123</sup> აჰმედ ალაოღლუ (რუსეთში ალავეყი) (1869—1839). დაიბადა ქ. შუშაში (აზერბაიჯანი). საშუალო განათლება მიიღო თბილისში. შემდეგ დაამთავრა Collège de France—პარიზში. პარიზში ყოფნის დროს ბევრს წერს აღმოსავლეთის საკითხის შესახებ. იქვე დაუკავშირდა „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიას. 1894 წელს ბრუნდება რუსეთში და მოღვაწეობს ისეთ თურქისტებთან ერთად, როგორიც იყვნენ ისმაილ გასპირალი, ალი ჰუსეინზადე და ალი მერდან თოფჩიაშევი. 1911—1912 წლებში თურქეთში დაბრუნების შემდეგ მუშაობს სტამბოლის უნივერსიტეტის თურქულ ელტურის კათედრაზე და ამავე დროს აიწყავლის რუსულ ენას. თურქეთის მიერ თურანის შექმნის ცდის დროს 1917—1918 წლებში თურქეთის ჯარებს პოლიტიკურ მრჩევლად ჩამოჰყვა ამიერკავკასიაში. ქემალისტური რევოლუციის შემდეგ ისევ, როგორც თურქიზმის მრავალი მიმდევარი, ქემალ ფაშას მიემხრო. იყო მეჯლისის დეპუტატი ყარსიდან, კათბულობდა ლეკციებს ანკარის იურიდიულ ფაკულტეტზე და რედაქტირობდა გაზეთს „ჰაქიმიეთი-ი მილიე“ (დღევანდელი „ულუსი“—სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ცენტრალური ორგანო).

<sup>124</sup> Revue du Monde musulman, vol. XXII, 1913, 203—204.

ველი უნდა გამხდარიყო. ასეთი ხელშეკრულება დაიდვა 1913 წელს  
ბაიაზეთში შემდგარ თურქისტების თათბირზე, სადაც რუსეთის  
მხრიდან მონაწილეობდნენ აკმედ აღაევი, რასულ ზადე და ალაშ  
მარდან თოფჩიბაშევი. თათბირზე გადაწყდა, რომ თურქისტების  
მთელი ენერგია აღმოსავლეთისა და დასავლეთის თურქების გაერთიანებისაკენ იქნება მიპყრობილი.<sup>122</sup>

ამრიგად, პირველი მსოფლიო ომის წინ თურქეთში საბოლოოდ  
გაიმარჯვა თურანიზმმა, რომელიც თურქეთის მმართველ ახალგაზრ-  
და თურქთა პარტიის პოლიტიკურ პროგრამას წარმოადგენდა. ეს  
იყო აგრესიული და რეაქციული იდეოლოგია, რომელსაც თავის  
სასარგებლოდ იყენებდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები, ძი-  
რითადად კი გერმანია და ინგლისი.

თურანიზმი მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ და მიზნად  
ისახავდა, უპირველეს ყოვლისა, ამიერკავკასიის ხალხთა დამოუკიდებლობის  
და მათ ფიზიკურ მოსპობას.

თურანიზმმა პირველ მსოფლიო ომამდე, ბევრად უფრო ადრე,  
უკვე განსაზღვრა თურქეთის ადგილი მომავალ საერთაშორისო  
შეიარაღებულ კონფლიქტში.)

## პაპაასიის ფრონტი და ახალგაზრდა თურქთა პოლიტიკა პირველი მსოფლიო ომის დროს

[1908 წლის ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიის მმართველ წრეებში ერთ ხანს კიდევ წარმოებდა ბრძოლა თურანის საკითხის გარშემო. თურქეთში არსებობდნენ საკმაოდ გავლენიანი წრეები, რომლებიც თურანს განუხორციელებელ ფანტასტიკურ მიზნად თვლიდნენ. თურანის მომხრეებმა საბოლოოდ გაიმარჯვეს 1913 წლის 23 იანვრის შემდეგ, როდესაც ახალგაზრდა თურქებმა ისარგებლეს თურქეთის სამხედრო დამარცხებით ბალკანეთის პირველ ომში და კვლავ ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება, სახელმწიფოს ხელმძღვანელობა ფაქტიურად „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის რამდენიმე ლიდერის ხელში აღმოჩნდა, რომელთა შორის მთავარ როლს ასრულებდა სამი პიროვნება: ენვერ ფაშა<sup>126</sup>, თალათ ფაშა<sup>127</sup> და ჭემალ ფაშა.]

<sup>126</sup> ენვერ ფაშა (1881—1922)—ახალგაზრდა თურქთა ლიდერი და თურქეთის ფაქტიური დიქტატორი პირველი მსოფლიო ომის დროს, კადრის ოფიცერი. 1909—1911 წლებში თურქეთის სამხედრო ატაშე ბერლინში. მჭიდროდ იყო დაკავშირებული გერმანიის სამხედრო წრეებთან. 1918 წ. მუდროსის დროებითი ზავის შემდეგ გერმანიაში გაიქცა, სადაც ცდილობდა შემოეყრიბა თავისი მომხრეები მუსტაფა ჭემალ ფაშასთან საბრძოლველად. 1920 და 1921 წლებში ჩამოვიდა მოსკოვში და ცდილობდა ემოკა საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერა. მისი ეს ცდა პარტხით დამთავრდა. 1921 წელს ჩამოვიდა ბათუმში, სადაც ჩაატარა თავის მომხრეთა სიდიდემლო კონფერენცია, რომელმაც შეიმუშავა თურქეთში გადატრიალების მოხდენის გეგმა. საბჭოთა ორგანოებმა აღკვეთეს ენვერის ანტიჭემალისტური მოღვიწიობა. შემდეგ ის გაემგზავრა შუა აზიაში და სათავეში ჩაუდგა ბასმაჩთა რაზმებს. მოკლეს 1922 წელს ავღანეთის საზღვრის მახლობლად წითელი არმიის ნაწილებთან შეტაკების დროს.

<sup>127</sup> თალათ ფაშა (1874—1921)—ახალგაზრდა თურქთა რევოლუციამდე ფოსტის რიგითი მოხელე. რევოლუციის შემდგომ მუქლისის დეპუტატი ეღორნედან. შემდეგ იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი.

(ამ სამ პიროვნებას შორის პირველობა უთუოდ ენვერს ეკუთვნის. ის იყო თურქიზმის ფანატიკოსი, რომელსაც აკვიატებულ აზრად ჰქონდა თურანის შექმნა. მაგრამ რუსეთის ტერიტორიების დაპყრობასთან ერთად მას მხედველობიდან არ რჩებოდა არაბეთიც. მისი აზრით, ოსმალეთს უნდა ებრძოლა როგორც თურქული, ასევე საერთო მუსლიმანური საქმისათვის და მომავალ ომში ირანი, ავღანისტანი და ინდოეთის მუსლიმანები მისი მოკავშირეები იქნებოდნენ, ენვერი ამტკიცებდა, რომ ისლამის ძლიერი გავლენა თურქული მოღვაწის ხალხთა შორის აშკარად უფრო მჭრელი იარაღი იქნებოდა თურქეთისათვის, ვიდრე ამავე ხალხთათვის ჭერ კიდევ ბუნდოვანი და გაუგებარი თურანი.) ამიტომ ენვერი მოქმედებდა შემდეგი პრინციპით „ყურანი თურანისათვის“. ამის გარდა, გერმანია დაინტერესებული იყო ინგლისის წინააღმდეგ გამოეყენებინა ავღანისტანის, ირანის, ინდოეთის და აფრიკის მუსლიმანები, რის გამოც გერმანიასთან კავშირის აუცილებელ პირობას თურქეთის სულთან-ხალიფას ხელმძღვანელობით მუსლიმანთა გაერთიანებისაკენ მიმართული პოლიტიკის მთელი სიძლიერით გაგრძელება წარმოადგენდა. აქედან გამომდინარეობდა ენვერის ისლამიზმნარევი თურქიზმი. ოსმალეთში არსებობდა აგრეთვე თურქიზმი წმინდა სახითაც, რომელსაც სათავეში ენვერის ბიძა ჰალილ ფაშა ედგა. ჰალილ ფაშა იმყოფებოდა გიოკალბის გავლენის ქვეშ და მთლიანად იზიარებდა მის რასისტულ დებულებებს. იგი უარყოფდა ყოველგვარ რელიგიურ მოტივებს და მოითხოვდა, რომ არ გამოეცხადებინათ არავითარი ნდობა არათურქ მუსლიმანთათვის. თურქეთი მხოლოდ თურქულ ელემენტს უნდა დაყრდნობოდა. ჰალილის მოთხოვნით თურქეთს, უპირველეს ყოვლისა, კავკასია და შუა აზია უნდა დაეპყრო, შეექმნა თურანი და ამით აღედგინა ჩინგიზ ხანის იმპერია. ეს აზრი თავის დროზე ზია გიოკალბმა წამოაყენა. ჰალილ ფაშა ოცნებობდა იმპერიის სათავეში თავისი შვილიშვილი დაეყენებინა, რომელსაც ამისათვის ჩინგიზიც კი დაარქვა.<sup>129</sup>

თურქისტების გერმანიასთან დაახლოებას ხელს უწყობდა არა მარტო თურქიზმის გერმანულ რასულ თეორიებთან სიახლოვე და გერმანულ აღმოსავლეთმცოდნეთა ღვაწლი თურქიზმის შექმნაში, არამედ გერმანიის პოზიციაც აღმოსავლეთის საკითხში და, რაც მთავარია, ის, რომ თურქიზმი და ოსმალური ისლამიზმი აღმოსავლეთ-

1916 წელს ვახდა დიდი ვეზირი. პირველ მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხების შემდგომ გაიქცა ბერლინში, სადაც მოკლეს დაშნაკმა ტერორისტებმა თურქეთში სომხების აწიოებისა და ელექტისათვის.

<sup>129</sup> Roger Labonne, დასაბ. ნაშრომი, 385.

ში გერმანიის პოლიტიკის დასაყრდენი გახდა. 1908 წლის ივნისში რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II და ინგლისის მეფის ედუარდ VII შეხვედრამ რეველში საბოლოოდ შეაბრუნა ახალგაზრდა თურქეთის ქეები გერმანიისაკენ ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის კავშირის პირობებში გერმანია ერთადერთი ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელსაც შეეძლო და თვითონაც იყო დაინტერესებული ოსმალეთისათვის თურქანისტული გეგმების განხორციელებაში დახმარება გაეწია. ამას ემატებოდა თურქეთის მმართველი წრეებისა და ამ დროისათვის უკვე ზურგმომკარგებული თურქი ბურჟუაზიის სურვილი მოესპოთ ინგლისისა და საფრანგეთის დასაყრდენი ოსმალეთის იმპერიაში, — არათურქი კომპრადორული ბურჟუაზია, ხელში ჩაეგდოთ ანტანტის ქვეყნების აქტივები თურქეთში და განთავისუფლებულიყვნენ კაპიტულაციების რეჟიმიდან და საგარეო ვალებიდან.

აქედან გამომდინარეობდა ახალგაზრდა თურქთა ლიდერების გერმანიული ორიენტაცია და ტრიუმფირატის ყველაზე უფრო გავლენიანი წევრის ენვერ ფაშას გერმანოფილობა. ენვერი ყოველ საკითხს განიხილავდა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ შეხედავდა ამა თუ იმ ღონისძიებას გერმანია. ამ მხრივ აღსანიშნავია 1909 წლის მაისში ენვერის გამოსვლა „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. სადაც განიხილავდნენ სულთან აბდულჰამიდის ბედს. „მე შემძლია განვაცხადო, — თქვა ენვერმა, — რომ გერმანიის იმპერატორი უკვე მიღწეულით დაკმაყოფილდება. ჩამოგდებული იმპერატორის. (იგულისხმება აბდულჰამიდი — ო. გ.) სასტიკად დასჯა გერმანიაში მეტად მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენს.“<sup>120</sup> ✓

რამდენადაც თურქანის შექმნის იდეა პოლიტიკური ავანტიურა იყო, ენვერ ფაშაც როგორც პიროვნება, რომელმაც ზია გიოკალპის თურქანისტული მოძღვრების პრაქტიკული განხორციელება იღო თავს, პოლიტიკურ ავანტიურისტს წარმოადგენდა. ამ ავანტიურის განხორციელების გზა შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ომი.

ენვერის პოლიტიკური და სამხედრო ავანტიურაში კარგად ესმოდა მის თანამებრძოლ ბევრ თურქ ოფიცერსაც, რომლებიც აცხადებდნენ კიდევ, რომ მათი ენვერი „გერმანელთა სათაყვანებელი

<sup>120</sup> Basry—Bey Dakadjin—zadeh, Le Monde oriental et la paix. Le présent a la lumière de passé, Paris. 1919, 45.

ფანტურისტია, რომელსაც სურს ერთ მშვენიერ დღეს თურქეთის ნაპოლეონი გახდეს“<sup>131</sup>. ხოლო თურქი პოლკოვნიკი ენვერის შესახებ წერს, რომ „იგი დარწმუნებული იყო, რომ ყანას მოევლინა, რათა განახორციელოს მალალი მისია. ამ მისიისა და თავისი სურვილების განსახორციელებლად გარდა ომისა იგი სხვა საშუალებას ვერ ხედავდა. მშვიდობა მას მიაჩნდა არაბუნებრივ და არახელსაყრელ მდგომარეობად. ახალგაზრდა დიქტატორი ისეთ ვარსკვლავზე დაიბადა, რომ მისი გარდუვალი მოვალეობა, რომელსაც მას თვით განგება უკარნახებდა, იყო ომი. ენვერის აზრით, ყოველი ადამიანის ძირითად მიზანს ცივი იარაღით წარმატებით განხორციელებული შეტევის შემდგომ დიდებით სიკვდილი წარმოადგენდა... იგი დარწმუნებული იყო, რომ ისტორია მახვილის წვერით იწერება“<sup>132</sup>.

მას შემდეგ, რაც ენვერი ოსმალეთის იმპერიის ფაქტიური დიქტატორი გახდა, თურქეთის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი არავითარ ექვს არ იწვევდა. ვასალები იყო ისიც, რომ თურქეთი დაადგებოდა გერმანიასთან მჭიდრო კავშირისა და საგარეო პოლიტიკური ავანტიურების გზას, რომლის დროსაც გერმანიამ თურქეთი გადააქცია თავის „როგორც ფინანსურ, ისე სამხედრო ვასალად“<sup>133</sup>.

თურქეთის სულთანმა იმპერიის შიგნით არსებითად ყოველგვარი გავლენა დაკარგა. საქმე იქამდე მივიდა, რომ თავისივე ბრძანებულებებს სულთანი გაზეთებიდან იგებდა. მაგალითად, ასე გაიგო სულთანმა გაზეთებიდან, რომ ენვერი მას სამხედრო მინისტრად დაუნიშნავს. „ენვერი, რომელიც მე მანამდე მხოლოდ ერთხელ მინახავს გერმანიაში მანევრების დროს, — წერს გერმანიის სამხედრო მისიის მეთაური თურქეთში გენერალი ლიმან ფონ სანდერსი, — ჩემს სანახავად მოვიდა. ის გენერლის ფორმაში იყო და განმიცხადა, რომ ამიერიდან ის არის სამხედრო მინისტრი. სულთანს ეს ამბავი ჩემზე უფრო ადრე არ გაუგია. იმ დღით სულთანი თავის კაბინეტში იჯდა და გაზეთს კითხულობდა. უცებ მას გაზეთი ხელიდან გაუვარდა:

— როგორც აქ წერია, ენვერი სამხედრო მინისტრი გამხდარა. — მიმართა სულთანმა თავის ადიუტანტს, — ეს პირდაპირ დაუშვებელია, ის მეტად ახალგაზრდაა ამ თანამდებობისათვის.“<sup>134</sup>

<sup>131</sup> იქვე, 47.

<sup>132</sup> M. Larcher, დასახ. ნაშრომი, 72.

<sup>133</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 23, 234.

<sup>134</sup> Otto Liman von Sanders, Cinq ans de Turquie, Paris 1923, 16.

70 წლის ასაკს გადაცილებული სულთანი მეჰმედ რეშადი ნამდვილ „ირადემანქანად“<sup>125</sup> იქცა, როგორც მას მოხდენილად უწოდეს თურქეთში, და მთელი მისი სახელმწიფო მოღვაწეობა მხოლოდ, ევლიმლიქის<sup>126</sup> ცერემონიალში გამოიხატებოდა. რეალურ ძალას მოკლებული იყო იმპერიის ხელისუფლების თითქმის ყველა ორგანო. მინისტრთა საბჭო წარმოადგენდა „ერთიანობა და პროგრესის“ პარტიის უშუალო დირექტივებით მოქმედ დაწესებულებას. 1913 წლის ივლისიდან მთავრობის თავმჯდომარე იყო ეგვიპტელი პრინც საიდ ჰალიმი, რეალური ძალა არც მას გააჩნდა. ახალგაზრდა თურქებს სჭირდებოდათ საიდ ჰალიმის ავტორიტეტი, რომელიც მას ისლამის სამყაროში ჰქონდა როგორც ეგვიპტის ხედივის ოჯახის წევრს. მეჯლისს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არავითარი წონა არ გააჩნდა. პარლამენტის დეპუტატები „ერთიანობა და პროგრესის“ პარტიის მიერ იძულებით გაყვანილი კანდიდატები იყვნენ. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა სენატშიც, რომლის ყოველი წევრი ტრიუმფირთავან იყო დამოკიდებული.

ამრიგად, ერთადერთ რეალურ ძალას ოსმალეთის სახელმწიფოში ტრიუმფირები: ენვერი, თალათი და ჯემალი წარმოადგენდნენ. მათ კი არჩევანი, გერმანიის სასარგებლოდ ადრევე გააკეთეს. 1913 წლიდან დაწყებული, როდესაც ბალკანეთის ომების შემდეგ ოსმალეთში დარწმუნდნენ, რომ არმია სუსტია, ხოლო ოსმანიზმი არარეალური, ტრიუმფირატი ენერგიულად შეუდგა არმიის რეორგანიზაციასა და ქვეყნის თურქიფიკაციას.

{ თურქეთში კარგად გრძნობდნენ საყოველთაო ომის სიახლოვეს და მის გამოყენებას თურქიზმის სასარგებლოდ ვარაუდობდნენ. ენვერს მტკიცედ სწამდა, რომ მომავალ ომში გერმანია გაიმარჯვებდა. გერმანელი ოფიცრებით გარშემორტყმულმა, მან საბოლოოდ გადაწყვიტა სამოკავშირო ხელშეკრულების დადება გერმანიასთან. რათა გამოეყენებინა, როგორც ის ვარაუდობდა, გერმანიის მიერ რუსეთის გარდუვალი დამარცხება.<sup>127</sup>

ენვერ ფაშამ საიდ ჰალიმთან ერთად თავის თავზე აიღო - გერმანიასთან სამხედრო კავშირის დადების ინიციატივა. გერმანიის მთავრობამ ენვერის სათანადო წინადადება მიიღო და სამაგიერო პირო-

<sup>125</sup> ირადე — სულთანის ბრძანებულება.

<sup>126</sup> სელიმლიქი — პარასკეობით მენეთისაკენ სულთანის მზავრობის ცერემონია.

<sup>127</sup> M. Larcher, დასახ. ნაშრომი, 35.

ბად წამოაყენა, რომ თურქეთს თავისი ჯარები რუსეთის წინააღმდეგ გამოყენების მიზნით გერმანიისათვის გადაეცა<sup>138</sup>.

არმიის რეორგანიზაციამ მოიცვა სახმელეთო, საზღვაო და ავიაციით ნაწილები. თურქეთის არმიის რეორგანიზაციაში მონაწილეობა მეტად მიმზიდველი პერსპექტივა იყო ინგლისისა და გერმანიისათვის, განსაკუთრებით ამ უკანასკნელისათვის, რომელიც დიდ სიძნელებებს განიცდიდა აღმოსავლეთში თავისი დაზვერვის ლეგალური პუნქტების სიმცირის გამო. თურქეთის არმიის რეორგანიზაციაში მონაწილე გერმანიის სამხედრო მისიის ოფიცრებს, რომლებიც მუშაობდნენ თურქეთის არმიაში და გაფანტულნი იყვნენ იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, შეეძლოთ ესარგებლათ თავისი გამოცდილებითა და დაკვირვებებით და სამხედრო და საზღვაო ატაშეებთან შედარებით გერმანიისათვის უფრო სასარგებლო ცნობები მიეწოდებინათ!<sup>139</sup>.

[თურქეთის არმიის მიმემ მდგომარეობა საგონებელში აგდებდა როგორც ინგლისს, ისე გერმანიას. ბალკანეთის ომების შედეგად თურქეთის არმიამ თავისი საჭურველი თითქმის მთლიანად დაკარგა და 1914 წლისათვის მას ომის წარმოებისათვის საჭირო შეიარაღების მინიმუმიც არ გააჩნდა. თურქეთის მრეწველობას შეეძლო მხოლოდ ვაზნები და მცირეყალიბიანი ზარბაზნების ყუმბარები დაემზადებინა და ისიც კუსტარული მეთოდით. მიმემ არტილერია არმის არსებითად არ გააჩნდა. არმიის შეიარაღება არ იყო სტანდარტული<sup>140</sup>. იარაღის მრავალი სისტემა და ყალიბი ამნელებდა არმიის საბრძოლო მომზადებას. გერმანიის არმიის გენერალი შოლტკე 1914 წლის 12 მაისს აღნიშნავდა: „თურქეთის არმის არა აქვს არავითარი ფასი. მას არა აქვს არც იარაღი, არც ამუნიცია და არც ტანსაცმელი“<sup>141</sup>.

გერმანიასა და ინგლისში დიდ შეშფოთებას იწვევდა აგრეთვე თურქეთის ფლოტისა და სრუტეების სიმაგრეთა სავალალო მდგომარეობაც. თურქეთს რუსეთთან კავკასიის ფრონტზე ომის წარმოება შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შავ ზღვაზე ძლიერი ფლოტი ეყოლებოდა. ანატოლიის სახმელეთო გზები პირველყოფილ მდგომარეობაში იმყოფებოდა; ეს გარემოება კავკასიაში და ირანის საზღვრებზე მოქმედი არმიის საჭურველითა და ცოცხალი ძალით სა-

<sup>138</sup> იქვე.

<sup>139</sup> O. L. von Sanders, დასახ. ნაშრომი, 26.

<sup>140</sup> Карл Мюльман, Германно-турецкий союз в мировой войне, перевод с немецкого, машинописное издание, 8.

<sup>141</sup> M. Larcher, დასახ. ნაშრომი, 65.

თანადოდ მომარაგების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ კავკასიისა და ირანის მიმართულებით მოქმედი არმიის მომარაგება წარმოებდა როგორც წესი, ტრაპიზონისა და ბათუმის (სანამ თურქეთი მას დაეკავებოდა) ნავსადგურების საშუალებით. 1878 წელს ბათუმის დაკარგვის შემდეგ თურქებს კავკასიის სანაპიროზე დარჩათ ერთადერთი მოსახერხებელი პუნქტი—ტრაპიზონი. მაგრამ სტამბოლსა და ტრაპიზონს შორის საზღვაო გზების უშიშროება მთლიანად იყო დამოკიდებული თურქეთის ფლოტის უპირატესობაზე. მე-19 საუკუნის რუსეთ-თურქეთის ომებში ეს თვალნათლივ დაამტკიცა. თურქეთისათვის შავი ზღვის კომუნიკაციების მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში. მით უმეტეს ახლა. როდესაც გერმანია რუსეთის არმიის ზურგში — ოდესის რაიონში თურქეთის არმიის მონაწილეობით ფართო სადესანტო ოპერაციებს გეგმავდა. თუ მე-19 საუკუნეში რუსეთთან ომების დროს ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტი თურქეთს პირდაპირ დახმარებას უწყევდა, ამჟამად ასეთი დახმარება თურქეთის ინგლის-საფრანგეთის საწინააღმდეგო კოალიციაში განზრახული მონაწილეობის გამო გამოირიცხებოდა. ამიტომ საჭირო იყო თურქეთის ფლოტის გაძლიერება, რომელიც ამ დროისათვის მეტად სუსტი იყო.<sup>142</sup> მართლაც, თურქეთის სამხედრო ფლოტის ძირითად საბრძოლო ერთეულებს წარმოადგენდა ორი მოძველებული გერმანული წარმოშობის ხომალდი: „კურფიურსტი ფრიდრიხ ვილჰელმი“ და „ვაისენბურგი“. თურქეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირად შემადგენლობას არ ჰქონდა თითქმის არავითარი საბრძოლო გამოცდილება. თურქეთს არც წყალქვეშა ნაგები ჰყავდა.<sup>143</sup> ასეთ პირობებში რუსეთის უპირატესობა თურქეთის ფლოტთან ეჭვს არ იწვევდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სახაზო გემები უკვე საკმაოდ მოძველებული იყო.<sup>144</sup> ეს არა მარტო გააძნელებდა თურქეთის არმიის მოქმედებას კავკასიაში, სადაც თურქების შექმნის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, არამედ მოუსპობდა თურქებს საშუალებას რუსეთის არმიისა და ფლოტის სადესანტო ოპერაციების შემთხვევაში დაეცვათ სრუტეები და სტამბოლი. სრუტეებისა

<sup>142</sup> Tarih, c. III, 306.

<sup>143</sup> К. Мюльман, *დასახ. ნაშრომი*, 8—9.

<sup>144</sup> პირველი მსოფლიო ომის წინ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობაში იყო 7 მოძველებული ტიპის სახაზო გემი, 2 მსუბუქი კრეისერი, 18 საესკადრო ნაღმოსანი და 6 წყალქვეშა ნავი. (იხ. X. Вильсон, *Морские операции в мировой войне, 1914—1918*, Москва, 1935, 253.)

და სტამბოლის დაცვა განსაკუთრებით ძნელი იქნებოდა იმის გამო, რომ სრუტეების დამცველი სიმაგრეები ისევე, როგორც სიმაგრეები ჩატალჯას ხაზზე, რომელიც სტამბოლს ჩრდილოეთიდან ეკავდა, მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა.<sup>145</sup> ინგლისს, საფრანგეთს და გერმანიას სჭირდებოდათ თურქეთის ისეთი ფლოტი, რომელიც რუსეთისაგან სრუტეების დაცვას შეძლებდა და შავ ზღვაზე თურქეთის კომუნიკაციების სრულ უშიშროებას უზრუნველყოფდა.

[შავ ზღვაზე თურქეთის ფლოტის ბატონობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმის გამო, რომ რუსეთი ძირითადად სტრატეგიული მოსაზრებით საქართველოსა და სომხეთის მოსახლერე თურქეთის რაიონებში რკინიგზებისა და გზატკეცილების მშენებლობას ყოველმხრივ ხელს უშლიდა. ამ მხრივ საინტერესოა კონსტანტინოპოლში რუსეთის საელჩოს პირველი მდივნის ჩარიკოვის მოხსენებითი ბარათი, რომელიც მან 1891 წელს შეადგინა. ბარათის ავტორი ამტკიცებს, რომ რუსეთის საზღვრების მახლობლად თურქეთის მიერ რკინიგზების მშენებლობა რუსეთის საზღვრისაკენ ჯარების გადასროლას გააადვილებს და ამ რაიონში უცხო სახელმწიფოთა პოლიტიკურ გავლენას განამტკიცებს. ჩარიკოვის აზრით, რუსეთისათვის უმჯობესია, რომ თურქებმა მცირე აზიაში რკინიგზების მშენებლობა არ აწარმოონ<sup>146</sup>. ამიტომ ამ მხარეში პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე არა თუ რკინიგზა, არამედ ხეირიანი გზატკეცილიც არ იყო.

[1908 წელს გამარჯვებისთანავე ახალგაზრდა თურქებმა არა მარტო დაიწყეს ემსღერების გაგზავნა რუსეთში მუსლიმანურ და თურქულ მოსახლეობაში სამუშაოდ, არამედ კავკასიაში მოსახლერე რაიონების რუსეთის წინააღმდეგ ომის პლაცდარმად გადაქცევა გეგმაც დასახეს, რომლის შემადგენელი ნაწილი იყო რუსეთის საზღვრის მიმართულებით სარკინიგზო მშენებლობის პროექტები. განზრახული იყო რკინიგზების მშენებლობა სამსუნის, ტრაპიზონისა და ვანის მიმართულებით. ამ რკინიგზების სამხედრო მნიშვნელობა ეკვს არ იწვევდა. მშენებლობის განხორციელების შედეგად სრუტეების რაიონი რუსეთის საზღვრისპირა რაიონებს პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლით უკავშირდებოდა და მნიშვნელოვნად შეამცირებდა კავკასიის ფრონტზე მოქმედი თურქეთის არმიის სიძნელე-

<sup>145</sup> К. Мюльман, *დასახ. ნაშრომი*, 8.

<sup>146</sup> А. Д. Новичев, *Очерки экономики Турции до мировой войны*, М.—Л, 1937, 146.

ებს. ოკინიგზების მშენებლობის პროტენდენტები აღმოჩნდნენ საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. მაგრამ საბოლოო პრიორიტეტი საფრანგეთს დარჩა. 1911 წელს ხელი მოაწერეს ნასწარ თურქეთ-საფრანგეთის ხელშეკრულებას აღმოსავლეთ ანატოლიაში ოკინიგზების მშენებლობის შესახებ. ხოლო 1914 წელს საბოლოო ხელშეკრულებას, რომელიც 5 ოკინიგზის ხაზის მშენებლობას ითვალისწინებდა. მათ შორის 440 კილომეტრის სიგრძის სასუნ-სივასის გზისა. თოქათსა და ჩორუმზე განშტოებით.

თურქეთის პოზიცია მომავალ კონფლიქტში, როგორც რუსეთის მოწინააღმდეგე ძალისა, ადვილი გასათვალისწინებელი იყო. მაგრამ ინგლისი მაინც კისრულობს სამხედრო-საზღვაო დარგში თურქეთისათვის დახმარების გაწევას. ამ მიზნით ინგლისმა ადმირალ ლიმპუსის მეთაურობით თურქეთში სამხედრო-საზღვაო მისია მიავლინა და თურქეთისათვის ორი ჯავშნოსანის აგება დაიწყო.

ადმირალ ლიმპუსის მისიის ძირითადი მიზანი იყო დახმარებოდა თურქეთს. რათა ამ უკანასკნელს მოეპოვებინა უპირატესობა შავ ზღვაზე და ზღვის მხრიდან სტამბოლისათვის უშიშროება უზრუნველყო. გერმანელი ადმირალი სუშონი, რომელიც ჯავშნოსან „გებენისა“ და კრეისერ „ბრესლაუსაგან“ შემდგარ ხმელთაშუა ზღვის ესკადრას სარდლობდა, 1914 წლის 27 აგვისტოს აღნიშნავდა, რომ „დარდაწელი ზღვის მხრიდან თავდასხმას ვერ გაუმკლავდება. თუკი ასეთი განხორციელდება თუნდაც მცირე ძალებით“. „ფორტების უმრავლესობას არასოდეს არ უსროლია. ცეცხლის მართვის შესახებ არულიად გაურკვეველი წარმოდგენა არსებობს. ნალშების უმრავლესობა ერთმანეთისაგან დაყენებულია 70–80 მეტრის სიშორეზე და ერთ ადგილზე შეუძლიათ გაძლონ არა უმეტეს ოთხი კვირისა.“<sup>147</sup> ხოლო გერმანიის ელჩი თურქეთში ბარონი ფონ ვაპენჰაიმი იმავე წლის 26 აგვისტოს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ატყობინებდა: „...პასუხისმგებლობა შავ ზღვაზე საომარი მოქმედების დაწყებისათვის მე ჩემ თავზე შემძლია ავიდო მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ გავიგებ ჩვენი ადმირალებიდან, რომ დარდაწელის უშიშროება უზრუნველყოფილია.“<sup>148</sup>

როგორც ვხედავთ, გერმანელებში განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა არა ბოსფორის სიმაგრეების, არამედ დარდაწელის ფორტების მდგომარეობა. ბოსფორის შესახებ არც სუშონი და არც ვაპენჰაიმი არაფერს ამბობენ. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლიმპუსის მისიას მეტად ცალმხრივად უმუშავნია და სრუტეების

<sup>147</sup> К. Мюльман. დასახ. ნაშრომი, 21—22.

<sup>148</sup> იქვე, 22.

ორივე მხარე ერთნაირად როდი გაუმაგრებია. ეს უნდა მომხდარიყო ოსმალეთის იმპერიის მმართველი წრეების სრული თანხმობით, ვინაიდან, მათი რწმენით, თვით „გეოგრაფიულმა ბედისწერამ“ იწინააღმდეგებდა, რომ რუსეთი შეუდრეკლად, მთელი თავისი არსებით, კონსტანტინოპოლის დაპყრობას დასწაფებოდა.“<sup>149</sup> ამ რწმენის თანახმად სტამბოლს მთავარი საშიშროება სწორედ ბოსფორის მხრიდან ემუქრებოდა.

სახმელეთო ჯარების რეორგანიზაციისა და წვრთნისათვის თურქეთმა მოიწვია გერმანელთა სამხედრო მისია გენერალ ლიმან ფონ სანდერსის მეთაურობით. გერმანელთა მოღვაწეობას თურქეთის არმიაში უკვე საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა. მე-19 საუკუნის განმავლობაში თურქეთის არმიაში მუშაობდნენ გენერალ-ფელდმარშლები: გრაფი მოლტკე და ბარონი ფონ დერ გოლცი. მაგრამ ერთი და მეორეც თურქეთში პირადი ხელშეკრულების საფუძველზე მიიწვიეს და ამდენად მათი უფლებანიც საკმაოდ შეზღუდული იყო. სამაგიეროდ გენერალი ლიმან ფონ სანდერსი თურქეთს ეწვია არა როგორც კერძო პირი, არამედ როგორც გერმანიის იმპერატორის ოფიციალური წარმომადგენელი, რომელსაც დიდი უფლება ეძლეოდა. ბარონი ვაჰენჰაიმი აღნიშნავდა, რომ „სანდერსის წინადადებანი უნდა გამხდარიყო საფუძველი მომავალი ომისათვის მობილიზაციისა და საომარი ოპერაციების ჩასატარებლად“<sup>150</sup>.

სანდერსი წარმოდგენდა არა მხოლოდ სამხედრო მისიის მეთაურს, არამედ თურქეთის არმიის საკმაოდ ძლიერ ფიგურასაც. თვისი ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული გერმანელ სამხედრო სპეციალისტთა მოღვაწეობა, ეს ყველასათვის ცხადი იყო. გერმანიაში კარგად ესმოდათ, რომ სამხედრო მისიის გაგზავნა თურქეთში მხოლოდ მოახლოებდა მსოფლიო ომის დაწყების დღეს.

გერმანია არ დაკმაყოფილდა იმ დიდი უფლებებით, რომლებიც სანდერსის მისიამ მოიპოვა. მას სურდა თურქეთის არმიაზე უშუალო კონტროლის დაწესება. გერმანიის მოთხოვნის შედეგად ლიმან ფონ სანდერსი თურქეთის პირველი საარმიო კორპუსის სარდლად დაინიშნა. რამდენადაც ეს კორპუსი განლაგებული იყო სტამბოლსა და მის მიდამოებში, სრუტეები ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გერმანელების ხელში აღმოჩნდა.

თურქეთის პირველი საარმიო კორპუსის სარდლად სანდერსის დანიშვნამ რუსეთში მეტად მწვავე რეაქცია გამოიწვია. სამაგიეროდ,

<sup>149</sup> La Turquie devant le tribunal mondial, son passé, son présent, son avenir. Publication du congrès national. Constantinople. 1919, 31.

<sup>150</sup> O. L. v. Sanders, ვასახ. ნაშრომი, 10.

ამავე ამბავს ინგლისსა და საფრანგეთში მეტად გულგრილად შეხედ-  
დნენ. სტამბოლში მყოფ უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგე-  
ნელთაგან სანდერსის დანიშვნის წინააღმდეგ მხოლოდ რუსეთის  
ელჩი გირსი აცხადებს პროტესტს, რაც შეეხება ინგლისისა და საფრანგეთის  
რანგეთის ელჩებს, ისინი მხოლოდ „უერთდებიან“ გირსის დემარსს  
ოსმალეთის მთავრობის წინაშე. ინგლისელთა დამოკიდებულება ამ  
ამბებისა და კერძოდ გერმანელების სრუტეებში გამაგრების მიმართ  
კარგად ჩანს ინგლისის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის  
ედუარდ გრეის საუბრიდან გერმანიის ლონდონელ ელჩთან თავად  
ლიხნოვსკისთან. აქ ედუარდ გრეიმ განაცხადა, რომ სანდერსის  
თურქეთის არმიის პირველი კორპუსის სარდლად დანიშვნის გამო  
პეტერბურგში წარმოშობილმა შეშფოთების ხმამ ლონდონამდე  
მიადწია.<sup>151</sup>

გრეის განცხადებიდან ირკვევა, რომ სანდერსის დანიშვნას თურ-  
ქეთის პირველი საარმიო კორპუსის სარდლად შეშფოთება მხოლოდ  
რუსეთში გამოუწვევია. რაც შეეხება ინგლისს, იქ მარტო ამ შეშფო-  
თების ხმას ჩაუღწევია. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინ-  
გლისი არც თუ ისეთი დიდი წინააღმდეგი იყო გერმანელების გაძლი-  
ერებისა თურქეთში, განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომელთა მი-  
მართ რუსეთს პრეტენზიები გააჩნდა.

შემოაღნიშნულთან მკიდროდ არის დაკავშირებული გერმანიის  
სამხედრო გემების „გებენისა“ და „ბრესლაუს“ ისტორიაც. ინგლი-  
სელების ინიციატივით თურქეთში თავისი ფლოტის გაძლიერების  
მიზნით პირველი მსოფლიო ომის წინ ინგლისში სამხედრო გემები  
შეუკვეთა. მაგრამ ომის დაწყებასთან დაკავშირებით ინგლისმა თურ-  
ქეთის დაკვეთა გააუქმა, ვინაიდან ხომალდები თვითონვე სჭირდე-  
ბოდა. ეს მოასწავებდა შავ ზღვაზე რუსეთის ფლოტის სრულ ბა-  
ტონობას. აქ დაიბადა აზრი თურქეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის  
შევსებისა გერმანიის სამხედრო გემებით „გებენითა“ და „ბრეს-  
ლაუთი“, რომლებიც ომის დაწყებისას ხმელთაშუა ზღვაში იმყოფე-  
ბოდნენ.

ჩვენ არ მოგვებოვება რაიმე ოფიციალური ცნობა იმის შესახებ,  
რომ ინგლის-საფრანგეთის ფლოტმა „გებენისა“ და „ბრესლაუს“  
თურქეთის ტერიტორიული წყლებისაკენ თავისუფალი წასვლის სა-  
შუაღლება თავისი მთავრობების ბრძანებით მისცა. უნდა ვიფიქროთ,  
რომ ასეთ ბრძანებას სრულიად გასაგები მიზეზების გამო არ გას-  
ცემდა არც ინგლისი, არც საფრანგეთი, მაგრამ როგორც ინგლისის,

<sup>151</sup> O. L. v. Sanders, დასახ. ნაშრომი, 15.

ეს საფრანგეთის მთავრობის მიერ ხმელთაშუა ზღვაში მოქმედ საზღვაო ხომალდებისადმი გაცემული ბრძანებანი და ამ ხომალდების მოქმედება „გებენისა“ და „ბრესლაუს“ წინააღმდეგ აღსავსეა იმდენი უცნაურობით, რომ ეს საფუძველს გვაძლევს ვეფხველივით რომ ინგლისისა და საფრანგეთის მიზანი იყო არ დაეშვათ „გებენისა“ და „ბრესლაუს“ განადგურება და მათთვის თურქეთის ტერიტორიული წყლებისაკენ გზა გაეხსნათ<sup>132</sup>.

<sup>132</sup> ინგლისელი ისტორიკოსები იძულებულნი არიან აღიარონ, რომ „გებენისა“ და „ბრესლაუს“ შეძლეს გაქცეოდნენ ინგლის-საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტს მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის საამირობაროს და საფრანგეთის საზღვაო სამინისტროს მთელი რიგი შემთხვევითობით ვალრმავებული შეცდომების წყალობით (იხ. X. VAILLON, დასახ. ნაშრომი, გვ. 249).

გერმანიასა, იტალიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის 1913 წელს დადებულ საიდუმლო საზღვაო ხელშეკრულების ტექსტი, სადაც აღნიშნული იყო ხმელთაშუა ზღვაში გერმანიის საზღვაო ხომალდების სავაიადრო ადგილსამყოფელი, ცნობილი იყო საფრანგეთს საზღვაო სამინისტროსათვის. მაგრამ საფრანგეთის საზღვაო სამინისტროს „დაავიწყდა“ შეეტყობინებინა საჭირო მონაცემები არა თუ ინგლისის ფლოტის სარდლობისათვის, არამედ თავისივე ფლოტის ხმელთაშუა ზღვის სარდლისათვისაც კი. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთისა და ინგლისის ფლოტის ძალები ხმელთაშუა ზღვაში არა თუ ერთად, არამედ ცალკეც ბევრად აღმატებოდა „გებენისა“ და „ბრესლაუს“, ინგლისისა და საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტების სარდლების — მილნსა და ლამაიერის უპირატესი საზრუნავი იყო მხოლოდ თავის დაცვა გერმანიის საზღვაო ხომალდების თავდასხმის შემთხვევაში. მხოლოდ 2 აგვისტოს, საღამოთი, ლამაიერმა იღებს ბრძანებას გაეიდეს „გებენისა“ და „ბრესლაუს“ დასავაებლად, ისიც მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება ანტანტისა და ცენტრალურ სახელმწიფოთა შორის საზღვაო მოქმედებათა დაწყება „გებენისა“ და „ბრესლაუს“ ძებნას ლამაიერი აწარმოებს შეტად უცნაურად — სწრაფმავალ საზღვაო გემებს — კრესერებს და საუსვადრო ნაღმოსნებს, რომელთა მოვალეობას შეადგენს საზღვაო დახვერვის წარმოება. იგი არ უშვებს წინ, რითაც ფაქტურად უარს ამბობს გერმანიის საზღვაო ხომალდების ძებნაზე. საფრანგეთის მთავრობამ, ლამაიერის მითითება მისცა, რომ არ ჩაებას ბრძოლაში გერმანიის საზღვაო ხომალდებთან ომის გამოცხადებამდე. შემდეგ კი „დაავიწყდა“ შეეტყობინებინა ლამაიერისათვის ომის გამოცხადება, რომლის შესახებ პარიზში ცნობა მიიღეს 1914 წლის 3 აგვისტოს 18 ს. 45 წ. საფრანგეთის დროით.

ჩერჩილიც, იმ დროს საზღვაო-საზღვაო მინისტრი, დამით 2 აგვისტოს არა ნაკლებ უცნაურ ბრძანებებს უგზავნის ადმირალ მილნს, ჩერჩილია მითითებათა თანახმად მილნი უნდა „დადევნებოდა და თვალყური ედევნებინა“ გერმანიის საზღვაო ხომალდებისათვის, თუმცა ჩერჩილია ძალიან

ინგლისა და საფრანგეთს მსგავსი მაგალითი უკვე ჰქონდათ. 1911—1912 წლების იტალია-თურქეთის ომის დროს იტალიამ ფლოტს თურქეთის ფლოტთან შედარებით ძალთა სრული უპირატესობა გააჩნდა. იტალიის ფლოტმა თურქეთის ფლოტი სირიის სანაპიროსთან მოიშყვედია და განადგურების მაგივრად დაუბრკოლებლად გაუშვა სრუტეების მიმართულებით.

„გებენსა“ და „ბრესლაუსთან“ დაკავშირებული ეს მრავალმეტყველი ეპიზოდი ნაწილია თურქეთის რუსეთის წინააღმდეგ წაქეზების იმ პოლიტიკისა, რომელსაც ინგლისი და საფრანგეთი პირველი მსოფლიო ომის მთელი ხნის განმავლობაში აწარმოებდნენ.

გერმანიის სამხედრო ზომალდების სრუტეებში შემოსვლით ძალების შეფარდება შავ ზღვაზე თურქეთის სასარგებლოდ შეიცვალა. მაგრამ ახლო მომავალში მწყობრში უნდა ჩამდგარიყო რუსეთის ორი ჯავშნოსანი, თვითეული მთგანი „გებენზე“ უფრო ძლიერად

გარჯად იცოდა, რომ „გებენი“ და „ბრესლაუ“ ბევრად უფრო სწრაფმავალი ირან. ვიდრე მილნის სარდლობა ქვეშ მყოფი ბრიტანეთის სამხედრო ზომალდები. ამის შემდეგ ბრიტანეთის გემბა: „ინდომოტიბლა“ და „ინდუვათი-გებლა“ მიიღეს ბრძანება ეცხლი კი არ გაეხსნათ, არამედ „დაეკაევიზნათ“ გერმანიის ზომალდები, მიუხედავად იმისა, რომ სისწრაფეში განსხვავების გამო მათ არ შეეძლოთ დაწიოდნენ და დაეკაევიზნათ „გებენი“ და „ბრესლაუ“. როდესაც საფრანგეთის ფლოტს მიეცა საშუალება მესინის სრუტესთან „გებენსა“ და „ბრესლაუსათვის“ გზა გადაეჭრა, საფრანგეთის საზღვაო სამინისტროს სათანადო რადიოგრამა „დაიკარგა“ და ლაპაიერებს არ მიუღია. გასაგებია, რომ სუშონის გვერდებთან საზღვაო არ ჰქონდა, როდესაც მესინის სრუტიდან გამოსვლისას მან მოკავშირეთა ფლოტის უერთიანი კვალი ვერ შეამჩნია. გერმანიის ზომალდებისათვის გზა აღმოსავლეთისაკენ თავისუფალი აღმოჩნდა. ანტანტის ფლოტმა, რომელსაც ამის შემდეგ კიდევ ერთხელ მიეცა საშუალება გზა გადაეჭრა გერმანიის ზომალდებისათვის, ამჯერად სრუტეების მისადგომებთან, ბრძოლას კვლავ აარიდა თავი და „გებენსა“ და „ბრესლაუ“ დაუბრკოლებლად მიადწიეს კონსტანტინოპოლის რეიდს.

ზოგი მკვლევარი, მათ შორის ესვლებით საბჭოთა ისტორიკოსებსაც, რომლებიც „გებენსა“ და „ბრესლაუს“ თურქეთის სრუტეებში შემოსვლის საკითხს განიხილავენ, სთვლიან, რომ კონსტანტინოპოლის რეიდზე მათი გამოქვინა ვაუწყველ პირობებში მოხდა. ასე, მაგ., ვენერალ-ლეიტენანტი ნ. კორსუნ წერს: „გაურკვეველ პირობებში, 10 აგვისტოს, დარდანელის სრუტეში შემოვიდა გერმანიის ორი კრესიერი „გებენი“ და „ბრესლაუ“ (იხ. Н. Г. Корсун. Первая мировая война на Кавказском фронте. Москва. 1946. გვ. 4). სინამდვილეში კი, როგორც დავინახეთ, ამ არავითარი საიდუმლოება არ არსებობს.

ქნებოდა. მწყობრში დგებოდა აგრეთვე რამდენიმე წყალქვეშა  
ვი. მიუხედავად ძალთა თანაფარდობის დროებით თურქეთის სასარ-  
გებლოდ შეცვლისა, სტრატეგიული თვალსაზრისით უმარტესად  
მანც რუსეთის მხარეზე რჩებოდა, ვინაიდან ყირიმის მხარეში  
წარმოადგენდა. ამის გამო თურქეთის საზღვაო კომუნიკაციები რუ-  
სეთისაზე შედარებით ბევრად უფრო სუსტი იყო. სრუტეებიდან,  
სადაც თურქეთის ფლოტის ბაზა მდებარეობდა, ტრაპიზონამდე —  
კავკასიის ფრონტზე მოქმედი თურქეთის არმიის მომარაგების მთ-  
ვარ პუნქტამდე — 900 კილომეტრი იყო, სევასტოპოლიდან თურქე-  
თის სანაპირომდე კი — მხოლოდ 250 კილომეტრი. ამრიგად, შავ-  
ზღვის აღმოსავლეთ ნაწილზე გაბატონება ბევრად უფრო ადვილი  
იყო სევასტოპოლზე დაყრდნობით, ვიდრე სრუტეებზე, ვინაიდან ან-  
ტოლიის სანაპიროს აღმოსავლეთ ნაწილში მოქმედი თურქეთის  
ფლოტი ბევრად უფრო ახლოს იმყოფებოდა რუსეთის ფლოტის მთ-  
ვარ სამხედრო-საზღვაო ბაზასთან, ვიდრე თავის საკუთარ დასაყრდენ  
პუნქტებთან. ამრიგად, შავ ზღვაზე სრული ბატონობის დასამყარებ-  
ლად გერმანიასა და თურქეთს ფლოტის მკვეთრ გაძლიერებასთან  
ერთად ყირიმის დაკავებაც სჭირდებოდათ, ანუ მათ უნდა გაემეორე-  
ბინათ 1853—1856 წლების აღმოსავლეთის (ყირიმის) ომის ზუსტი  
ვარიანტი, რისი შესაძლებლობა ამჟამად არც თურქეთს და არც მის  
მოკავშირე გერმანიას არ გააჩნდა.

✓ 1914 წლის 2 აგვისტოს, მსოფლიო ომის დაწყების მეორე დღეს,  
თურქეთმა გერმანიასთან ხელშეკრულებით გააფორმა სამხედრო  
კავშირი და ამით საბოლოოდ გადაჭრა მსოფლიო ომში მონაწილეო-  
ბის საკითხი. ხელშეკრულება საიდუმლო იყო და მას ხელი მოაწე-  
რეს გერმანიის ელჩმა კონსტანტინოპოლში ფონ ვაპენჰაიმმა და დიდ-  
მა ვეზირმა საიდ ჰალიმმა. }

ხელშეკრულების ტექსტის ავტორები იყვნენ ვაპენჰაიმი, სან-  
დერსი, ენვერი და საიდ ჰალიმი. ეს ხელშეკრულება მთლიანად რუ-  
სეთის წინააღმდეგ იყო მიმართული და ერთნაირად მისაღები აღმოჩ-  
ნდა როგორც ენვერისა და საიდ ჰალიმისათვის, ისე „ანტანტო-  
ფილურად“ განწყობილ თურქ პოლიტიკურ მოღვაწეთათვის, რო-  
გორც იყო, მაგალითად, ჯემალ ფაშა. ჯემალ ფაშა ისევე, როგორც  
ენვერი, რუსეთთან ომის მომხრეთა რიცხვს ეკუთვნოდა. „მე ვა-  
კეთებ ყველაფერს, — განაცხადა ჯემალმა, — რათა ომის გამოცხა-  
დება გავაჰიანურო. მაგრამ რუსეთი ჩვენი მოსისხლე მტერია და  
თუ დავინახავ, რომ მისი დამარცხება შესაძლებელია, მსურს მას

სასიკვდილო ლახვარი ჩაეცე.<sup>153</sup> ამასთან ერთად, 1914 წლის 27 ივლისს იგი აცხადებს, რომ, თუ რუსეთი ჩაერევა ავსტრია-უნგრეთის კონფლიქტში, მაშინ თურქეთი სამთა კავშირის მხარეზე მოჩნდება.<sup>154</sup>

ჯამრივად, როგორც ჯემალის, ისე მისი თანამოაზრე ანტანტო-ფილთა პოზიცია თურქეთის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებში არ ენებოდა რუსეთთან დამოკიდებულებას და თურანისათვის ბრძოლის საქმეს, რამაც განაპირობა 1914 წლის 2 აგვისტოს გერმანია-თურქეთის საიდუმლო ხელშეკრულების დადება.

ხელშეკრულება 8 მუხლს შეიცავდა. მათ შორის მთავარი იყო 1, 2 და 4 მუხლები. პირველი მუხლის ძალით გერმანია და თურქეთი ვალდებულებას იღებდნენ დაეცვათ მტკიცე ნეიტრალიტეტი ავსტრია-უნგრეთსა და სერბიას შორის არსებულ კონფლიქტში. მე-2 მუხლის თანახმად, თუ რუსეთი იარაღით ჩაერეოდა კონფლიქტში და ამით გერმანიისათვის შეიქმნებოდა casus foederis ავსტრია-უნგრეთის მიმართ, იგივე casus foederis დადგებოდა თურქეთის მიმართაც. მე-4 მუხლით გერმანია იღებდა ვალდებულებას იარაღით დაეცვა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთის იმპერიას რუსეთის მხრიდან საფრთხე დაემუქრებოდა ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები შეეხებოდა ლიპან ფონ სანდერსის მისიის შემდგომ ბედს და ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ფორმალურ მხარეებს. ხელშეკრულების ტექსტი შეესაბამებოდა 27 ივლისს საიდ პალიმის მიერ ვილჰელმ II გადაცემულ წინადადებათა შინაარსს, სადაც ნათქვამი იყო, რომ თურქეთი მზადაა გერმანიასთან შეკრას თავდაცვითი და შეტევითი კავშირი (casus foederis-ს). საიდ პალიმის წინადადებით ექნებოდა ადგილი ორივე კავშირისათვის იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი თავს დაესხმოდა თურქეთს, გერმანიას ან ავსტრია-უნგრეთს, ანდა მაშინ, როდესაც ეს სახელმწიფოები რუსეთის წინააღმდეგ გამოვიდოდნენ.<sup>155</sup>

დიდი ვეზირის ეს განცხადება ზუსტად ეთანხმება ჯემალ ფაშას 26 ივლისის ზემომოყვანილ განცხადებას. რაც რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ხელშეკრულების დადების საკითხში ახალგაზრდა თურქ-

<sup>153</sup> M. Larcher, დასახ. ნაშრომი, 42.

<sup>154</sup> Österreich—Ungarns Aussenpolitik. Bd. VIII, № 10, გვ. 792. ციტირებულია წიგნით ფ. ი. Нотович, Дипломатическая борьба в годы первой мировой войны, стр. 27.

<sup>155</sup> Österreich—Ungarns Aussenpolitik, Bd. VIII, № 10-808. 792. ციტირებულია ფ. ი. Нотович, დასახ. ნაშრომი, 97.

თა ლიდერებს შორის ერთსულოვნობის არსებობას იმტკიცებდა ამდენად თურქეთის ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის ანტანტოფლობას თუ გერმანოფილობას თურქეთის მომავალ პოზიციაზე მხოლოდ იმში არ შეეძლო რაიმე არსებითი გავლენა მოეხდინა, ვინაიდან ეს პოზიცია მთლიანად თურანის შექმნის გეგმებიდან გამომდინარეობდა და ამდენად რუსეთთან ომის საკითხს უკავშირდებოდა. ანტანტას კი ამ მომენტისათვის მტკიცე ნეიტრალიტეტის საფასურად თურქეთისათვის შეეძლო შეეთავაზებინა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობა არსებულ ფარგლებში და კაპიტულაციების შეცვლა ახალი ტიპის გარანტიებით ევროპის სახელმწიფოთა ქვეშევრდომების მიმართ, რაც ახალგაზრდა თურქეთათვის თურანზე უარის თქმას ნიშნავდა და ამიტომ ყოვლად მიუღებელი იყო.

წოგოროც ეხედავთ, 2 აგვისტოს ხელშეკრულებით, რომელიც დიდო თურქეთის მიერ წამოყენებულ წინადადებათა საფუძველზე, გერმანია გარკვეულ დაპირებებს აძლევდა ოსმალეთის თურანისტულად განწყობილ წრეებს.

გერმანიას არ შეეძლო არ მიეღო მხედველობაში მახლობელ აღმოსავლეთში ინგლისთან ბრძოლის აუცილებლობა, რომლის დროსაც ის თურქეთს უნდა დაყრდნობოდა. გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ შემუშავებული გეგმა ითვალისწინებდა არა მარტო იმას, რომ კავკასიაში თურქეთი რუსეთის უშუალო მებრძოლი იყო, არამედ იმასაც, რომ თურქეთი ინგლისს ესაზღვრებოდა ეგვიპტეში, სადაც გერმანელთა გეგმის თანახმად თურქეთს შეტევითი ოპერაციები უნდა ეწარმოებინა.<sup>126</sup> უმაგრამ თურქეთ-გერმანიის ხელშეკრულებაში ლაპარაკია მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებაზე და არაფერია ნათქვამი ინგლისზე. გერმანიაში აშკარად გამოთქვამდნენ შიშს, რომ ინგლისთან შეტაკების პერსპექტივის გამო თურქეთს შეეძლო უარიც კი ეთქვა გერმანიასთან კავშირზე, ვინაიდან ინგლისთან ომი აიძულებდა თურქეთს დამატებითი ფრონტება გაეხსნა ეგვიპტესა და მესოპოტამიაში. ამის გამო გერმანია, ხელშეკრულების დადების მომენტიდან დაწყებული, აჩქარებს თურქეთს, რათა მან დაუყოვნებლივ დაიწყოს ომი რუსეთთან. გენერალ-პოლკოვნიკი ფონ მოლტკე გერმანია-თურქეთის ხელშეკრულების დადების მეორე დღესვე მოითხოვს, რომ თურქეთმა რაც შეიძლება მალე გამოუცხადოს ომი რუსეთს<sup>127</sup>, ხოლო 4 აგვისტოს გერმანიის იმპერიის მთავრობის თავმჯდომარემ გერმანიის ელჩს თურქეთში

<sup>126</sup> K. MUKHIMAN, დასახ. ნაშრომი, 25.

<sup>127</sup> იქვე.

ფონ ვაპენჰაიმს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „ინგლის დღეს ან ხვალ ალბათ ომს გამოგვიცხადებს. ინგლისის ამ ნაბიჯი გავლენით ოსმალეთმა უკანასკნელ მომენტში შეიძლება შეცვალოს. ამის თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ თურქეთმა შეძლებისდაგვარად დღესვე გამოუცხადოს ომი რუსეთს“<sup>128</sup>.

რუსეთთან მეომარი თურქეთისათვის გარდევადი იქნებოდა შეტაკება ინგლისთანაც. ამრიგად, თურქეთის შექმნის იმედი და ამასთან დაკავშირებით რუსეთთან ომის პერსპექტივა გერმანიასთან კავშირში, გერმანიელთა ვარაუდით, თურქეთის ომში ჩათრევის საუკეთესო საშუალება იქნებოდა.<sup>129</sup>

გერმანიის ვარაუდი, რომ ის სწრაფად მოიგებდა ომს, არ გამართლდა. ომის პირველი დღეების წარმატებას დამარცხებები მოჰყვა. შეტევა პარიზზე ჩაიფუშა, ომმა საფრანგეთში პოზიციური ხასიათი მიიღო. ჩაიშალა შეტევა რუსეთის წინააღმდეგაც, რომელმაც მოასწრო მობილიზაცია და გერმანიის არმიების უკუგდება. ასეთ პირობებში თურქეთის მნიშვნელობა გერმანიისათვის დღითიდღე იზრდებოდა. გერმანიაც ცდილობს გააფართოოს თავისი დასაყრდენი ახალგაზრდა თურქეთ შორის. ამიტომ ის სულ უფრო

<sup>128</sup> იქვე, იმ. Deutschen Dokumente, Bd. IV, № 775, 25.

<sup>129</sup> ისტორიულ ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, რომ თითქმის გერმანია-თურქეთის ხელშეკრულების შინაარსი ასახავს მხოლოდ გერმანულ ინტერესებს. ასე, მაგ., ა. მილერ წერს: „გერმანია-თურქეთის ხელშეკრულების ხელმოწერის სანქარემ თავისი დალი დასვა ამ ხელშეკრულებას, რამაც საშუალება მისცა გერმანელებს განუპირობებიათ მათთვის სასარგებლო შედეგები ისე, რომ თურქებისათვის არ მიეცათ რაიმე გარანტიები საომარი ზონის შემდგომი ვაფართოების შემთხვევისათვის“ და „თურქეთი ყიარულობდა ვალდებულებას გამოაუღიყო რუსეთის წინააღმდეგ იმ დროს, როდესაც გერმანიას თავი არაფრით არ შეუბოჰავა; არც იმ შემთხვევაში, თუ თურქეთს ომს გამოუცხადებდა ერთი ან რამდენიმე ბალკანეთის სახელმწიფო და არც იმ შემთხვევაში, თუ თურქეთთან ომს დაიწყებდნენ რუსეთის მოკავშირეები. კერძოდ ინგლისი“.

(იხ. А. Ф. Миллер, Очерки новейшей истории Турции. Москва, 1948, 29). სინამდვილეში კი გერმანია-თურქეთის ხელშეკრულების ტექსტი სრულიად საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს. კერძოდ იმას, რომ გერმანია თურქეთისათვის ბოძოლავა გარკვეულ ვალდებულებებს იღებდა. ასევე ვერ გავიზიარებთ ა. მილერას აზრს, რომ თითქმის თურქეთის მინისტრების ნაწილს, მათ შორის ემალსაც, ან ექვიც არ ჰქონდათ, რომ ასეთი ხელშეკრულება არსებობს, ან თუ იცოდნენ, ჰქონდათ მასზე შეტად ბუნდოვანი წარმოდგენა.

მეტად ეხვევა თურანისტულ და ისლამისტურ სამოსელოში. ასეთი შთაბეჭდილების შექმნას, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდნენ თურქეთის არმიაში მოსამსახურე გერმანელი ოფიცრები. საქ. საჭირო მოვიყვანოთ ცნობა, რომელსაც იძლევა თურქი პოლკოვნიკი ფუად ბეი. ფუად ბეი დანიშნეს თურქეთის მე-2 არმიის შტაბში, რომლის უფროსიც იყო გერმანელი პოლკოვნიკი ფონ ფრაკენბერგი. როდესაც ფუად ბეი დანიშნის ადგილას გამოცხადდა, მან ფონ ფრაკენბერგი დაინახა თურქ საშტაბო ოფიცრებთან ერთად გეოგრაფიული ატლასის წინ. გერმანელი პოლკოვნიკი თურქ ოფიცრებთან ერთად სწავლობდა თურქეთის მომავალ საზღვრებს, რომლებსაც ოსმალეთის იმპერია მიაღწევდა. მსოფლიო ომის დასასრულისათვის. მრავალრიცხოვანი ფერადი ხაზებით დასტურდებოდა, რომ ამ რუკას ბევრი ასეთი დისკუსია უნახავს. ამჟამად გავლებული საზღვარი გადიოდა კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილზე — ვოლგის რაიონში. ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში იყო მოქცეული აგრეთვე ეგვიპტეც. ფუად ბეის შესვლისას თურქი ოფიცრები კამათობდნენ თურქესტანისა და ყირიმის შესახებ. ფუად ბეის დასაწყისში ეგონა, რომ ყველაფერი ეს ხუმრობა იყო, მაგრამ მერე დარწმუნდა, რომ ამ დისკუსიების მოთავე ფონ ფრაკენბერგია, რომლის წაქეზებითაც თურქი ოფიცრები სმგვარ კამათს მთელი სერიოზულობით აწარმოებდნენ<sup>160</sup>. თუმცა ეს შორსმიმავალი გეგმები თვით გერმანულ სარდლობასაც ფანტაზიად მიაჩნდა<sup>161</sup>. მაგრამ გერმანიისათვის ამ შემთხვევაში რეალურ იყო მხოლოდ ერთი რამ — მისივე დახმარებით რუსეთის ტერიტორიაზე შექმნილი ოსმალეთის, აგენტურის გამოყენება ისევე, როგორც გამოყენება სულთან ხალიფას ავტორიტეტისა ისლამის სამყაროში.

[ 2 აგვისტომდე თურქეთის მთავრობის ხელმძღვანელები დაყინებით მოითხოვდნენ გერმანიასთან სამოკავშირო ხელშეკრულების დადებას. მაგრამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მათი პოზიცია ერთგვარად იცვლება. ახლა თურქეთი დროის მოგებას ცდილობს, რომ ომი რაც შეიძლება გვიან გამოაცხადოს. ეს გამოწვეული იყო სურვილით — მოესწრო მობილიზაცია და ჯარის შეძლებისდაგვარად შეიარაღება და გაწვრთნა.]

1912—1913 წლების ტრიპოლისა და ბალკანეთის ომებში შელახული და დამარცხებებს შეჩვეული თურქეთის არმია, ძლიერ მოწინააღმდეგესთან დიდი მასშტაბის საომარი ოპერაციების წარმოებისათვის, ჯერ კიდევ მეტად სუსტი იყო. მძიმე ეკონომიური მდგომარეობა.

<sup>160</sup> M. Larcher. დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

<sup>161</sup> O. L. v. Sanders. დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

სოფლის მეურნეობის გაპარტახება, ფინანსური ქაოსი, — ყველაფერი ეს თავის დაღს ასვამდა თურქეთის არმიას. ოფიცრები, როგორც წესი, არ იღებდნენ ჯამაგირს და უმრავლეს შემთხვევაში თავი მოჯახებთან ერთად ჯარისკაცთა ულუფით იკვებებოდნენ. ჯარისკაცები ჩაცმულნი იყვნენ დაძონძილ ფორმებში, დადიოდნენ თითქმის ფეხშიშველნი და ჰქონდათ მეტად ცუდი კეება<sup>160a</sup>. ასეთსავე სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა თურქეთის არმიის შეიარაღებაც. გენერალმა მოლტკემ (უმცროსმა) 1914 წლის 12 მაისს განაცხადა, რომ „თურქეთის არმიას არა აქვს აბსოლუტურად არავითარი ფასი. მას არა აქვს არც იარაღი, არც საჭურველი, არც ტანსაცმელი, ოფიცერთა ცოლები მათხოვრობენ გზების გასწვრივ“<sup>161a</sup>. გასაგებია, რომ ევროპის ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეთა ნაწილი თურქეთს ბრძოლისუნარმოკლებულად სთვლიდა, და, ბევრის აზრით, სამხედრო კავშირი თურქეთთან უფრო საზარალო იქნებოდა, ვიდრე ხელსაყრელი. ომის დაწყების წინ გერმანიაში გაიმარჯვა იმ თვალსაზრისმა, რომ თურქეთი, მიუხედავად სისუსტისა, მაინც სასარგებლო მოკავშირე იქნებოდა. კავკასიის ფრონტის არსებობა ერთგვარად შეამსუბუქებდა გერმანიის აღმოსავლეთის ფრონტის მდგომარეობას და ამავე დროს გერმანიას საშუალება ექნებოდა თურქეთის რამდენიმე დივიზია გერმანია-რუსეთის ფრონტის სამხრეთ უბანზე გამოეყენებინა. ამისათვის საჭირო იყო, რომ თურქები ყოფილიყვნენ იმდენად ძლიერნი, რომ მათ არ განეცადათ სამხედრო კატასტროფა. ფონ ვაჰენჰაიმის ცნობით, ლიბან ფონ სანდერსმა მას განუცხადა: „თურქეთის არმიის რეორგანიზაცია ისეთი წარმატებით მიმდინარეობს, რომ თურქეთი ომის შემთხვევაში შეძლებს გამოიყვანოს 4 ან 5 სრულად შეიარაღებული და ბრძოლისუნარიანი კორპუსი ისე, რომ თავი არ ჩაიგდოს კატასტროფის საფრთხეში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბალკანეთის ომის დასაწყისში.“<sup>162</sup>

[ომში დაუყოვნებლივ ჩაბმა თურქებს მაინც საშიშ მოვლენად მიანჩნდათ. ამიტომ დროის მოგების მიზნით თურქი დიპლომატები მოლაპარაკებას იწყებენ ინგლისთან, საფრანგეთთან და რუსეთთან და კავშირსაც კი სთავაზობდნენ მათ. არ არსებობს იმის საბუთი, რომ რუსეთში გარდა ცალკეული პირებისა, ვინმეს თურქეთის წინადადებათა გულწრფელობისა სჯეროდა. სამაგიეროდ კარგად ესმოდათ, რომ ანტანტის სახელმწიფოების თურქეთთან ომის შემთხვევაში ომის ძირითადი სიმძიმე რუსეთს დააწევბოდა. ამას თვალნათლივ ამტკიცებდა თურქეთ-რუსეთის წარსული ომების ისტორია.] ამავე

<sup>160a</sup> O. L. v. Sanders, დასახ. ნაშრომი, 18.

<sup>161a</sup> იქვე, 65.

<sup>162</sup> K. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 14.

დროს თურქეთის დაუყოვნებლივ ომში ჩაბმა არღვევდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის საზონოვის მიერ ბალკანეთის მიმართ შემუშავებულ გეგმას. ამიტომ რუსეთის ელჩი სტამბოლში გირსი საზონოვიდან მითითებას იღებს, რომ თურქებთან მოლაპარაკების საშუალებით მოიგოს დრო.<sup>162</sup> რაც შეეხება თვითონ გირსს, მიუხედავად იმისა, რომ მის ყურამდე უკვე მიაღწია ცნობებმა გერმანიის თურქეთის საიდუმლო ხელშეკრულების შესახებ.<sup>163</sup> არა მარტო სჯერა თურქეთის ნეიტრალიტეტის შესაძლებლობისა, არამედ ისიც კი სჯერა, რომ წინადადებას კავშირის შესახებ თურქეთი გულწრფელად იძლევა. მაგრამ გირსს ეს კავშირი ესმოდა, როგორც მაშინდელ ევროპაში ესმოდათ კავშირი აღმოსავლეთის ქვეყნებთან საერთოდ, და კერძოდ კი თურქეთთან, რომ ეს არის თურქეთის თუ რომელიმე სხვა აღმოსავლეთის სახელმწიფოს ვასალიტეტის ერთ-ერთი ფორმა. „დადგა ისტორიული მომენტი. — წერა გირსი. — როდესაც ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა საბოლოოდ დავიმორჩილოთ თურქეთი.“<sup>164</sup> გირსს სწამდა, რომ გერმანიის მხარეზე თურქეთის გამოსვლა რუსეთს დიდ საშიშროებას შეუქმნიდა. ამიტომ გირსი მომხრეა, რომ თურქეთს მიეცეს კაპიტულაციების გაუქმების თანხმობა და ტერიტორიული ხელშეუხებლობის გარანტია 5 ან 10 წლის ვადით.<sup>165</sup> ამასთან ერთად გირსი ურჩევდა საზონოვს, რომ ზოგიერთი ტერიტორიის შემოერთების თაობაზე თურქეთისათვის პრინციპული თანხმობა მიეცათ, რაც, მისი აზრით, კრიზისის თავიდან აცილების შესაძლებლობას შექმნიდა.<sup>166</sup>

ქვეტერბუღში სრულიადაც არ სურდათ, რომ თურქეთი ომში გერმანიის მოკავშირე ყოფილიყო, მაგრამ არც ის სჯეროდათ, რომ თურქეთი ნეიტრალიტეტს დაიცავდა. ამიტომ რუსეთი კატეგორიულად სვამს საკითხს, რომ ის მისცემს თურქეთს ტერიტორიული ხელშეუხებლობის გარანტიას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი დემობილიზაციას გამოაცხადებს. აღსანიშნავია, რომ გირსის წინადადებებმა დაპირებებისა და დათმობების გზით ოსმალეთის ნეიტრალიტეტის შენარჩუნების შესახებ ინგლისსა და საფრანგეთში მხარდაჭერა ვერ პოვეს. ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციას გან-

<sup>162</sup> Международные отношения в эпоху империализма, документы из архивов царского и временного правительства, 1878—1917, серия 3, т. VI, ч. 1, документ № 50.

<sup>163</sup> Вторая оранжевая книга, дипломатическая переписка России, предшествовавшая войне с Турцией, документы № № 46 и 47.

<sup>164</sup> Международные отношения в эпоху империализма, серия 3, т. VI, ч. 1, Документ № 60.

<sup>165</sup> Раздел Азиатской Турции, по секретным документам б. Министерства иностранных дел, 1924, 64.

<sup>166</sup> იქვე, 63.

საკუთრებით დიდი მნიშვნელობა იმის გამო ჰქონდა, რომ თურქეთი პირდაპირ უსვამდა მათ კითხვას, შეუძლიათ თუ არა ინგლისსა და საფრანგეთს გარანტია მისცენ თურქეთს, რომ რუსეთს მათ მიმართ მტრული განზრახვები არა აქვს. საზონოვმა აცნობა ინგლისსა და საფრანგეთს, რომ სასურველია ერთობლივი განცხადებით გამოსვლა, რომ ისინი მზად არიან მისცენ თურქეთს გარანტიები ტერიტორიული ხელშეუხებლობის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი ნეიტრალიტეტს დაიცავს<sup>168</sup>. მაგრამ კონსტანტინოპოლში ასეთი განცხადების გაკეთება შეუძლებელი გახდა, ვინაიდან საფრანგეთის ელჩმა განაცხადა, რომ მას არა აქვს მიღებული თავისი მთავრობიდან სათანადო ინსტრუქციები. ამიტომ გარანტიების თაობაზე საიდ პალიმის თხოვნის პასუხად ინგლისმა და საფრანგეთმა დუმილი არჩიეს, რასაც თურქეთში შეედლო მხოლოდ განემტკიცებინა რწმენა, რომ რუსეთს მტრული განზრახვები აქვს თურქეთის მიმართ და ომს გამოიყენებს, რათა „შეაჩიოს ხელსაყრელი დრო, სტამბოლის მიდამოებში გადასხას ჯარები, ჩააგდოს ხელში სრუტეები და ამით თავისი ისტორიული მიზნები განახორციელოს“<sup>169</sup>.

ასეთივე ბედი ეწვია კაპიტულაციების გაუქმების საკითხს. იმ დროს, როდესაც რუსეთი თანახმა იყო კაპიტულაციების გაუქმების შესახებ თურქეთისათვის თანხმობა მიეცა, ინგლისმა და საფრანგეთმა ასეთ თანხმობაზე უარი განაცხადეს. 20 აგვისტოს გირსი საზონოვს დეპეშით ატყობინებდა, რომ მის კოლეგებს კაპიტულაციების გაუქმება სამძიმო საქმედ მიაჩნდათ.<sup>170</sup>

ინგლისსა და საფრანგეთის პოზიცია აძლიერებდა რუსეთთან ომის მომხრეთა ძალებს თურქეთში. ამავე დროს ინგლისიც და საფრანგეთიც წინააღმდეგი იყვნენ, რომ თურქეთისაგან დემობილიზაცია მოეთხოვათ, სამისოდ მათ წამოაყენეს სრულიად დაუსაბუთებელი აზრი, რომ თითქოს თურქეთისაგან სამობილიზაციო ბრძანების გაუქმების მოთხოვნა იქ გერმანოფილურ ელემენტებს გააძლიერებს. ამავე დროს საფრანგეთის დიპლომატია საბერძნეთისაგან დაჟინებით მოითხოვს გამოცხადებული მობილიზაციის გაუქმებას და სრულიად არ ეშინია, რომ ეს ბერძენთა შორის გერმანოფილურ ელემენ-

<sup>168</sup> Раздел Азиатской Турции. 62.

<sup>169</sup> Tarih, с. III, 306.

<sup>170</sup> Раздел Азиатской Турции, 65.

ტებს გააძლიერებს. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ ინგლისსა და საფრანგეთს არც მაშინ ეშინოდათ გერმანიასთან კავშირის მომხრე ელემენტების გაძლიერებისა თურქეთში, როდესაც უარს ამბობდნენ კოლექტიური გარანტიების მიცემაზე თურქეთისათვის. „გებენისა“ და „პრესლაუს“ სრუტეებში შესვლის შემდეგ ეს იყო რუსეთთან ომის მომხრეთა ახალი წაქეზება.

ინგლისისა და საფრანგეთის მხრივ მრავალ ვაჭიანურებათა შემდეგ მხოლოდ 29 აგვისტოს გახდა შესაძლებელი მიეცათ თურქებისათვის მათი ტერიტორიების ხელშეუხებლობის წერილობითი გარანტია. სათანადო შეთანხმება რუსეთს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის მიღწეულ იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთმა უარს თქვა თავის მოთხოვნაზე თურქეთის არმიის დემობილიზაციის შესახებ. „სამი სახელმწიფო უცხადებს ოსმალეთს, — ნათქვამი იყო თურქებისათვის გადაცემულ განცხადებაში, — რომ ისინი მზად არიან მისცენ მას ტერიტორიული ხელშეუხებლობის გარანტიები და მეგობრული სულისკვეთებით განიხილონ მოთხოვნილებანი ეკონომიკისა და სასამართლო წარმოების დარგში, რომლითაც მათ ოსმალეთი მიმართავს. თავის მხრივ ოსმალეთი ვალდებულებას კისრულობს დაიცვას ნეიტრალიტეტი იმ კონფლიქტში, რომელიც ამჟამად ევროპას ჰყოფს“<sup>171</sup>. მაგრამ ამ განცხადებას, როგორც საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი პუანკარე აღნიშნავს, ჰქონდა ის დიდი ნაკლი, რომ მან „ძალიან დაიგვიანა და იყო მეტად ბუნდოვანი.“<sup>172</sup>

დაუყოვნებლივ ომში ჩაბმის საშუალებას თურქეთს ბულგარეთის პოზიციაც არ აძლევდა. ანტანტის მხარეზე ბულგარეთის გადასვლა იქნებოდა არა მარტო უშუალო კავშირის გაწყვეტა თურქეთსა და გერმანიას შორის, არამედ ომის დაწყებაც უშუალოდ კონსტანტინოპოლის ახლოს, დაახლოებით იმ ხაზზე, სადაც რუსეთის გა-

<sup>171</sup> P. Пуанкаре, На службе Франции, т. I, Москва, 1936, 115.

<sup>172</sup> P. Пуанкаре, დასახ. ნაშრომი, 115.

მარჯვებით მთავრდებოდა რუსეთ-თურქეთის ომები მე-19 საუკუნეში. ბულგარეთის გარეშე თურქებს გაუჭირდებოდათ გერმანიისთან ერთად ომის წარმოება. ენვერმა განუცხადა კიდეც ფრანკლანდს: „თურქეთი არ ჩაებმება არავითარ კომბინაციაში, რომლის შედეგადაც მის გვერდით მტრული ბულგარეთი აღმოჩნდება.“<sup>173</sup>

1914 წლის აგვისტოს დამლევისათვის თურქეთის მთავრობის წრეებში (საიდ პალიმი, ჯემალ ფაშა და სხვ.) გაბატონდა აზრი, რომ თურქეთის ომში ჩაბმა, როგორც გერმანიის მოკავშირისა, გაპირობებულ უნდა იყოს არა მარტო თურქეთის საომარი მზადყოფნით, არამედ საჭიროა დაცვა ან ცენტრალურ სახელმწიფოთა გადაწყვეტ გამარჯვებამდე, ანდა მანამდე, სანამ ბულგარეთი არ შეუერთდება გერმანიას.<sup>174</sup>

ამრიგად, ბულგარეთის პოზიცია პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხად იქცა და ფაქტიურად მასზე იყო დამოკიდებული თურქეთის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. ბულგარეთის საკითხი მით უფრო მწვავე იყო, რომ ჯერ კიდევ არსებობდა ბულგარეთის ანტანტის მხარეზე გადაბირების შესაძლებლობა. ასეთი შემთხვევისათვის ბულგარეთი საბერძნეთისა და სერბიის ხარჯზე ტერიტორიულ კომპენსაციებს მოითხოვდა. რუსეთი მზად იყო საბერძნეთსა და სერბიაზე ზემოქმედება მოეხდინა, რათა გერმანიისაგან ბულგარეთი ჩამოეცილებინა, მაგრამ საფრანგეთმა და ინგლისმა, რომლებმაც ბულგარეთისათვის ტერიტორიული კომპენსაციების მიცემის საკითხში რუსეთს ფორმალური თანხმობა განუცხადეს, აქაც დაიწყეს საკითხის გაჭიანურება და ამით ბულგარეთს გერმანიისაკენ უბიძგეს. 3

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ გრეი, რომელიც წინააღმდეგი იყო, რომ თურქეთისაგან დემობილიზაცია მოეთხოვათ, ცდილობს დაარწმუნოს რუსეთი, რომ თურქეთის გერმანიის მხარეზე გადასვლა გადაწყვეტილი საქმეა და რომ ვერავითარი დიპლომატიური ნაბიჯი ვერ შეაკავენს თურქეთს ვახდეს გერმანიის მოკავშირე.

<sup>173</sup> M. Larcher, დასახ. ნაშრომი, 38.

<sup>174</sup> K. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 23.

თურქეთის მთავრობამ, რომლისთვისაც ორიენტაციის საკითხი აღარ წარმოადგენდა სადისკუსიო საგანს, გააძლიერა ომიკსათვის მზადება. 29 აგვისტოს, იმ დღეს, როდესაც ანტანტის სახელმწიფოებმა თურქეთის მთავრობას შეატყობინეს დეკლარაციის პროექტი თურქეთისათვის ტერიტორიული ხელშეუხებლობის გარანტიების თანხმობის მიცემის შესახებ, კონსტანტინოპოლში ჩავიდა 2 გერმანელი ადმირალი, 15 საზღვაო ოფიცერი და 281 მეზღვაური-არტილერიისტი. მათ შექმნეს „განსაკუთრებული გუნდი“ ადმირალ ფონ უზედომის მეთაურობით, რომელიც სრუტეების სიმაგრეების უფროსად დაინიშნა, ხოლო გერმანელი ოფიცრები და მეზღვაური არტილერიისტები იმავე სიმაგრეთა ბატარეებზე გაანაწილეს.<sup>175</sup> ამრიგად, 29 აგვისტოს სრუტეების დაცვა გერმანიას გადაეცა. იმავე დღეებში ბულგარეთზე გავლით სტამბოლისაკენ გაემართნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული გერმანელი ოფიცრებითა და ჯარისკაცებით სავსე მატარებლები.<sup>176</sup>

გერმანელმა ოფიცრებმა თურქეთის არმიის თითქმის ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობა დაიკავეს. გენერალი ლიშან ფონ სანდერსი გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელის თანამდებობასთან შეთავსებით დაინიშნა თურქეთის პირველი არმიის სარდლად. თურქეთის დანარჩენი არმიების სათავეში თურქი სარდლები დატოვეს. მაგრამ მათ მრჩეველებად ან შტაბების უფროსებად გერმანელები დაუნიშნეს. გერმანელები დაინიშნენ უმაღლესი მთავარსარდლობისა და სამხედრო სამინისტროს განყოფილებების უფროსებად. ისინი სარდლობდნენ აგრეთვე ბევრ სამხედრო შენაერთსაც. გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელობით თურქეთმა აგვისტოში რამდენიმე არმია ჩამოაყალიბა. პირველი არმია, რომლის სარდლადაც ლიშან ფონ სანდერსი დაინიშნა, ხუთი საარმიო კორპუსისაგან შედგებოდა. პირველ არმიას დაექვემდებარა აგრეთვე მე-6 საარმიო კორპუსი, რომელიც ალუბოდან სან-სტეფანოში გადმოიყვანეს. მე-2 არმიის სარდლად საზღვაო მინისტრი ჯემალ ფაშა დაინიშნა. ამ არმიაში შედიოდა აზიის სანაპიროზე განლაგებული ორი საარმიო კორპუსი. პირველი და მეორე არმიის შტაბების ადგილსამყოფელი სტამბოლი იყო. მესამე არმია შეიქმნა კავკასიის საზღვრებთან შტაბით ქ. არზრუმში და შედგებოდა სამი საარმიო კორპუსისაგან.

<sup>175</sup> К. Мюльман, *დასაბ. ნაშრომი*, 18.

<sup>176</sup> Р. Пуанкаре, *დასაბ. ნაშრომი*, ტ. I, 114.

ომის დაწყების მომენტისათვის თურქეთს ჰყავდა 400.000 გაწვრთნილი ჯარისკაცი და 24.000 ოფიცერი, რაც 38 დივიზიას შეადგენდა. საბრძოლო ერთეულების აგებულების სქემა შემუშავებული იყო გენერალ ფონ დერ გოლცის მიერ. თითოეული დივიზია შედგებოდა 3 ლეგიონისაგან, საარმიო კორპუსი—3 დივიზიისაგან. თურქეთის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში იყო 339 ბატალიონი, 132 სატყვიამფრქვევო ასეული, 114 საკავალერიო ესკადრონი, 322 საარტილერიო ბატარეა და ირეგულარული ნაწილები 20.000 მებრძოლის შემადგენლობით (უმთავრესად ქურთები და ანატოლიელი მომთაბარეები) <sup>177</sup>.

თურქეთის არმიის ერთ-ერთ სუსტ ადგილს მეთაურთა კადრები წარმოადგენდა. ოფიცერთა განსაკუთრებულ სიმცირეს თურქეთის არმია განიცდიდა მას შემდეგ, რაც ენვერმა სამხედრო მეთაურთა შორის წმენდა ჩაატარა. არმიიდან განდევნეს ყველა ის ოფიცერი, ვინც არ იყო თურქიზმით გამსჭვალული ან არ იყო ენვერის ერთგული. ამიტომ ომის დასაწყისისათვის ლეგიონებს ხშირად მათორება სარდლობდნენ, ხოლო დივიზიების სათავეში ლეგმეთაურებიც კი არ იყვნენ. დივიზიებისა და ლეგიონების მეთაურთა ასაკი არ აღემატებოდა 35 წელს. უმცროს მეთაურთა ორმა მესამედმა არ იცოდა წერა-კითხვა. გერმანელ ოფიცრებს, რომლებიც უმთავრესად შტაბებში იყვნენ მოკალათებულნი, არ შეეძლოთ შეეხსოთ მეომარ თურქ ოფიცერთა ნაკლებობა.

გერმანიის შეტევის ჩაფუშვამ საფრანგეთში და მარნას ხაზზე გერმანიის არმიის თავდაცვაზე გადასვლამ გერმანიის მომხრეთა შორის თურქეთში იმედების გაცრუება გამოიწვია. ყოყმანი დაიწყო ზოგიერთმა თურქმა პოლიტიკურმა მოღვაწემაც, მაგრამ ენვერას ბრმა რწმენა, რომ გერმანია გაიმარჯვებდა, ოდნავადაც არ შერყეულა. ამიტომ ენვერი აღმირალ სუშონთან ერთად დაყინებით მოითხოვს შავ ზღვაზე რუსეთზე თავდასხმით ომის დაწყებას <sup>178</sup>.

<sup>177</sup> M. Larcher, დასახ. ნაშრომი, გვ. 69. წესდების თანახმად თურქულ დივიზიაში შედიოდა: 3 ქვეითი ლეგიონი, ხოლო თითოეული ლეგიონი თავის მხრივ შედგებოდა 3 ბატალიონისაგან და 1 სატყვიამფრქვევო ასეულისაგან, 4 ტყვიამფრქვევით, 3 საარტილერიო ბატარეა, რომელთაგან 2 იყო საველე, ხოლო 1—სამთო, სულ 24 ზარბაზნის შემადგენლობით, 1 საკავალერიო ესკადრონი, 1 საინჟინერო ასეული, საყარაულო ნაწილები და სხვ. მაგრამ სინამდვილეში თურქული დივიზიები არასოდეს არ კომპლექტდებოდნენ ისე სრულად, როგორც ეს წესდებით იყო გათვალისწინებული.

<sup>178</sup> Tarih, c. III, 306.

რაც მთლიანად უბასუხებდა ინგლისის ინტერესებს. ინგლისს რომ სეთს უმტკიცებდა, რომ თურქეთის ომში ჩაბმა, როგორც გერმანიის მოკავშირისა, საბოლოოდ გადაწყვეტილი საქმეა. აქედან გამომდინარე გრძელ რუსეთის ელჩს ლონდონში უცხადებს, რომ ამჟამად მთავარია თურქეთის მიერ თავდასხმის ინიციატივის თავის თავზე აღება, რაც თურქეთს ომის დაწყების პასუხისმგებლობას დააკისრებს. საკითხის ასეთი წარმართვა, გრძელს სიტყვით, ინგლისს თავიდან ააცილდა ურთიერთობის გამწვავებას ინდოეთისა და ევროპის მუსლიმანებთან.

1. თურქეთის სარდლობამ 1914 წლის 22 ოქტომბერს სამხედრო მოქმედებათა გეგმა გერმანელებს აცნობა. გეგმა ენვერმა შეადგინა და მასში ნათქვამი იყო:

„1. თურქეთის ფლოტს მიეცა დირექტივები, რათა მან მოამზადოს და ჩაატაროს შემდეგი ღონისძიებანი: შავ ზღვაზე გაბატონების მიზნით თურქეთის ფლოტი ომის გამოუცხადებლად დაესხას თავს რუსეთის ფლოტს. ღონისძიების დრო დადგენილი იქნება ადგირალ სუშონის შეხედულებისამებრ. რუსეთისათვის ომის გამოცხადების შემდეგ მისი საიმპერატორო უდიდებულესობა სულთანს გერმანიის, ავსტრიისა და თურქეთის მტრების წინააღმდეგ საღვთო ომს გამოაცხადებს.

2. თურქეთის არმიას, რომელიც სომხეთში იმყოფება, ევალება რუსეთის სამხედრო ძალების შებოქვა ამიერკავკასიაში.

3. მე-18 საარმიო კორპუსი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში მე-12 საარმიო კორპუსი დაეხმარება, აწარმოებს შეტევას ეგვიპტეზე. საზღვრის გადალახვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ რ კვირის შემდეგ (დღიდან ომის დაწყებისა — ო. გ.).

4. ბულგარეთთან შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში თურქეთის მთავარი სამხედრო ძალები ბულგარეთის სამხედრო ძალებთან ერთად დაიწყებენ შეტევას სერბიაზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ შეტევას საბერძნეთისა და რუმინეთის წინააღმდეგ. თუ რუმინეთი ჩვენ შემოგვიერთდება, მაშინ თურქეთის მთავარი სამხედრო ძალები რუმინეთის არმიასთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ გაემართებიან.

5. მზადდება შეტევა ოდესაზე ზღვიდან ჯერ 3 ან 4 საარმიო კორპუსის ძალებით, მაგრამ ამ ოპერაციის განხორციელება დამოკიდებული იქნება ზღვაზე ბატონობისაგან და ბულგარეთისა და რუმინეთის მეგობრულ ნეიტრალიტეტზე. ზემოხსენებულის განხორციელება დამოკიდებული იქნება აგრეთვე გერმანია-ავსტრიის მიერ რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული შეტევის მსვლელობაზე.

ამიტომ გთხოვთ მიიღოთ ყველა ზომა, რათა ბალკანეთის სარეზოლუციო დოკუმენტი გახდნენ გერმანიის, ავსტრიისა და თურქეთის შიშვენიერების, რასაც თურქეთმა დღევანდლამდე ვერ მიაღწია.<sup>179</sup> გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა მთლიანად დაეთანხმა ამ გეგმას.<sup>180</sup>

22 ოქტომბერს ენვერმა, როგორც ჩანს, ჯემალისა და თალათის სრული თანხმობით, ადმირალ სუშონს შემდეგი საიდუმლო ბრძანება მისცა: „თურქეთის ფლოტი შავ ზღვაზე უნდა გაბატონდეს. იპოვეთ რუსეთის ფლოტი და ომის გამოუცხადებლად შეებრძოლეთ მას.“<sup>181</sup> ენვერ ფაშამ პირად საუბარში ადმირალ სუშონს გარანტია მისცა, რომ ბოსფორი მუდმივად ღია იქნება გერმანიის სამხედრო ხომალდებისათვის.<sup>182</sup> თურქეთის მიერ განზრახული სამხედრო მოქმედებების შესახებ გერმანიის საველე გენერალური შტაბის უფროსმა ერის ფონ ფალკენჰაინმა 23 ოქტომბერს განაცხადა: „ფლოტის დაუყოვნებლივ ამოქმედებას შავ ზღვაზე კვლავ ვთვლი შეტად მნიშვნელოვან ღონისძიებად“<sup>183</sup>.

27 ოქტომბერს თურქეთ-გერმანიის ფლოტი თურქეთის აღმოსავლეთის შავ ზღვაში, 28 ოქტომბერს მან ყუმბარები დაუშინა რუსეთის სანაპიროსა და სამხედრო ხომალდებს, ხოლო 30 და 31 ოქტომბერს დაბრუნდა თავის ბაზაზე — სრუტეებში.

უკვე 29 ოქტომბერს ანტანტის ქვეყნების დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა სტამბოლში გაიგეს მომხდარი ამბის შესახებ. თურქეთის რუსეთზე თავდასხმის ამბავს ინგლისის ელჩი შეხვდა „საკმაოდ მხიარულად“, ხოლო საფრანგეთის ელჩი „საკმაოდ გულგრილად“<sup>184</sup>.

თურქები იმთავითვე შეეცადნენ, რომ მთელი პასუხისმგებლობა ამ თავდასხმისა, ე. ი. ომის დაწყებისთვისაც, გერმანელებისათვის გადაებრალეზინათ. თურქეთ-გერმანიის გაერთიანებული ფლოტის რუსეთზე თავდასხმის გამო თალათმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს თურქეთში — მორგენტაუს განუცხადა, რომ მან, თალათმა ამ თავდასხმის შესახებ არაფერი იცოდა და რომ მთელი პასუხისმგებლობა სუშონს ეკისრება.<sup>185</sup> თუმცა ცნობილი იყო, რომ თალათი

<sup>179</sup> К. Мюльман, *დასახ. ნაშრომი*, 31.

<sup>180</sup> იქვე.

<sup>181</sup> К. Мюльман, *დასახ. ნაშრომი*, 24.

<sup>182</sup> იქვე.

<sup>183</sup> იქვე.

<sup>184</sup> Раздел Азиатской Турции, 73.

<sup>185</sup> Н. Morgenthau, *დასახ. ნაშრომი*, 118.

ისევე, როგორც ენვერი, თურქეთის დაუყოვნებლივ ომში ჩაბმის მომხრე იყო. მეტიც, იგი მოითხოვდა თურქეთის ომში ჩაბმას მიუხედავად იმისა, გაუმჯობესდებოდა თუ არა გერმანიის სამხედრო მდგომარეობა ფრონტებზე და ჩაებმებოდა თუ არა ბულგარეთი ომში, როგორც გერმანიის მოკავშირე.<sup>186</sup>

თალათის ასეთი განცხადების მიზანი იყო თურქეთისათვის ომის დაწყების პასუხისმგებლობა მოეხსნა. შემდგომში, როდესაც თურქეთი ომში დამარცხდა, იქ შეიქმნა ვერსია, რომ თითქოს ომის დაწყების მომენტისათვის თურქეთს ყოველგვარი დამოუკიდებელი მოქმედების უნარი ჰქონდა დაკარგული და რომ იგი მთლიანად გერმანიის უღელქვეშ იმყოფებოდა. ანტანტის ინტერვენციის დამარცხების შემდეგ, როდესაც ინგლისი კვლავ დაუახლოვდა თურქეთს, ეს ვერსია ინგლისმაც გამოიყენა, რათა კვლავ აღედგინა ლეგენდა ინგლისისა და თურქეთის „ტრადიციული და ურყევი“ მეგობრობის შესახებ. მუსტაფა ქემალი, რომელიც იმ დროს ოსმალეთის სამხედრო ატაშე იყო ბულგარეთში და რომელმაც პირადად ბევრი გააკეთა ბულგარეთის ომში ჩასაბმელად, გამოყვანილ იქნა ომის მოწინააღმდეგედ. „ოსმალეთისათვის ომი დაიწყო არახელსაყრელ დროს. მუსტაფა ქემალ ბეი თავის მოხსენებებში იცავდა ამ მნიშვნელოვან ისტორიულ თვალსაზრისს“ — წერს თურქეთის ოფიციალური ისტორია.<sup>187</sup>

თურქეთის ამავე ოფიციალური ისტორიის მტკიცებით „ოსმალეთის გენერალური შტაბი გერმანელებს ემორჩილებოდა.“<sup>188</sup> ამრიგად, გამოდის, რომ თურქეთის ფლოტისათვის რუსეთზე თავდასხმის ბრძანების მიცემა მხოლოდ გერმანელებს შეეძლოთ.

სხვა თურქულ გამოცემათა შორის, თურქეთის პირველ მსოფლიო ომში ჩაბმის საკითხს რომ ეხება, ყურადღებას იპყრობს თურქეთის გენერალური შტაბის მიერ შედგენილი და ომის დამთავრებისას გამოცემული წიგნი — „ოსმალთა სამხედრო ოპერაციების ისტორია მსოფლიო ომში“. აქ, ერთი მხრივ, ხაზგასმულია გერმანელთა მოქმედება და მიჩქმალულია თურქეთის მთავრობისა და ენვერის პასუხისმგებლობა ომის დაწყებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, წიგნის ავტორები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თურქეთის ომში ჩაბმავითომდა თავდაცვით აქტს წარმოადგენდა, რომელიც „რუსეთის მუქარამ“ გამოიწვია, ამ ყალბ რწმენას რიგით თურქებს უნერგავდა არა მარტო გერმანია, არამედ ინგლისიც და საფრანგეთიც. „სი-

<sup>186</sup> К. Мюльман, даსახ. ნაშრომი, 23.

<sup>187</sup> Tarih, c. III, 306.

<sup>188</sup> იქვე.

ნამდვილში ჩვენ ხანგრძლივი ზავი უფრო გვეკირდებოდა. ვიდრე ომი. — ვკითხულობთ ზემოხსენებულ წიგნში. — თუმცა საყოველთაო ომის დაწყება ჩვენ არ გვაძლევდა საშუალებას დავრჩენილიყავით უმოქმედოდ და უღარდელად. ეს იყო საშიში და შეუძლებელი. ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენი მეზობლები შეეცდებოდნენ გამოეყენებინათ დიდ სახელმწიფოთა სიძნელები. ყოველი ჩვენი ხარბი მოწინააღმდეგე მოინდომებდა ძალის გამოყენებას, რათა თავისი დაპყრობანი განეხორციელებინა. კერძოდ, რუსეთი ეძვს გარეშეა, გამოიყენებდა დიდ პოლიტიკურ ქაოსს. რათა ხელში ჩაეგდო სახალხო დედაქალაქი, რომელსაც ის ცარგრადს უწოდებდა და სრუტეები, რაც მისი დიდიხნის სურვილს წარმოადგენდა. ძირითადად სწორედ რუსეთი გვემუქრებოდა. ოსმალეთის მთავრობამ შეიგნო დაღუბვის საშიშროება და 1330 წლის<sup>129</sup> 30 ივლისს თავისი შეიარაღებული ნეიტრალიტეტის დასაცავად მობილიზაცია გამოაცხადა<sup>130</sup>.

◀ მსოფლიო ომში თურქეთის ქეშმარიტი მიზნები საკმაოდ გულახდილად არის განმარტებული „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის მიმართვაში, რომელიც თურქეთის ომში ჩაბმასთან დაკავშირებით პარტიის ყველა განყოფილებას დაეგზავნა. მიმართვა თურანისტული სულით არის გამსჭვალული. „მოსკოველებმა, რომლებიც

<sup>129</sup> წელწიანი ნაჩვენებია პიჯრით, ჩვენი წელთაღრიცხვით უდრის 1914 წელს.

<sup>130</sup> L. Marcher, დასახ. ნაშრომი 50. ზემოაღნიშნული თურქული თვალსაზრისით ომის დაწყებისათვის მთელი პასუხისმგებლობა გერმანიისათვის დაკისრება შესახებ გავრცელდა როგორც ევროპულ, ისე სამკოურ ლიტერატურაში. მაგ., ფრანგი ავტორი კაიზერი თავის წიგნში „ევროპა და ახალი თურქეთი“ (გამოცემულია პარიზში 1922 წ. არის რუსული თარგმანი, გამოცემული მოსკოვში 1925 წ.) იცავს იმ თვალსაზრისს, რომ თურქეთში გერმანელები ოსმალების დაუკითხავად მოქმედებდნენ. აზერბაიჯანელი ისტორიკოსი ორუჯვეი თავის საკანდიდატო დისერტაციაში — გერმანიის იმპერიალიზმის შეჭრა თურქეთში (მე-19 ს. დასასრულიდან 1914 წლამდე) კაიზერის წიგნზე დაყრდნობით არა მარტო იმეორებს იგივეს, არამედ მიდის კიდევ უფრო შორს. იგი წერს: „ამ დროიდან (10 იანვარი 1913 წ.) თურქეთს ფაქტიურად მართავდა ტრიუმფირატი — ენვერი, თალათი, ჯემალი. ტრიუმფირატი მოწყვეტილი იყო არა მარტო ხელს, არამედ ეროვნულ ბურჟუაზიას“ (ავტორიტეტის მე-14 გვ.), ამრიგად, თურქეთის ბურჟუაზიას ეხსენება პასუხისმგებლობა ომის დაწყებისა და მისი წარმოებისათვის, რამდენადაც ენვერი არ ყოფილა თურქი ბურჟუაზიის თვალსაზრისის გამომატველი. სინამდვილეში თურქი ბურჟუაზია ალტაცებით მიჰყვებოდა ენვერს და ზურგი შეაქცა მას მხოლოდ მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ.

პეტრე I გზას მისდევენ. — წერია მიმართვაში, — მიზნად დაიხატა ტურქი ერის განადგურება. აქამდე ინგლისი და საფრანგეთი თვლიდნენ, რომ ისინი თურქეთის არსებობით არიან დაინტერესებულნი. ახლა კი რუსეთთან ერთად მის დანგრევას ცდილობენ. რათა შემდეგ უბრკოლებლად გადაყლაპონ ინდოეთი, ეგვიპტე, ტუნისი, ალჟირი, მაროკო და სხვ. „მაგრამ განა ჩვენ შეგვეძლო არაფერი არ გვეკეთებინა იმ დროს, როდესაც ჩვენი ბუნებრივი მოკავშირენი ომს აწარმოებდნენ რუსეთთან, ჩვენს მოსისხლე, შეურიგებელ, საუკუნოვან მტერთან?“. „ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მსოფლიო ომში ჩვენი მონაწილეობის მიზანს შეადგენს არა მარტო ჩვენი ქვეყნის გადარჩენა დალუპვისაგან, რომელიც მას ემუქრება. არა, ჩვენ ვისახავთ უფრო უშუალო მიზანს — ჩვენი ეროვნული იდეალის განხორციელებას, რომელიც მოითხოვს, რომ ჩვენ დავამარცხოთ ჩვენი მოსკოველი მტერი და გავაფართოოთ ბუნებრივ საზღვრებამდე ჩვენი იმპერია, რომელიც მოიცავს და გააერთიანებს ჩვენი მოდგმის ყველა ხალხს.“<sup>191</sup>

ამრიგად, თანახმად ციტირებული დეკლარაციისა, თურქეთი მსოფლიო ომში თურანის შექმნის მიზნით ჩაება. მაგრამ ეს იყო წმინდა თურქული მიზანი, რომელმაც უკვე ომის პირველსავე ეტაპზე გამოიწვია ინტერესთა სხვადასხვაობა გერმანელებსა და თურქებს შორის. გერმანელებს ოსმალეთის თურანისტული მიზნების დეკლარაციაში აინტერესებდათ მხოლოდ ის, რომ ასეთი მიზნები მისცემდა მათ საშუალებას გამოეყენებინათ ოსმალეთის თურქისტული აგენტურა ისევე, როგორც ოსმალეთის იმპერიის გარეთ არსებული ისლამისტური მიდრეკილებანი და ხალიფას ავტორიტეტი მუსლიმანურ სამყაროში. ანტიინგლისური და ანტიფრანგული გამოსვლები აფრიკასა და აზიაში მეტად მომხიბვლელი პერსპექტივა იყო გერმანიისათვის. თურქისტული და ისლამისტური ელემენტებისადამუნხარდაჭერის პოლიტიკას, რომელსაც გერმანია მრავალი წლის განმავლობაში ახორციელებდა, ახლა თავისი ნაყოფი უნდა გამოეღო. ეს კი მოხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ თურქეთის დახმარებით, როდესაც გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი გაეცნო 1914 წლის 2 აგვისტოს გერმანია-თურქეთის საიდუმლო ხელშეკრულების ტექსტს. შენიშნა, რომ „საჭიროა ვეცადოთ გამოვიწვიოთ აქანყება ინდოეთში იმ შემთხვევაში, თუ ინგლისი ჩვენს წინააღმდეგ გამოვა. იგივე უნდა გავაკეთოთ ეგვიპტეში... — უნდა ვურჩიოთ სპარსეთს გამოიყენოს ხელსაყრელი შემთხვევა, რათა თავი დააღწიოს რუსეთის

<sup>191</sup> Tekin. Alp. დასახ. ნაშრომი, გვ. 50, 55. ციტირებულია წიგნით Zapanid. დასახ. ნაშრომი, 108.

უღელს და თუ შესაძლებელი იქნება თურქეთთან ერთად ნაუბარ  
ომში. <sup>192</sup>

ამ მიზნით გერმანიამ კავშირი დაამყარა თითქმის მთელი  
ფლიოს მუსლიმანებთან, რომელთა შორის დიდ მუშაობას თურქე-  
თის მრავალი ემისარიც აწარმოებდა. <sup>193</sup> ასე, მაგალითად, გერმანია  
უფროსი ლეიტენანტის ნიდერმაიერის და დიპლომატ ფონ პენთინგის  
ხელმძღვანელობით ადგენს ჯგუფს, რომელიც ქაბულისაკენ მიემგ-  
ზავრება. მას უნდა მიეღწია, რომ ავღანეთის ემირი ინგლისის წინა-  
აღმდეგ გამოსულიყო და შექრილიყო ინდოეთში. ამასთანავე „გერ-  
მანიის სარდლობამ დაამყარა აგრეთვე კავშირი კავკასიის მოსახლე-  
ობასთან. აქ უმრავლესობა მუსლიმანები იყვნენ, რომლებიც უკმა-  
ყოფილებას განიცდიდნენ რუსეთის ბატონობის გამო. ამ მუსლიმან-  
თა დახმარებით იმედოვნებდნენ ბაქოს ნავთის სარეწების განადგუ-  
რებას, ციმბირის მაგისტრალზე ხიდების მოსპობას და კავკასიაში  
აჯანყების გამოწვევას“ <sup>194</sup>. ყველაფერი ეს თურქისტულ-ისლამის-  
ტური აგენტურის საშუალებით თურქეთს უნდა შეესრულებინა.

[მუსლიმანურ სამყაროზე ზემოქმედების მიზნით 1914 წლის  
13 ნოემბერს თურქეთმა ჯიჰადი — საღვთო ომი გამოაცხადა. საღვ-  
თო ომის გამოცხადების დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ ყველა  
მუსლიმანმა, მცხოვრებმა თურქეთის მოწინააღმდეგე ქვეყნების  
ტერიტორიაზე — ყირიმში, ყაზანში, თურქესტანში, ხივამში და აგ-  
რეთვე იმ მუსლიმანებმა, რომლებიც იმყოფებიან ჩინეთში, ავღა-  
ნეთში, აფრიკაში, სპარსეთში და სხვა სახელმწიფოებში, თავის მთა-  
ვარ რელიგიურ მოვალეობად უნდა მიიჩნიონ პირადად და მთელი  
თავისი ქონებით საღვთო ომში მონაწილეობა“ <sup>194</sup>. ამრიგად, ამ ქვეყ-  
ნების მუსლიმანებს გერმანია-თურქეთის სასარგებლოდ უნდა  
ებრძოლათ.

საღვთო ომის გამოცხადებით თურქები მეტად ორჭოფულ მდგო-  
მარეობაში აღმოჩნდნენ: ისინი მოუწოდებდნენ მუსლიმანებს ებრ-  
ძოლათ ქრისტიანების წინააღმდეგ ქრისტიანებთანვე კავშირში.  
ამავე დროს უხერხული მდგომარეობა იქმნებოდა ნეიტრალურ სა-  
ხელმწიფოთა მიმართაც. ამიტომ თურქები იძულებულნი იყვნენ  
განეცხადებინათ ამერიკელებისათვის, რომ ჯიჰადის გამოცხადების  
დეკლარაციის ტექსტში მოხსენიებულ ქრისტიანებს, შორის არ იგუ-  
ლისხმებიან ამერიკელი ქრისტიანები. <sup>195</sup> ]

<sup>192</sup> A. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 27.

<sup>193</sup> იქვე.

<sup>194</sup> M. Larcher, დასახ. ნაშრომი, 46.

<sup>195</sup> H. Morgenthau, დასახ. ნაშრომი, 156.


არა მარტო ეს ორქოფული მდგომარეობა იყო მიზეზი იმისა, რომ ჯიპადზე დამყარებული თურქებისა და გერმანელების მთელი იმედები უმაღლესე ჩაიფუშა, არამედ მთავარი იყო ის, რომ მასწავლებელი ნური სამყაროს ხელმძღვანელობაზე თურქეთის ყოველგვარი სტრატეგიები უსაფუძვლო აღმოჩნდა, ხოლო თურქებისა და ხალიფას პოპულარობა მეტად მცირე. მაგრამ არა მარტო ოსმალეთის იმპერიის საზღვრებს გარეთ, არამედ იმპერიის საზღვრებს შიგნითაც აშკარა იყო ისლამიზმის არაპოპულარობა. საღვთო ომის გამოცხადებას ისევე, როგორც ხალიფას ავტორიტეტს, რომელიც განსაკუთრებით დაბალი იყო არაბულ სამყაროში, არ შეეძლო მოესპო ეს სიძულვილი, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო ღვივდებოდა თურქებსა და არაბებს შორის. იტალიის პარლამენტში 1915 წლის 8 მარტს სპეციალურად აღნიშნეს, რომ საღვთო ომის გამოცხადებას ჩრდილო-აფრიკაში არავითარი გამოძახილი არ ჰქონია. სტამბოლში ჯიპადის გამოცხადებას მხოლოდ ფორმალური დემონსტრაცია და სომეხ თოქლანიანის ოტელში შუშების ჩამტვრევა მოჰყვა.

გერმანიამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ მუსლიმანური სამყაროსათვის ხალიფას მოწოდებანი ცნობილი გამხდარიყო. ამ მიზნით სულთან-ხალიფას ყოველი მოწოდება მუსლიმან ხალხთა ენებზე ითარგმნებოდა და მთელი დედამიწის ზურგზე ვრცელდებოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა „ხალიფას მოწოდებებმა დიდი გამოძახილი ვერ პოვის, — ნათქვამია თურქეთის ოფიციალურ ისტორიაში, — ინგლისისა და საფრანგეთის ქვეშევრდომი ინდოეთის, მაროკოს, ტუნისისა და სხვა მუსლიმანური ქვეყნების უღემებმა თავისი ბატონების ბრძანებით თვითონვე გამოსცეს ფეთვები, მოწოდებები და ორსაღვთები, რითაც აუქმებდნენ სულთან ხალიფას ფეთვებსა და მოწოდებებს. ინდოელი, მაროკოელი და ტუნისელი მუსლიმანი ჯარისკაცები უტევდნენ ხალიფას ქვეყანასა და არმიებს და ეს მათში არ იწვევდა არავითარ რელიგიურ განცდებს. მეტიც, იმ მუსლიმანებმაც კი, რომლებიც ოსმალეთის ქვეშევრდომები იყვნენ, განსაკუთრებით არაბებმა, უღალატეს ხალიფას. გადავიდნენ მტრის მხარეს და ოსმალეთის წინააღმდეგ მიიღეს ომში მონაწილეობა. მათ სათავეში ედგა მექის შერიფი და მისი შვილები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ წინასწარმეტყველის მემკვიდრეები არიან.“<sup>196</sup>

მიუხედავად ოსმალეთისა და მისი სულთან-ხალიფას არაპოპულარობისა მუსლიმან ხალხთა შორის ისლამისტური ჯგუფები, რომლებიც სულთან-ხალიფასადმი მორჩილებას ქადაგებდნენ, მაინც

<sup>196</sup> Tarih, c. III, 309.

საკმაოდ ძლიერნი იყვნენ და საკმაოდ აქტიურადაც მოქმედებდნენ ოსმალეთის შეიარაღებული ძალების სასარგებლოდ ინგლისის, ავსტრიისა და რუსეთის ჯარების ღრმა ზურგში.



ომის მსვლელობამ ერთგვარი კორექტივები შეიტანა თავდაპირველად განზრახულ გეგმებში. ოდესაში ან შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს რომელიმე სხვა ადგილას დესანტის გადასხმის პროექტსა საბოლოოდ მოიხსნა. ვინაიდან მიუხედავად „გებენის“ და „ბრესლაუს“ შემატებისა ოსმალეთმა შავ ზღვაზე ბატონობას მაინც ვერ მიაღწია<sup>197</sup>. ამრიგად, თურქეთს ომი უნდა ეწარმოებინა სამი ძირითად მიმართულებით: ეგვიპტე, ბალკანეთი და კავკასია. ამ სამ მიმართულებათა შორის გერმანიამ ყველაზე მნიშვნელოვნად თვლიდა ეგვიპტეს, რამდენადაც თურქების შეტევა ეგვიპტისა და სუეცის არხის წინააღმდეგ აიძულებდა ინგლისს გადაესროლა საკმაოდ დიდი რაოდენობით ჯარები მახლობელ აღმოსავლეთში, რითაც შესუსტდებოდა მოკავშირეთა ფრონტი საფრანგეთში. ამის გამო გერმანიამ ცდილობს დაარწმუნოს თურქეთი, რომ ეგვიპტის დაპყრობა ხელსაყრელია არამარტო გერმანიისათვის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თურქეთისათვის, რამდენადაც ეგვიპტე კვლავ თურქეთს შემოუმტკიცდება. გერმანელებმა თურქებს მიუთითეს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ ინგლისმა ეგვიპტე არაბული ნაციონალიზმის დასაყრდენად გადააქცია, საიდანაც მთელ არაბულ სამყაროში წარმოებდა არაბული ნაციონალიზმის პროპაგანდა და ამიტომ თურქეთის ინტერესს შეადგენს ასეთი ძლიერი ანტითურქული კერის ლიკვიდაცია. დეპეშაში, რომელიც სანდერსმა გერმანიის გენერალური შტაბის უფროსისაგან მიიღო, წერია: ჩვენი საერთო ინტერესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შეტევას ეგვიპტის წინააღმდეგ. თქვენი აღმატებულება დაუმორჩილებს ამ თვალსაზრისს მთელ იმ კრიტიკას, რომელიც იქნება წარმოებული თურქეთის მიერ დასახული ოპერაციების მისამართით<sup>198</sup>. ამით სანდერსს პირდაპირი მითითება ეძლეოდა გაეღმავრა თურქეთის მიერ დასახული იმ საომარი ოპერაციების წინააღმდეგ, რომელთა ჩატარებაში გერმანია დაინტერესებული არ იყო, ან არ ეთანხმებოდა თურქებს ამ ოპერაციათა განზრახულ მანშტაბებში.

✦ ეგვიპტის გარდა, გერმანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ევროპაში რუსეთის ფრონტის სამხრეთის ფლანგზე თურქეთის არმიების გამოყენებას. საამისოდ, თავდაპირველად, გეგმის ორი ვარიანტი არსებობდა. პირველი ვარიანტით ეწყობოდა დესანტის გადასხმა ოდეს-

<sup>197</sup> Tarih, c. III, 309.  
<sup>198</sup> O. L. v. Sanders, დასახ ნაშრომი, 37.

სის რაიონში და იქ საომარი მოქმედების ასპარეზი იქმნებოდა. ამ ვარიანტს თავის დროზე ენერგიულად იცავდა გერმანიის სარდლობა და პირადად ლიზან ფონ სანდერსი<sup>109</sup>. მეორე ვარიანტს კი უკვე თურქული დივიზიების გამოყენება ბალკანეთის მხრიდან გერმანია-რუსეთის ფრონტის სამხრეთ ფრთაზე. ოდესის რაიონში თურქების დესანტზე უარის თქმის შემდეგ გერმანია განსაკუთრებული დაჟინებით სთხოვდა თურქეთს დივიზიებს ევროპის საომარ ასპარეზზე გამოსაყენებლად. ამას გერმანელები ასაბუთებდნენ იმით, რომ, მათი რწმენით, ომის ბედი ევროპის ფრონტებზე გადაწყდებოდა და მასთან ერთად გადაწყდებოდა ომთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი, კერძოდ თურქების შექმნის საკითხიც.

ოდესასთან ფრონტის გახსნაზე უარის თქმა გერმანელების თვალში ერთგვარად ზრდიდა კავკასიის საომარი ასპარეზის მნიშვნელობას, მაგრამ გერმანიის მთავარსარდლობა კავკასიის ფრონტს მაინც მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა. თურქეთის შეიარაღებულ ძალებს გერმანელები კავკასიაში ამოცანად უსახავდნენ სამხედრო დემონსტრაციების გზით რუსეთის არმიების მოქმედების შეზღუდვას. თურქეთის ჯარებისათვის დაკისრებული ამგვარი ამოცანის შესრულებას აადვილებდა კავკასიის საომარი ასპარეზის ხელსაყრელი მდებარეობა. ეს ასპარეზი ძირითადად წარმოადგენდა ზეგანს, რომლის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 1800—2000 მეტრს უდრის. აღნიშნული ზეგანი ბატონობს სტრატეგიულ გზებზე, რომლებიც აკავშირებენ ამიერკავკასიას სირია-მესოპოტამიასთან, შავი ზღვის სანაპიროს—ჩრდილო ირანთან. ამიტომ ბრძოლა ზეგნისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობისა იყო. არმია, რომელიც აქ გაიმარჯვებდა, ან ჩაიგდებდა ხელში სირია-მესოპოტამიას, ან აღმოჩნდებოდა ამიერკავკასიაში.

სამხედრო მოქმედებას ზეგანზე აძნელებდა ამ რაიონის მეტად რთული რელიეფი. ზეგანი მაღალი ქედებითაა გადასერილი. 5 ასეთ ქედს, რომელთაც თავროსებს უწოდებენ, მიმართულება აქვთ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ამ ქედებს შორის მოთავსებულია 4 ხეობა. პირველი მათგანი — პონტოს ქედსა და ჩრდილოეთ თავროსს შორის (მდ. ქოროზის ხეობა) უგზოობისა და ქედების მთელი ლაბირინთის გამო ჯარის დიდი მასების მოქმედებისათვის გამოუსადეგარია. ასევე ნაკლებადაა გამოსადეგი ხეობები შუა და სამხრეთ თავროსებსა და სამხრეთ და მთავარ თავროსებს შორის. ჯარის დიდი მასების მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ჩრდილოეთ და შუა თავროსებს შო-

<sup>109</sup> O. L. v. Sanders, დასახ. ნაშრომი, 35.

რის, ამ ხეობაზე გადის ძირითადი გზატკეცილები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ ამიერკავკასიას და ანატოლიას. ხეობის ბუნებრივ ცენტრს წარმოადგენს არზრუმის ამალღებულს ქვეყანაში რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 1830—2045 მეტრს შეადგენს. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ხეობა კეტავს სარიყამიში და ყარსი<sup>100</sup> ეს იყო ძირითადი და ერთადერთი შესაძლებელი თბერაციული მიმართულება რუსეთ-თურქეთის მე-19 საუკუნის ყველა ომში. ყველა სხვა მიმართულებანი — შავი ზღვის სანაპირო ხაზი ბათუმის მიმართულებით, ჭოროხისა და მტკვრის ხეობები, რომელნიც უგზოობისა და ძნელად დასაძლევნი პროფილის გამო გამოუსადეგარნი იყვნენ ჯარის დიდი შენაერთების მოქმედებისათვის, რუსეთ-თურქეთის მე-19 საუკუნის ომებში მხოლოდ დამხმარე მიმართულებებს წარმოადგენდა.

[მსოფლიო ომის მომზადების დროს წარსული ომების მაგალითის მიხედვით თურქებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ძირითადი თბერაციები კავკასიის ასპარეზზე არზრუმზე დაყრდნობით ეწარმოებინათ. არზრუმიდან რუსეთისაკენ გასასვლელად აუცილებელი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ხეობის ჩამკეტი სიმაგრის—ყარსის აღება და საამისოდ სარიყამიშის უღელტეხილის დაძლევა. ამ ძირითადი მიმართულების გარდა თურქეთის გენერალურ შტაბს განზრახულა ჰქონდა შეექმნა დამხმარე საომარი მიმართულებანი (მტკვრისა და ჭოროხის ხეობები, შავი ზღვის სანაპირო) არტანისა და ბათუმის ხელში ჩასაგდებად და 1877—1878 წლების ომამდე არსებული საზღვრების აღდგენა, რის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა ამიერკავკასიაში ღრმად შეჭრა.]

ამ ამოცანის განხორციელება დაეკისრა ოსმალეთის მე-3 არმიას, რომელიც ენვერის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით კავკასიის საზღვრებთან შეიქმნა. 1914 წლის ივლის-აგვისტომდე, როდესაც თურქეთმა მობილიზაცია გამოაცხადა, თურქებს ამ რაიონში მხოლოდ 2 საარმიო კორპუსი ჰყავდათ, რომელთაგან თითოეული 2 დივიზიისაგან შედგებოდა. ეს იყო მე-9 საარმიო კორპუსი, განლაგებული არზრუმის რაიონში და მე-11 საარმიო კორპუსი, განლაგებული ვანის რაიონში. მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ ამ ორი კორპუსის ბაზაზე იქმნება ოსმალეთის მე-3 არმია, რომელსაც დაამატეს რეგულარული კავალერიის მე-2 დივიზია და ჰამიდის რეგულარული საკავალერიო ნაწილები. ამ ნაწილების არიერგარდში იდგა მე-10 საარმიო კორპუსი სამი დივიზიის შემადგენლობით.

<sup>100</sup> Н. Г. Корсун. Первая мировая война на Кавказском фронте. Москва, 1946, 11—12.

რომელიც განლაგებული იყო ერზინჯანის, სამსუნისა და ქერასუნის შორის და ამოცანად დასახული ჰქონდა მე-3 არმიის მარცხენა ფლანგის დაცვა შავი ზღვის მხრიდან და რუსეთის არმიის შესაძლებელი სადესანტო ოპერაციებიდან.

ბუნებრივია, რომ მე-3 არმია იმთავითვე მოექცეოდა თურანისტების განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ, რამდენადაც ის თურანის გზაზე იდგა. ეს იყო გზა, რომლითაც თურანული ტომები ანატოლიაში მოვიდნენ და რომლითაც უნდა წასულიყვნენ ანატოლიაში მოსულ თურანელთა მემკვიდრეები „სამშობლო“ სივრცეების კვლავ დასაპყრობად. „თურანის გზა“ იწყებოდა სტამბოლში. გადიოდა ანკარაზე, სივასზე და არზრუმზე. არზრუმიდან შესაძლებელი იყო წასვლა კასპიის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსაკენ თბილისისა და ბაქოს გავლით და კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროსაკენ თავრიზისა და თეირანის გავლით.<sup>201</sup>

მე-3 არმიის განლაგებაში შედიოდა აგრეთვე ტრაპიზონი.—თურქებისათვის მეტად მნიშვნელოვანი სამი ისტორიული გზის სათავე, რომელთაც არ ჰქონდათ დაკარგული თავისი სტრატეგიული, ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა. ეს იყო: 1. სპარსეთის გზა (ტრაპიზონი — არზრუმი — თავრიზი), 2. კილიკიის გზა (ტრაპიზონი — არზრუმი — კილიკია), 3. ქურთისტანის გზა (ტრაპიზონი — არზრუმი-მოსული).

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ თურქეთი უშუალოდ ჩაებმებოდა ომში, აშკარა გახდა, რომ თურქეთის სარდლობას აქვს ტენდენციები გააძლიეროს მე-3 არმია ბევრად უფრო მეტად. ვიდრე ეს საჭირო იყო თავდაცვისა და სადემონსტრაციო მოქმედებისათვის.

1914 წლის სექტემბერში მე-11 კორპუსი ვანის რაიონიდან გადმოიყვანეს არზრუმისაკენ. ხოლო ვანისა და ბაიაზეთ-ყარაქილისეს რაიონებში, რუსეთის საზღვრის გასწვრივ, დატოვეს ირეგულარული ძირითადად ქურთული ნაწილები.

ომის დაწყების მომენტისათვის მე-3 არმია შედგებოდა 6 ქვეითი დივიზიისაგან (4—არზრუმში, 1—ისპირში, 1—თუთაკში), 3 სპეცალერით დივიზიისაგან, რომელთაგან ერთი იყო რეგულარული და იდგა არზრუმში, ხოლო ორი ირეგულარული (პამიდიე) განლაგებული იყო არაქსისა და ალაშკერტის რაიონებში. ამ სამხედრო ნაწილებსა და რუსეთის საზღვარს შორის იდგა მესაზღვრეთა 15 და ქანდარმერის 1 ბატალიონი. ირანის საზღვარს, რომელსაც მე-3 არმიის მარჯვენა ფრთა ებჯინებოდა, იცავდა მესაზღვრეთა 5 ბატალიონი და

<sup>201</sup> M. Larcher, დასახ. ნაშრომი, : 6.

ქანდარმერიის ერთი დივიზია. ამ უკანასკნელის ფორმირება განხორციელდა.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ოსმალეთის არც ერთი მხარე არ იყო ისე მჭიდროდ დაკავშირებული და დამოკიდებული შავი ზღვის ფლოტის მოქმედებასთან, როგორც კავკასიაში მოქმედი არმია, ამ შემთხვევაში მე-3 არმიის საკმარისია აღნიშნოთ, რომ მე-3 არმიის საკომუნიკაციო ხაზი, რომელიც მას სტამბოლთან ხმელეთით აკავშირებდა, ჰაიდარფაშადან იწყებოდა. აქედან რკინიგზა მხოლოდ ულუქიშლამდე აღწევდა. შემდეგ ერზინჯანამდე მიდიოდა 500 კილომეტრის სიგრძის შარაგზა. ერზინჯანში ეს გზები იყოფოდა ფრონტის ცალკეული უბნების მიმართულებით. ჯარისკაცებს, როდესაც ისინი ფრონტისაკენ სახმელეთო გზით მიჰყავდათ, ვარდა სარკინიგზო მონაკვეთისა, მთელი ამ გზის გავლა ქვეითად, ხშირად ფეხშიშველად კი უხდებოდათ. ბუნებრივია, რომ ფრონტის ხაზზე მისვლისას ჯარისკაცები იმდენად მოქანცულნი იყვნენ, რომ ბრძოლისუნარიანობას დიდი ხნით კარგავდნენ.

რომის გამოცხადებისთანავე გასაგები გახდა, რომ თურქეთი ომში სრულიად მოუზადებელი ჩაება. მიუხედავად ყოველგვარი რელიგიური ზემოქმედებისა, მოსახლეობა არავითარ ენთუზიაზმს არ იჩენდა. ანატოლიელი გლეხისათვის სრულიად გაუგებარი იყო როგორც თურანი, ისე თურქეთისათვის ახალი ტერიტორიების შემოერთების საჭიროება. ოსმალთა გლეხი არ ცნობდა არც ახალგაზრდა თურქთა ლიდერების ავტორიტეტს. ახალგაზრდა თურქთა ბატონობის წლებში სოციალური კონფლიქტი სოფლად კიდევ უფრო გამწვავდა. ჯარისკაცის ფარაჯში გადაცმული თურქი გლეხობის სამუხლებით ახალგაზრდა თურქებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება. მაგრამ მცირეპირობის და უმიწაწყლო გლეხობისათვის, რომელიც თურქეთის გლეხობის დიდ უმრავლესობას შეადგენდა, მათ მიწა არ მიუციათ. გლეხობა არც იმ ნახევრადფეოდალური დამოკიდებულებისგან განთავისუფლდა, რომელიც თურქეთის სოფელს თანზიმათის შემდგომ შემორჩა. ახალგაზრდა თურქთა უამრავი დაპირება მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, რომელიც მათ გლეხობას მისცეს, უმალვე დავიწყებას მიეცა. როგორც კი ხელისუფლება ახალგაზრდა თურქთა ხელში აღმოჩნდა, მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანი — ეს იყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების შექმნა, რომელიც შეძლებდა მათ დაცვას გლეხთა გამოსვლებიდან.

ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის ერთი დამსწრე წერდა: „ახალი რეჟიმის დასაყრდენი—თურქი ოფიცრობა გამოსული მემამულე ბეგების წრიდან. ის დაკავშირებულია მიწათმოქმედ კლასთან მორალურად და მატერიალურად და ამიტომ სრულიად გასაგებია, თუ როგორი თვალსაზრისით უყურებენ ამ რეჟიმის იდეური ხელმძღვანელები სამიწათმოქმედო ურთიერთობებს და როგორ ჩაატარებენ ისინი ამ დარგში რეფორმებს.“<sup>202</sup>

ხალხთა ფართო მასებს 1908 წლის რევოლუციის შედეგად აზი-ფერი მიუღიათ. ვ. ი. ლენინი ამ რევოლუციას შემდეგნაირად ახსიანთებდა: „მაგალითისათვის მე-20 საუკუნის რევოლუციები რომ ავიღოთ, მაშინ, რა თქმა უნდა, პორტუგალიის რევოლუციაც და თურქეთის რევოლუციაც ბურჟუაზიულ რევოლუციად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ „ხალხური“ არც ერთია და არც მეორე, ვინაიდან ხალხის მასა, მისი უმრავლესობა აქტიურად, დამოუკიდებლად, თავისი საკუთარი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნებით არც ერთ, არც მეორე რევოლუციაში შესამჩნევად არ გამოდის.“<sup>203</sup>

**✓** პირველი მსოფლიო ომის წინ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო ანატოლიის აღმოსავლეთ ვილაიეთებში. ის მცირე პროცენტული სახის რეფორმები, რომლებიც თურქეთში ჩატარდა, აღმოსავლეთის ვილაიეთებს არ შეხებია. პონტოს ქედის აღმოსავლეთით, ვიდრე ირანის საზღვრამდე, მოსახლეობის უმრავლესობა მესაქონლეობას მისდევდა და ნახევრადმომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდა. აქ ჯერ კიდევ ფეოდალური ურთიერთობანი ბატონობდნენ. პონტოს ქედის დასავლეთით, შავი ზღვის სანაპიროებზე — ლაზისტანში მოსახლეობის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურა სიმინდი იყო. არსად თურქეთში ისე მწვავედ არ იგრძნობოდა მიწის ნაკლებობა, როგორც აქ. ვლახობის უმრავლესობას მიწის იმდენად მცირე ნაკვეთები ჰქონდა, რომ მოსავალი 1—3 თვეს ძლივსა ჰყოფნიდა, მაგრამ ბევრს ესეც არ გააჩნდა. ამავე დროს მიწების დიდი რაოდენობა კონცენტრირებული იყო მემამულეთა ხელში. მოსახლეობა იძულებული იყო სამუშაოდ წასულიყო თურქეთის სხვა რაიონებში. „მოდინ ისინი არტელებად და არჩეული მამასახლისებით,—წერდა რუსი პუბლიცისტი ი. გოლოზოროდკო, — და სამუშაოდ დგებიან მემამულეებთან მთელი თავისი არტელით ნაღდი ფულის ან მოსავლის ანგარიშში. ბევრ მემამულეს საკუთარი ინვენტარი არ გააჩნია. ინვენტარი მოაქვთ არტელებს. მოდიან მომკელები, მთიბავეები, მიწის“

<sup>202</sup> С. Вольский, Македония и новый режим. Журн. „Весты“, № 2, май 1912, стр. 98. ციტირებულია წიგნით А. Д. Новичев, Дахав, ნაშრომი, 84—85.

<sup>203</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 25, 512.

მთხრელები — ეს არის მიწათმოქმედთა უღარიბესი ფენა, რომელიც დიდ სიდუხჭირეში ცხოვრობს. უფრო მდიდრები სალენჯაოდ ცხენებით მოდიან, მოდიან მხენელები სახნავ-სათესად გუთნებითა და კავებით. მუშაკების არმია იკავებს მხარეს და იწყებს მუშაობას: შემდეგ კი ეს არმია უბრუნდება თავის საცოდავ მიწურებს, მემამულის მოსავლიდან მიღებული ნაშენებებით იკვებება და მოსავლის ახალ აღებამდე ნახევრად შიმშილობს”<sup>204</sup>.

რუსეთთან მოსახლვრე რაიონები თურქეთის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ რაიონებს წარმოადგენდნენ<sup>205</sup>. „რუსეთის მოსახლვრე არზრუმის ვილაიეთში, — აღნიშნავდა ი. გოლობოროდკო, — დამუშავებულია ვარგისი მიწის ერთ მეათედამდე და ისიც მეტად ცუდად. მცირე, აზიის (ანატოლიის) ვილაიეთებში მიწათმოქმედება განვითარების დაბალ საფეხურზე დგას. მიწათმოქმედების სისტემა ისეთივეა, როგორც იყო რამდენიმე საუკუნის წინ. გაბატონებულია სამშინდვრიანობა. სახნავად გლეხები ხმარობენ ხის უხეშ კავს. კავზე ხარებს ჯობის საშუალებით აბამენ. მოუხეშავი იარაღი „სიურგიუ“ — ჯოხების თავისებური შეხამება, ერთსა და იმავე ღროს ფარცხსა და სატკეპნელს წარმოადგენს. ნიადაგის გასა-

<sup>204</sup> И. И. Голобородько, Турция, издание 2-е. Москва, 1937.

<sup>205</sup> მდგომარეობა არც შემდგომ შეცვლილა, ამჟამადაც ანატოლიის აღმოსავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონები თურქეთის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი რაიონებია როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად. გაზეთი „ჯუმ-ჟურიეთი“, როდესაც ნოეს კიდობნის საქმენლად ჩამოსული ექსპედიციის შედეგებს ეხებოდა, აღნიშნავდა: „სმიტის ექსპედიციამ ვერ იპოვა ნოეს კიდობანი, მაგრამ მან ნახა ნოეს ეპოქის ცხოვრება, ვინაიდან ტანსაცმელი, საცხოვრებელ შენობები და სასოფლო-სამეურნეო იარაღები ისეთივე დარჩა, როგორც ნოეს ღროს იყო“. ხოლო ჟურნალი „იაღმურ ვე თოფრაქი“ (წვიმა და მიწა), ეხებოდა რა მეორე მსოფლიო ომის შემდგომდროინდელ მდგომარეობას აღმოსავლეთ ანატოლიაში, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ აქ გლეხობაა და მემამულეებს შორის ჯერ კიდევ ფეოდალური დამოკიდებულება ბატონობს.

ამ რაიონებში ამჟამადაც არ არის სკოლები, მოსახლეობა მოკლებულია საექიმო დახმარებასაც. თურქეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის აღიარებით, ართვინის (ჭორხის) ვილაიეთის ყოველ 9000 მცხოვრებზე მხოლოდ ერთი ექიმი იმ ექიმებიც, რომლებიც ამ ვილაიეთში მუშაობენ, უმთავრესად კერძო პრაქტიკას მისდევენ და მოსახლეობის ფართო ფენებისათვის მიუწვდომელნი არიან. ემიგრანტები ჩვეულებრივი მოვლენაა. მასობრივადაა გავრცელებული ქლეჩი, ტრაქიმა და ა. შ. მარტო ქლეჩისაგან ლაზისტანში ყოველწლიურად 10.000 მოსახლეზე 400 ადამიანი კვდება. არ არის გზები, ტრანსპორტი და სხვ.

ნოციერებლად სასუქი ძალიან იშვიათად შეაქვეთ და ისიც მცირე რაოდენობით“<sup>206</sup>. „კულტურების ცვლა არ იციან. ერთი და იმავე მიწის ნაკვეთზე მრავალი წლის განმავლობაში მოყავთ ერთი და იმავე სახის კულტურა მანამდე, სანამ მიწა არ გამოიფიტება“<sup>207</sup>. თურქეთის ამ რაიონებს ი. გოლობოროდკო თურქეთის აფრიკულ ვილაიეთებს ადარებს, იმ დროს, როდესაც იმპერიის სხვა ნაწილებში, კერძოდ ევროპულ თურქეთში, მიწის დამუშავების კულტურა ბევრად უფრო განვითარებული იყო.

აღმოსავლეთის ვილაიეთების გაპარტახება აიძულებდა თურქებს ჯარის მომარაგება ცენტრალური და დასავლეთი რაიონებიდან ეწარმოებინათ, რაც არსებული უგზოობის პირობებში მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენდა. მცირე გამტარუნარიანობის რკინიგზები სამხედრო ტვირთის გადასაზიდად საკმარისი არ იყო. აქლემების, სახედრებისა და ჯორების ქარავნებს ულუქიშლადან და თელეზიათიდან, რკინიგზის უკანასკნელი პუნქტებიდან, 700 და 400 კილომეტრის მანძილზე უნდა ეზიდათ კავკასიაში მოქმედი არმიისათვის ათასობით ტონა ტვირთი. ტრანსპორტის ამოცანა თურქეთში ომის დროის ყველაზე უფრო მძიმე ამოცანად იქცა. „ამრიგად, ომის ხელმძღვანელობის საკითხი თურქეთში გადაიქცა საეტაპო სამსახურისა და ტრანსპორტის საკითხად“<sup>208</sup>.

თურქეთის მდგომარეობას ომის დროს ართულებდა აგრეთვე ის ვარემოება, რომ იმპერიის განაპირა რაიონებში, მათ შორის თურქეთ-რუსეთის საზღვრების გასწვრივაც, მოსახლეობა უმთავრესად არათურქული იყო. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით იმპერიის მოსახლეობა ომის წინა პერიოდში იყო შემდეგი: თურქოსმალები იყვნენ 7.750.000 ანუ მთელი მოსახლეობის 41%, არაბები — 4.000.000—27%, ქურთები — 1.000.000—5%, სომხები — 2.000.000—10%, ბერძნები — 1.320.000—7% და ა. შ.<sup>209</sup>

არათურქ ეროვნებათაგან სომხები და ქურთები უმთავრესად ცხოვრობდნენ რუსეთის საზღვრისპირა, ხოლო ბერძნები შავიზღვისპირა რაიონებში. არტანისა და ლაზისტანის მხარეში მოსახლეობის დიდ ნაწილს ქართველები შეადგენდნენ. ეს არათურქი მოსახლეობა, გარდა ქურთების ნაწილისა, თურქებისადმი მტრულად იყო გან-

<sup>206</sup> И. И. Голобородько, *დასახ. ნაშრომი*, 124.

<sup>207</sup> И. И. Голобородько, *დასახ. ნაშრომი*, 125.

<sup>208</sup> К. Мюльман, *დასახ. ნაშრომი*, 34.

<sup>209</sup> ეს ციფრები მიხსლოებითია.

წყობილი. ისინი თავს არიდებდნენ ჯარში გაწვევას, გარბოდნენ ჯარის რიგებიდან, თავს აფარებდნენ მთებს, უარს აცხადებდნენ თურქეთის ჯარისათვის საკვების მიწოდებაზე. მოსახლურე რაიონებში „მტრულად განწყობილი მოსახლეობა ან მალავდა თავის პქრს, მას უფრო მეტი ხალისით მიყილდა მტერს, ვიდრე თურქეთის არმიას.“<sup>210</sup>

ანატოლიის აღმოსავლეთი რაიონები გაჩანაგებული იყო იქ ხშირი ეპიდემიებისა და ფართოდ გავრცელებულ სოციალურ დაავადებათა გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი სამხედრო სამსახურისათვის უეარგისი აღმოჩნდა. უგზობა აბრკოლებდა გაწვეულთა სამობილიზაციო პუნქტებზე შეკრებას. ამას ემატებოდა მასობრივი დეზერტირობა. მსოფლიოს არც ერთ არმიას არ ჰყოლია იმდენი დეზერტირი, რამდენიც თურქეთის არმიას. არმია საკვებით მარაგდებოდა ძირითადად ადგილობრივი რესურსებით. ხშირად მოსახლეობის ძარცვის ხარჯზე. თითოეულ ჯარისკაცს ლაშქრობაში თან ჰქონდა არა უმეტეს ნახევარი დღის საგზოსა.<sup>211</sup>

ენვერმა დიდი გაჭირვებით შეძლო კავკასიის საზღვრებთან შეეკრიბა 190.000 ჯარისკაცი როგორც წინა ხაზის მებრძოლთა, ასევე ზურგის სამსახურის ჩათვლით. ამ არმიის ტრანსპორტს შეადგენდა 70.000 ცხენი, აქლემი, ჯორი, ხარი და სხვ., რაც თავისთავად მძიმე ტვირთად აწვებოდა ფრონტს და მოითხოვდა ზურგის სამსახურის ჯარისკაცების დიდ რაოდენობას.

აი ეს იყო ძალა, რომელსაც, ენვერ ფაშას აზრით, უნდა გადაეწყვეტა თურქეთის ძირითადი ამოცანა ამ ომში და დაეპყრო კავკასია. შუა აზია, ვოლგისპირეთი, შორეული აღმოსავლეთი, ავღანისტანი, ირანი და ინდოეთი.

სექტემბრის დასაწყისში, თითქმის ორი თვით ადრე, სანამ თურქეთი ომში ჩაებმებოდა, ენვერი მე-3 არმიას აძლევს მითითებას: „არმია კონცენტრირებული უნდა იქნეს არზრუმის რაიონში იმ ანგარიშით, რომ მან შეძლოს რუსეთის არმიის შემოტევის შემთხვევაში თვითონ შეუტიოს თავისი ჭარბი ძალებით მის ცალკეულ კოლონებს. ამავე დროს არმიამ უნდა შეძლოს საზღვრის გადალახვა იმ შემთხვევაში, თუ რუსების შეტევა არ მოხდება. ასეთ შეტევას, ჩვენი აზრით, აქვს ყველა შესაძლებლობა წარმატებისათვის, თუ მას მიმართულება ექნება ბათუმისა და არტაანისაკენ, ვინაიდან ეს მოგვიტანს ბატო-

<sup>210</sup> А. Мюльман, დასაბ. ნაშრომი, 34.

<sup>211</sup> М. Larcher, დასაბ. ნაშრომი, 62.

ნობას შავ ზღვაზე, რაც ჩვენთვის აუცილებელია რუსების მიერ ყარსის ძლიერი გამაგრების გამო“<sup>212</sup>.

ენვერის ეს მითითება გვიმტკიცებს, რომ ის სრულიად არ თვითობდა გერმანიის სარდლობის მსგავსად, რომ კავკასიის საზღვრებთან მდგომი არმიის ამოცანა — ეს არის მხოლოდ რუსეთის არმიების შებოქვა კავკასიაში. კავკასიაში რუსეთის არმიების მხოლოდ შესაბოქვად და თავდაცვითი ბრძოლებისათვის 190.000 ჯარისკაცისაგან შემდგარი არმია საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. ენვერი მე-3 არმიას უსახავს სრულიად გარკვეულ შეტევით და დაპყრობით ამოცანებს (არტაანი, ბათუმი, ყარსის შემოვლა).

1914 წლის 1 ნოემბერს მოხდა პირველი შეტაკება თურქეთისა და რუსეთის რეგულარულ ნაწილებს შორის ჰასანკალე-სარიყამიშის გზაზე, ხოლო 4 ნოემბერს მე-3 არმიის სარდალმა ჰასან იზეთ ფაშამ ენვერის დეპეშა მიიღო, სადაც ენვერი რუსეთის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ აქტიური მოქმედების დაწყებას მოითხოვდა. „მტერი, რომელიც ფართო ფრონტით მოძრაობს, — წერდა ენვერი, — არ არის ჩვენზე ძლიერი, მე-10 კორპუსი არზრუმის რაიონში მხოლოდ ორი ან სამი კვირის შემდეგ მოვა. იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ეს დრო და გავაუმჯობესოთ არმიის მორალური მდგომარეობა, დავამარცხოთ მტრის კოლონები“, „სპარსეთის აზერბაიჯანის მხრივ ენერგიულად ავამოქმედოთ ადგილობრივი ტომები და ჩვენი ქვეითი ნაწილები. მტერს ძლიერად შევეუბოთ“<sup>213</sup>.

თურქეთის არმიის წარმატებებმა ბათუმის ოლქში და ქეფრუქის ოპერაცია, როდესაც ბრძოლებში მხოლოდ რუსეთის არმიის ავანგარდები მონაწილეობდნენ, ენვერს განუტკიცა ყალბი რწმენა, რომ „რუსეთის არმია არ იყო თურქეთის არმიაზე ძლიერი და გაბედვინა სარიყამიშის უპრეცედენტო ავანტიურის დაწყება, რომელიც თავის მხრივ ნაწილი იყო მისი შორს გამიზნული ავანტიურისტული გეგმისა. ენვერი იმედოვნებდა, რომ შეტევით ის შეძლებდა რუსეთის სიღრმეში შეჭრას და თურქეთის სულთან ხალიფას სამეფო კვართის ქვეშ თურქული მოდგმის ხალხთა გაერთიანებას, რომლებიც ცხოვრობდნენ კასპიისა და ვოლგის მიდამოებში, დასავლეთ ციმბირში, თურქესტანსა და სპარსეთში“<sup>214</sup>. სარიყამიშის ოპერაცია განახორციელებდა ენვერის გეგმის პირველ ნაწილს.

<sup>212</sup> К. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 29.

<sup>213</sup> М. Larcher, დასახ. ნაშრომი, 379.

<sup>214</sup> იქვე, 383.

რუსეთ-თურქეთის 1877 წლის საზღვრის ფარგლებში აღადგინდა ოსმალეთის სამფლობელოებს ანატოლიაში.

ენვერის გეგმას უიმედოდ ავანტიურად თვლიდა მისი ბევრეუკანუნი მეზობლოც. კერძოდ, პესიმისტურად იყო განწყობილი მე-3 სარდალი ჰასან იზეთ ფაშა. ამის გამო ენვერმა გაანთავისუფლა იზეთ ფაშა არმიის სარდლობიდან. შესაძლებელია, რომ ჰასან იზეთ ფაშას სარდლის თანამდებობიდან განთავისუფლების მიზეზი მხოლოდ მისი პესიმიზმი არ იყო. ენვერს თვითონ უნდოდა მე-3 არმიის სარდლობა, ვინაიდან ის ვერავის ვერ დაუთმობდა იმ დიდებას, რომელსაც ოსმალეთის ისტორიაში თურანის შემქმნელი მოიხვეჭდა. დეკემბერს, დღისით, გერმანიის სამხედრო მისიის შენობაში ენვერს ლიძან ფონ სანდერსს ეწვია და განუცხადა, რომ სალამოს სამხედრო ხომალდით ტრაპიზონს გაემგზავრება, საიდანაც ჩავა მე-3 არმიის განლაგების რაიონში. ენვერმა სანდერსს იქვე გააცნო კავკასიის ფრონტისათვის შედგენილი სამხედრო მოქმედებათა გეგმა: მე-11 საარმიო კორპუსი შებოჭავდა რუსეთის არმიას გზის გასწვრივ, ამასობაში მე-9 და მე-10 საარმიო კორპუსები სწრაფი ტემპით გადაივლიდნენ სარდასიის მასივს და მოწინააღმდეგეს შეუტევდნენ ფლანგიდან და ზურგიდან. იგივე ნაწილები დაიკავებდნენ ყარსს. ეს გეგმა გერმანიის სარდლობასაც კი, რომელიც მაინცაღამაინც არ უფრთხილდებოდა თურქი ჯარისკაცის სიცოცხლეს, ავანტიურად მოეჩვენა. ზამთარში ბრძოლის წარმოება ყარსის ზეგანზე და მაღალმთიანი რაიონის დაძლევა ნახევრად ტიტველი და მშვიდი თურქი ჯარისკაცებისათვის შეუძლებელი იყო. მაგრამ ენვერი განაგრძობდა თავისი გეგმის დაცვას. „მან (ენვერმა—ო. გ.) გამაცნო შესანიშნავი, მაგრამ სრულიად ფანტასტიკური პროექტები,—წერს ლიძან ფონ სანდერსი,—მან სხვათა შორის მითხრა, რომ მას მხედველობაში ჰქონდა ექსპედიცია ინდოეთში ავღანისტანზე გავლით. ამის შემდეგ ჩვენ დავცილდით ერთმანეთს.“<sup>215</sup>

შეტევის დაწყების წინ მე-3 არმიის სარდლობა ენვერმა თავის თავზე აიღო. ენვერს იმედი ჰქონდა, რომ თურქეთის არმიის რიცხოპრივი სიჭარბე უზრუნველყოფდა გამარჯვებას რუსეთზე. ამ მიზნით, ოლთისის მიმართულებით, სადაც თურქებს რუსეთის ფრონტი უნდა გაერღვიათ და შემოვლითი მანევრით სადგური სარდასიში დაეკავებინათ, ენვერმა შექმნა ძალთა სიჭარბე რუსეთის იქ მყოფ ქვეით ძალებთან შედარებით ექვსჯერ, ხოლო არტილერიაში — სამჯერ.

<sup>215</sup> O. L. v. Sanders, დასახ. ნაშრომი, 49.

შეტევისათვის არა მარტო თურქი ჯარისკაცები აღმოჩნდნენ მოქმედებელნი, არამედ ენვერი და მისი გერმანელი მრჩეველებიც აღიდგნენ მოწოდების სიმალლეზე (შტაბის უფროსი გერმანელი გენერალი ბრონსარტ ფონ შელენდორფი, არზრუმის კომენდანტი მუსტაფა სელდტი, მაიორი შტანკე და სხვ.). აღმოჩნდა, რომ თურქების სარდლობას ელემენტარული ამბებიც კი არ ჰქონდა გათვალისწინებული. არ იყო, მაგალითად, გათვალისწინებული, რომ არზრუმ-ყარსის მთიანი რაიონი ზამთარში უფრო ძნელი გასავლელია, ვიდრე ზაფხულში. თურქებს არც ამ რაიონის სამხედრო-გეოგრაფიული აღწერილობა გააჩნდათ<sup>216</sup>.

რუსეთის სიღრმეში შეჭრის ეს პირველი პრაქტიკული ცდა თურქებისათვის კატასტროფით დამთავრდა. 90.000 ჯარისკაციდან ამ შეტევის დროს თურქეთის არმიამ დაკარგა 70.000 ჯარისკაცი, მათ შორის 30.000 გაიყინა. არსებითად ეს იყო მე-3 არმიის დასასრული. რუსეთის არმიამ ამ ბრძოლებში დაკარგა მხოლოდ 20.000 ჯარისკაცი.<sup>217</sup>

შეტევის ჩაფუშვასთან ერთად ჩაიფუშა თურქებისა და გერმანელების იმედები, რომლებსაც ისინი ამიერკავკასიაში თავის ზეგენტურაზე ამყარებდნენ. ახალგაზრდა თურქთა მრავალრიცხოვანმა ემისარებმა ვერ შეძლეს ოსმალეთის სასარგებლოდ რაიმე მნიშვნელოვანი ძალის მქონე მოძრაობის შექმნა და ხალხში დასაყრდენის პოვნა. ენვერის დაპირებანი ამიერკავკასიის მუსლიმანურ მოსახლეობაში აჯანყების მოწყობის შესახებ მხოლოდ ბაქიბუქი გამოდგა. მისი განცხადებით, საკმარისი იქნებოდა თურქებით და მუსლიმანებით დასახლებულ რუსეთის რაიონებში ოსმალთა ასკერების გამოჩენა, რომ მოსახლეობა იარაღით ხელში გამოსულიყო თურანის საქმისათვის საბრძოლველად. ამას ამტკიცებდა ენვერი მაშინაც, როდესაც სარიყამის ოპერაციის წინ მან მაიორ შტანკეს სარდლობით დესანტის გადასხმა მოაწყო. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე თურქებს დაგეგმილი ჰქონდათ ამგვარი დესანტით მოქმედება, რათა ხელში ჩაეგდოთ ბათუმი. ისინი ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილში მოსახლეობას შორის შეუდგნენ კიდევ ნიადაგის მომზადებას. ოსმალეთის სასარგებლოდ პროპაგანდას ეწეოდნენ ადგილობრივი ფეო-

<sup>216</sup> H. F. Kopyev, დასახ. ნაშრომი, 38.

<sup>217</sup> მონაცემები ამოღებულია ნ. კორსუნის ციტირებული შრომიდან. სანდერსი იძლევა თურქების დანაკარგების კიდევ უფრო დიდ ციფრს. თანახმად მისი მონაცემებისა, შეტევაში მონაწილე 90.000 ჯარისკაციდან ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 12.000 (სანდერსის ციტირებული შრომის 51-ე გვერდი).

დალ-ბეგები და მუსლიმანური სამღვდლოება, რომლებიც ძალადობისა და მუქარის საშუალებით ცდილობდნენ შეიარაღებული რაზმების შექმნას<sup>218</sup>. მაგრამ ოსმალეთის ემისრების, ბეგებისა და სამღვდლოების აგიტაციამ, ძალადობამ და მუქარამ ნაყოფი ვერ გაბორობათუმის ოლქის მცხოვრებთა მხრიდან რაიმე მტრულ გამოსვლებს რუსეთის „ადმინისტრაციის, მოხელეების ან ჯარების მიმართ ადგილი არ ჰქონია. პირიქით, ადმინისტრაციის თითქმის ყველა თანამდებობის პირი მოწმობდა, რომ მოსაზღვრე რაიონის მოსახლეობა, რომელსაც თურქების შემოტევის ეშინოდა, ქვეყნის შიდა რაიონებში გადასახლებას ითხოვდა, მობილიზაციის დროს ყველა თავის ვალდებულებას ზუსტად ასრულებდა და ჯარის მიერ ბათუმის ოლქის დატოვების მომენტამდე იცავდა სატელეგრაფო ხაზებს“<sup>219</sup>. რუსეთის ადმინისტრაციის თანამდებობის პირები ადასტურებენ აგრეთვე, რომ „თურქეთის ჯარის შემოტევის დროს იყო შემთხვევა, რომ მათ (ადგილობრივმა მოსახლეობამ — ო. გ.) თურქების ტყვეობიდან გაანთავისუფლეს რუსი სტრატეგიკი კასიანოვი, მუსლიმანი მოსახლეობა ჩვენს ჯარებს დათოვლილი უღელტეხილების გაწმენდაში ეხმარებოდა და უფასოდ აწვდიდა საკვებ პროდუქტებს სამხედრო ნაწილებს, რომლებმაც ზემო აჭარის მოსახლეობის დახმარებით მშვიდობით დაიხიეს უკან.“<sup>220</sup>

ამრიგად, ქართველი მუსლიმანები არა თუ არ უჭერდნენ მხარს ბეგებს, მუსლიმანურ სამღვდლოებას და ოსმალეთის ემისრებს, არამედ, პირიქით, აქტიურად მოქმედებდნენ ოსმალების წინააღმდეგ და მთელი ძალდონით ეხმარებოდნენ რუსეთის ჯარებს<sup>221</sup>.

<sup>218</sup> ორცა ფონდი, 57-ს საქმე 1, ფურც. 5.

<sup>219</sup> იქვე, ფ. 27

<sup>220</sup> იქვე.

<sup>221</sup> ენვერის მკვებარა განცხადებათა საფუძველზე ზოგიერთმა შავრაზმელმა და მეფის მთავრობამ შექმნეს საქმე „აჰარელთა ღალატის“ შესახებ. ასლა ჩვენ არ გავიხსენებდით ამ პროვოკაციულ საქმეს, მას რომ ერთგვარი კვალი არ დაეტოვებინა ჩვენი უკანასკნელი პერიოდის ლიტერატურაში. ასე, მაგ., გენერალ-ლეიტენანტმა ნ. კორსუნმა შენიშვნების გარეშე მიიღო ენვერის ზემოხსენებულ განცხადებანი და „აჰარელთა ღალატის“ პროვოკაციული საქმე წიგნში „პირველი მსოფლიო ომი — კავკასიის ფრონტზე“ ნ. კორსუნი წერს: „თურქეთის ჯარის შეტევას მთიან აჭარაში (ლაპარაკია მთიორ შტანგეს რაზმის შემოქმედებაზე—ო. გ.) თან სდევდა ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები მუსლიმანური მოსახლეობის აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ“ (გვ. 31). სინამდვილეში, როგორც ამას საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, მოსახლეობის აჯანყებას რუსეთის წინააღმდეგ ადგილი არ ჰქონია, ბეგებს, მუსლიმანურ სამღვდ-

სარიყამიშთან დამარცხებისთანავე ენვერი ტოვებს მე-3 არმიას სარდლობას (ახალ სარდლად ინიშნება ჰაქი ფაშა) და ბრუნდება სტამბოლში. თურქეთის მთავრობა უმაღლესადაა ხალხს მარცხის შესახებ ტაბებს. ენვერმა ამ დამარცხების შესახებ აკრძალა ყოველგვარი ლაპარაკი და ყველა მათ, ვისაც კი რამე წამოცდებოდა, დაუყოვნებლივ აპატიმრებდნენ.

მე-3 არმიის განდგურების შემდეგ საჭირო გახდა კავკასიის ფრონტის სასწრაფოდ აღდგენა. ამ მიზნით თურქეთის სარდლობამ კავკასიაში გადმოიყვანა მე-5 საარმიო კორპუსი, რომელიც ამ დროს სკუტარში (ბოსფორის აზიის სანაპირო) იდგა და ანტანტის სახელმწიფოების მიერ სტამბოლისა და სრუტეების წინააღმდეგ შესაძლებელი მოქმედების შემთხვევაში ევალებოდა თურქეთის დედაქალაქის დაცვა.

დიდი იყო ამ დამარცხების პოლიტიკური შედეგებიც. შეცვალა თავისი პოზიცია სპარსეთის მთავრობამ, რომელსაც არა ერთხელ გამოუთქვამს სიმპათიები გერმანიისა და თურქეთის მიმართ. შეცვალა აგრეთვე პოლიტიკური ორიენტაცია ავღანეთის ემირმა. დეკემბრის დასაწყისში სარიყამიშის ოპერაციის წინ, როდესაც ენვერი სამხედრო მოქმედების ზონის ავღანეთამდე გავრცელებას ვარაუდობდა, ავღანეთის ემირი დათანხმდა დაეწყო სამხედრო მოქმედება ინგლისელთა წინააღმდეგ. მაგრამ სარიყამიშის კატასტროფის შემდეგ ავღანეთში დუმდნენ. სარიყამიშთან დამარცხებით გერმანელები მიხვდნენ, რომ მათ გადააჭარბეს თურქების ძალების შეფასებისას და რაც მთავარია გადაჭარბებით იქნა შეფასებული თურქეთის შესაძლებლობანი მუსლიმანურ სამყაროში<sup>222</sup>.

სარიყამიშთან ბრძოლამ დაამტკიცა, რომ თურქეთის არმიას არ შეუძლია რუსეთის არმიასთან გამკლავება. ვერც თურქეთის არმიის სარდლობა და გენერალიტეტი შეედრებოდა რუსეთისას. საქმეს ვერ უშველა გერმანელთა „კონსულტაციებმა“ და სამხედრო მი-

ლოებას და ოსმალეთის ემისრებს მოსახლეობასთან ვერ გაავიგივებთ. რუსეთის ჯარების მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი აგრეთვე ტრაპიზონის ვილაიეთის მოსახლეობაც, რომლის დიდ უმრავლესობას ლაზები შეადგენენ. ყოველგვარი ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს ლაზისტანის მოსახლეობა 1916—1917 წლებში აჯანყებას ამზადებდა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ, რომელმაც ამ დროისათვის ეს მხარე დაიკავა, თანახმად საარქივო საბუთებისა სინამდვილეს არ შეეფერებოდა და გამოპოლინარეობდა პროვოკატორული ელემენტებიდან (იხ. ორტსა, ფონდა 57, საქმე 1; ფურცელი 28—31).

<sup>222</sup> К. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 84.

სიებმა. სარიყამიშთან შეტევის შემდეგ თურქეთის არმია კავკასიის საზღვრებთან ფაქტიურად აღარ არსებობდა. „გებენითა“ და „ბრე-ლაუთი“ გაძლიერებულმა თურქეთის ფლოტმა ეერ შეძლო შაზღვაზე გაბატონება. ასეთ პირობებში რუსეთს ფართო მანევრირების საშუალება ეძლეოდა. რუსეთს შეეძლო კავკასიის ფრონტიდან ჯარის ნაწილი დასავლეთის ფრონტზე გადაესროლა, მაგრამ შესაძლებელი იყო მეორე ვარიანტიც, რომლისაც ეშინოდა არა მარტო გერმანიასა და თურქეთს, არამედ ინგლისსა და საფრანგეთსაც—ეს იყო რუსეთის დესანტის გადასხმა სრუტეებში. ამ ამოცანის შესრულება მით უფრო გაუადვილდებოდა რუსეთს, რომ სარიყამიშთან დამარცხების შემდეგ სრუტეების რაიონებიდან კავკასიისაკენ წაიყვანეს მთელი საარმიო კორპუსი, რომელსაც მანამდე რუსეთის შესაძლებელი დესანტისაგან ბოსფორის სანაპიროების დაცვა ევალებოდა. ამის გამო ინგლისსა და საფრანგეთში გაიზარდა შიში, რომ სრუტეებს რუსეთი ჩაიგდებდა ხელში. თუ თურქეთის ომში ჩაბმის წინ რუსეთის დიპლომატია თანახმა იყო უარი ეთქვა თავის პრეტენზიებზე როგორც სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის. ისე თურქეთის სხვა ტერიტორიების მიმართ, თურქეთთან ომის დაწყების შემდეგ, ბუნებრივია, პრეტენზიები კვლავ წარმოიშვა. მითუმეტეს, რომ თურქეთი თვით გამოვიდა თავდამსხმელის როლში. ომის მსვლელობის განმავლობაში რუსეთის ტერიტორიული მოთხოვნები თურქეთის მიმართ განუწყვეტლივ იზრდებოდა. რუსეთში საფრანგეთის ელჩის პალეოლოგის 1914 წლის 14 სექტემბრის დეპეშაში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დელკასესადმი მოყვანილია საზონოვის მიერ „ინტიმურ“ ვითარებაში მისთვის განმარტებული ევროპის მომავალი წყობილების 13 პუნქტი. ამ პუნქტებში სრუტეებს ხსენებაც არ არის<sup>222</sup>. თურქეთთან ომის გამოცხადების შემდეგ დიპლომატიურ მიმოწერაში რუსეთსა და ინგლის-საფრანგეთს შორის თანდათანობით კვლავ იჩენს თავს რუსეთის პრეტენზიები კონსტანტინოპოლისა და სრუტეების მიმართ. სარიყამიშთან გამარჯვების შემდეგ რუსეთი უფრო ენერგიულად სვამს ამ საკითხს. რუსეთის ელჩი ლონდონში ბენკენდორფი 1915 წლის 12 თებერვალს საზონოვს უგზავნის ამონაწერს გრეის სიტყვიდან, რომელიც მან თემთა პალატაში წარმოთქვა. ამონაწერში ვკითხულობთ: „განცხადებაში, რომელიც მე ვნახე (ლაპარაკია საზონოვის განცხადებაზე — ო. გ.), ნათქვამია, რომ მოვლენები რუსეთ-თურქეთის საზღვარზე დაუახლოებენ რუსეთს მისი პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანების გან-

<sup>222</sup> Константинополь и проливы. По секретным документам 6. Министерства иностранных дел. 1. Москва. 1925, 222.

ხორციელებას, რომლებიც დაკავშირებული არიან რუსეთის ზღვის ნაპირებზე გასვლასთან“<sup>224</sup>.)

მალე რუსეთი აღარ დაჯერდა სრუტეებსა და კონსტანტინოპოლს და მოითხოვა მარმარილოს ზღვის კუნძულები: იმბროსი და ტენედოსი.<sup>225</sup> ამავე დროს რუსეთი გამალებით აძლიერებდა შავი ზღვას ფლოტს. ნიკოლაევიში შენდებოდა რუსეთის სამი დრედნოუტი: „იმპერატრიცა მარია“, „იმპერატორი ალექსანდრე III“ და „იმპერატრიცა ეკატერინე II“. მათი მწყობრში ჩადგომა შავ ზღვაში რუსეთის ძალების დიდ უპირატესობას და სრუტეების წინააღმდეგ მოქმედების რეალურ შესაძლებლობას შექმნიდა.

ინგლისი ფორმალურ თანხმობას აცხადებს, რომ ომის შემდეგ რუსეთმა კონსტანტინოპოლი დაიკავოს, მაგრამ ასეთი პერსპექტივისა ინგლისს ისევე ეშინია როგორც საფრანგეთს. პუანკარე თავის მოგონებებში წერს, რომ მას „თავზარი დაეცა“, როდესაც წაიკითხა პალეოლოგის დეპეშა, რომელშიც ის საფრანგეთის მთავრობას რუსეთის მიერ კონსტანტინოპოლის მოთხოვნას ატყობინებდა.<sup>226</sup> შემდეგ პუანკარე განაგრძობს: „რუსეთისათვის კონსტანტინოპოლის, თრაკიის, სრუტეებისა და მარმარილოს ზღვის ნაპირების გადაცემა ნიშნავს ოსმალეთის იმპერიის დანაწილებას. ჩვენ არავითარი გონიერი საფუძველი არა გვაქვს, რომ ასეთი დანაწილება ვისურვოთ. თუკი ეს გარდუვალია, არ გვინდა, რომ იგი ჩვენ ხარჯზე მოხდეს“. „კონსტანტინოპოლისა და მისი მიდამოების ხელში ჩაგდება არა მარტო თავისებურ პრივილეგიას მისცემს რუსეთს ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრეობის მიღების საქმეში, არამედ ეს რუსეთს ხმელთაშუა ზღვის საშუალებით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კონცერტში შეიყვანს და ღია ზღვაში გასვლით მისცემს მას საშუალებას გახდეს დიდი საზღვაო სახელმწიფო. ამრიგად, ევროპულ წონასწორობაში ყველაფერი შეიცვლება“.<sup>227</sup>

ამიტომ ფრანგებისა და ინგლისელებისათვის საჭირო იყო კონსტანტინოპოლში რუსებზე ადრე შესვლა. მაგრამ კონსტანტინოპოლის დაცემა, თუ გავითვალისწინებთ მის საერთო პოლიტიკურ და ეკონომიურ წონას ოსმალეთის იმპერიაში, ნიშნავდა თურქეთის ომში დამარცხებას და მწყობრიდან გამოსვლას. ასეთ პირობებში ინგლისსა და საფრანგეთს კონსტანტინოპოლი შეეძლოთ დაეკავებინათ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ, თუკი საქმე რუსე-

<sup>224</sup> იქვე, 242.

<sup>225</sup> იქვე, 224.

<sup>226</sup> P. Пуанкаре, *დასახ. ნაშრომი*, ტ. I. 341.

<sup>227</sup> იქვე, 344.

თისათვის დასწრებაზე მიდგებოდა. ამ მიზნით ინგლისი და საფრანგეთი 1915 წლის 18 მარტს იწყებენ გალიპოლის (დარდნელის) ოპერაციას თურქეთის წინააღმდეგ. „თუ კონსტანტინოპოლი გადავიღებთ, — წერს პუანკარე, — რუსეთი აქ არაფერ შუაში იქნება.“<sup>228</sup>

გალიპოლის ფრონტი განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობისა გახდა მას შემდეგ, რაც დაიდო რუსეთ-ინგლის-საფრანგეთის 1915 წლის საიდუმლო ხელშეკრულება ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ სტამბოლისა და სრუტეების რუსეთისათვის გადაცემის შესახებ. მაგრამ ინგლისი და საფრანგეთი იმედოვნებდნენ, რომ კონსტანტინოპოლი და სრუტეები ჩაუვარდებოდა ხელში იმას, ვინც მასთან უფრო ახლოს იქნებოდა.

1915 წლის იანვარში თურქეთის მე-3 არმიაში, რომელსაც ჰაჭი ფაშას სიკვდილის შემდეგ მუჰამედ ქამილ ფაშა სარდლობდა, იყო მხოლოდ 34.000 ჯარისკაცი და ისიც უმთავრესად ახალწვეული და ბრძოლებისათვის სრულიად მოუზადებელი. მკვეთრად გაუარესდა აგრეთვე მე-3 არმიის ზურგის მდგომარეობა. არმიის განლაგების რაიონები მთლიანად გაპარტახდა. შიმშილი და ებიდემიები სპობდა მოსახლეობასაც და ჯარსაც. 1915 წლის 2 მარტს გერმანიის ტრაპიზონელი კონსული ტრაპიზონში ბერგფელდი იტყობინებოდა, რომ იქ „მძვინვარებს საშინელი პარტახტიანი ტიფი, რომელმაც კატასტროფული ხასიათი მიიღო. ყოველ 800—1000 ავადმყოფზე ყოველდღიურად 30—50 კაცი კვდება“. იმავე წლის 3 მარტს წითელი ჯვრის საზოგადოების ექიმები კოლეი და ზოლცინსკი ერზინჯანიდან იტყობინებოდნენ, რომ იქ „არ არსებობს რაიმე ჰიგიენური დაწესებულება და არ არის საკმარისი სამედიცინო დახმარება, რაც თურქეთში შორის სიკვდილიანობას გერმანელთათვის გაუგონარ მასშტაბამდე ზრდის“. დამარცხებებმა ფრონტზე და მძიმე მდგომარეობამ ზურგში თურქეთის არმიაში კიდევ უფრო გაზარდა დეზერტირობა და დეზორგანიზაცია. მე-3 არმიის შტაბის უფროსი გერმანელი მაიორი გუზი იმავე წლის 25 მაისს იტყობინებოდა: „არმიისათვის შესავსებად ახალწვეულები ვაიგზავნა, მაგრამ დანიშნულების ადგილს მათგან ძალიან ცოტამ მიაღწია. ავადმყოფობამ, ხანდახან ცუდმა კვებამ, დეზერტირობამ გზიდან, ჯარისკაცთა რიგების შეთხელება გამოიწვია“, ხოლო გერმანიის კონსული იმავე დღეებში არზრუმიდან იტყობინებოდა: „ერთი მესამედი იმ ჯარების პირადი შემადგენლობისა, რომლებიც სასწავლო შეკრებას არზრუმის რაიონის ბანაკებში ვა-

<sup>228</sup> P. Puançare, დასახ. ნაშრომი, ტ. I, 340.

დიან. ავად არის, ერთი მესამედი კი გზიდან გაიქცა, როდესაც ისინი დანიშნულების ადგილისაკენ მიემართებოდნენ.<sup>220</sup>

მაგრამ არა მარტო გერმანელები, არამედ აქვით თურქებშიც ცოდნენ, რომ მათი არმიები კავკასიაში მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. „ჩვენ დიდი ზარალი მოგვდის ცუდი კვებისა და თბილი ტანსაცმლის უქონლობის გამო, — აღიარებდნენ ისინი, — მრავალი თურქული შენაერთი ჩაცმულია მსუბუქ საზაფხულო ტანსაცმელში და არა აქვს არც მაზარები და არც ფეხსაცმელი. ფეხები ჯარისკაცებს უმრავლეს შემთხვევაში შეხვეული აქვთ ჩერებით, საიდანაც თითებია გამოყოფილი. პროდუქტებს ვიღებთ დღიური რაციონის მხოლოდ ერთ მესამედს, რის შედეგად ყველა ჩვენი მეომარი დასუსტდა. ტვირთშიდავი ცხოველებისათვის არავითარი საკვები არ მოგვდის. ცხენებს ყოველდღიურად აკმევდნენ ერთიდან ერთ-ნახევარ კილოგრამამდე ქერს. ცხოველები ყოველდღიურად დიდი რაოდენობით იხოცებიან, რაც იწვევს ისედაც შეზღუდულ სატრანსპორტო საშუალებათა კიდევ უფრო შემცირებას.“<sup>220</sup>

მე-3 არმიის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა აგრეთვე შავ ზღვაზე რუსეთის ფლოტის გაძლიერების გამო. საზღვაო კომუნუიკაციები სრუტეებსა და ტრაპიზონს შორის თურქებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდა. მე-3 არმიის კავშირი იმპერიის ცენტრალურ რაიონებთან და სტამბოლთან შესაძლებელი იყო ამიერიდან მხოლოდ სახმელეთო გზების საშუალებით, გაიზარდა აგრეთვე რუსეთის დესანტის საშიშროება ლაზისტანის სანაპიროებზე.

თურქები ყოველ საშუალებას მიმართავდნენ, რათა კავკასიაში კვლავ შეექმნათ ძალების ისეთი სიჭარბე, რომელიც მათ მისცემდა საშუალებას დაეწყოთ შეტევა თურანის მიმართულებით. 1915 წელს ენვერი, მიუხედავად კრიტიკული მდგომარეობისა სრუტეების რაიონში, კიდევ გზავნის კავკასიაში რამდენიმე დივიზიას თრაკიიდან, სახელდობრ მე-18 საარმიო კორპუსის 51-ე დივიზიას და მე-5 კორპუსის მე-14 დივიზიას. მაგრამ კავკასიის არმიის შემდგომი დაკომპლექტება და სათანადოდ გაძლიერება მეტად დაბრკოლდა დარდანელის ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით, რამდენადაც სრუტეების ზონაში თურქები იძულებული გახდნენ დაებანდებინათ სამი არმია (1, მე-2 და მე-5), და ინგლისელების ლაშქრობით ბაღდადზე, რომლის მიზანი იყო არა გადამწყვეტი შეტევა თურქების წინააღმდეგ, არამედ ინდოეთის მისადგომების უშიშროების უზრუნველყოფა.]

<sup>220</sup> O. L. v. Sanders, დასახ. ნაშრომი, 62.

<sup>220</sup> O. L. v. Sanders, დასახ. ნაშრომი, 1-5.

1915 წლის 18 მარტის ინგლის-საფრანგეთის დესანტი გალიპოლზე არ იყო საკმარისი კონსტანტინოპოლის ხელში ჩასაგდებად. მაგრამ არც ინგლისი და არც საფრანგეთი არ ცდილობდნენ სადესანტო ჯარების გაძლიერებას. ის, რომ გალიპოლზე მყოფი ანტანტის ჯარები საკმარისი არ არის სტამბოლის ხელში ჩასაგდებად, გასაგები იყო თურქებისა და გერმანელებისათვისაც. მიუხედავად ამისა, კავკასიის ფრონტის შემდგომი გაძლიერება კონსტანტინოპოლის დაცვის შესუსტების ხარჯზე, იმისგან დამოუკიდებლად, სჭეროდათ თუ არა თურქებსა და გერმანელებს სინამდვილე ინგლისისა და საფრანგეთის განზრახვისა, დაუყოვნებლივ, ჯერ კიდევ თურქეთის ფრონტის საერთო კატასტროფამდე ხელში ჩაეგდოთ კონსტანტინოპოლი, შეუძლებელი იყო, ვინაიდან ამას ვერ გაბედავდა ვერც თურქეთი და ვერც გერმანია.

რუსეთი კი კავკასიის ფრონტზე ენერგიულად აწარმოებდა ჯარების გადაჯგუფებასა და გაძლიერებას და 1915 წლის დასასრულისათვის რუსეთის არმია კავკასიაში მზად იყო ფართო შეტევითი ოპერაციების საწარმოებლად<sup>231</sup>.

რუსეთის მიერ შეტევის მზადება კავკასიის ფრონტზე და ხაერთო მდგომარეობა რუსეთ-გერმანიის ფრონტზე ნაკლებად შესაძლებელს ხდიდა უახლოეს დროში რუსეთის დესანტის გადასხმას სრუტეების რაიონში, მიუხედავად იმისა, რომ შავ ზღვაზე მწყობრში შედიოდა რუსეთის ახალი ხომალდები. ბულგარეთის ომში ჩაბმა, როგორც გერმანიისა და თურქეთის მოკავშირისა კიდევ უფრო ამცირებდა რუსეთის მხრიდან კონსტანტინოპოლზე შეტევის მუქარას. დარღანელის ფრონტის არსებობა ინგლისისა და საფრანგეთისათვის თანდათანობით კარგავდა თავის აზრს იმ დროს, როდესაც კავკასიის ასპარეზის მნიშვნელობა კვლავ სწრაფად იზრდებოდა.

1916 წლის 9 იანვარს ანტანტის ჯარებმა დატოვეს გალიპოლის ნახევარკუნძული და საშუალება მისცეს თურქებს გალიპოლიდან კავკასიაში გადაეყვანათ ბრძოლაში გამოცდილი, პირველხარისხოვანი დივიზიები. კერძოდ, კავკასიაში გადმოიყვანეს მე-2 არმია, რომელსაც განუკუთვნეს ფრონტის ხაზი არზრუმიდან აღმოსავლეთისაკენ.

როდესაც დედაქალაქის დაკარგვის შიშმა გაიარა, კავკასიის სამომარო ასპარეზი კვლავ დგება ახალგაზრდა თურქთა ყურადღების ცენტრში. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ისიც, რომ რუსეთის არმიებმა ზამთრის მძიმე პირობებში წარმატებით განახორციელეს 1915 წელს მომზადებული შეტევა, უკუაქციეს თურქები და 1916 წლის

<sup>231</sup> Н. Г. Корсун, დასახ. ნაშრომი, 47.

16 თებერვალს დაიკავეს არზრუმი, 18 აპრილს კი საზღვარ და საზღვრებზე მდებარე ყველა მოსახლეობის შედეგად — ტრაპიზონი.

რუსეთის წინსვლა ანატოლიის მიმართულებით ნიშნავდა ყოველგვარი თურქისტული და თურანისტული ილუზიების კატასტროფას. რუსეთის არმიების შესაძლებელი გამოჩენა მცირე აზიის სიღრმეში აშინებდა არა მარტო თურქებს, არამედ რუსეთის მოკავშირეებსაც. რუსეთის მიერ შემუშავებული სამხედრო მოქმედების გეგმა ითვალისწინებდა როგორც პირდაპირ შეტევას კავკასიაში მყოფი თურქეთის არმიის წინააღმდეგ, ისე — შემოვლით მანევრსაც ირანის მხრიდან, რაც მნიშვნელოვნად გააადვილებდა თურქეთის მწყობრიდან გამოყვანას. ირანის მხრიდან თურქეთის კავკასიის არმიის შემოვლა ნიშნავდა რუსეთის შეიარაღებული ძალების მესოპოტამიასთან მიახლოებას.

ამავე პერიოდში გერმანია და თურქეთი ემზადებიან ე. წ. უიმერმანის გეგმის განსახორციელებლად. ეს გეგმა ინდოეთში შეჭრას ითვალისწინებდა სათანადო წინასწარი მომზადების მიზნით გერმანული პროპაგანდისტული მისიები მთელ ირანს მოედევნენ. კლეინის მისია გამოჩნდა ქერმანში, ცუგმახერის მისია — ისფაჰანში, ბამის მისია — ბელუჯისტანში. გერმანიის კონსულები სპარსეთში აღგენდნენ „მოხალისეთა“ ნაწილებს, რომლებიც უნდა შეერთებოდნენ გერმანელი გენერლის ფონ დერ გოლცის სარდლობის ქვეშ მყოფ თურქეთის ჯარებს. გერმანიის თეირანელ სამხედრო ატაშეს გერმანია-თურქეთის მომხრეთა მოძრაობის ხელმძღვანელობა დაევალა. შედგა გერმანია-სპარსეთის სამხედრო მისია 27 გერმანელი ოფიცრის მონაწილეობით, მისიას გერმანელი პოლკოვნიკი ბოპი ხელმძღვანელობდა. ბოპის განკარგულებაში იყო 6 ტყვიამფრქვევი, 20.000 შაშხანა და რამდენიმე მილიონი ვაზნა სათანადო მომსახურე პერსონალითურთ. მის განკარგულებაში იყო საკმარის რაოდენობის თანხები. მისიის ამოცანა იყო „სპარსეთის შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა“<sup>222</sup>. 1915 წლის 15 ნოემბერს გერმანია-თურქეთის აგენტებმა გადატრიალების მოხდენაც კი სცადეს თეირანში.

ის, თუ როგორ რეაქციას იწვევდა ინგლისში ირანზე გავლით რუსეთის შესაძლებელი წინსვლა მესოპოტამიისა და პერათისაკენ, კარგად ჩანს ომის დასაწყისში გრეის მიერ გაკეთებული განცხადებიდან, რომ რუსეთის ჯარების მიერ მეორე რანგის სახელმწიფოთა ხელშეუხებლობისა და ნეიტრალიტეტის დარღვევა გავლენას მოახდენს ინგლისის ლონდონიდან საფრანგეთში, ანუ გამოიწვევს

<sup>222</sup> К. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 90—91.

ჯარის გადაყვანას აღმოსავლეთში<sup>233</sup>. აქედან ვასაგებია, თუ ვის წინააღმდეგ იქნებოდა განკუთვნილი ეს ჯარები.

ციმერმანის გეგმა გამოიწვია 1915 წლის 13 მარტის ინგლის-რუსეთის ხელშეკრულების დადება, რომლის ძალითაც ინგლისმა და რუსეთმა ირანის სამხედრო ოკუპაცია მოახდინეს. ამის შედეგად ინგლისს ჯარები ეყოლებოდა არა მარტო მესოპოტამიაში, არამედ ირანშიც და გზას გადაუჭრიდა გერმანია-თურქეთს და რუსეთსაც.

გერმანია-თურქეთის ემისიების მოქმედება ირანში განსაკუთრებით აქტიური იყო ჩრდილოეთის პროვინციებში, სადაც ისინი ქმნიდნენ სამხედრო ნაწილებს რუსეთთან ბრძოლის მიზნით და საიდანაც კავშირი ჰქონდათ გაბმული თავის თურქისტულ-ისლამისტურ აგენტურასთან რუსეთში.<sup>234</sup> რუსეთის ჯარებმა გაწმინდეს ჩრდილო ირანი ყოველგვარი გერმანული და თურქული მისიებისაგან და ამით განამტკიცეს თავისი პოზიციები მე-3 არმიის აღმოსავლეთის ფრთაზე. რუსეთის განმტკიცება ირანში გერმანიის დიდ პოლიტიკურ მარცხს წარმოადგენდა. გერმანიის გენერალური შტაბის უფროსის გენერალ ფალკენჰაინის აზრით, ამ მარცხის შედეგად დაეცემოდა გერმანიის პრესტიჟი მუსლიმანურ სამყაროში. „როგორღე შევძლებთ ავამხედროთ ჩრდილო-აფრიკა საფრანგეთისა და იტალიის წინააღმდეგ, — წერდა სანდერსი, — ამიერკავკასია—რუსეთის წინააღმდეგ, ინდოეთი, ავღანისტანი, სუდანი და ეგვიპტე—ინგლისის წინააღმდეგ, თუ უძლიერესმა სახელმწიფომ—გერმანიამ სპარსეთი ბედის ანაბარა მიატოვა და ამით თავისი საქმე ალბათ წაგებულად ცნო“<sup>235</sup>.

დარდანელის ოპერაციის დამთავრების შემდეგ გერმანიამ თურქეთისათვის ომის წარმოების ახალი გეგმა შეადგინა. ამ დროიდან იწყება გერმანია-თურქეთის წინააღმდეგობათა მკვეთრი გამწვავება. თუ მანამდე გერმანიასა და თურქეთს შორის სამხედრო მოქმედებათა დაგეგმვისა და ჩატარების საქმეში ერთგვარი ლოიალობა მაინც არსებობდა, ახლა აშკარა გახდა, რომ მათი შეხედულებანი და ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მთავარი, რასაც გერმანელთა გეგმა ითვალისწინებდა, ეს იყო შეტევა ეგვიპტისა და ერაყის მიმართულებით, საერთო პოზიციური მდგომარეობის გაუმჯობესება, სუეცის არხთან ერთად ეგვიპტის ხელში ჩაგდება და ამ გზით თავისი ავტორიტეტის გაზრდა მუსლიმანურ სამყაროში. გერმანელთა აზრით, ეს ინგლისს დიდ სიძნელეებს შეუქმნიდა, რაც საბოლოო

<sup>233</sup> Константинополь и проливы, 114.

<sup>234</sup> ორცა ფონდი 57, საქმე 1, ფურცელი 52—55.

<sup>235</sup> К. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 100.

ჯამში გავლენას მოახდენდა ანტანტის სახელმწიფოთა სამხედრო ძლიერებაზე. გერმანელთა საომარი მოქმედების აღნიშნული საომარაციო გეგმა საბოლოო სახით „ილდირიმის“<sup>238</sup> პირობითი სახელწოდების არის ცნობილი. ილდირიმის ოპერაცია ითვალისწინებდა ავღღვევე სულთანის ავტორიტეტის გამოყენებას არაბულ სამყაროში. უკვე ამაში იყო გეგმის დიდი სისუსტე, ვინაიდან ყოველი გეგმა, რომელიც ნაწილობრივ მაინც ვარაუდობდა არაბულ სამყაროში სულთან ხალიფას ავტორიტეტზე დაყრდნობას, არარეალური იყო.

ამ დროისათვის ინგლისმა თავის სასარგებლოდ უკვე საკმაოდ გამოიყენა არაბთა ანტითურქული განწყობილებანი და არაბ ფეოდალთა სეპარატიზმი. ინგლისის პროპაგანდა ცდილობდა თავისი პოლიტიკა არაბულ და საერთოდ მახლობელ აღმოსავლეთში დაეხატა როგორც ბრძოლა თურქეთის სულთნის ტირანიის წინააღმდეგ. ინგლისმა მექის შერიფი ჰუსეინი ხალიფობის კანდიდატად წამოაყენა, რის საფასურადაც ჰუსეინმა 1915 წელს ინგლისელებთან ხელშეკრულება დადო და თურქების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა იკისრა. არაბული ხალიფატის იდეა ინგლისური წარმომშობის ოქროს დახმარებით ბევრად უფრო პოპულარული გახდა არაბ ფეოდალთა შორის, ვიდრე თურქული ყაიდის ისლამიზმი. ხელშეკრულების თანახმად და ინგლისელთა დახმარებით 1916 წლის 5 ივნისს ჰუსეინი თურქებს აუჯანყდა.

1916 წლისათვის ინგლისი მკვეთრად ზრდის ჯარების რაოდენობას მახლობელ აღმოსავლეთში. ეგვიპტესა და ერაყში მან უმთავრესად ინდოელი ჯარისკაცები გადმოიყვანა, რომლებიც სამხრეთის ცხელ კლიმატურ პირობებს იყვნენ შეგუებულნი. 1916 წლის თებერვლიდან ბრიტანეთის იმპერიის გენერალური შტაბი ოპერაციებს მესოპოტამიაში ინდოეთის მთავარსარდლის საშუალებით ხელმძღვანელობდა. 7

1916 წლის იანვარში ლიმან ფონ სანდერსმა ენვერს მოსულისაკენ მნიშვნელოვანი ძალების გადასროლა შესთავაზა. ამ ძალების გამოყენება მდგომარეობისდა მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის ან სამხრეთის მიმართულებით. აღნიშნულ წინადადებასთან დაკავშირებით სანდერსი თვლიდა, რომ თურქეთის აღმოსავლეთის ფრონტის სიმძიმის ცენტრს ერაყში უნდა გადაენაცვლა. ამიტომ მან წინადადება მისცა ენვერს კავკასიის ფრონტის არმიები თავდაცვაზე გადაეყვანა. სანდერსის გეგმით მე-2, მე-3 და მე-6 არმიების სარდლობა (მე-6 არმია ერაყში იმყოფებოდა)

<sup>238</sup> ილდირიმი თურქულად ნიშნავს მესს.

უნდა გაერთიანებულიყო. მაგრამ ენვერომა გერმანიის სარდლობის წინადადება უარყო.<sup>227</sup>

ენვერი ცდილობდა განეხორციელებინა სრულიად საწინააღმდეგო გეგმა: მე-3 არმიის მე-5 საარმიო კორპუსის გაძლიერებისა და მე-2 არმიის კავკასიაში გადაყვანის შემდეგ ოსმალეთს რეალურა შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა კავკასიაში შესაჭრელად და იქიდან — თურქესტანის მიმართულებით ლაშქრობისა<sup>228</sup>. გალიპოლის ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ მან, როგორც აღვიშინეთ, განთავისუფლებული ჯარების უმრავლესობა კავკასიის ფრონტზე გადაიყვანა და ამით მუქარა სუეცის არხისა და ეგვიპტის მიმართ მნიშვნელოვნად შეასუსტა. მიუხედავად ამისა, ინგლისის სამხედრო მინისტრმა ლორდმა კიტჩენერმა, რომელმაც ამ პერიოდში ეგვიპტე მოინახულა, ეგვიპტეში ინგლისის სამხედრო ძალების სასწრაფო გაძლიერება მოითხოვა. თავდაპირველად გალიპოლის ფრონტისათვის გათვალისწინებული ჯარები ინგლისს ახლა ეგვიპტეში გადაყავს, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი მოითხოვს ჯარების სალონიკეში გაგზავნას. ინგლისის შეიარაღებული ძალების ეგვიპტეში კონცენტრაციასთან დაკავშირებული კიტჩენერის გეგმები შორს იყო გამიზნული, ვინაიდან გალიპოლიდან ჯარების გადმოყვანის მიუხედავად გრძელდებოდა ჯარების გადმოყვანა ინდოეთიდან და მეტიც, ორი დივიზია ინგლისელებმა მოხსნეს დასავლეთის ფრონტიდან საფრანგეთში და ეგვიპტეში გადაიყვანეს. ეს მაშინ, როდესაც ანტანტის არმიები საფრანგეთში ცოცხალი ძალის დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ.

ჯარების გადმოყვანის შედეგად ინგლისმა მახლობელ აღმოსავლეთში უდიდეს არმიას მოუყარა თავი, დაახლოებით 500.000 კაცს, რომელთაგან 300.000 სამწყობრო ჯარისკაცი იყო.

ბრიტანეთის საიმპერიო შტაბის შეფასებით 1916 წლის ოქტომბრისათვის ოსმალეთის არმია შემდეგნაირად იყო განაწილებული<sup>229</sup> (იხ. გვ. 132).

იგივე განგარიშებით ჯარისკაცების ამდენივე რაოდენობა ზურგის ნაწილებში იმყოფებოდა (საწყობები, კომუნიკაციები), 120.000 ჯარისკაცამდე კი — სათადარიგო ბანაკებში.

ამრიგად, ინგლისელებს თურქების წინააღმდეგ გამოყვანილი ჰყავდათ იმდენივე ჯარისკაცი, რამდენიც თურქებს — ყველა ფრონტზე ერთად. იმ დროს, როდესაც ინგლისის არმია მახლობელ აღმოსავ-

<sup>227</sup> O. L. v. Sanders, დასახ. ნაშრომი, 163.

<sup>228</sup> M. Larcher, დასახ. ნაშრომი, 116.

<sup>229</sup> M. Larcher, დასახ. ნაშრომი, 133.



ფრონტი	დივიზიების რიცხვი	ჯარისკაცი	უკვემები
გალიცია	2	14.000	50
მაკედონია	1	7.000	30
დობრუჯა	2	14.000	60
კავკასია	27	156.000	596
ერაყი	3	19.000	64
არაბეთი—სირია	10	63.000	180
ანატოლია—თრაკია	5	36.000	110

ლეთში განლაგებული იყო ძირითადად მხოლოდ ორ ფრონტზე — ერაყსა და სირია-არაბეთში (შედარებით ნაკლები რაოდენობით ინგლისის ჯარები იმყოფებოდნენ ირანში). ამ ორ ფრონტზე ინგლისელთა კარგად ჩაცმული, აღჭურვილი და გაწვრთნილი 300.000 ჯარისკაცის წინ იდგა 82.000 ცუდად ჩაცმული და ნახევრად შშიერი თურქი ჯარისკაცი. ექვს ვარეშეა, რომ ასეთ პირობებში ინგლისელთა შეტევას ოსმალეთის სამხედრო განადგურება მოჰყვებოდა.

ამ მხრივ მრავლის მთქმელია ინგლისის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ლიოდ ჯორჯის განცხადება: „თუ არ ვილაპარაკებთ დარდაწელის შესახებ, თურქეთის არმიის ძლიერება მოჩვენებითი იყო. ჩვენ გალიპოლშიც შეგვეძლო ადვილად დაგვეძლია თურქები, თუ კი შეტევა იქნებოდა სწორად ორგანიზებული და დროზე განხორციელებული. პალესტინასა და მესოპოტამიაში უკვე 1915—1916 წწ. გარდა ჩვენი გენერალური შტაბისა, არავის არ შეეძლო გადაერჩინა თურქები სრული განადგურებისაგან. ოსმალეთის იმპერიის ნამდვილი ციტადელი იმყოფებოდა არა აჩი-ბაბაში, ბალდასა ან იერუსალიმში, არამედ ლონდონის უაიტჰოლში.“<sup>20</sup> სამი წლის განმავლობაში ეს უნიჭოთა პრისხანე გარნიზონი იგერიებდა ყოველ შეტევას დაშლის გზაზე მყოფი თურქეთის არმიების წინააღმდეგ, რითაც საშუალებას აძლევდა თურქებს გაეგზავნა თავისი ცუდად ეკიპირებული არმიის თითქმის ნახევარი რუსეთის ფრონტზე, სომხეთში.<sup>21</sup>

ლიოდ ჯორჯს აქ აღნიშნული აქვს ორი, ინგლისის მახლობელი აღმოსავლური პოლიტიკისათვის მეტად დამახასიათებელი ფაქტი: 1. ინგლისსა და საფრანგეთს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეპყროთ კონსტანტინოპოლი გალიპოლის ოპერაციის შედეგად, მაგრამ ეს არ გააკეთეს. 2. უკვე 1915—1916 წლებში მესოპოტამიასა და არაბეთ-სირიაში ინგლისელებს ძალების ისეთი სიჭარბე გააჩნდათ, რომ

<sup>20</sup> უაიტჰოლი — ბრიტანეთის იმპერიის გენერალური შტაბის რეზიდენცია.  
<sup>21</sup> Д. Ллойд Джордж, Военные мемуары. т. IV, Москва, 1935, 66.

მათ შიგნით გაერღვიათ თურქეთის ფრონტი. რასაც ოსმალეთის იმპერიის სამხედრო განადგურება მოჰყვებოდა, მაგრამ არც ეს გააკეთეს. ყველაფერმა ამან საშუალება მისცა თურქებს მოენდინათ ძირითადი ძალების კონცენტრაცია რუსეთის წინააღმდეგ.

თურქეთის ძალებით ერაყ-ეგვიპტეზე შეტევის გერმანული გეგმა ცნობილი იყო ანტანტის სახელმწიფოებისათვის. ინგლისისათვის ეს იყო შესანიშნავი საბაბი, რათა საფრანგეთისა და რუსეთის წინაშე თავი გაემართლებინა დასავლეთ ევროპაში ფრონტის შესუსტებისა და ჯარების მახლობელ აღმოსავლეთში გაგზავნის გამო. ეს იმ დროს, როდესაც რუსეთის მთავრობა გამუდმებით ლებულობდა ინგლისიდან და საფრანგეთიდან თხოვნებს რუსეთის ჯარის ნაწილების საფრანგეთში გაგზავნის შესახებ და თავის მხრივ თვლიდა, რომ დასავლეთ ევროპის ფრონტების გასაძლიერებლად საჭიროა აგრეთვე ინგლისის ჯარების გადმოყვანა ეგვიპტიდან და ერაყიდან. რუსეთში ვარაუდობდნენ, რომ ასეთი გზით გერმანიის სამხედრო განადგურების პერსპექტივა მისაღები იქნებოდა ინგლისისათვის, რამდენადაც ინგლისის სურვილისათვის, რომ მოეხდინა ეგვიპტის ანექსია, რუსეთს წინააღმდეგობა არ გაუწევია კონსტანტინოპოლისა და სრუტეების საკითხის რუსეთის ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტის საფასურად.

ინგლისს ეგვიპტის ანექსია უნდოდა დაუყოვნებლივ: სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის საკითხის გადაწყვეტას კი საჭიროდ თვლიდა მხოლოდ გერმანიის დამარცხების შემდეგ, რაზედაც რუსეთთან ხმა იყო. ამიტომ რუსეთში ზოგიერთი ფიქრობდა, რომ თურქეთის მწყობრიდან გამოყვანის დაჩქარება აგრეთვე შედიოდა ბრიტანეთის მთავრობის გეგმებში. აქედან გამომდინარე, რუსეთი წინადადებას აძლევს რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბანაკში ჩამოსულ ინგლისელ გენერალ კოლველს ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთისა და ინგლისის ჯარების ერთობლივი მოქმედების დაწყების შესახებ. ინგლისში კარგად ესმოდათ, რომ ასეთ შეტევას თურქეთი ვერ გაუძლებდა არა თუ იმ დროს, არამედ ომის დასაწყისშიც კი. „მსოფლიო ომის მთელი ხნის განმავლობაში არ იყო ისეთი მომენტი, — წერს ლოიდ ჯორჯი, — როდესაც ბრიტანეთისა და რუსეთის მთავრობებს არ შესძლებოდათ გაერთიანებული ძალებით თურქეთის იმპერია დაემარცხებინათ.“<sup>242</sup>

ინგლისში კარგად იცოდნენ, თუ როგორი იქნებოდა თურქეთის წინააღმდეგ რუსეთთან ერთობლივი მოქმედებით გამოწვეული პო-

<sup>242</sup> Д. Ллойд Джордж. Да сазб. на Шротои, т. IV, 65.

ლიტიკური და სტრატეგიული შედეგები. ს. თურქეთის მიმართ ასევე სტრატეგია 1915 წელს. — განაგრძობს ლოიდ ჯორჯი, — საშუალებას მოგვცემდა აღვედგინა ჩვენი კონტროლი ბალკანეთზე. (არც 1915 წლის სექტემბერში დაეკარგეთ, და რუმინელებთან დასაწყისშია) ძალები გავეერთიანებინა. მოკავშირეები ავსტრიას ლახვარს ჩასცემდნენ მის ყველაზე მტკივნეულ ადგილას — დუნაის ფრონტზე. რომელიც როგორც გეოგრაფიულად, ისე ეთნოგრაფიულად მის ყველაზე უფრო სუსტ ადგილს წარმოადგენდა. ეს შეგვინარჩუნებდა 250.000 ჯარისკაცს, რომლებიც განლაგებული იყვნენ ეგვიპტეში. მესოპოტამიაში, რუსეთში, და 150.000 ჯარისკაცს — კავკასიაში. ომის საერთო ვითარება მთლიანად შეიცვლებოდა, ხოლო მისი ვადები შემცირდებოდა.<sup>213</sup>

(რუსეთის წინააღმდეგ თურქეთის წინააღმდეგ საერთო შეტევის დაწყების შესახებ ინგლისმა უარით უპასუხა.) ამასთან დაკავშირებით რუსეთის ჯარების უმადლესი მთავარსარდლის შტაბის უფროსი გენერალი ალექსეევი წერდა: „ამრიგად, ჩემი იმედები ბაღდადის, ქერმანის და მუშის მხრიდან თურქების წინააღმდეგ ინგლისელებთან შეთანხმებული საერთო მოქმედების შესახებ ინგრეოდა იმ დროს, როდესაც ასეთი მოქმედება მოსპობდა ყოველგვარ სერიოზულ შერს ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ.“<sup>214</sup>

[ინგლისელებს სრულიადაც არ აფიქრებდათ გერმანელთა გეგმები ეგვიპტე-ერაყზე თურქეთის არმიის მომავალი შეტევის მოწყობის შესახებ. ის, რომ ინგლისელთა ძალები ერაყსა და ეგვიპტეში მრავალჯერ ჰარბობდა თურქებისას, ნებას აძლევდა ინგლისს დარწმუნებული ყოფილიყო თავის მომავალ გამარჯვებაში. რამდენადაც რუსეთთან ერთობლივი მოქმედება მაინც გააადვილებდა მომავალ გამარჯვებას და შეამცირებდა მსხვერპლს, იმდენად ინგლისელები, ალბათ, დათანხმდებოდნენ საერთო შეტევის მოწყობას. მაგრამ ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თურქების შეტევა არ შედგებოდა. ლოიდ ჯორჯი პირდაპირ ამბობს: „1915 და 1916 წლებში თურქეთის სამხედრო ძალების საერთო განლაგების შესწავლისას უნდა გვახსოვდეს, რომ თურქეთი ამ დროს თავის ძირითად პოლიტიკურ ამოცანად თვლიდა ყველა თურახელი მოდგმის ხალხთა თურქეთთან გაერთიანებას. თურქებს სურდათ ხელში ჩაეგდოთ ამიერკავკასია და კავკასია, რომლებიც მათი მონათესავე ტომები იყვნენ დასახლებული;

<sup>213</sup> Д. Лоид Джордж, даსახ. ნაშრომი, ტ. II, 65.

<sup>214</sup> Н. Валентинов, Сношения с союзниками по военным вопросам во время войны, 1914—1918 гг., т. I, Москва, 1920, ციტირებულია წიგნით „Константинополь и проливы, 114.

ამას გარდა, მათ სურდათ დაემყარებინათ და განემტკიცებინათ თავისი ბატონობა ირანზე. მას შემდეგ, რაც თურქიზმმა აბდულჰამიდის ისლამიზმი შეცვალა, თურქებს შედარებით ნაკლებად აინტერესებდათ მათთვის უცხო არაბები და ომის მსვლელობაში მთელ ძალებს კავკასიისაკენ მიმართავდნენ.<sup>245</sup>

1917 წლიდან თურქეთის მთელი ყურადღება მთლიანად კავკასიისაკენ შემობრუნდა. აბდულჰამიდური ისლამიზმი აშკარად ისტორიას ბარდებოდა და მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა—ეს იყო ილდირიმის საარმიო ჯგუფის შექმნა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილდირიმია ოპერაციის ჩატარების ინიციატივა გერმანელებს ეკუთვნოდა, და თუ თურქები დათანხმდნენ მის ჩატარებაზე, ეს გამოწვეული იყო, ერთი მხრით, სურვილით უკან დაებრუნებინათ ბალდადი, ხოლო, მეორე მხრით, გერმანიის დაჟინებითი მოთხოვნით, რამაც შედარებით ადვილად იმოქმედა თურქებზე, ვინაიდან ისინი კავკასიის ფრონტზე თავისი არმიების დამარცხებათა შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდნენ.

სხვა საარმიო ჯგუფებიდან განსხვავებით ილდირიმის ჯგუფის სარდლობა მთლიანად გერმანელ ოფიცერთა ხელში გადადიოდა. გერმანელი ოფიცერი უნდა ყოფილიყო ილდირიმის საარმიო ჯგუფის სარდალი. ამ თანამდებობაზე დაინიშნა პრუსიის ყოფილი სამხედრო მინისტრი და გერმანიის არმიების ჯგუფის სარდალი რუმინეთში ფონ ფალკენჰაინი, რომელიც სტამბოლში ჩავიდა 1917 წლის 7 მაისს. საარმიო ჯგუფის შტაბიც თითქმის მთლიანად გერმანელ ოფიცერთაგან იქნა შედგენილი. ილდირიმის ჯგუფის შემადგენლობაში შეიყვანეს თურქეთში მყოფი თითქმის ყველა გერმანული ნაწილი (ძირითადად ტექნიკური) და ევროპის ფრონტებიდან გადმოყვანილი 5 თურქული დივიზია. გერმანიამ გამოყო თანხები, საჭუოველი და სხვ.

[ილდირიმის ოპერაცია არავითარი პოპულარობით არ სარგებლობდა თურქ ოფიცერთა, განსაკუთრებით ახალგაზრდა ოფიცერთა შორის, რომელთა მთელი ყურადღება კავკასიისაკენ იყო მიპყრობილი.]

<sup>245</sup> Д. Ллойд Джордж. დასახ. ნაშრომი, ტ. IV, 67.



დარღანელი და მცირე აზია



მე-5 არმია—სარდალი ლიმან ფონ სანდერსი

მე-14 საარმიო კორპუსი	(42-ე დივიზია)
მე-19 " "	(24-ე, 55-ე დივიზიები)
მე-17 " "	(56-ე დივიზია)
21-ე " "	(57-ე " )

კონსტანტინოპოლი

1-ლი არმია—სარდალი ესად ფაშა

1-ლი საარმიო კორპუსი	(54-ე დივიზია)
მე-6 დივიზია	

ევროპა

მე-15 საარმიო კორპუსი	(მე-19, 20 დივიზიები)
მე-20 " "	(46-ე, 50-ე " )
მე-16 " "	(მე-15, 25-ე, 26-ე " )

იემენი

მე-7 საარმიო კორპუსი	(39-ე, 40 დივიზიები) <sup>246</sup>
----------------------	-------------------------------------

ეს მონაცემები წარმოდგენას იძლევა მხოლოდ არმიების განლაგების შესახებ მათი ნუმერაციის მიხედვით, მაგრამ არ ასახავს ძალთა ნამდვილ თანათარღობას, ვინაიდან დივიზიების დაკომპლექტება ცალკეული ფრონტების მიხედვით არ იყო თანაბარი.

რუსეთის არმიები, რომლებმაც კავკასიის ფრონტზე არზრუმის, ტრაპიზონისა და მუშის ადებით მნიშვნელოვან გამარჯვებებს მიაღწიეს, ახალი შეტევასათვის ემზადებიან. აძლიერებს თავის არმიებს ინგლისიც, ხშირად ევროპის ფრონტების ხარჯზე. 1916 წელს ინგლისმა საფრანგეთში გაგზავნა მხოლოდ 6 დივიზია. წინა წლის 31-ის ნაცვლად, თურქეთის ფრონტებზე კი—10 ქვეითი და 4 ცხენოსანი დივიზია.

<sup>246</sup> O. L. v. Sanders, დასახ. ნაშრომი, 181—182.



ინგლისში არსებობდა პოლიტიკურ მოღვაწეთა დიდი ჯგუფი, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენდა ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკას და ომის საქმეებს. ამ ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო ლიოდ ჯორჯი. ეს ჯგუფი ამტკიცებდა, რომ მსოფლიო ომი შეიძლება და უნდა იქნეს კიდევ მოგებული არა დასავლეთის, არამედ რომელიმე მეორეხარისხოვან ფრონტზე<sup>247</sup>. მაგალითად, როგორც იყო პალესტინა. ძნელი სათქმელია, თუ რამდენად სჯეროდა თვითონ ლიოდ ჯორჯს მსგავსი აზრების, მაგრამ ნამდვილი მიზანი ამ „თეორიებისა“ იყო სულ სხვა: ჩამოეცილებინათ ინგლისის ჯარები დაძაბული ბრძოლის ფრონტებიდან, რომლებიც დიდ მსხვერპლს მოითხოვდნენ, და სანამ გერმანია, საფრანგეთი და რუსეთი ერთმანეთთან ბრძოლაში სისხლს ღვრიდნენ და სუსტდებოდნენ, მანამ მოეგროვებინათ ძალები და დაესვენებინათ თავისი ჯარები მეორეხარისხოვან, შედარებით მშვიდ ფრონტებზე. შემდეგ კი, როდესაც მეზობელი მხარეები სისხლისაგან დაიცლებოდნენ, შემონახული ძალები გამოეყენებინათ საზავო პირობების საკარნახოდ. სწორედ ამით აიხსნება, რომ ლიოდ ჯორჯის ხელისუფლების სათავეში ჩადგომასთან ერთად ძლიერდება თურქეთის ფრონტებზე ინგლისის ჯარების კონცენტრაცია. ასე, მაგალითად, 1917 წლის 15 მაისისათვის ინგლისის სირია-პალესტინაში ჰყავდა 104.000 ჯარისკაცი, იმავე წლის 15 ივლისისათვის — 145.000 ჯარისკაცი, ხოლო სექტემბრისათვის — 178.000 ჯარისკაცი.

1917 წლის დასაწყისში ბალდაზე შეტევისათვის ინგლისელებმა თავი მოუყარეს 160.000 ჯარისკაცს, რომელთა შორის 95.000 სამწყობრო მეზობელი იყო. ამავე დროს თურქეთის მე-8 საარმიო კორპუსი 3 დივიზიის შემადგენლობით, რომელიც კუტში გამაგრდა და თავის თავზე უნდა მიეღო ინგლისელთა დარტყმების მთელი სიმძიმე, ითვლიდა მხოლოდ 16.000 და ისიც ცუდად ჩაცმულ-შეიარაღებულს და დამშეულ ჯარისკაცს. ხოლო სირია-პალესტინაში 178.000 ინგლისელი ჯარისკაცის პირისპირ იდგა თურქების მე-4 არმიის 30.000 ჯარისკაცი, რომელთა რიცხვიც განუწყვეტლივ კლებულობდა ებიდემიებისა და მეტად გავრცელებული

<sup>247</sup> Д. Ллойд Джордж. Дѣятели. Вѣроуби, т. IV, 82.

ბული დეზერტირობის გამო. ყოველთვიურად ზურგში გადაწყვე-  
დათ 3—4 ათაი ავადმყოფი და დაჭრილი მებრძოლი. ზოგიერთი  
ბატალიონის მებრძოლთა რაოდენობა არ აღემატებოდა 170 ჯარისკაცს.  
კაცს<sup>248</sup>. ევროპის საომარი ასპარეზიდან ილდირიმის ჯგუფისათვის  
გადმოყვანილი თურქული დივიზიები, რომლებიც შედარებით კა-  
რგად იყვნენ ჩაცმულნი და შეიარაღებულნი, თურქეთში ჩამოსვ-  
ლისთანავე, დეზერტირობის გამო განახევრდა. კიდევ უფრო უარეს  
მდგომარეობა ჰქონდათ თურქებს სირია-პალესტინის ფრონტზე,  
ალექსანდრეტას რაიონში სანაპიროს, სადაც ინგლისის დესანტის  
საშიშროება არსებობდა. თურქების მხრიდან იცავდა მხოლოდ...  
ცარიელი სამხედრო საწყობები.

ჯერ კიდევ 1916 წლის დასასრულისათვის საომრად ვარგის ადამიანთა რესურსები ოსმალეთმა თითქმის მთლიანად ამოწურა. ები-  
დემიებმა იმსხვერპლა მეტი, ვიდრე მოწინააღმდეგის ყუმბარებმა<sup>249</sup>.  
ჯარში გაწვეული იყო ყველა ვარგისი მამაკაცი 16-დან 55 წლამდე.  
როდესაც ვასაწვევი აღარავინ იყო, ჯარში მიჰყავდათ ინდოელი  
ტყვე მუსლიმანი ჯარისკაცები, თურქეთში ჩამოსული მუსლიმანი  
ემიგრანტები (მუჰაჯირები), აფრიკის მკვიდრი ტყვე ინგლისელი და  
ფრანგი ჯარისკაცები. ენვერი თავის წერილში გერმანიის სარდლო-  
ბისადმი 1917 წლის 24 თებერვალს აღნიშნავდა, რომ თურქეთმა  
ომის დაწყებიდან ჯარში გაიწვია 2,5 მილიონი კაცი და დასძინდა:  
„ახლოვდება დრო, როდესაც თურქეთის ადამიანთა რეზერვები,  
რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ სამხედრო მიზნებისათვის,  
ამოიწურება. ჩვენ, უკვე ამჟამად, არ შეგვიძლია დაეაკმაყოფილოთ  
მეტად დიდი მოთხოვნა ჯარისკაცებზე“<sup>250</sup>.

იგივე სურათია მოცემული თურქეთის გენერალური შტაბის უფ-  
როსის გენერალ ფონ ბრონსარტის 1917 წლის 2 ივნისის მოხსენე-  
ბაში გენერალ ლუდენდორფისადმი. ბრონსარტი იტყობინებოდა,  
რომ თითქმის 3 მილიონი ადამიანიდან, რომელიც თურქეთის არმა-

<sup>248</sup> M. Larcher, დასახ. ნაშრომი, 279.

<sup>249</sup> მაკალითად, პარტახტიან ტიფს შეეწირა არა მარტო მრავალი ჯარისკაცი, არამედ უმალესი რანგის ოფიცრობაც: გენერალ ფედლმარშალი ფონ დერ გოლცი, მე-3 არმიის სარდალი ჰაქი ფაშა და სხვ.

<sup>250</sup> K. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 251.

ში იყო გაწვეული 1917 წლის 1 მარტისათვის. ამჟამად დაახლოებით 1.200.000.<sup>251</sup>

თურქ გლეხს, ისედაც ლატაკსა და მშვიერს, ომმა ახალ-უბედურებანი მოუტანა. შიმშილი ქრონიკული მოვლენა გახდა. შიმშილობდა ქალაქი, სოფელი და არმია. სათესი ფართობი შემცირდა. არ იყო მუშახელი, არ იყო მუშა საქონელი, რომელიც ან ჯარისათვის იქნა რეკვიზირებული, ან შიმშილისაგან გაწყდა. ვინაიდან ფრონტის საქიროებისათვის პირუტყვის საკვები გლეხობას მთლიანად ჩამოართვეს. ომმა განსაკუთრებით დიდად დააზარალა მესაქონლეობის რაიონები — ანატოლიის აღმოსავლეთი ვილაიეთები. ყველაფერი საშინლად გაძვირდა. პირველი მოხმარების საგნებზე ფასებმა საშუალოდ 15-ჯერ მოიმატა. ახალგაზრდა თურქების მიერ მოწყობილმა სომხების ელექტამ და დეპორტაციამ აღმოსავლეთი ანატოლიის მრავალი რაიონი უდაბნოდ აქცია. რის გამოც თურქეთის არმიები უკაცრიელ ადგილებში აღმოჩნდნენ.

თურქეთის ყოველ მხარეში „მიწების უდიდესი ნაწილი არ მუშავდებოდა. სამუშაო ძალა არ იყო საკმარისი და მთელი ოლქები, რომლებიც მუშა-სპეციალისტებს საქიროებდნენ, მოცდენილი იყო. პროდუქტებით მომარაგება არასაკმარისი იყო. საკვები პროდუქტები ფრონტზე ისე მცირე რაოდენობით მოდიოდა, რომ ათასობით ჯარისკაცი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შიმშილითა და ორგანიზმის გამოფიტვის გამო კვდებოდა.“ — ასე ახასიათებდა მდგომარეობას ლიბან ფონ სანდერსი.<sup>252</sup> მას იქვე მოჰყავს დამახასიათებელი ფაქტი. „გერმანელმა ექიმმა ალბერტმა ელ-ასირიდან შემდეგი ანგარიში გამოგზავნა: „არ შეიძლება იმის წარმოდგენა, თუ რამდენად არიან ეს საწყლები დაბეჩავებულნი და წინააღმდეგობის გაწევას უნარმოკლებულნი. თუ მათ უკეთებ ოპერაციას — ისინი კვდებიან, თუ არ უკეთებ — მაინც კვდებიან“<sup>253</sup>. კატასტროფულად იმატა ბავშვთა სიკვდილიანობამაც, რომელმაც 86% მიაღწია.

წმენდად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ომის წარმოებისათვის საჭირო სათბობისა და სხვა მასალების მხრივ. ენვერ ფაშას 1917 წლის 15 თებერვლის მოხსენებაში, რომელიც მან გერმანელებს წარუდგინა, ნათქვამი იყო: „თურქეთმა სამი წლის ომის შედეგად იმდენად ამოწურა ომის წარმოებისათვის აუცილებელი მარა-

<sup>251</sup> იქვე, 251—252.

<sup>252</sup> O. L. v. Sanders, დასახ. ნაშრომი, 184.

<sup>253</sup> იქვე.

გი, რომ იმ იმპორტს, რომელიც დადებული ხელშეკრულებების თანახმად შემოდის გერმანიიდან და რუმინეთიდან. ეს შეუძლია დააკმაყოფილოს ყველაზე უფრო სასწრაფო მოთხოვნები ბანიც კი. ქვანახშირის მარაგი, რომელიც აქამდეც სრულიად უმნიშვნელო იყო, ამჟამად მთლიანად ამოწურულია. ხოლო გერმანიიდან ქვანახშირის შემოტანა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს ყოველდღიურ მოთხოვნილებას. უკანასკნელი წლიანხვევრის განმავლობაში თავროსის სამხრეთით მდებარე რკინიგზები შეშით მუშაობენ, მაგრამ მალე შეშის მარაგი, რომლის შემოზიდვა არსებული სატრანსპორტო საშუალებებითაა შესაძლებელი, ამოიწურება და ნახშირზე გადასვლა მოვდისდება. მაგრამ ვინაიდან ნახშირი არ არის, არსებობს საშიშროება, რომ თურქეთის რკინიგზების მუშაობა შეჩერდება. საკვები პროდუქტებისა და ნახშირის შემოზიდვა იმდენად აუცილებელი რამ არის, რომ სამხედრო მასალების შემოზიდვა მეორეხარისხოვანი ამოცანა უნდა გახდეს“<sup>254</sup>.

[თურქეთის მთელ ეკონომიკას ომის წლებში გერმანელები დაეპატრონენ. მათ დაიკავეს ყველა ის ადგილი, რომლებიც მანამდე იგლისელებს ან ფრანგებს ეკავათ. უოსმალეთის სახელმწიფო ვალის სამმართველოს საბჭოს სათავეში აესტრეილი ჩადგა, ოსმალეთის საიმპერიო ბანკის მმართველობაში ფრანგები გერმანელებმა შეცვალეს. გერმანელებს ჩაუვარდათ ხელში ანტანტის ქვეყნების კუთვნილი კონცესიების უმრავლესობაც. მათივე გამგებლობაში აღმოჩნდა თურქეთის წიაღისეული სიმდიდრეები: ერეგლი-ზონგულდაკის ქვანახშირი და ერგანის სპილენძის მადანი.

[ომის დაწყების შემდეგ თურქეთში შეწყდა ანტანტის სახელმწიფოებიდან სამრეწველო საქონლის შემოტანა, გერმანია კი თვითონ განიცდიდა ასეთი საგნების ნაკლებობას. თურქეთი იძულებული იყო მოსახლეობისა და არმიისათვის აუცილებელი მრავალი საგანი თვითონვე ეწარმოებინა. ამან გამოიწვია თურქეთის მრეწველობის ერთგვარი განვითარება და ეროვნული ბურჟუაზიის გაძლიერება. 1917 წელს, როდესაც თურქეთი სამხედრო მარცხის შესაძლებლობის წინაშე აღმოჩნდა, ეროვნულმა ბურჟუაზიამ ომის დროს მოპოვებული პოზიციების დაკარგვის საშიშროება იგრძნო. ამ დროიდან დაწყებული ეროვნული ბურჟუაზია თანდათანობით გადაუდგა ენვერს. დაიწყო ოპოზიციური ჯგუფების შექმნა. გერმანიის მოქმედებამ ბევრი დაარწმუნა თურქეთში, რომ გერმანია გამარჯვების შემთხვევაში თურქეთს თავის კოლონიად გადააქცევდა. ამი-

<sup>254</sup> К. Мюльман. დასახ. ნაშრომი, 255.

ტომ თურქეთის ოპოზიციური წრეები ომიდან გამოსვლას ცდილობდნენ ანტანტის ქვეყნებთან სეპარატული და კომპრომისული ზავის დადების გზით. იმ პირობით, თუ ინგლისი და საფრანგეთი იტყობდნენ ოსმალეთის დანაწილების გეგმებზე. საამისოდ ისინი დაუკავშირდნენ კიდევ ინგლისის მთავრობას ვინმე პაროდის საშუალებით, რომელიც შვეიცარიაში ცხოვრობდა და ეკავა ეგვიპტის სასწავლო დაწესებულებათა მისიის ხელმძღვანელის თანამდებობა. პაროდის სიტყვით, „ოპოზიციონერებს კომიტეტის“<sup>255</sup> შიგნით სულ უფრო და უფრო ეშინიათ, რომ თურქეთი გერმანიის პროვინცია გახდება. მათ სულ უფრო და უფრო აღიზიანებთ გერმანელთა ამპარტავნობა და დესპოტური მეთოდები. იმისათვის, რომ თურქეთი გერმანიის კოლონიად გადაქცევას გადაერჩინათ, ისინი ხალხით გაწყვეტდნენ ყავშირს გერმანიასთან და დაეყრდნობოდნენ ინგლისს, რომელიც, მათი სიტყვით, მუდამ თურქეთის მეგობარი იყო. მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისი ზომიერ მოთხოვნებს წამოაყენებდა“<sup>256</sup>.

ენვერისა და მის თანამოაზრეთა პოლიტიკისადმი ოპოზიციურად განწყობილ თურქებს ჰქონდათ საფუძველი, რომ დაფიქრებულ იყვნენ თურქეთის მომავალ ბედზე. თურქეთის მიმზე მდგომარეობამ ენვერიც შეაშფოთა, მაგრამ ის თურქიზმის ფანატიკოსად რჩება და ძველებურად ცდილობს დაარწმუნოს თურქები, რომ თურქების შექმნილი პოლიტიკური შესაძლებლობაა.

რუსეთში ენვერის თურქისტულ-ისლამისტური აგენტურის ზოგიერთი წარმომადგენლის ჩამუშვებული მოღვაწეობა დროზე გამოძულავნდა და ისინი იძულებულნი გახდნენ თავისი მოღვაწეობა ევროპასა და თურქეთში გადაეტანათ, სადაც თავს აცხადებდნენ „ემიგრანტებად“ რუსეთიდან. ჯერ კიდევ 1913 წელს მათ შეადგინეს ე. წ. „დელეგაცია“, რომლის წევრთაგან ალი ბეი ჰუსეინზადე თავს ახერბაიჯანის წარმომადგენლად აცხადებდა, იუსუფ აქჩურაოღლუ — ყაზანის, მეჰმედ ჩელებიზადე — ყირიმის და მუჯიმედინ ბელჯანი — თურქესტანის. ეს „დელეგაცია“ ევროპაში გაემგზავრა. რათა ცენტრალური სახელმწიფოთათვის გადაეცა მემორანდუმი და რუკა, რომელზედაც აღნიშნული იყო მომავალში რუსეთის ტერიტორიაზე შესაქმნელ მუსლიმანურ სახელმწიფოთა საზღვრები. ამგვარი „დელეგაციების“ გაგზავნას ევროპაში რუსეთის „მუსლიმან-თურქთა“ სა-

<sup>255</sup> იგულისხმება „ერთიანობისა და პროგრესის“ კომიტეტი.

<sup>256</sup> Д. Ллойд Джордж, დასახ. ნაშრომი, ტ. V, 51.

ხელით თურქეთი ომის დროსაც განაგრძობდა. მარტო 1915—1916 წლების განმავლობაში მსგავსმა „დელეგაციებმა“ ევროპაში ორჯერ იმოგზაურეს<sup>257</sup>.

საერთაშორისო, რომ თურქიზმის გავრცელებით რუსეთში ტერესდა ამერიკის შეერთებული შტატები, 1916 წელს თვითმარქვი-ათა გვუფმა. „რუსეთის მუსლიმანთა—თათრების, ბაშკირების, ყირგიზების, სარტების, ტაჯიკების, თურქმენებისა და დაღისტნის ტომთა სახელით, რომლებიც 25 მილიონს შეადგენენ“, მოწოდებით მიმართა ბრეზიდენტ ვილსონს. მოწოდება მთავრდებოდა სიტყვებით: „მოდით ჩვენ საშველად“. მოწოდებას ხელს აწერდნენ ივანე იუსუფ აქჩურაოღლუ, ალი ბეი ჰუსეინზადე და სხვები<sup>258</sup>. ამავე დროს მოწოდების ავტორები — თურქისტები აცხადებდნენ, რომ რუსეთის ტერიტორიაზე თურქულ-მუსლიმანური სახელმწიფოების შექმნის მიზანი არის მათი ოსმალეთთან გაერთიანება.

ამრიგად, თურქეთი პირველ მსოფლიო ომში ჩაება იმ განზრახვით, რომ დაეპყრო რუსეთის ტერიტორიები და შეექმნა თუოანი. რუსეთი შეეცადა თავიდან აეცილებინა ომი თურქეთთან, რომ ამით მიეღო საშუალება მთელი თავისი ძალებით შებრძოლებოდა გერმანიას, მაგრამ ამ საკითხში ვერ ნახა ინგლისისა და საფრანგეთის დახმარება. პირიქით, ინგლისიც და საფრანგეთიც არსებითად ეხმარებოდნენ თურქებს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ომის მთელი ხნის განმავლობაში თურქეთის მთავარი საზრუნავი იყო „ავკასიის ფრონტი, სადაც იგი უშედეგოდ ცდილობდა გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვებას და ამიერკავკასიის, შუა აზიის და ვოლგისპირეთის დაპყრობას.

ინგლისმა, რომელმაც თურქეთის ფრონტებზე დიდძალ ცოცხალ ძალას და საომარ ტექნიკას მოუყარა თავი, რაც საკმარისი იყო თურქების ფრონტის გასარღვევად, თავი აარიდა გადამწყვეტ შეტევას და შედარებით მცირე მასშტაბის ოპერაციებით დაკმაყოფილდა.)

<sup>257</sup> Z. V. Togan, დასახ. ნაშრომი, 475.

<sup>258</sup> Revue du monde Musulman, 1923, vol. LVI 146—147, იბ. აგრეთვე Z. V. Togan, დასახ. ნაშრომი, 474.

## თურქანის უჩაქნის ცლა და მისი გარცხი

(პირველ მსოფლიო ომში იმპერიალისტური სახელმწიფოები მსოფლიოს გადანაწილებისათვის იბრძოდნენ. მეომარი ქვეყნების გეგმებში დიდი ადგილი ეკავა თურქეთს. ომის დაწყებისთანავე ანტანტის სახელმწიფოებს შორის დაიწყო მოლაპარაკება ოსმალეთის იმპერიის დანაწილების შესახებ. ამ მოლაპარაკებათა კულმინაციურ წერტილს წარმოადგენდა 1915 წლის მარტ-აპრილის შეთანხმება სტამბოლისა და სრუტეების შესახებ და 1916 წლის საიქს-პიკოს შეთანხმება. ამ უკანასკნელის ძალით, გარდა იმ ტერიტორიებისა, რომლებიც 1915 წლის მარტ-აპრილის შეთანხმებით იყო გათვალისწინებული, რუსეთი იღებდა არზრუმის, ტრაპიზონის, ვანისა და ბითლისის ოლქებს, აგრეთვე ქურთისტანს ვანის ტბისა და ბითლისის სამხრეთით.)

ინგლისი და საფრანგეთი ტერიტორიებს იღებდნენ როგორც უშუალო საკუთრებაში, ისე „გავლენის სფეროების“ სახით ანატოლიასა და არაბეთში. 1917 წლის აპრილში საიქს-პიკოს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვს დაემატა იტალია, რომელსაც დაპირდნენ იზმირსა და აიღინის ვილაიეთს.

რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებითმა მთავრობამ განაცხადო მეფის მთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკა. დროებითი მთავრობა ცარიზმის სრული მემკვიდრე გახდა „აღმოსავლეთის საკითხში“ ანუ თურქეთის დანაწილების საკითხში. დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა მილიუტოვმა 1917 წლის 26 მარტის განცხადებაში ჩამოაყალიბა რუსეთის მიზნები მიმდინარე ომში. ეს მიზნები იმპერიალისტური იყო და სხვა დაპყრობათა შორის ითვალისწინებდა კონსტანტინოპოლისა და ჩრდილოეთი სპარსეთის დაპყრობას.

[თურქეთის არმიის ბრძოლისუნარიანობა განუწყვეტლივ და სწრაფად ეცემოდა. გრძელდებოდა არაბეთის ფრონტებიდან ჯარების გადაყვანა კავკასიის ფრონტზე, მაგრამ მე-2 და მე-3 ბრძოლისუნარიანობის მთლიანად აღდგენა მაინც ვერ მოხერხდა. თურქეთის გენერალური შტაბი ცდილობდა გაეუმჯობესებინა მე-2 და მე-3 არმიების მდგომარეობა მათი გაერთიანებით ერთ „კავკასიის არმიის“ ქვეყნად, რომლის სათავეში იზეთ ფაშა დააყენეს.]

თურქები განუწყვეტლივ სთხოვდნენ გერმანიას დახმარების გაძლიერებას ძირითადად საკვები პროდუქტებისა და საბოლოო მიწოდების შესახებ. მაგრამ გერმანიამ მთელი 1917 წლის განმავლობაში თურქეთისათვის შეძლო გადაეცა მხოლოდ 120.000 ტონა საკვები პროდუქტი და 10.000 ტონა ნავთობი. ყველაფერი ეს რეკვიზირებული იყო რუმინეთში. ამ მცირე დახმარების ანაზღაურება გერმანიამ სცადა თურქეთში თავიი პოლიტიკური გავლენის გაძლიერებით. 1917 წლის ოქტომბერში თურქეთს ესტუმრა ვილჰელმ II. ამ სტუმრობას შოკყვა თურქეთსა და გერმანიას შორის ახალი კონვენციის დადება, რომლითაც გერმანიამ სცადა საბოლოოდ დაემორჩილებინა თურქეთის არმია და შეეჩერებინა მისი დაშლა და გახრწნა.

რამე არსებითის ვაკეთება თურქეთში გერმანიას აღარ შეეძლო. არმიისათვის ვარგის ადამიანთა რესურსები მთლიანად ამოიწურა. თუ დარჩა კიდევ სადმე მამაკაცი, ეს იყო ან ხეიბარი, ან ღრმა მოხუცი, ან ბავშვი 16 წლის ასაკამდე. ტრანსპორტი საბოლოოდ მოიშალა. ანატოლია — ბაღდადის რკინიგზის 1500 კილომეტრზე დარჩა მხოლოდ 50 მოქმედი ორთქლშავალი. ეკონომიკასთან ერთად მოიშალა ფინანსებიც. უამრავი ქალაქი და ფულის გამოშვების გამო ფასებმა ასტრონომიულ ციფრებს მიაღწია. მძვინვარებდა შიმშილი. შიმშილობდა მოსახლეობა, არმიაც: ჯარისკაცები საკვებისა და ტანსაცმლის ძებნაში მოსახლეობასა და მოკლულ ამხანაგებს ძარცვავდნენ. თურქეთის ყოველ რაიონში მოქმედებდნენ დეზერტირთა შეიარაღებული ბანდები.

თურქეთის მძიმე მდგომარეობის შესახებ კარგად იცოდნენ მეტროპოლიტში, პარიზსა და ლონდონში.

1917 წლის ოქტომბრის ბრძოლებმა დაზარალებულ რაიონში (დაზარალებულ რაიონში) საბოლოოდ განამტკიცა როგორც ანტანტის

სახელმწიფოთა შორის, ისე გერმანიაში რწმენა, რომ „თურქეთის არმია ხშირად მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა“<sup>259</sup>.

მომავალი თურქეთს კარგს არაფერს უქადავდა. ანტანტის ქვეყნების გამარჯვების შემთხვევაში თურქეთი გამარჯვებულ ურთიერთ შორის უნდა დაენაწილებინათ. გერმანიის გამარჯვების იმედი თურქეთში თითქმის აღარავისა ჰქონდა. მაგრამ გერმანიას რომ გაემარჯვა კიდევ, ამით თურქეთის მდგომარეობა სრულიად არ შემსუბუქდებოდა, ის გერმანიის მორჩილ ქვეყნად გადაიქცეოდა.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა მსოფლიო-ისტორიული ვითარება. ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკური კურსი: ეს იყო სოციალიზმის საერთაშორისო პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა ერთგნებათა სრული თანასწორუფლებიანობა, ერთა უფლება თავისუფალი პოლიტიკური გამოყოფისა და თავისუფალი კავშირისა.

საბჭოთა სოციალისტურმა სახელმწიფომ თავისი არსებობის პირველივე დღეებიდან დაიწყო ლენინური საგარეო პოლიტიკის განხორციელება: ბრძოლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, უანექსიო და უკონტრიბუციო დემოკრატიული ზავისათვის.

1917 წლის 7 ნოემბერს, დილის 10 საათზე, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველსავე საათებში გამოქვეყნდა ლენინის მიერ შედგენილი „პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სამხედრო რევოლუციური კომიტეტის მიმართვა“ რუსეთის მოქალაქეებისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ის საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა ხალხი: დემოკრატიული ზავის წინადადების დაუყოვნებლივ წამოყენება, მიწის მემამულური საკუთრების გაუქმება, მუშათა კონტროლი წარმოების მიმართ, საბჭოთა მთავრობის შექმნა, — ეს საქმე უზრუნველყოფილია“<sup>260</sup>.

8 ნოემბერს სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობამ მიიღო დეკრეტი ზავის შესახებ. დეკრეტი წინადადებდა აძლევდა ყველა მეომარ სახელმწიფოს დაუყოვნებლივ დაეწყო მოლაპარაკება სამართლიანი დემოკრატიული ზავის შესახებ. „სამართლიან ანუ დემოკრატიულ ზავად, რომელიც სწყურია ყველა მეომარ ქვეყნის ომით ილაჯგაწყვეტილი, დატანჯული და განაწამები მუშებისა და მშრომელთა კლასების უდიდეს უმრავლესობას, — ზავად,

<sup>259</sup> ვ. ლენდორფი, Мои воспоминания о войне, 1914—1918 гг., Москва, 1924, 117.

<sup>260</sup> ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ. 275.

რომელსაც სავსებით გარკვეულად და მტკიცედ მოითხოვდნენ რუსეთის მუშები და გლეხები მეფის მონარქიის დამხობის შემდეგ ასეთ ზავად მთავრობას მიაჩნია დაუყოვნებლივი ზავი უანექსიოლ (ე. ი. სხვისი მიწა-წყლის მიუტაცებლად, უცხო ეროვნებათა ძალდატანებით შემოუერთებლად) და უკონტრიბუციოდ.<sup>281</sup> ასეთ ზავს სთავაზობდა საბჭოთა სახელმწიფო ყველა მეომარ ქვეყანას.

ერების თვითგამორკვევის უფლებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაცია“, რომელიც გამოქვეყნდა 1917 წლის 9 ნოემბერს. დეკლარაციაში განსაზღვრული იყო საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის შემდეგი საფუძვლები:

1. რუსეთის ხალხთა თანასწორობა და სუვერენობა.
2. რუსეთის ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება, გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების ჩათვლით.
3. ყველა და ყოველგვარი ეროვნული და ეროვნულ-რელიგიური პრივილეგიებისა და შეზღუდვების მოსპობა.

4. რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ნაციონალურ უმცირესობათა და ეთნოგრაფიული ჯგუფების თავისუფალი განვითარება<sup>282</sup>.

საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ იმპერიალიზმის მიერ დამონებული კოლონიური აღმოსავლეთისათვის. ერთა თვითგამორკვევისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპი, უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი, ანექსიის გაგება „როგორც მცირე ან სუსტი ეროვნების ყოველი შეერთება დიდ ან ძლიერ სახელმწიფოსთან ამ ეროვნების ზუსტად, ნათლად და ნებაყოფლობით გამოთქმული თანხმობისა და სურვილის გარეშე, დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის მოხდა ეს ძალდატანებითი შეერთება, აგრეთვე იმის დამოუკიდებლად, თუ რამდენად განვითარებული თუ ჩამორჩენილია ის ერი, რომელსაც ძალდატანებით უერთებენ ამა თუ იმ სახელმწიფოს ან ძალდატანებით აკავებენ მის საზღვრებში. ბოლოს, დამოუკიდებლად იმისა, თუ სად ცხოვრობს ეს ერი — ევროპაში თუ შორეულ ოკეანისიქითა

<sup>281</sup> იქვე, გვ. 287

<sup>282</sup> Внешняя политика СССР, 1917—1944, Сборник документов, Москва, т. I, 1944, 8.

ქვეყნებში<sup>263</sup> ნიშნავდა აღმოსავლეთის კოლონიური და დამოუკიდებელი ქვეყნების ხალხთა განთავისუფლებას იმპერიული მხედრობისაგან.

რამდენადაც ანექსიის ცნების ქვეშ იმპერიალისტური სახელმწიფოები მხოლოდ მიმდინარე ომის მსვლელობაში დაპყრობილ ტერიტორიებს ვულისხმობდნენ და ამრიგად ანექსირებულად არ თვლიდნენ მათ მიერ დაპყრობილ კოლონიებს, ანექსიის ლენინისებურ განსაზღვრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ვ. ი. ლენინი, ავითარებდა რა ახალგაზრდა სოციალისტურ სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკის პრინციპებს, მიმართვაში რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელი მუსლიმანისადმი წერდა: „ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩამოგდებული მეფის საიდუმლო ხელშეკრულებები კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდების შესახებ, რომლებიც ჩამოგდებულმა კერენსკიმ დაადასტურა, ამჟამად დახეული და მოსპობილია. რუსეთის რესპუბლიკა და მისი მთავრობა, სახალხო კომისართა საბჭო, სხვისი მიწების ხელში ჩაგდების წინააღმდეგია: კონსტანტინოპოლი მუსლიმანთა ხელში უნდა დარჩეს.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ხელშეკრულება სპარსეთის დანაწილების შესახებ დახეული და მოსპობილია. როგორც კი შეწყდება საომარი მოქმედებანი, ჯარები გამოყვანილი იქნება სპარსეთიდან და სპარსელებისათვის უზრუნველყოფილი იქნება უფლება, თვითონვე თავისუფლად განსაზღვრონ თავისი ბედი.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ხელშეკრულება თურქეთის დანაწილების და მისთვის სომხეთის წართმევის შესახებ დახეული და მოსპობილია. როგორც კი შეწყდება საომარი მოქმედებანი, სომხებს უზრუნველყოფილი ექნებათ უფლება თავისუფლად განსაზღვრონ თავისი პოლიტიკური ბედი“<sup>264</sup>.

ამრიგად, კატასტროფის პირობე მდგარ თურქეთს, რომელიც ომის განმავლობაში გერმანიის ვასალად იქცა და რომელსაც ანტანტის ქვეყნები დანაწილებას უპირებდნენ, შესაძლებლობა მიეცა ომისათვის თავი დაეღწია და თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა გადარჩინა. რუსეთი აღარ ემუქრებოდა თურქეთს, აღარ ცდილობდა მისი ტერიტორიების ხელში ჩაგდებას, უარს ამბობდა ყოველგვარ პრივილეგიებზე, კაპიტულაციებზე, რომლებიც მეფის მთავრობას ჰქონდა მოპოვებული. ამიერიდან საბჭოთა რუსეთის სახით თურ-

<sup>263</sup> ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 26, 288.

<sup>264</sup> Внешняя политика СССР, Сборник документов, т. I, 20—21.

ქეთს მეზობლად ეყოლებოდა სახელმწიფო, რომელიც მხარს დაუჭერდა მის ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის, უცხო სახელმწიფოთა პრივილეგიების მოსპობისათვის, ტერიტორიული მთლიანობისათვის.

საბჭოთა მთავრობის წინადადებაზე, დაუყოვნებლივ დაწყებული მოლაპარაკება ზავის დადების შესახებ, ინგლისმა და საფრანგეთმა უარით უპასუხეს, ვინაიდან მათ ეშინოდათ, რომ ზავი განაპტიკებდა საბჭოთა ხელისუფლებას, ანტანტის ქვეყნები იმედოვნებდნენ, რომ გერმანიის ბლოკთან ომის გაგრძელება საბჭოთა ხელისუფლებას დაუძლეველ სიძნელეებს შეუქმნიდა და რომ საბჭოთა ხელისუფლება ან თვითონ დაემხობოდა ამ სიძნელეების შედეგად, ან მას გერმანია-ავსტრია-თურქეთის ხიშტები მოსპობდნენ. ამავე დროს ანტანტის სახელმწიფოებს ეშინოდათ, რომ ზავი გერმანიასა და რუსეთს შორის საშუალებას მისცემდა გერმანიას და ავსტრიას გადაეხროლათ თავისი ჯარები საფრანგეთსა და ბალკანეთში, ხოლო თურქებს—კავკასიიდან არაბეთში, რაც გაართულებდა ანტანტის სამხედრო მდგომარეობას სწორედ მაშინ, როდესაც ორივე მხარე გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ემზადებოდა. ახლო მომავალში ამერიკის შეერთებული შტატების ომში ჩაბმა მოასწავებდა ანტანტის არმიების გაძლიერებას საფრანგეთში, რის შედეგად ძალთა თანაფარდობა მკვეთრად შეიცვლებოდა გერმანიის საზიანოდ, რომელსაც დასჭირდებოდა დამატებითი დივიზიების შოვნა, და პირველი აზრი, რომელიც საბჭოთა მთავრობის საზავო წინადადების მიღებისთანავე გერმანიის სარდლობას დაებადა, ეს იყო რუსეთთან ზავის საშუალებით დამატებითი დივიზიების შოვნის შესაძლებლობა დასავლეთში განზრახული შეტევისათვის<sup>265</sup>.)

გერმანიას იმედი ჰქონდა, რომ ამ გზით რუსეთის ფრონტიდან 75 დივიზიას განთავისუფლებდა. „რუსეთის ომიდან გამოსვლასთან დაკავშირებით 1917—1918 წლების მიჯნაზე მდგომარეობა ჩვენთვის ხელსაყრელი გახდა. ჩვენ კვლავ შეგვეძლო ისევე, როგორც 1914—1915 წლებში, ომის ბედი ხმელეთზე შეტევით გადაგვეწყვიტა. ჩვენთვის იქმნებოდა ძალთა ისეთი ხელსაყრელი თანაფარდობა, როგორც არასდროს“. —წერდა გენერალი ლუდენდორფი

<sup>265</sup> Генерал Гофман, Война упущенных возможностей, М.—Л., 1925, 160.

და მოითხოვდა, რომ არმიის მთელი აზროვნება, რომელიც საბჭო-  
რო ომს შეესაბამებოდა, შეცვლილიყო შეტევის აზროვნებით.<sup>366</sup>

რუსეთთან ზავის დადებით კაიზერული გერმანია არ ამბობდა უარს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამ მიზნით გერმანელებმა გამოიყენეს როგორც თეთრგვარდიელი გენერლები: კრასნოვი, მამონტოვი და სხვები, ისე ყოველგვარი კონტრრევოლუციური კომიტეტები, ჯგუფები, პარტიები და სხვ., რომელთაგან ბევრი ამა თუ იმ ტერიტორიის მთავრობის სახით გამოდიოდა. ასეთები იყო უკრაინის რადა, ამიერკავკასიის კომისარიატი, ყუბანის სამხარეო რადა, ალაშორდა და სხვ. მათ რიცხვს ეკუთვნოდა აგრეთვე ყოველგვარი ისლამისტური და თურქისტული კომიტეტები, რომელთა შექმნაზე გერმანიასა და თურქეთს საკმაოდ დიდი ენერჯია და თანხები ჰქონდათ დახარჯული.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ რუსეთის კონტრრევოლუციასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციაც. ამ კონტრრევოლუციურმა ბლოკმა თავდაპირველად „ამიერკავკასიის კომისარიატის“ სახე მიიღო. მაგრამ ამიერკავკასიის კონტრრევოლუცია უძლური იყო თვითონ, თავისი ძალებით ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა ამიერკავკასიაში, ამიტომ მას მოკავშირე სჭირდება და ასეთი მოკავშირე, ისე როგორც რუსეთის დანარჩენმა კონტრრევოლუციამ, მან იპოვა გერმანია-თურქეთისა და ანტანტის სახით.<sup>367</sup>

ანტანტა უკვე 1917 წლის ნოემბერში იწყებს მზადებას საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ინტერვენციისათვის. საბჭოთა სახელმწიფოსთან ბრძოლის საკითხი არაერთხელ განიხილა ანტანტის უმაღლესმა საბჭომ პარიზში. 1917 წლის 21 დეკემბერს საფრანგეთის პრემიერმა და სამხედრო მინისტრმა კლემანსომ და დიდი ბრიტანეთის სამხედრო მინისტრმა მილნერმა პარიზში ხელი მოაწერეს კონვენციას, რომლის ძალითაც გაინაწილეს მოქმედების სფეროები სამხრეთ რუსეთში. კონვენციის თანახმად, საფრანგეთს ზონას შეადგენდა ბესარაბია, უკრაინა და ყირიმი, ხოლო ინგლისს—კახაკების ტერიტორიები, კავკასია, სომხეთი, საქართველო, ქურთისტანი.<sup>367</sup>

<sup>366</sup> Э. Людендорф, *დასახ. ნაშრომი ტ. 2, 144.*

<sup>367</sup> ტექსტი მოთავსებულია: Louis Fischer, *The Soviets in World Affairs*, N. Y. 1930, II, 831; Б. Е. Штейн, „Русский вопрос на Парижской мирной конференции (1919—1920)“ Госполитиздат, 1949, 29, იხ. აგრეთვე W. Churchill, *The Aftermath*, N. Y., 1929, 167—168; Harry N. Howard, *The partition of Turkey. A diplomatik history*, 1913—1923, 1931, 448.

ამიერკავკასიის ხელში ჩასაგდებად ინგლისელებმა ფართო გეგმები დასახეს. ინგლისის პოლიტიკის მიზანი იყო რუსეთის დანაწილება, მესოპოტამიის დაპყრობასთან ერთად ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდებაც და „რამდენადაც შესაძლებელია ფართო უშიშროების ზონის შექმნა ინდოეთის იმპერიის გარშემო“<sup>268</sup>. ამ მიზნით ინგლისს სურდა ესარგებლა რუსეთის ფრონტის დაშლით კავკასიასა და ირანში, რათა დაკავშირებოდა ანტისაბჭოთა ელემენტებს რუსეთის ტერიტორიაზე.<sup>269</sup>

რევოლუციის პირველივე დღეებიდან ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები თბილისსა და ბაქოში შეუდგნენ მათდამი ერთგული სამხედრო ნაწილების ჩამოყალიბებას და არსებულის გაძლიერებას. ამ მიზნით ისინი ცალკეულ ორგანიზაციებსა და პირებს დიდ თანხებს სთავაზობდნენ.<sup>270</sup>

ინგლისელები და ფრანგები თავის მოქმედებას ამართლებდნენ იმით, რომ ვითომც ისინი ჯარის ნაწილებს თურქეთთან ომის გაგრძელების მიზნით ქმნიდნენ. ეს შეეფერებოდა სინამდვილეს იმდენად, რამდენადაც ამიერკავკასიაში სამხედრო ნაწილების შექმნით და თურქეთთან ომის გაგრძელებით ინგლისს უნდოდა ხელი შეეშალა თურქეთის ჯარების კავკასიიდან არაბეთში გადაყვანისათვის, მაგრამ ამავე დროს ცხადი იყო, რომ ინგლისელებს საიმედო სამხედრო შენაერთები სჭირდებოდათ, უპირველეს ყოვლისა, რევოლუციასთან საბრძოლველად, ამიერკავკასიის რუსეთიდან ჩამოცილებისა და მისი საკუთარ კოლონიად გადაქცევისათვის.

ამიერკავკასიაში შექმნილი კონტრრევოლუციური სამხედრო ნაწილები, რომლებიც ფორმალურად ამიერკავკასიის ორგანოების მორჩილებაში იმყოფებოდნენ, სინამდვილეში ინგლისის მისიას ემორჩილებოდნენ. ასე, მაგალითად, დაშნაკმა გენერალმა ანდრანიკმა, რომელიც ამიერკავკასიის მთავრობის მიერ იყო დანიშნული და მისივე სამსახურში იმყოფებოდა, სარდლობიდან გადაყენების შესახებ თხოვნით მიმართა... ინგლისის მისიას და ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს და არა ამიერკავკასიის შესატყვის ინსტანციებს.<sup>271</sup>

ამავე დროს ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის ხელმძღვანელთა შორის გარკვეულად ყალიბდება აზრი გერმანია-თურქეთზე და

<sup>268</sup> Harry N. Noward, დასახ. ნაშრომი, 207.

<sup>269</sup> იქვე.

<sup>270</sup> ორცა, ფონდი 8, საქმე 41, ფურცელი 40.

<sup>271</sup> ორცა, ფონდი 8, საქმე 41, ფურცელი 231.

ყრდნობის შესახებ. თავდაპირველად აშკარა თურქული ორიენტაცია გამოამჟღავნა მუსავათის პარტიამ. მუსავათის პარტია თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბდა და გარეგნულად დემოკრატიული ელფერის მიღება სცადა (სიტყვა მუსავათი თანასწორობას ნიშნავს). სინამდვილეში კი მთლიანად თურქისტული და აბდულჰამედური ყაიდის ისლამისტური ელემენტებისაგან შედგებოდა. მუსავათის პარტიის ლიდერები როგორც ომამდე, ისე ომის დროს თურქეთის დაზვერვის პირდაპირი მითითებებით მოქმედებდნენ. ასეთები იყვნენ, მაგალითად, მუსავათის პარტიის იდეური მამამთავრები ალი ჭუსეინზადე და აჰმედ აღარღლუ. მუსავათელები აცხადებდნენ კიდევ, რომ „სჯობს ამიერკავკასიაში თურქეთმა იბატონოს, ოღონდ ნუ გვექნება რაიმე საერთო ბოლშევიკებთან.“<sup>272</sup>

[ გერმანია-თურქეთისაკენ როგორც რეალურ ანტისაბჰოთა ძაღლისაკენ, რომლის ხიშტები ყველაზე ახლოს იყო, გადაიხარა ამიერკავკასიის ყველა კონტრრევოლუციური პარტია და ჯგუფი, მათ შორის მენშევიკებიც და დაშნაკებიც. დაშნაკების ოსმალური ორიენტაცია, თუმცა ხშირად ეს პარადოქსალურად უდერს, არ იყო შემთხვევითი. მათ ჯერ კიდევ ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის მომხადემბის პერიოდში პოლიტიკური კავშირი ჰქონდათ „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიასთან. დაშნაკიუტუნის ერთ-ერთმა ლიდერმა ხატისოვმა საჯაროდ განაცხადა, რომ ის თურქული ორიენტაციის მომხრეა, ვინაიდან რუსეთში ბოლშევიზმია, მანვე თავისი პარტიის სახელით განაცხადა, რომ თურქეთის თანხმობის შემთხვევაში სომხეთი მზადაა შევიდეს ხალხთა აღმოსავლეთის ფედერაციაში. მართალია, ამ ფედერაციაში სომხეთის მონაწილეობა მან განაპირობა იმით, რომ თურქეთი „დემოკრატიული“ უნდა გამხდარიყო<sup>273</sup>. მაგრამ ამ პირობას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ვინაიდან ის, თუ როგორ ესმოდა დაშნაკიუტუნის პარტიას „დემოკრატიული თურქეთი“, ეს გასაგები იყო ჯერ კიდევ 1907 წელს. თურქეთის ოპოზიციური პარტიების პარიზის კონგრესზე, სადაც დაშნაკებმა „დემოკრატიული თურქეთის“ შესაქმნელად ახალგაზრდა თურქებთან შეკრეს კავშირი, ე. ი. იმათთან, ვინც 1917—1918 წლებში სათავეში ედგა თურქეთს.

ამრიგად, თურქული ორიენტაცია, მიუხედავად დიდი კამათისა, რომელიც დემაგოგიური მიზნით ამიერკავკასიის კომისარიატში,

<sup>272</sup> Е. Токаржевский, Бакинские большевики—организаторы борьбы против германо-турецких интервентов в Азербайджане в 1918 году, Баку, 1947, 87—88.

<sup>273</sup> ორცხა, ფონდი 8, საქმე 41, ფურცელი 24.

ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის სეიში გაიმართა. ძირითადად მისა-  
ლები იყო ამიერკავკასიის ყველა კონტრრევოლუციური პარტიისა  
თვის. უამ საკითხში, ისე როგორც ბევრ სხვა საკითხში, არაერთ  
არავითარი არსებითი განსხვავება. ბოლშევიკური გაზეთი „ბაკინსკი  
რაბოჩი“ იმ დღეებში წერდა: „...მენშევიკები ეს არის ქართული და-  
შნაკციუტუნი ისე, როგორც მუსავათი არის მუსლიმანური და შნაკ-  
ციუტუნი“<sup>274</sup>.

1917 წლის ნოემბრისათვის თურქეთის მე-2 არმიას ეკავა ფრონ-  
ტის ხაზი ბითლისი—მუში—სათარი, ხოლო მე-3 არმიას—ქეშახი—  
ტირებოლუ. მე-2 და მე-3 არმიებმა ერთ კავკასიის საარმიო ჯგუფად  
გაერთიანების შემდეგ თურქებმა კავკასიის ფრონტის აღმოსავლეთი  
ფრთის შესუსტების ხარჯზე დასავლეთი ფრთის გაძლიერება დაიწ-  
ყეს, რომელიც ძირითადად მე-3 არმიის ნაწილებს ეკავათ. ასეთი  
მანევრის მიზანი გასაგები იყო: შეტევა კვლავ განახლება ყარსის,  
არტანისა და ბათუმის მიმართულებით, რის შედეგადაც თურქეთს  
უნდა დაეკავებინა არზრუმი, ერზინჯანი და ტრაპიზონი. კავკასიის  
არმიის აღმოსავლეთი ფრთა სპარსეთის საზღვარს კვეთდა და  
მესობოტამიაში მოქმედ მე-6 არმიას ემიჯნებოდა. ამიტომ კავკასიის  
არმიის აღმოსავლეთის ფრთის შესუსტება მე-6 არმიის შესუსტე-  
ბასაც გამოიწვევდა, ვინაიდან თურქეთში არსებული უგზობის პი-  
რობებში მე-2 არმია იყო ერთადერთი არმია, რომელსაც მე-6 არ-  
მიისათვის შეეძლო შედარებით სწრაფი და ეფექტური დახმარების  
გაწევა. ამავ დროს მე-2 არმიის უკიდურესი აღმოსავლეთის  
ფლანგი იცავდა მე-6 არმიას რუსეთის ჯარის შემოვლითი მანევრი-  
დან. ასეთი მანევრი შეიძლება განხორციელებულიყო რუსეთ-ინგ-  
ლისის გაერთიანებულ შეტევის შემთხვევაში, რასაც, როგორც უკვე  
გვქონდა აღნიშნული, მოითხოვდა თავისი მოკავშირე ინგლისიდან  
რუსეთის სარდლობა. შექმნილ ვითარებაში, როგორც ჩანს, თურქები  
დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ინგლის-რუსეთის გაერთიანებული  
შეტევა არ შედგებოდა, ისევე, როგორც არ შედგებოდა, ინგლისელ-  
თა შეტევა, რომელთაც შეეძლოთ ჩაეფუშათ თურქების მიერ განხ-  
რახული ლაშქრობანი კავკასიისა და შუა აზიაში.

შეიარაღებული ძალების ის რაოდენობა, რომელიც ენვერმა კავ-  
კასიის ფრონტზე შეკრიბა, ოდნავადაც არ იყო საკმარისი არათუ კავ-  
კასიაში შესაჭრელად, არამედ თავდაცვითი ბრძოლებისათვისაც კი,  
ამავ დროს თურქეთში განუწყვეტლად მწვავედებოდა შინაგანი კრი-  
ზისი, დამარცხებებმა ფრონტებზე, ქვეყნის მძიმე ეკონომიურმა

<sup>274</sup> Газ. „Бакинский рабочий“, 9 декабря, 1917.

მდგომარეობამ და პოლიტიკურმა ჩიხმა, რომელშიაც ახალგაზრდა თურქები მოექცნენ, გამოიწვია ახალგაზრდა თურქთა ლიდერებისა და პირადად ენვერის ავტორიტეტის დაცემა. ენვერი სწრაფად გავდა ავტორიტეტსა და ნდობას თურქისტებს შორისაც კი, რომლებიც თურანის შექმნის მაგივრად თურქეთის ტერიტორიებისა და ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიული დანაწილების, საშიშროებებს წინაშე აღმოჩნდნენ. თურანის შექმნის ცდის დროს თურქეთმა დაკარგა თავისი არმიის საუკეთესო ნაწილი. ყოველი შეტევა რუსეთის წინააღმდეგ თურქეთს მეტად ძვირად უჯდებოდა. ასე, მაგ., მე-3 არმიამ 1914 წელს სარიყამიშთან შეტევის დროს, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, დაკარგა 70000—78.000 მებრძოლი, ხოლო 1916 წელს მე-2 არმიამ კავკასიის ფრონტზე წარმოებული ბრძოლების დროს—60.000 მებრძოლი. მეტად დიდი იყო ზარალი კავკასიის ფრონტზე წარმოებული სხვა შეტევითი და თავდაცვითი ბრძოლების დროსაც.

რუსეთის რევოლუციასთან დაკავშირებით ახალგაზრდა თურქებს კვლავ გაელვიათ იმედი, რომ ისინი შეძლებენ რუსეთის ფრონტის გარღვევას და ტერიტორიების შეერთებას კავკასიიდან, ვიდრე ჩინეთის საზღვრებამდე. თუ აქამდე ახალგაზრდა თურქთა შორის კიდევ იყვნენ ისეთები, რომლებიც გერმანიის ზეგავლენით კავკასიის ფრონტის შესუსტების ხარჯზე არაბეთის ფრონტების გაძლიერებას მოითხოვდნენ, ამიერიდან თურქეთის მმართველი წრეები მთლიანად თურანის შექმნის ფსიქოზმა შეიპყრო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ენვერი თურანის შექმნის საკითხში ზოგიერთებთან შედარებით ზომიერიც კი ჩანდა. მინისტრთა საბჭო და „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ხელმძღვანელობა ერთხმად მოითხოვდნენ სამხედრო მოქმედებების მთლიანად კავკასიისა და შუა აზიაში გადატანას და ამ მიზნით თურქეთის ყველა სამხედრო ძალების კავკასიის ფრონტზე კონცენტრირებას.

ოსმალები იმედოვნებდნენ და ამაში გერმანელებსაც არწმუნებდნენ, რომ კავკასიისა და შუა აზიაში ისინი ვითომც შეძლებდნენ თურქეთის არმიას: მუსლიმანთა მობილიზაციას, რაც თურქეთის არმიის შეთხლებულ რიგებს შეაფხებდა. ამასთანავე მიუთითებდნენ შესაძლებელ სამობილიზაციო რეზერვს — 300.000 კაცს<sup>275</sup>. წარსულის მწარე გამოცდილების საფუძველზე თურქების ასეთ განცხადებებს გერმანელები ეჭვის თვალით უყურებდნენ, ვინაიდან თურქების წინანდელი მკვებარა განცხადებანი, რომ რუსეთის ტერიტორიის მუსლიმანური მოსახლეობა მათი მომხრეა და მზად არის

<sup>275</sup> К. Мюльман, *დასახ. ნაშრომი*, 378.

ოსმალეთის სასარგებლოდ შეიარაღებული აჯანყება მოაწყოს. სინამდვილეს ნაკლებად შეეფერებოდა. გერმანელთა რწმენით, თურქებს კავკასიისაკენ უბიძგებდა სრულიად გარკვეული ძარცვის და ბუნებრივი სიმდიდრეების ხელში ჩაგდებას სურვილი. თურქეთის მმართველი წრეები კავკასიის მოსახლეობის ძარცვის გზით გამდიდრებაზე ოცნებობდნენ. ისინი ვარაუდობდნენ აგრეთვე, რომ კავკასიის ნედლეულს საკმაოდ მაღალ ფასებში გერმანიას მიიღებდნენ (ნავთობი, მარგანეცი, სპილენძი და სხვ.). მოვლენათა განვითარების ასეთი პერსპექტივა გერმანიისათვის ყოველად მიუღებელი იყო ამასთან: დაკავშირებით გენერალი ლუდენდორფი წერდა: „მე დადებითად ვუყურებდი თურქეთის ღონისძიებებს, რამდენადაც ისინი ომის საერთო განვითარების ინტერესებს შეესაბამებოდნენ. მაგრამ მათ არ უნდა ჩამოეცილებინათ თურქეთი მის პირდაპირ სამხედრო ამოცანებისაგან და არ უნდა გაეძნელებინათ ჩვენთვის ნედლეულის გატანა კავკასიიდან. ჩვენ მოველოდით, რომ კავკასიის ნედლეული მნიშვნელოვნად შეამსუბუქებდა ჩვენს მდგომარეობას“<sup>276</sup>

[გერმანიის მთავარსარდლობის აზრით, ომის საერთო განვითარების ინტერესებს შეესაბამებოდა თურქეთის ბრძოლა ინგლისთან და არა ლაშქრობა ამიერკავკასიისა და შუა აზიაში: „ენვერი და თურქეთის მთავრობა მეტს ფიქრობდნენ თავის ისლამისტურ მიზნებზე კავკასიაში; ვიდრე ინგლისთან ომზე. ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად რეალური მიზნები არსებობდა, უმთავრესად ეს იყო ამიერკავკასიის ნედლეულის გამოყენებასთან დაკავშირებული სარგებლიანობა. ყველასათვის, ვინც იცნობდა: თურქეთის საქმიანობის ხერხებს, გასაგები იყო, რომ გერმანიის სამხედრო მეურნეობა არაფერს შიილებდა.“<sup>277</sup> ამიტომ ლუდენდორფი დასძენს: „თურქებთან: ჩვენ წინააღმდეგობაში აღმოვჩნდით.“<sup>278</sup>

ამგვარი წინააღმდეგობა გერმანიის ბლოკისათვის უჩვეულო რამ არ იყო. სწორედ ამავე პერიოდში მსგავსი მიზეზების გამო გერმანიას დიდი უთანხმოება აქვს ავსტრიასთან უკრაინისა და რუმინეთის საკითხთან დაკავშირებით (მაქსიმუმი, რაზედაც თანხმდებოდა გერმანია, როდესაც საკითხი თურქების მოთხოვნებს ეხებოდა, ეს იყო რუსეთ-თურქეთის 1878 წლამდე არსებული საზღვრების აღდგენა, რომლის ფარგლებში არ მოიპოვებოდა რაიმე მნიშვნელოვანი ბუნებრივი სიმდიდრე. ასეთ შემთხვევაში თურქებისათვის გადაცემული ბათუმის კომპენსირებას გერმანია ყოველთვის შეძლებდა ფო-

<sup>276</sup> Э. Людендорф, *დასაბ. ნაშრომი*, ტ. II, 188.

<sup>277</sup> იქვე.

<sup>278</sup> იქვე.

თის საშუალებით). ეს უთანხმოება გერმანიასა და თურქეთს შორის არ წარმოშობილა პირველად 1917—1918 წლების მიჯნაზე. ამ საკითხის გარშემო ბრძოლა ადრევე წარმოებდა ენვერსა და გერმანიას უშაღლეს მთავარსარდლობას შორის იმასთან დაკავშირებით, რომელ ფრონტზე უნდა მოეხდინათ თურქებს თავისი ძირითადი ძალების კონცენტრირება. მანამდე, სანამ ამიერკავკასიის დაპყრობა რეალურ პერსპექტივას არ წარმოადგენდა, გერმანია არ უცხადებდა თურქეთს რაიმე პრეტენზიას ამიერკავკასიის მიმართ. მაგრამ, როდესაც ამიერკავკასიის დაპყრობა ახლო მომავლის საკითხად იქცა, ბრძოლა ორ მოკავშირეს შორის მკვეთრად გამწვავდა. შექმნილ ვითარებაში თურქეთის მიერ ამიერკავკასიის დროებითი დაკავება ანტანტისათვის მხოლოდ ხელსაყრელი იყო, ვინაიდან ეს გერმანიას გაუძნელებდა ნედლეულის მიღებას და კიდევ უფრო გაამწვავებდა მის ურთიერთობას თურქეთთან. გერმანია-თურქეთის წინააღმდეგობა კავკასიის საკითხის გამო იმ მომენტში, როდესაც ადგილი ჰქონდა სეპარატული მოლაპარაკებების დაწყების ცდებს თურქეთსა და ინგლისს შორის, მხოლოდ გააადვილებდა ამ მოლაპარაკებების წარმატებით წარმოებას ინგლისისათვის ხელსაყრელი პირობების საფუძველზე.

პირველი მსოფლიო ომის წლებმა თურქეთს კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს, რომ რუსეთის არმიების დაძლევა კავკასიაში მისთვის განუხორციელებელ ოცნებას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე თურქეთი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ისარგებლოს სამოქალაქო ომის დაწყებით რუსეთში და ხელი შეუწყოს რუსეთის არმიის დაშლას კავკასიის ფრონტზე. რუსეთის ყოფილი იმპერიის განაპირა რაიონებში ყოველგვარი კონტრრევოლუციური მთავრობების შექმნა, რომელთაც არ ჰქონდათ არც ძალა და არც უნარი წინააღმდეგობა გაეწიათ უცხოეთის შემოსევისათვის, უადვილებდა, თურქებს ტერიტორიების დაპყრობას.

საბჭოთა მთავრობამ „მიმართვაში რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მუსლიმანისადმი“ განაცხადა, რომ იგი უარს ამბობს ყოველგვარ ხელშეკრულებებზე, რომლებიც მეფისა და დროებითმა მთავრობებმა თურქეთის დანაწილების შესახებ დადვეს. საბჭოთა რუსეთი უარს ამბობდა ყოველგვარ პრეტენზიებზე კონსტანტინოპოლისა და სრუტეების მიმართ. მაგრამ ოსმალეთი, რომელიც ბევრად უფრო დიდ პრეტენზიებს უყენებდა რუსეთს, ვიდრე რუსეთი თურქეთს, სწორედ ამჟამად იმედოვნებდა მათ განხორციელებას და ეს მით უფრო ადვილი იქნებოდა მისთვის, თუ თურქეთის პირისპირ დარჩებოდა არა ერთიანი რუსეთი, არამედ დაქუცმაცებული ტერი-

ტორიები თავისი მთავრობებით, ასეთ შემთხვევაში თურქეთს მათთან „მოლაპარაკების“ საშუალება ექნებოდა, რის შედეგადაც თურქეთს ახალი ტერიტორიები შეემატებოდა. აქედან გამომდინარეობდა თურქეთის პირდაპირი მოთხოვნები, რომ გამოცხადებულყო ამიერკავკასიის, ჩრდილო-კავკასიის და სხვათა „დამოუკიდებლობა“.

თურქებს კარგად ესმოდათ, რომ ამიერკავკასიაზე პირდაპირი შეტევა, ყოველგვარი წინასწარი პოლიტიკური და იდეოლოგიური მომზადების გარეშე აშკარას ვახდინდა მათ ნამდვილ მიზნებს და გამოიწვევდა ანტითურქულ განწყობილებათა ზრდას. ეს თავის მხრივ ხელს შეუშლიდა კავკასიის ფრონტის დაშლას<sup>279</sup>.

ამიტომ თურქეთი ირჩევს სხვა ტაქტიკას. ეს არის შეტევისა და მოლაპარაკების ტაქტიკა — ტერიტორიების დაპყრობის ამიერკავკასიის კომისარიატთან და სეიმთან ხელშეკრულებით გაფორმებისა და შემდეგ ხელშეკრულებათა კვლავ დარღვევისა. ეს, თურქების აზრით, ხელს შეუწყობდა რუსეთის ფრონტის დაშლას კავკასიაში, რაშიც დაინტერესებული იყო როგორც ოსმალეთი, ისე ამიერკავკასიის კონტრრევოლუცია და ამ უკანასკნელს საშუალებას მისცემდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მას სურს ზავი და რომ იგი იცავს ქვეყანას თურქებისაგან.

1917 წლის 17 ნოემბერს კავკასიის ფრონტის ჯარების სარდალმა გენერალმა პრევეალსკიმ თურქეთის მე-3 არმიის სარდალ ფეოქ ვეპიბ ფაშისაგან<sup>280</sup> მიიღო წინადადება სამხედრო მოქმედებების შეწყვეტისა და დროებითი ზავის დადების შესახებ.

ვეპიბ ფაშას წინადადება განიხილა ამიერკავკასიის კომისარიატმა 21 ნოემბრის სხდომაზე და დაადგინა მიეღო თურქების წინადადება. დროებითი ზავის დადების მიზნით თურქებთან მოსალა-

<sup>279</sup> К. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 182.

<sup>280</sup> ფეოქ ვეპიბ ფაშა (1877—1940) — ცნობილი თურქი გენერალ-ლედიან ქართველი. დამთავრა სამხედრო სკოლა კონსტანტინოპოლში. ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის დროს იყო სამხედრო სკოლის უფროსი. მონაწილეობდა ბალკანეთის ომებში. პირველ მსოფლიო ომში თავი გამოიჩინა ჩანაქალეს ბრძოლებში, სადაც სარდალობდა არმიის სამხრეთის ჯგუფს. ჩანაქალეს ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ გადაიყვანეს კავკასიაში. 1917 წელს სარდალობდა მე-3 არმიას. იყო ენვერ ფაშას ფანტიკური მიმდევარი. მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ დააპატიმრეს, მაგრამ პატიმრობიდან გაიქცა და ცხოვრობდა იტალიაში, ვერმანიაში, რუმინეთში და სხვა ქვეყნებში. ბოლოს შევიდა აბაშიის იმპერატორის პაიღე სელასიეს სამხედრო სამსახურში და მონაწილეობდა აბაში-ნიაიტალის 1935 წლის ომში.

პარაკებლად ქალაქ-ერზინჯანში გაემგზავრა ამიერკავკასიის დელეგაცია 5 კაცის შემადგენლობით.

ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარე იყო გენერალ-მაიორი ვიშინსკი. თურქეთის დელეგაციაში შედიოდნენ მე-3 შტაბის უფროსი მირლივა<sup>281</sup> ომერ ლუთფი ბეი და გენერალური შტაბის ბინბაში<sup>282</sup> ჰოსრუ ბეი. ამავე დროს გენერალი პრევეალსკი ამიერკავკასიის კომისარიატის დავალებით, რომელიც თავის თავს კვლავ თვლიდა ანტანტის მოკავშირედ, დეპეშას უგზავნის ინგლისის მესობოტამიის არმიის სარდალს და არწმუნებს მას, რომ ის თურქებთან მოლაპარაკებას იწყებს „გამომდინარე რუსეთში შექმნილი საერთო პოლიტიკური მდგომარეობიდან და ავსტრია-გერმანიის ფრონტზე დაწყებულ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით.“<sup>283</sup> ამიერკავკასიის კომისარიატის „მიმართვაში კავკასიის არმიისა და მოსახლეობისადმი“ აღნიშნული იყო, რომ „არ არსებობს ყველას მიერ ცნობილი ერთიანი ცენტრალური მთავრობა.“<sup>284</sup> ამრიგად, თურქებთან საზავო მოლაპარაკების დაწყების მიზეზებში არაფერი იყო ნათქვამი დეკრეტზე ზავის შესახებ, რომელიც 1917 წლის 8 ნოემბერს მიიღო საბჭოების მე-2 ყრილობამ. ყველაფერი ეს ნიშნავდა, რომ ამიერკავკასია იწყებდა სეპარატულ მოლაპარაკებას თურქეთთან და საერთაშორისო არენაზე გამოდიოდა როგორც დამოუკიდებლობის პრეტენზიის მქონე პოლიტიკური ერთეული. ამრიგად, თურქეთისათვის მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა იქმნებოდა. ამიერკავკასიის სახით მის წინ იყო სამხედრო თვალსაზრისით სუსტი და პოლიტიკურად ნაკლებად მყარი პოლიტიკური გაერთიანება. ეს იყო ის, საითაც ოსმალეთი უკვე კარგა ხანია მიისწრაფოდა. თურქეთის შემდგომი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიისათვის „დამოუკიდებლობის“ ფარდის შექმნა, რათა მასთან მოლაპარაკება საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით „კანონიერი“ ყოფილიყო. ასეთ პირობებში თურქეთი შეძლებდა ეწარმოებინა მოლაპარაკება და დაედო ამიერკავკასიასთან არა მარტო დროებითი ზავი, არამედ საბოლოო ხელშეკრულებაც იმ პირობების საფუძველზე, რომელთაც თვითონვე წამოაყენებდა, ვინაიდან წინააღმდეგობას გამწევი ამიერკავკასიის მხრიდან არავინ იქნებოდა.

<sup>281</sup> მირლივა — ოსმალეთის იმპერიის არმიის ოფიცრის ხარისხი, უღრის ბრივადის სარდალს — გენერალ-მაიორს.

<sup>282</sup> ბინბაში უღრის მაიორს.

<sup>283</sup> Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919, 14.

<sup>284</sup> იქვე. 15.

ერზინჯანის დროებითი ზავი მხოლოდ მე-3 არმიის ვრცელდებოდა ანუ ფრონტის უბანზე — შავი ზღვიდან, ვიდრე ვანის ტბის ნაპირებამდე. ერზინჯანის დროებითი ზავის დადებასთან ერთად, მდებარე ლეზიკის ცნობა ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიის ბლოკის დასაშლელსა და საბჭოთა რუსეთს შორის დროებითი ზავის ხელისმომწერის შესახებ. ბრესტ-ლიტოვსკის ზავი თანახმად ხელშეკრულების ტექსტისა, კავკასიის ფრონტზე ვრცელდებოდა. ამასთან დაკავშირებით საომარი მოქმედებანი შეწყდა თურქეთის მე-2 არმიის უბანზეც ვანის ტბიდან აღმოსავლეთისაკენ და შავ ზღვაზე, მაგრამ გენერალმა ვიშინსკიმ თურქებს განუცხადა, რომ ამიერკავკასიის მთავრობა ბრესტის დროებით ზავს არ ცნობს.<sup>285</sup> რის გამოც ძალაში რჩება ერზინჯანის დროებითი ზავი.

1918 წლის პირველ იანვარს კავკასიის არმიის სარდალმა გენერალმა ოდიშელიძემ მიიღო ვეჭიბ ფაშას წერილი, რომელშიც ის ამიერკავკასიის განიხილავდა როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და ენვერ ფაშას სახელით სთხოვდა შეეტყობინებინათ მისთვის, თუ როგორ იქნებოდა შესაძლებელი ურთიერთობის დამყარება ამიერკავკასიის მთავრობასთან. ამ მიზნით ვეჭიბი ენვერ ფაშას დავალებით გამოხატავდა შზადყოფნას სათანადო დელეგაცია გაეგზავნა თბილისში.<sup>286</sup>

თურქებმა დროებითი ზავით ისარგებლეს, რათა წესრიგში მოეყვანათ და ახალი შეტევისათვის მოემზადებინათ კავკასიის ჯგუფის არმია. მათ კვლავ მიიღეს გადაწყვეტილება პირველ შესაძლებლობისთანავე დაეწყოთ შეტევა ამიერკავკასიაზე. მაგრამ თურქების კავკასიის არმიების მდგომარეობა ჯერჯერობით ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა. განსაკუთრებით დასუსტებული იყო მე-2 არმია, რომლის შემადგენლობაში 1917 წლის დეკემბრისათვის მხოლოდ 3 დივიზია იყო (მე-5, მე-8 და მე-12). ეს დივიზიები განლაგებულნი იყვნენ კივისა და ვანის ტბას შორის. ვანის ტბიდან, ვიდრე რევაზუნდამდე, ფრონტის ხაზს ქურთების ირეგულარული ნაწილები იცავდნენ. კავკასიის ფრონტის გაძლიერების მიზნით 1917 წლის დასასრულს და 1918 წლის დასაწყისში თურქეთმა კავკასიის ფრონტის არმიების რეორგანიზაცია ჩაატარა. მე-2 არმიის სამი დივიზიიდან შეიქმნა ორი დივიზია: მე-5 და მე-12. ამ ორმა დივიზიამ შეადგინა მე-4 საარმიო კორპუსი, რომელიც მე-3 არმიას დაექვემდებარა. მე-2 არმიის მთავარი შტაბი კი კილიკიის სანაპიროს დასაცავად

<sup>285</sup> ორცხა ფონდი 41, საქმე 176, ფურცელი 13

<sup>286</sup> ორცხა ფონდი 8, საქმე 41, ფურცელი 3

„ილდირომის“ ჯგუფის არმიებს გადასცეს. კავკასიის ფრონტის მთელ სიგრძეზე კვლავ იდგა მე-3 არმია ვეკიბ ფაშას სარდლობით. ამასთანავე დაიწყო მე-3 არმიის სამხედრო შენაერთების დაჯგუფება სამხედრო წესდებით გათვალისწინებულ ოდენობამდე. არმია გაზაფხულისათვის შეტევის დასაწყებად მზად ყოფილიყო. ამჟამად თურქები ზამთარში შეტევის განხორციელებას წინა წლებში მიღებული მწარე გამოცდილების გამო უკვე ერიდებოდნენ. ომის განმავლობაში თურქეთის არმია არც ერთხელ არ ყოფილა ისეთ მძიმე და სავალალო მდგომარეობაში, როგორც 1917—1918 წლების მიჯნაზე. შიმშილის, ეპიდემიებისა და დეზერტირობის გამო თურქეთის არმია უბრძოლველადაც სწრაფად მცირდებოდა. 1-ლ არმიას, რომელიც კონსტანტინოპოლის რაიონში იყო განლაგებული, აღარ ჰქონდა რაიმე საბრძოლო ღირებულება. მე-6 არმიას, რომელიც ერაყში იბრძოდა, მხოლოდ 13.000 მებრძოლი გააჩნდა. ასეთსავე გასაჭირში იყო კავკასიის არმიების ჯგუფიც. მათი სარდლის იხეთ ფაშას სიტყვით, მას მხოლოდ 20.000 მებრძოლი დარჩა. ეს, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ფრონტი გამუდმებით იღებდა ახალ შევსებას. ერთადერთი არმია, რომელსაც მებრძოლთა შედარებით დიდი რაოდენობა შემორჩა, იყო ბალკანეთზე განლაგებული მე-5 არმია თავისი 26.000 ჯარისკაცით<sup>257</sup>.

რამდენადაც თურქეთს ადამიანთა სამობილიზაციო რესურსები აღარ გააჩნდა. კავკასიის არმიის გაძლიერების ერთადერთი საშუალება ეს იყო ყველა დანარჩენი ფრონტის სრული გაშიშვლება და ჯარების კავკასიაში გადაყვანა. თურქები ამ გზას დაადგნენ კიდეც. 1917 წლის დეკემბერში ენვერმა მდგომარეობის შესაბამისად შეადგინა თურქეთის მიერ ომის წაომოვების ახალი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა თურქეთის მთელი არსებული სამხედრო ძალების ამიერკავკასიის დასაპყრობად გამოყენებას. მაგრამ ენვერი მის მიერ დამუშავებული კავკასიის სამხედრო ოპერაციების გეგმას გულმოდგინედ უმაღავდა გერმანელებს, რომლებიც თურქებისაგან პირველ რიგში ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვდნენ. ლუდენდორფის აზრით, ენვერის ამოცანას წარმოადგენდა ბრძოლა ინგლისთან. უპირველეს ყოვლისა, პალესტინის ფრონტზე<sup>258</sup>. 1917 წლის მარტში კრეციენახში ოსმალეთი გერმანელების მოთხოვნით დათანხმდა პალესტინაში შეტევის მომზადებას. მაგრამ ძალთა თანაფარდობამ და ინგლისელთა გამარჯვებებმა 1917 წლის შემოდგომით მოხსნეს ასეთი შეტევის ყოველგვარი შესაძლებლობაც კი. ამიტომ თურ-

<sup>257</sup> O. L. v. Sanders, დასახ. ნაშრომი, 222.

<sup>258</sup> Э. Людендорф, დასახ. ნაშრომი, 187.

ქეთის შეიარაღებულ ძალებს პალესტინაში შეტევის მაგივრად დაე-  
ვალათ მედგარი წინააღმდეგობა გაეწიად ინგლისელთა შემდგომი  
წინსვლისათვის.<sup>289</sup>

თურქეთის არმიის მდგომარეობას ამ რაიონში ანასიათებს გერ-  
მანელი გენერალი ფალკენჰაინი თავის ანგარიშში, რომელიც მან  
გერმანიის უმაღლეს მთავარსარდლობას წარუდგინა 1917 წლის  
16 ნოემბერს. ფალკენჰაინი წერდა: „მე-8 არმიის მორალური მდგო-  
მარეობა, რომელიც სანაპიროს რაიონში იყო განლაგებული, ძირ-  
ფესვიანად შეირყა, იმდენად, რომ ამ არმიის უკან გამოქცევის შე-  
ჩერება შეუძლებელი გახდა. არმია, სამარცხვინოდ იფანტებოდა,  
ხშირად ყოველგვარი მიზეზის გარეშე იმ წამსვე, როგორც კი მო-  
წინააღმდეგე გამოჩნდებოდა. ოფიცრების დაბნეულობა აუწერელია.  
იაფას რაიონსა და რამლეს ჩრდილოეთით შეგროვილი ჯარის ნაშ-  
თები უკვე აღარ იმსახურებენ არმიის სახელწოდებას. დღევანდ-  
ლამდე მე-7 არმიას შედარებით კარგად ექირა თავი. მის სათავეში  
იღვა ენერგიული ხელმძღვანელობა და უმთავრესად დაკომპლექტე-  
ბული იყო ახალი. ჩრდილოეთიდან გამოგზავნილი ძალებისაგან. მაკ-  
რამ მე-7 არმიის რიცხობრივი შემადგენლობა გერმანულ დივიზიასზე  
ნაკლებია. ამრიგად, მას მოუხდება ბრძოლა მოწინააღმდეგის ძალებ-  
თან, რომლებიც მას შვიდჯერ აღემატებიან.“<sup>290</sup>

ომის გადამწყვეტი მომენტის მოახლოება და საბჭოთა ხელისუფ-  
ლების დამყარება რუსეთში აძლიერებდა ინგლისელთა შეშფოთებას.  
მანკობელი აღმოსავლეთის ბედის გამო, ინგლისელთა არსებული  
სამხედრო პოზიციები ჯერ კიდევ საკმაო მანძილით იყო დაშორე-  
ბული თურქეთის სასიციოცხოლო ცენტრებსა და რუსეთის საზღვრებს.  
მათთან დასაახლოებლად კი საჭირო იყო არაბული ტერიტორიების  
გარკვეული ნაწილის ოკუპირება. ინგლისელთა განწყობილებაზე  
მოქმედებდა ისიც, რომ 1917 წელს ანტანტის სტრატეგიულ გეგმას  
დასავლეთში წარმატება არ ჰქონია. მარცხით დამთავრდა ნეველის  
ოპერაცია. მარცხი მოჰყვა აგრეთვე ოპერაციას იბრთან (ფლანდრიის  
მესამე ბრძოლა). კაპორეტოსთან განადგურდა იტალიის არმია და  
საფრანგეთ-ინგლისის დივიზიებს იტალიის ფრონტზედაც მოუხდათ  
ბრძოლა. ამიტომ ინგლისს სჭირდებოდა რაიმე ტერიტორიული წარ-  
მატება, ვინაიდან 1917 წლის ბრძოლების შედეგს არ შეეძლო ერთ-  
გვარად მაინც არ შეერყია ინგლისის ავტორიტეტი ისლამის სამყა-  
როსა და ნეიტრალურ ქვეყნებში. ამ მიზნით 1917 წლის დასასრულს  
ინგლისელები იერუსალიმზე აწყობენ შეტევას, რაც მათგან თითქ-

<sup>289</sup> К. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 365.

<sup>290</sup> К. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 238, მე-7 და მე-8 არმიები დივიზიების  
გადაჯგუფების შემდეგ შეიქმნა 1917 წ.

მის არავითარ მსხვერპლს არ მოითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის მე-7 და მე-8 არმიებს, რომლებიც იერუსალიმის რაიონს იცავდნენ, დაკარგული ჰქონდათ წინააღმდეგობის ყოველგვარი უპირი. ინგლისელები იერუსალიმის აღებით კმაყოფილდებიან და ამის შემდეგ ერთ ადგილზე არიან გაჩერებულნი დაახლოებით 8 თვის განმავლობაში.

იერუსალიმის დაპყრობა აძლიერებდა ინგლისელთა პოლიტიკურ პოზიციებს ისლამის სამყაროში და ამავე დროს ასუსტებდა სულთან-ხალიფას ავტორიტეტს, ვინაიდან თურქების ხელში არ რჩებოდა თითქმის არც ერთი მუსლიმანური რელიგიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ქალაქი. ბაღდადი, მექა და მედინა, ისევე როგორც იერუსალიმი, ინგლისელთა ხელში იმყოფებოდა. ამ შემთხვევაში ინგლისელებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ეს მდგომარეობა ანელებდა თურქების ინტერესს არაბულ სამყაროსადმი, კიდევ უფრო ასუსტებდა აბდულჰამიდურ ისლამიზმს და შესატყვისად აძლიერებდა თურქეთის ჩრდილოეთისაკენ მისწრაფებასა და თურანისტულ ტენდენციებს. ამასთან დაკავშირებით გენერალ-ფელდმარშალი ჰინდენბურგი იმ პერიოდში აღნიშნავდა, რომ თურქები მთლიანად პანთურანიზმზე მოიცვა.<sup>291</sup>

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში საგრძნობლად გააქტიურდა ოსმალეთის თურქისტულ-ისლამისტური აგენტურა. ისლამისტური და თურქისტული იდეოლოგია ფეხს იკიდებს რუსეთის მუსლიმან ხალხთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ, ფეოდალურ და კლერიკალურ წრეებში. თურქეთში დიდს ყურადღებითა და იმედით ადევნებდნენ თვალყურს ისლამისტური და თურქისტული ჯგუფების მოქმედებას რუსეთის ტერიტორიაზე და მათ მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ცდებს, როგორც იყო, მაგალითად, 1918 წლის თებერვალში „ალაშორდის“ მთავრობის შექმნა ორენბურგში, თათრეთის ბურჟუაზიის ცდა ხელში ჩაეგდო ძალაუფლება ყაზანში, ბურჟუაზიული ნაციონალისტების ბრძოლა ხელისუფლებისათვის ხორეზმში, ყირიშში, ბაშკირეთში, ჩრდილოკავკასიაში, აზერბაიჯანში. ამ ადგილების მუსლიმანური ბურჟუაზია ფეოდალებსა და სამღვდლოებთან ერთად თურქიზმის იდეოლოგიური დროშით გამოდიოდა. მათ შექმნეს პოლიტიკური შინაარსის ტერმინი „ჩრდილო-აღმოსავლელი თურქები“ და ქადაგებდნენ „თურქთა ეკონომიურ, პოლიტიკურ და ეთნოგრაფიულ ერთიანობას“.<sup>292</sup>

<sup>291</sup> F. M. Hindenburg. Aus meinem Leben, Paris, 1921, 263.

<sup>292</sup> Z. V. Togan, დასახ. ნაშრომი, 281.

საბჭოთა რუსეთსა და გერმანიის ბლოკის ქვეყნებს შორის საომარ-  
მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ რუსეთის ისლამისტებმა და თურ-  
ქისტებმა კვლავ აღადგინეს ლეგალური მიმოსვლა კონსტანტინოპოლთან.  
მაგალითად, კონსტანტინოპოლს ესტუმრნენ ყაზანელი  
თათრები—ოსმან თოქუმბეთოღლუ და ათაულაჰ ბაჰედინი. რუსეთის  
თურქისტები ევროპაში და უპირველეს ყოვლისა, ანტანტის სახელ-  
მწიფოებში პროპაგანდის მიზნით თალათ ფაშას ხელმძღვანელობით  
შვეიცარიაში აარსებენ სპეციალურ „ბიუროს“. რუსეთის თურქის-  
ტებთან სამუშაოდ და მათსა და თურქეთის მთავრობას შორის კონ-  
ტაქტების დამყარების მიზნით ახალგაზრდა თურქებმა გამოჰყვეს  
მეჰმედ ფუად ქეფრულუ.<sup>293</sup> თურქისტული წრეები გააქტიურდნენ  
სხვა სახელმწიფოებშიც, განსაკუთრებით გერმანიაში. ამ უკანასკ-  
ნელს თურქისტები მათთვის გაწეული დახმარების საფასურად ვოლ-  
გისპირეთისა და შუა აზიის ბუნებრივ სიმდიდრეებს სთავაზობდნენ.

უცხოეთისა და განსაკუთრებით რუსეთის თურქისტული წრეები,  
რომლებიც ხშირად ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგს ეფარებოდ-  
ნენ, ახალგაზრდა თურქებმა სცადეს გამოეყენებინათ თავისი შერ-  
ყეული მდგომარეობის განსამტკიცებლად და თურანისტულ გან-  
წყობილებათა გასაძლიერებლად.<sup>294</sup>

თანდათანობით თურქ ოფიცრობაში და განსაკუთრებით გენერა-  
ლიტეტში იკარგება ყოველგვარი ინტერესი არაბეთის ქვეყნებისა-  
დმი. „რანი არიან ჩვენთვის არაბები,—ამბობდა იმ დროს თურქეთის  
მე-6 არმიის სარდალი ჰალილ ფაშა, — დაუტოვოთ ინგლისელებს  
ეს წყეული ქვიშიანი უდაბნო, წავიდეთ იქით, თურქესტანში. მე იქ  
შევქმნი იმპერიას ჩემი პატარა ჩინგიზისათვის.“<sup>295</sup>

ამრიგად, თურქეთი თანდათანობით კარგავს ინტერესს იმ მიზ-  
ნების მიმართ, რომლებშიც გერმანია ყველაზე მეტად იყო დაინტე-  
რესებული. აქამდე თურქებში დროდადრო მაინც იმარჯვებდა ის

<sup>293</sup> იქვე. მეჰმედ ფუად ქეფრულუ (დაიბადა 1890 წელს) ცნობილი თურ-  
ქი ფილოლოგი და ისტორიკოსია. აღწან მენდერესის მთავრობაში რამდენიმე წლის  
განმავლობაში ეკავა სავაგრეთ საქმეთა მინისტრის პოსტი. ამჟამად პოლიტიკურ  
პოლემიკებს ჩამოცილდა.

<sup>294</sup> M. Larcher, დასახ. ნაშრომი, 140.

<sup>295</sup> გ. ბ. „Berliner Tageblatt,“ 1920 წლის 20 იანვარი, ციტირებულია  
წიგნით M. Larcher, დასახ. ნაშრომი, 140.

თვალსაზრისი, რომ ომის ბედი ევროპის ფრონტებზე გადაწყდება და ამიტომ თურქეთის ძირითადი მოვალეობაც ამ ფრონტებზე ინტერესებიდან გამომდინარე ამოცანების გადაჭრაა. ახლა კი სეპარატულმა მოლაპარაკებამ, რომელსაც თურქეთი ანტანტის ქვეყნებთან აწარმოებდა. თავისი ნაყოფი გამოიღო — თურქეთს გამოუჩნდა ერთგვარი პერსპექტივა გერმანიის დამარცხების შემთხვევაშიც. ეს იწვევს ევროპის ფრონტებისა და ამასთან დაკავშირებით აგრეთვე არაბეთის ფრონტებისადმი თურქეთის მმართველი წრეების ინტერესის შესუსტებას.

რამდენადაც უკვე იგრძნობოდა ომის დასასრულის მოახლოება, იმდენად თურქეთისათვის საჭირო იყო საომარი პერიოდის უკანასკნელი მონაკვეთის მოგება და ბრძოლების ისე წარმართვა, რომ მათ არ გამოეწვიათ ინგლისელთა საპასუხო სამხედრო რეაქცია. შექმნილ ვითარებაში, ანტანტის თვალსაზრისით, თურქების კავკასიაში ლაშქრობას ჰქონდა ერთი დადებითი მხარე — ეს იყო რუსეთში მომხდარ სოციალისტურ რევოლუციასთან ბრძოლა და ენვერ ფაშაც ამ დროს ანტანტის ქვეყნების გასაგებად არა ერთხელ აცხადებს, რომ მის ამოცანას ამიერკავკასიაში ბოლშევიზმთან ბრძოლა წარმოადგენს. თურქული ხიშტებით რუსეთის რევოლუციასთან ბრძოლა ინგლის-საფრანგეთისათვის ხელსაყრელი იყო. ვინაიდან ეს ნიშნავდა, რომ თურქეთისა და გერმანიის მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ თურქეთი მის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებთან ერთად ხელში ჩაუვარდებოდა ინგლისსა და საფრანგეთს. ხოლო რევოლუციასთან თურქებისა და არა უშუალოდ ანტანტის ხიშტებით ბრძოლა ინგლისსა და საფრანგეთს გაანთავისუფლებდა ბევრი შინაპოლიტიკური უსიამოვნებიდან. ეს მოსაზრება, იმ ვარაუდთან ერთად, რომ კავკასიის დაპყრობა გაამწვავებდა თურქეთ-გერმანიის ურთიერთობას, გაადვილებდა თურქეთთან სეპარატულ მოლაპარაკებას და საჭიროების შემთხვევაში შექმნიდა თურქეთისათვის ტერიტორიული კომპენსაციების მიცემის შესაძლებლობას მის მიერ დაკარგული არაბეთის ნაცვლად, იყო მიზეზი იმისა, რომ ინგლისი თავის უმოქმედობით პალესტინასა და ერაყში ხელს უწყობდა თურქეთის ინტერვენციას კავკასიაში.

ასეთი იყო ის მიზეზები და ხელისშემწყობი პირობები, რომლებმაც თურქეთი მთლიანად ამიერკავკასიისაკენ მოაბრუნეს. ]

თურქეთის სარდლობის გადაწყვეტილება ამიერკავკასიის მიმართულებით სამხედრო ოპერაციების გაშლის შესახებ გერმანელთათვის მხოლოდ 1917 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში გახდა ცნობილი. — მე ამ გეგმების შესახებ წარმოდგენა რომ მქონოდა, — წერს

სანდერსი, — გერმანიაში ჩემს დაბრუნებას მოვითხოვდი. მე კარგად ვარ ინფორმირებული თურქეთის არმიის მდგომარეობის შესახებ და ვიცი, რომ ის საშუალებანი, რომლებიც თურქეთს აღმოსავლეთისა და მასალების მხრით გააჩნია, არსებულ ფრონტებზე სობოვნ ყოველგვარი ენერგიული მოქმედების შესაძლებლობას.<sup>296</sup>

ბუნებრივია, რომ გერმანიის სარდლობაზე თურქეთის ზემოაღნიშნულმა გადაწყვეტილებამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, ვინაიდან თურქეთის განკარგულებაში მყოფი ძალებით ამიერკავკასიაში სამხედრო მოქმედებათა გაშლა პალესტინისა და ერაყის ფრონტებზე აქტიურ თავდაცვაზე უარის თქმას ნიშნავდა და ამით თურქეთი საბოლოოდ ხელს იღებდა არაბულ ქვეყნებში ბრძოლაზე.

თურქეთის სარდლობას კარგად ესმოდა, რომ მისთვის შეუძლებელი იყო ამიერკავკასიაზე შესატევად რუსეთის კავკასიის არმიის უფრო ძლიერი სამხედრო ძალის შექმნა. ამიტომ თურქები მთავარ იმედებს რუსეთის კავკასიის არმიის დაშლა-დასუსტებაზე ამყარებდნენ. კავკასიის ფრონტის არმიების დაშლა ამიერკავკასიის კომისარიატსაც სურდა, ვინაიდან არმია ბოლშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ხელისუფლების ორგანოდ ცნობდა მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოს ლენინის მეთაურობით. ასე, მაგალითად, 29-ე ქვეითი დივიზიის მეთაურის 1917 წლის 29 დეკემბრის მოხსენებაში კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარსარდლისადმი ნათქვამია: „ამჟამად პეტროგრადელი, უკრაინელი აგიტატორების და ჩამოსული მატროსებისა და წითელგვარდიელების გავლენით ჩემდამი რწმუნებული დივიზიის სადივიზიო და საბოლოო კომიტეტებმა გადაწყვიტეს დაემორჩილონ სახალხო კომისართა საბჭოს მთავრობას და ძალაში შესულად აღიარონ საბჭოს ყველა დეკრეტი, რომელთაგან უახლოესი და პრაქტიკული შედეგებით პირველი ადგილი უკავია საბჭოს დეკრეტს არმიის დემოკრატიზაციის შესახებ.“<sup>297</sup>

1917 წლის 10-დან 23 დეკემბრამდე თბილისში მიმდინარეობდა კავკასიის არმიის სამხარეო ყრილობა, რომელმაც მიმდინარე მომენტისათვის მიიღო ბოლშევიკების რეზოლუცია. ეს რეზოლუცია აკრიტიკებდა ამიერკავკასიის კომისარიატის კონტრრევოლუციურ ხელისუფლებას და ცნობდა სახალხო კომისართა საბჭოს ყრილობამ განაცხადა აგრეთვე, რომ არ ცნობს ამიერკავკასიის კომისარიატს.<sup>298</sup>

<sup>296</sup> O. L. v. Sanders, დასახ. ნაშრომი, 228.

<sup>297</sup> გ. ხაჭაპურიძე, საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, თბილისი, 1948, 94.

<sup>298</sup> გაზ. Вакзельный рабочий, 1917, წლის 30 დეკემბერი.

სანდერსი!

არშიაში რევოლუციურ განწყობილებათა ზრდით შეშინებული ამიერკავკასიის კომისარიატი ცდილობს შექმნას თავისთვის საიმედო სამხედრო ნაწილები და მით შეცვალოს კავკასიის ამიერკავკასიის კომისარიატის გადაწყვეტილების თანახმად კავკასიის ფრონტის სარდალმა გენერალმა პრეველსკიმ გასცა ბრძანება ფრონტის ნაწილობრივი დემობილიზაციის შესახებ. ფაქტიურად ეს იყო გადაწყვეტილება კავკასიის არმიის დაშლისა და თურქებისათვის ფრონტის გახსნის შესახებ.

ამიერკავკასიის კომისარიატის ამ ნაბიჯთან დაკავშირებით ს. შაუმიანი გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩიში“ წერდა: „მას შემდეგ რაც ბოლშევიკებმა ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, მათ არ დაუშლიათ ჯარები. ისინი ყოველი ღონით ცდილობენ შეაჩერონ ჯარები ფრონტზე. სანამ არ იქნება ხელმოწერილი ზავი. მაგრამ იმას, რასაც კონტრრევოლუციონერები ბეჯითად მიაწერენ ბოლშევიკებს, ახლა თვითონ ჩადიან. ერთადერთი ფრონტი, რომელზედაც არ ვრცელდება სახალხო კომისართა საბჭოს ძალაუფლება, ეს კავკასიის ფრონტია. და აი სწორედ კავკასიის ფრონტის სარდალმა გენერალმა პრეველსკიმ გასცა ბრძანება ნაწილობრივი დემობილიზაციის შესახებ, და ეს სწორედ იმ მომენტში, როდესაც საზავო მოლაპარაკება მიმდინარეობს და ყველაზე უფრო საჭიროა ჯარების ფრონტზე ყოფნა, როდესაც საზავო მოლაპარაკების მთელი წარმატება ხიშტების რაოდენობაზეა დამოკიდებული.“<sup>299</sup>

იმ დროს, როდესაც თურქები აძლიერებენ მე-3 არმიას და მტკიცედ აქვთ განზრახული დაიკავონ ამიერკავკასია, ჩაახშონ რევოლუცია, მოსპონ საბჭოთა ხელისუფლება ბაქოში და განაგრძონ გზა შუა აზიისაკენ, ამიერკავკასიის კომისარიატმა დაშალა ფრონტ-ბრესტ-ლიტოვსკში კი საბჭოთა მთავრობასა და გერმანიის ბლოკის ქვეყნებს შორის საზავო კონფერენცია მიმდინარეობდა. საბჭოთა მთავრობის პოზიცია დეკლარირებული იყო 9 დეკემბერს საზავო კონფერენციის პირველ პლენარულ სხდომაზე. ეს განცხადება ეყრდნობოდა სრულიად რუსეთის საბჭოების მე-2 ყრილობის დეკრეტს ზავის შესახებ. საბჭოთა დელეგაცია მოლაპარაკების საფუძვლად შემდეგი პრინციპების მიღებას მოითხოვდა: მიმდინარე ომის დროს დაპყრობილი ტერიტორიების განთავისუფლება და დაპყრობილ ხალხთა დამოუკიდებლობის აღდგენა, რეფერენდუმის უფლება იმ ეროვნული ჯგუფებისათვის, რომლებსაც ამ ომამდე არ ჰქონიათ პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რათა მათ თვითონვე გადაწყვიტონ თავისი მომავალი პოლიტიკური წყობილების საკითხი, ეროვნულ უმცო-

<sup>299</sup> იგივე გაზეთი, 1917 წლის 24 დეკემბერი.

რესობათა უფლებების დაცვა, კონტრიბუციების უარყოფა, ზემო-  
დასახელწილი პრინციპების მიხედვით კოლონიური საკითხების გა-  
დაჭრა, ძლიერი ერების მიერ მცირე ერების შევიწროების დაუშვებ-  
ლად ცნობა<sup>200</sup>.

ერთა თვითგამორკვევის უფლება, რომელიც საბჭოთა ხელისუფ-  
ლებამ წამოაყენა, წარმოადგენდა საყოველთაო პრინციპს, რომელიც  
მსოფლიოს ყოველ კუთხეში უნდა გავრცელებულიყო. საბჭოთა მთა-  
ვრობამ გააუქმა ყველა ის ხელშეკრულება, რომლებიც თურქეთის  
დანაწილებას ითვალისწინებდა, გაუქმებულ იქნა აგრეთვე ხელშეკ-  
რულება თურქეთისათვის სომხეთის „წართმევის“ შესახებ. მთავრო-  
ბის სათანადო მიმართვაში რუსეთისა და აღმოსავლეთის მუსლმანე-  
ბისადმი ნათქვამი იყო, რომ სომხებისათვის უზრუნველყოფილი იქ-  
ნება უფლება თვითონ გადაწყვიტონ თავისი პოლიტიკური ბედი.

თურქეთის სომხეთი უკვე კარგა ხანია, რაც გადაქცეული იყო  
იმპერიალისტური სახელმწიფოების ქიშპობის ობიექტად. სომხეთის  
საკითხის გადაჭრა შეიძლებოდა მხოლოდ სომხების თავისუფალი  
ეროვნული თვითგამორკვევის გზით. ამ მიზნით სახალხო კომისართა  
საბჭომ 1917 წლის 29 დეკემბერს გამოსცა დეკრეტი „თურქეთის  
სომხეთის“ შესახებ.

დეკრეტი მხარს უჭერდა რუსეთის მიერ ოკუპირებული „თურ-  
ქეთის სომხეთის“ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას სრულ  
დამოუკიდებლობამდე, რისთვისაც სახალხო კომისართა საბჭო აუ-  
ცილებლად თვლიდა: „ჯარების გაყვანას „თურქეთის სომხეთიდან“  
და იქ სომხური მილიციის შექმნას, სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტუ-  
ლი სომხების „თურქეთის სომხეთში“ რეპატრირებას, ომის დროს  
იქიდან გასახლებული სომხების დაბრუნებას, „თურქეთის სომხეთი-  
სათვის“ დროებითი სახალხო მმართველობის შექმნას სომეხი ხალ-  
ხის დემუტატების საბჭოს სახით, რომელიც არჩეული იქნებოდა  
დემოკრატიულ საწყისებზე“<sup>201</sup>.

ოსმალეთის იმპერია, რომელიც თვითონ ატარებდა ეროვნული  
ჩაგვრის პოლიტიკას, ვერ ცნობდა ერთა თვითგამორკვევის უფლე-  
ბას მის მიერ დამონებული ერების და მათ შორის სომხების მიმარ-  
თაც. ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპი ასევე უარყვეს  
სომეხმა ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა—დაშნაკებმა, რომლებიც  
თავის თავს სომხების ეროვნული ინტერესების დამცველად აცხადებ-  
დნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ თავისუფალი რეფერენდუმის  
გზით, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებდა სომეხი შრომელი

<sup>200</sup> გახ „Известия“, 1917 წლის 10 დეკემბერი.

<sup>201</sup> Декреты Октябрьской революции, т. 1, 1933, 393—394.

ხალხი, ისინი ვერასდროს ვერ ჩაიგდებდნენ ხელში ძალაუფლებას. ამიტომ დაშნაკები არ ემზრობიან თურქეთიდან სომხეთის გამოყოფას, უარს ამბობდნენ რეფერენდუმზე და მოითხოვდნენ მხოლოდ ავტონომიას თურქეთის ფარგლებში. ამის შესახებ დაშნაკების ერთ-ერთმა ლიდერმა ხატისოვმა ტრაპიზონის კონფერენციაზე განაცხადა: „თურქეთის სომხები რჩებიან თავის ძველ თვალსაზრისზე — თურქეთის სომხების ავტონომია თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებში. ასეთია კონსტანტინოპოლელ სომეხ პოლიტიკურ მოღვაწეთა თვალსაზრისი და თურქეთის სომხების ხელმძღვანელი ორგანიზებისა თბილისში“.<sup>302</sup>

საბჭოთა მთავრობის დემოკრატიულ, ხალხთა შორის სამართლიანობისა და მშვიდობიანობის დამყარების პოლიტიკას თურქეთი დაპყრობებისა და ხალხთა დამონების პოლიტიკას უპირისპირებდა. თალათ ფაშას, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე თურქეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა, ხელთ ჰქონდა ოსმალეთის საზავო პირობების პროექტი. ამ პროექტით გათვალისწინებული ტერიტორიული მოთხოვნებიანი პირდაპირ იყო ამოღებული ზია გიოკალბის მიერ მოხაზული თურხანის საზღვრებიდან.

თურქეთის მოთხოვნები, რომლებიც ენვერ ფაშას დავალებით თურქეთის გენერალური შტაბის ახალმა უფროსმა გერმანელმა გენერალმა ფონ სექტმა გერმანიის უმაღლეს მთავარარდობას აცნობა, შეიცავდა ყარსის, არტანისა და ბათუმის გადაცემა თურქეთისათვის ანუ 1878 წლამდე არსებული რუსეთ-თურქეთის საზღვრების აღდგენას, კავკასიის სახელმწიფო დამოუკიდებლობის ცნობას, ეროვნული თვითგამორკვევის უფლების გავრცელებას რუსეთის სახელმწიფოს მუსლიმან ხალხებზე, რომლებიც ყაზანის, ორენბურგის, თურქესტანის, ბუხარას და სხვა მხარეებში მოსახლეობდნენ.

როგორც ომში მონაწილეობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მცირე პირობა თურქეთმა გერმანიის წინაშე არა ერთხელ დააყენა რუსეთ-თურქეთის 1878 წლამდე არსებული საზღვრების აღდგენის საკითხი. მაგრამ ამჟამად თურქეთი ერთბაშად მოითხოვს, თუმცა ერთგვარად შენიღბული სახით, ყველა იმ ტერიტორიებს, რომლებზედაც ოცნებობდნენ ზია გიოკალბი და თურქიზმის სხვა მიმდევრები. ეს არის ვოლგისპირეთი და შუა აზია ამიერკავკასიისა და ჩრდილო-კავკასიისათან ერთად. თვითგამორკვევის უფლება თურქისტებს თავისებურად ესმოდათ. ახალგაზრდა თურქთა აზრით, ეს იყო ვოლგისპირეთისა და შუა აზიის თურქისტებისა და ისლამისტების და ზურ-

<sup>302</sup> ორცხა ფ. 41, სქმე 249, ფურცელი 7—8.

ქუაზიულ-ნაციონალისტთა უფლებების აღიარება, რომ მათ რუსეთის მუსლიმანური მოსახლეობა ოსმალეთს დაუმორჩილონ. სწორედ ამა-  
ქადაგებდნენ პირველი მსოფლიო ომის დროს და უფრო ადრე [ხელნაწილის ნაწილი]  
მალეთიდან ევროპაში წაოგზავნილი თურქისტული დელეგაციებმა [ხელნაწილის ნაწილი]  
თურქისტების „ბიურო“ შვეიცარიაში თალათ ფაშასა და მეჰმედ  
ფუად ჭეფერულუს ხელმძღვანელობით.

ყურადღებას იქცევა, რომ თურქეთის მოთხოვნათა შორის არის კავკასიის სახელმწიფოს ცნობაც. თურქეთის მიერ ბრესტ-ლი-  
ტოვსკში კავკასიის საკითხის დაყენების შესახებ ვეჰიბ ფაშამ 1918  
წლის 15 იანვარს ამიერკავკასიის კომიარიატს აცნობა<sup>303</sup>.  
თურქების მოთხოვნებში მოხსენიებულია არა ამიერკავკასიის სახელ-  
მწიფო, არამედ კავკასიის. ეს იყო დაკავშირებული თურქების სურ-  
ვილთან ამიერკავკასიისთან ერთად ხელში ჩაეგდოთ ჩრდილო კავ-  
კასიაც. ჩრდილო კავკასიის მუსლიმანურ მოსახლეობაში, რომელთაც  
ოსმალები თურქებად აცხადებდნენ, ისლამისტური პროპაგანდისა-  
თვის ოსმალეთმა გამოიყენა კავკასიის ომებისა და 1878—1879 წლე-  
ბის ჩაჩნეთ-დაღისტნის აჯანყების შემდეგ თურქეთში გადასახლე-  
ბულ ჩრდილო კავკასიელთა რეაქციული ნაწილი. ზოგი მათგანი  
საკმაოდ დაწინაურდა თურქეთის სახელმწიფო სამსახურში, მათ შო-  
რის იყვნენ თურქეთის არმიის კადრის ოფიცრებიც. ოსმალეთის  
ემისრები ჩამოდიოდნენ ემიგრანტ მთიელთა „სამშობლოში“ დაბრუ-  
ნების მოტივითაც<sup>304</sup>.

ჩრდილო კავკასიის ისლამისტებისა და თურქისტების ლიდერები  
იყვნენ ნაჯმედინ გოცინსკი, აბდულ მეჯიდ ჩერმოვეი, ჰაიდარ ბამატი  
და სხვები. მათ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ოს-  
მალეთის პირდაპირი მითითებებით შექმნეს „გაერთიანებულ მთიე-  
ლთა კავშირი“ და ჩრდილო კავკასიის მთავრობა, რომელიც ოსმალე-  
თიდან მიღებული დირექტივებით მოქმედებდა. ეს მთავრობა პრე-  
ტენზიებს აცხადებდა დაღესტნის, თერგის, სტავროპოლის, ყუბანის  
და შავი ზღვის გუბერნიებსა და ოლქებზე<sup>305</sup>. ამრიგად, ოსმალეთის  
ვარაუდით, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკას უნდა დაეკავებინა ტე-  
რიტორია კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით შავი ზღვიდან, ვიდრე  
კასპიის ზღვამდე. )

<sup>303</sup> ორცხა ფონდი 8, საქმე 21, ფურცელი 4.

<sup>304</sup> Н. Эмиров, Установление Советской власти в Дагестане и борьба с германо-турецкими интервентами 1917—1919 гг. Москва, 1947, 221.

<sup>305</sup> ორცხა ფონდი, 13, საქმე 1, ფურცელი 30.

ჩრდილო კავკასიის მთავრობის ერთ-ერთი მესვეური ჰაიდარ ჩო-  
მატი მთავრობის თავმჯდომარის აბდულ მეჰიდ ჩერმოვევისადმი მიწე-  
რილ წერილში წერდა: „შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ჩვენ საკითხს  
თურქეთი განიხილავს, როგორც თავის საკუთარ საკითხს, ბერლუწუ-  
გამგზავრების წინ თალათ ფაშამ ჩემთან უკანასკნელი შეხვედრისას  
დამიდასტურა, რომ მის მთავრობას სურს ჩრდილო-კავკასიაში ძლი-  
ერი და ორგანიზებული მთავრობის შექმნა და რომ საამისოდ ის  
მოგვეცემს ყველაფერს, რაც გვეჭირდება: ხალხს, ფულს და იარაღს“.

გერმანიას არ შეეძლო მთლიანად დაეჭირა მხარი თურქეთის  
ნერ ბრესტ-ლიტოვსკში წარდგენილი მოთხოვნებისათვის. გერმა-  
ნიამ კარგად იცოდა იმ ტერიტორიების ფასი, რომელთაც თურქეთი  
მოითხოვდა. გაზეთი „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ 1918 წელს წერდა,  
რომ „უნდა მივუთითოთ იმ კოლოსალურ ეკონომიურ მნიშვნელობა-  
ზე, რომელსაც იძლევა მცირე და შუა აზიის შემაერთებელი ხიდის  
გახსნა. ბალდაღის რკინიგზა უმნიშვნელო წამოწყებაა იმ გრანდიო-  
ზულ ამოცანებთან შედარებით, რომლებიც თავის გადაწყვეტას მოე-  
ლიან. გზები, რომლებსაც მივყავართ შავი ზღვიდან შიდა აზიისაკენ,  
ასლო მომავალში გახსნიან უდიდეს სივრცეებს და ეჭვს ვარეშეა,  
მთლიანად შეცვლიან დედამიწის ეკონომიურ რუკას“<sup>200</sup>.

ამიტომ, თუკი იქნებოდა ამ ტერიტორიების ხელში ჩაგდების შე-  
საძლებლობა, გერმანია ამას ვააკეთებდა არა თურქეთისათვის, არა-  
მედ თავისთვის. თურქეთი კი მოითხოვდა მეტ ტერიტორიას, ვიდრე  
გერმანია და ავსტრია-უნგრეთი ერთად. თურქეთის კატასტროფუ-  
ლი მდგომარეობა, რომელიც შესანიშნავად იყო ცნობილი გერმანე-  
ლებისათვის, აძლევდა მათ ნებას ამ შემთხვევაში თურქებისათვის  
ანგარიში არ გაეწიათ. ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებათა მსვლე-  
ლობაში თურქეთის დელეგაცია დაიჩრდილა. გერმანია მას დემონს-  
ტრატულად არ უწევდა ანგარიშს. ეს იყო გერმანიის პასუხი თურ-  
ქეთის ურჩობაზე ომის შემდგომი წარმოების გეგმებთან დაკავშირე-  
ბით. ამიტომ თურქეთი იძულებული გახდა შეეკვცა თავისი მოთხოვ-  
ნები და შემოფარგლულიყო რუსეთის ჯარის მიერ კავკასიის დატო-  
ვების მოთხოვნით. მაგრამ გერმანელები კვლავ არ თანხმდებოდნენ, ვი-  
ნაიდან „აქედან უშუალოდ გამომდინარეობდა, რომ თავის მხრით

<sup>200</sup> გახ. „Правда“, 1918 წლის 8 ივლისი.

გერმანელებმაც უნდა დატოვონ პოლონეთი, კურლანდია და ლიტვა, ხოლო მილწევა იმისა, რომ გერმანიას შეესრულებინა ეს მოთხოვნა, სრულიად შეუძლებელი იყო<sup>207</sup>.

გერმანია-თურქეთის ურთიერთობაში თურქეთის მიერ ოქცის დეგომი წარმოების საკითხი სწრაფად მწვავედება. კავკასიასა და არაბეთის ქვეყნებთან დაკავშირებით გერმანელები არ მალავენ თავის უკმაყოფილებას თურქების მიმართ. ბრესტ-ლიტოვსკში გერმანია თავის ძველ თვალსაზრისზე დგას, რომ თურქეთის საქმეა არაბეთში ბრძოლა და არა კავკასიის ხელში ჩაგდებაზე ფიქრი, ვინაიდან კავკასიას გერმანია თავისთვის ვარაუდობდა. ამიერკავკასიაში გერმანელებს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ ამიერკავკასიის კომისარიატთან, სადაც მათ დასაყრდენს ქართველი მენშევიკები წარმოადგენდნენ. გერმანელები იმედოვნებდნენ, რომ საქიროების შემთხვევაში ქართველ მენშევიკებს ისინი თურქების წინააღმდეგ გამოიყენებდნენ ისევე, როგორც ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების დროს უკრაინის რადის წარმომადგენლები ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ გამოიყენეს.

თურქები გერმანიისაგან მოითხოვდნენ თავისი პრეტენზიებისათვის მხარდაჭერას გერმანიის ელჩის სტამბოლში ფონ ვაჰენჰაიმის 1914 წლის 6 აგვისტოს განცხადების საფუძველზე. მაშინ გერმანიამ ცდილობდა დაეჩქარებინა თურქეთის ომში ჩაბმა. ამ მიზნით ფონ ვაჰენჰაიმმა თურქებს მისცა ისეთი დაპირებანი, რომლებიც ბევრად სცილდებოდა გერმანია-თურქეთის 1914 წლის 2 აგვისტოს ხელშეკრულების ფარგლებს. კერძოდ, გერმანია თურქეთს დაპირდა, რომ ომის გამარჯვებით დამთავრების შემთხვევაში, როდესაც საქმე მიდგებოდა დაპყრობილის განაწილებაზე, ის მხარს დაუჭერდა თურქეთის მოთხოვნებს ბულგარეთის მიმართ. თუ საბერძნეთი ანტანტის მხარეზე იომებდა, მაშინ თურქეთი მიიღებდა არქიპელაგის კუნძულებს, და ბოლოს გერმანია თურქეთს დაპირდა მისი აღმოსავლეთის საზღვრების ისე შესწორებას, რომ თურქეთსა და რუსეთის მუსლიმან მოსახლეობას შორის უშუალო კონტაქტი დამყარდებოდა<sup>208</sup>. ეს იყო არა მარტო 1878 წლამდე არსებული რუსეთ-თურქეთის საზღვრების აღდგენის დაპირება, არამედ ბევრად მეტი—შეიძლება მოელო ამიერკავკასიისაც.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანია აშკარად არ უჭერდა მხარს თურქეთის გაზვიადებულ მოთხოვნებს, თურქეთმა მოითხოვა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის დიდი ნაწილი, სახელდობრ ის საბრძოლო ნომალდები, რომელთა მშენებლობას რუსეთი

<sup>207</sup> О. Чернин, В дни мировой войны, М.—Л., 1923, 242.

<sup>208</sup> К. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 262.

ამთავრებდა და ბოლოს მოითხოვა დამოუკიდებელი მუსლი-  
მანური სახელმწიფოს შექმნა ყირიმში<sup>309</sup>. მაგრამ ბრესტში  
თურქებმა ვერ შეძლეს დამოუკიდებელი პოლიტიკის<sup>310</sup>  
ტარება და იძულებულნი გახდნენ გერმანიის დიპლომატიის<sup>311</sup>  
გაკვალულ გზას გაჰყოლოდნენ. საბოლოოდ თალათმაც და ჰაქ-  
ფაშამაც<sup>312</sup>, რომელიც ოსმალეთის დელეგაციას თავმჯდომარეობდა  
ბრესტ-ლიტოვსკში თალათ ფაშას იქ არყოფნის დროს, დუმილი  
არჩიეს და თავის მოთხოვნებს გერმანელებს ცალკე შეხვედ-  
რებში დროს ატყობინებდნენ. გერმანელები თვლიდნენ, რომ თურ-  
ქებს მეტი პრეტენზიები აქვთ, ვიდრე მათ ეს ომის მსვლელობაში და-  
იშვასურეს და რომ ნაწილი ამ პრეტენზიებისა, მაგალითად, ბულგა-  
რეთის მიმართ (თურქეთი მოითხოვდა თრაკიას) უნდობლობის გან-  
წყობილებას ქმნიდა გერმანიასა და მის მოკავშირე ბულგარეთს შო-  
რის, რაც შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში ააუტებდა ცენტრალურ  
სახელმწიფოთა კავშირს.

თვალსაზრისი, რომელსაც იცავდა გერმანია თურქეთის მოთხოვ-  
ნათა მიმართ, ეს იყო რუსეთ-თურქეთის საომარი აპარატის  
რაიონში რუსეთის ჯარის მიერ მხოლოდ იმ ტერიტორიის დაცლა,  
რომელიც ოკუპირებული იყო ომის მსვლელობაში. ეს ჩანს გერმა-  
ნიის მიერ საბჭოთა რუსეთისათვის 1918 წლის 21 თებერვალს გა-  
დაცემული ზავის პირობებიდან. აქ ნათქვამი იყო, რომ რუსეთმა უნ-  
და გააკეთოს ყველაფერი, რათა უზრუნველყოს თურქეთისათვის  
აღმოსავლეთი ანატოლიის პროვინციების დაბრუნება, ე. ი. აქ ლაპა-  
რაკი იყო მხოლოდ 1914 წლის რუსეთ-თურქეთის საზღვრის აღდგე-  
ნაზე.

სარგებლობდა რა კავკასიის ფრონტზე დამყარებული დროებითი  
ზავით, თურქეთი განაგრძობდა ჯარების დაგროვებას. ამიერკავკა-  
სიის კომსარიატს კი, რომელიც ჯერ თვითონაც ვერ ბედავდა და-  
მოუკიდებლობის გამოცხადებას, განუწყვეტილად მიმართავს რო-  
გორც დამოუკიდებელი ქვეყნის მთავრობას, თურქეთმა შესთავაზა  
კიდევ ამიერკავკასიის კომისარიატს საზავო ხელშეკრულების და-  
დება და საამისოდ მოლაპარაკების დაწყება.

როდესაც ამიერკავკასიის კომისარიატისა და თურქების ერთობ-  
ლივი ღონისძიებათა შედეგად თურქების გაძლიერებული არმიების

<sup>309</sup> К. Мюльман, გვ. 262

<sup>310</sup> იბრაჰიმ ჰაქი ფაშას (1862—1918), ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის  
შემდეგ რამდენჯერმე ეკავა მინისტრის თანამდებობა. იყო დიდი ვეზირიც. 1909  
წელს დაინიშნა ელჩად იტალიაში. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკების  
დროს იყო ოსმალეთის ელჩი ბერლინში.

წინ კავკასიის ფრონტზე მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალა აღარ იყო, ოსმალებს შეტევაზე გადასვლის შესაძლებლობა შეექმნა დროებითი ზავის დასარღვევად მიზნის პოვნა არც თუ საკმის წარმოადგენდა. ეს იყო მუსლიმანური მოსახლეობის „დაცვის“ საჭიროება, რომელსაც, თურქეთის სარდლობის განცხადებით, რუსეთის რეგულარული ჯარის მიერ მიტოვებულ რაიონებში ვითომდა არბევდნენ და ავიწროებდნენ. მაგრამ სადემარკაციო ხაზის გადალახვა ნიშნავდა როგორც ერზინჯანის, ისე ბრესტ-ლიტოვსკის დროებითი ზავის დარღვევას. ამიტომ თურქებმა დაიწყეს ორპირი პოლიტიკის გატარება: ერთის — ამიერკავკასიაში, ხოლო მეორის — ბრესტ-ლიტოვსკში.)

ჯერ კიდევ 1917 წლის 16 დეკემბერს ვეკიბ ფაშა ნიადაგის მომზადებას შეუდგა ერზინჯანის დროებითი ზავის დასარღვევად, რომელიც დადებული იყო თურქეთსა და ამიერკავკასიის შორის. ამ დღე-ვეკიბ ფაშამ განაცხადა, რომ ენვერ ფაშა ყურადღებას მიაქცევს რუსეთის არმიის სარდლობას იმ ძალადობაზე, რომელსაც რუსეთის ჯარის ნაწილები მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მუსლიმანური მოსახლეობის მიმართ ეწევიან. ამავე დროს თურქეთის სარდლობის მითითებით თურქებისა და ქურთების ირეგულარული ნაწილები მშვიდობიან მოსახლეობაზე გამუდმებულ თავდასხმებს ახდენდნენ. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის პოლიტიკის შედეგად ეროვნებათა შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება, რაც შეიარაღებულ შეტაკებათა სახეს იღებდა, ხელს უწყობდა თურქებს, რომლებიც თავის მხრივ ყოველ ღონეს ხმარობდნენ კონფლიქტების გასაღრმავებლად, რასაც შემდეგ დიპლომატიურ მიმოწერასა და პრესაში თვითონვე ერთიორად ახვიადებდნენ.

1918 წლის 12 თებერვალს ვეკიბ ფაშამ კავკასიის არმიის სარდალს გენერალ ოდიშელიძეს და კავკასიის ფრონტის რუსეთის ჯარების სარდალს გენერალ პრევეალსკის<sup>311</sup> აცნობა, რომ თურქეთის ჯარები მუსლიმანური მოსახლეობის დაცვის მიზნით წინ მოიწევენ. ვეკიბ ფაშა აქვე ირწმუნებოდა, რომ ვითომც ეს არ წარმოადგენდა ერზინჯანის დროებითი ზავის დარღვევას, ვინაიდან, ვეკიბის სიტყვით, რუსეთის ფრონტის დარღვევის გამო სადემარკაციო ხაზი ვითომც აღარ არსებობდა<sup>312</sup>.

ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა დელეგაციის მიმართ თურქებმა თავისი ისე დაიკავეს, თითქოს მეტად სწუხან კავკასიაში რუსეთის

<sup>311</sup> Документы и материалы. 49.

<sup>312</sup> ამ დროს პრევეალსკის მაგივრად უკვე იყო გენერალი ლებედენსკი.

ფრონტის დაშლის გამო. თურქები შემდეგნაირად მსჯელობდნენ: ომიანობის დროს თურქეთის ტერიტორიის ნაწილი რუსეთის ჯარებმა დაიკავეს და ამიტომ რუსეთი ვალდებულია იზრუნოს ამ ტერიტორიის კეთილდღეობისათვის, რომ ომის დამდავების შემდეგ დაუბრუნოს ისინი თურქეთს ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი იყვნენ ოკუპირების მომენტისათვის. ამავე დროს რუსეთის ჯარი ვალდებულია დაიცვას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. მაგრამ რუსეთის ჯარებმა ეს ტერიტორია დაცალეს და გადასცეს მესამე პირს (იგულისხმება ამიერკავკასიის კომისარიატი) და არა თურქეთს, რომელსაც ეს ტერიტორია ეკუთვნის. ამიერკავკასიის კომისარიატს კი თურქები არ ცნობენ და რამდენადაც რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ეს ტერიტორია თავიანთ ნებით დატოვეს, თურქეთის ჯარები მუსლიმანური მოსახლეობის დარბევის თავიდან აცილების მიზნით იკავებენ ამ ადგილებს.

1918 წლის 3 თებერვალს საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის დელეგაციების გაერთიანებულ სხდომაზე თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარე ჰაქი ფაშა ამბობდა: „ეგრეთ წოდებული რუსეთს არმია ტოვებს საომარი მოქმედების ასპარეზს, ტოვებს ტერიტორიას და იხვევს ზურგისაკენ. ...რუსეთის ჯარის მიერ დატოვებულ ტერიტორიას ეუფლებიან ბანდები, რომლებიც შედგებიან შეიარაღებული სომხებისა და ქართველებისაგან. ამრიგად, ეს ბანდები, რომელთა ზუსტი შემადგენლობა ჩვენ არ ვიცით, მაგრამ რომლებშიაც, ბუნებრივია, იმყოფებიან მეტად მოუსვენარი ელემენტები. თავს ნებას აძლევენ ჩაიდინონ ყოველგვარი საშინელებანი“. „ეს პროვინციები იმყოფებიან რუსეთის არმიის პროტექტორატისა და მფარველობის ქვეშ და ამ პროვინციებს რუსეთი დაგვიბრუნებს ისე, რა მდგომარეობაშიც ისინი იმყოფებოდნენ ოკუპაციამდე. რუსეთის მთავრობის მოვალეობაა ამ ტერიტორიების გაფრთხილება და მათი არსებულ მდგომარეობაში დაცვა. არავის არა აქვს უფლება დატოვოს და გადასცეს ტერიტორია სხვას, გარდა იმისა, ვისაც ის ეკუთვნისოდა, ე. ი. არავის, გარდა თურქეთისა“. „საქმე იმაშია, რომ რუსეთის ჯარები წავიდნენ და ტერიტორია დაუტოვეს სხვას, როაელიც თურქების უფლებათა მიუხედავად ამ ტერიტორიის მიმართ თავის პრეტენზიებს აცხადებს“<sup>113</sup>.

ამრიგად, თურქებს საქმე ისე გამოჰყავდათ, თითქოს ამიერკავკასიის კომისარიატთან მათ არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდათ. „ჩემთვის არაფერია ცნობილი, — განაცხადა ჰაქი ფაშამ, — იმის

<sup>113</sup> Стенограмма заседания Российской и Турецкой делегации 3 февраля, 1917, габ. „Известия“, 1918 წლის 28 თებერვალი.

შესახებ, რომ ოსმალეთის მთავრობას სურვილი ჰქონდეს რაიმე ხელშეკრულება დადოს კავკასიის ხალხებთან. „აქამდე ჩვენ ვთვლიდით, რომ კავკასია რუსეთს ეკუთვნის, რომ კავკასია არის რუსეთისა, რომ არ ცდილა, არ აპირებდა და არც ჰქონდა საშუალება სხვანაირად მოქცეულიყო“. ჰაქი ფაშა ასევე უარყოფდა რაიმე მოლაპარაკების ფაქტს ამიერკავკასიის კომისარიატთან: „ჩვენ ამჟამად მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ჯარების ევაკუაციისა და ბანდებთან ბრძოლის შესახებ სახალხო კომისართა მთავრობასთან, ვინაიდან არა გვაქვს არავითარი მონაცემები, რაც უფლებას მოგვცემდა მოლაპარაკება ვაწარმოებინა კავკასიის მთავრობასთან, და თუ მდგომარეობა არ შეიცვლება, ჩვენ მომავალშიც ასე მოვიქცევით“<sup>314</sup>.

ამრიგად, ამიერკავკასიაში თურქები ყოველმხრივ ხელს უწყობენ ამიერკავკასიის სეიშს, რათა მან ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთს ჩამოაცილოს, ცდილობენ ხელი შეუწყონ რუსეთის ფრონტის დაშლას, ხოლო შემდეგ აცხადებენ, რომ საჭიროა მუსლიმანური მოსახლეობის დაცვა რუსეთის ჯარის მიერ დატოვებულ ტერიტორიაზე და არღვევენ ერზინჯანის დროებით ზავს. ბრესტ-ლიტოვსკში კი უარყოფენ ყოველგვარ კავშირს ამიერკავკასიის კომისარიატთან. აცხადებენ, რომ ისინი ცნობენ მხოლოდ რუსეთს და მის მთავრობას — სახალხო კომისართა საბჭოს.

ამიერკავკასიის კომისარიატი თურქების სრული მხარდაჭერით გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა ბრესტ-ლიტოვსკში წარმოებულ მოლაპარაკების წინააღმდეგ და წინასწარ აცხადებდა, რომ იქ მიღებული გადაწყვეტილებანი ამიერკავკასიისათვის სავალდებულო არ იქნებოდა და რომ ამიერკავკასიის კომისარიატი თვით დასდებდა ზავს თურქეთთან. ამასობაში კი თურქეთის ჯარები წინ მოიწევენ ისე, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ ხელებათ. ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიშის წევრთა გაერთიანებულ სხდომაზე გენერალმა ლებედინსკიმ განაცხადა: „რუსეთის ჯარები ამჟამად ფრონტზე აღარ არიან; დროებით რჩებიან სრულიად უმნიშვნელო ძალები, რომელთაც თითქმის არავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა არა აქვთ.“ „ამჟამად არა გვაქვს არავითარი შესაძლებლობა, რომ საომარი მოქმედების განახლების შემთხვევაში თურქების წინააღმდეგ რაიმე სამხედრო ძალა გამოვიყენოთ“<sup>315</sup>.

თურქების შემოტევის პირველი ეტაპი — ეს იყო 1914 წლის საზღვრებში შეჭრა. 1918 წლის 12 თებერვალს ვეპიბ ფაშამ მე-3 არმია

<sup>314</sup> იქვე.

<sup>315</sup> Документы и материалы, 63.

ორ კოლონად გაყო. ერთი მოქმედებდა შავი ზღვის სანაპიროს ვის-  
წვრივ, მეორე კი — არზრუმის მიმართულებით. შავი ზღვის სანაპირო-  
ზე კავკასიის 37-ე დივიზიამ 9 მარტს დაიკავა ტრაპიზონი და მალე მას  
აღწია რუსეთ-თურქეთის 1914 წლის საზღვარს ზოფასა და მკურჩაღის  
რაიონში. მეორე კოლონა შევიდა ერზინჯანში და გაემართა მამხა-  
თუნისაკენ. 12 მარტს, ამ კოლონამ, რომელსაც იაკუბ შევექი ფაშა  
სარდლობდა, არზრუმი დაიკავა, სადაც ხელში ჩაიგდო დიდძალი  
სამხედრო საჭურველი და იარაღი, მათ შორის 170 ქვემეხი. აღმოსა-  
ვლეთის ფლანგზე თურქებმა ასევე რაიზე წინააღმდეგობის გარეშე  
დაიკავეს ბითლისი და მუში. ამავე მიმართულებით მე-4 საარმიო  
კორპუსმა, რომელიც მე-2 არმიის მაგივრად შეიქმნა, მის შემადგენ-  
ლობაში მყოფი ე. წ. „ეანის ტბის რაზმი“ წამოწია მანასკერტ-პინის  
კალეს ფრონტზე და დაიკავა ვანი. არზრუმის რაიონში თურქეთის  
ქარებმა 25 მარტს (ხველი ტილით) მიიღწიეს 1914 წლის სახელმწი-  
ფო საზღვრის ხაზს. //

ტროცკ-ლიტოვსკში გერმანელებმა საბჭოთა მთავრობას ზავის მე-  
ტად მძიმე პირობები წამოუყენეს. გერმანელებს სურდათ ხელში  
ჩაეგდოთ პოლონეთი, უკრაინა, ბალტიისპირეთი და ბელორუსიის  
ნაწილი. ომის გაგრძელება ნიშნავდა საბჭოთა ხელისუფლებას არ-  
სებობის საფრთხეში ჩაგდებას. ამიტომ საჭირო იყო ზავის პირობებ-  
ზე დათანხმება, რათა საბჭოთა ხელისუფლებას შეესვენებინა და  
თავისი არსებობა განემტკიცებინა. საბჭოთა ხელისუფლების მტრებს,  
რომელთაც თანაუგრძობდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციაც,  
ომის გაგრძელება სურდათ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ გერმანელთა  
ხმტები დაამხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. ტროცკიმ, რომე-  
ლიც საბჭოთა საზავო დელეგაციას მეთაურობდა ბრესტ-ლიტოვსკ-  
ში, დაარღვია ვ. ი. ლენინის დირექტივა და გერმანელებს განუცხა-  
და, რომ საბჭოთა მთავრობა უარს ამბობს ხელი მოაწეროს ზავზე  
გერმანიის მიერ წამოყენებულ პირობათა საფუძველზე. ამასთანავე  
ტროცკიმ გააკეთა გამცემლური განცხადება, რომ საბჭოთა ქვეყანა  
წყვეტდა ომს გერმანიასთან და მოახდენდა არმიის დემობილიზაციას.

გერმანიამ ისარგებლა ტროცკის გამცემლური მოქმედებით და  
დაარღვია რა დროებითი ზავი, შეტევა დაიწყო. 1918 წლის 18 თე-  
ბერვალს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ვ. ი. ლენინის მოთხოვნ-  
ით მიიღო დადგენილება, რომ გერმანიის მთავრობისათვის გაეგზავნ-  
ნათ დეპეშა ზავის დაუყოვნებლივ დადების შესახებ. მაგრამ გერმა-  
ნელები შეტევას განაგრძობდნენ, რათა დაეკავებინათ რაც შეიძლე-  
ბა მეტი ტერიტორია და შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკისათვის წა-  
ეყენებინათ ზავის კიდევ უფრო მძიმე პირობები, რომლითაც ისინი  
მოითხოვდნენ ტერიტორიებს „კოფმანის ხაზის“ აღმოსავლეთით.

ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების შეწყვეტამ და გერმანიის საზავო პირობების უარყოფამ ხელები გაუხსნა თურქეთსაც და ერთგვარად შეცვალა გერმანიის თურქეთთან დამოკიდებულება. თურქეთის ჯარების თურქეთში ღრმად შეჭრა უზერხულობა ქმნიდა ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიის წარმომადგენელთათვის, რომელთაც თავი გამარჯვებულ მხარედ მიაჩნდათ. თურქეთი კი რუსეთის წინაშე აშკარად დამარცხებულად გამოიყურებოდა. ამიტომ გერმანიამ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ შეტევის განახლებასთან ერთად გადაწყვიტა მოსკოს თურქებთან დაკავშირებული ეს უზერხულობა და მოლაპარაკების შესაძლებელი განახლების მომენტისათვის აღადგინოს ამიერკავკასიაში ომამდე არსებული ტერიტორიული მდგომარეობა. ამიტომ კავკასიაში თურქეთის არმიის მოქმედებასთან დაკავშირებით 11 თებერვალს ლუდენდორფი გენერალ ფონ სექტს უგზავნის დეპეშას, სადაც ნათქვამია: „მე პოლიტიკური მოსაზრებითაც მივესალმებოდი შეძლებისდაგვარად უფრო ენერგიულ წინააღმდეგობას“<sup>316</sup>.

ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ 21 თებერვლის ულტიმატუმში, რომელიც გერმანიამ საბჭოთა რესპუბლიკას წაუყენა, მოთხოვნილია, რომ რუსეთმა თურქეთს აღმოსავლეთი ანატოლიის პროვინციები დაუბრუნოს, რაც არ იყო 9 თებერვლის ულტიმატუმში. თურქები ამას არ დააკმაყოფილა და ისინი ცდილობენ ზავის პირობებში შეიტანონ არა მარტო მიმდინარე ომის დროს რუსეთის ჯარის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის ოსმალეთისათვის უკან დაბრუნება, არამედ 1877—1878 წლების ომამდე არსებული რუსეთ-თურქეთის საზღვრის აღდგენაც. ამ საკითხში თურქებმა გერმანელები დაითანხმეს, ხუმცა გერმანიის დელეგაციის წევრმა ბრესტ-ლიტოვსკში ფონ როზენბერგმა, რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფონ კიულმანის არყოფნის დროს დელეგაციას მეთაურობდა, განაცხადა, რომ „დაყინებით ჩვენ ამას არ მოვითხოვთ, რათა ანექსიონისტურ მისწრაფებებში ბრალი არ დაგვდონ“. როზენბერგმა თავის განცხადებას დაუმატა, რომ იმისდა მიუხედავად, ყარსის, არტანის და ბათუმის ოლქების თურქეთისათვის დაბრუნება საზავო ხელშეკრულებით განპირობებული იქნება თუ არ იქნება, რუსეთის ჯარმა ეს ადგილები მაინც უნდა დატოვოს<sup>317</sup> გერმანელების ტაქტიკა გასაგები იყო. მათ კარგად იცოდნენ, რომ ამიერკავკასია კომისარიატი უარყოფდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს, მიუხედავად იმი-

<sup>316</sup> А. Мюльман, *დასახ. ნაშრომი*, 265.

<sup>317</sup> Мирные переговоры в Брест-Литовске, т. I, Москва, 1920, 215; История дипломатии, под редакцией академика В. П. Потёмкина, т. II; Москва, 1945, 344.

სა, იქნებოდა იქ ყარსის, არტაანისა და ბათუმის თურქეთისათვის გადაცემა აღნიშნული, თუ არა. ამით თურქეთს საშუალება მიეცემოდა დაედო ამიერკავკასიასთან სეპარატული ზავი, რომლითაც ის მიიღებდა ყარსს, არტაანს და ბათუმს. თუ ამ ტერიტორიებზე თურქეთისათვის გადაცემა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით დადგენილი არ იქნებოდა, მაშინ ამიერკავკასიის კომისარიატთან საზავო მოლაპარაკების დროს თურქების მხრიდან სათანადო დათმობების საფასურად გერმანია ყარსს, არტაანსა და ბათუმს მეორედ მიყიდდა თურქეთს.

1918 წლის 3 მარტს ხელმოწერილი ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მე-4 მუხლში ნათქვამი იყო: „რუსეთი გააკეთებს ყველაფერს, რაც მისგან არის დამოკიდებული, რათა უზრუნველყოს აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციების რაც შეიძლება სწრაფი დაცლა და მათი თურქეთისათვის მოწესრიგებული სახით დაბრუნება.“

რუსეთის ჯარები ასევე დაუყოვნებლივ ტოვებენ არტაანს, ყარსის და ბათუმის ოლქებს. რუსეთი არ ჩაერევა ამ ოლქების სახელმწიფო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთობათა ახალ ორგანიზაციაში, პირიქით, მისცემს საშუალებას ამ ოლქების მოსახლეობას მეზობელ სახელმწიფოებთან და განსაკუთრებით თურქეთთან თანხმობით ახალი წყობილება დაამყაროს<sup>218</sup>.

1877—1878 წლების ომამდე არსებული საზღვრის აღდგენის შემთხვევაში თურქეთის ხელში შემდეგი ტერიტორიები გადადიოდა:

ოლქები და ოკრუგები	კვ. ვერსია
ბათუმის ოლქი . . . . .	6254
ოლთისის ოკრუგი . . . . .	2621
კალიზმანის „ . . . . .	3843
ყარსის „ . . . . .	4083
არტაანის „ . . . . .	4924
	22725

როგორც ვხედავთ, ხელშეკრულების ტექსტში არ არის ნათქვამი ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების უშუალოდ თურქეთისათვის გადაცემის შესახებ. აქ მხოლოდ აღნიშნულია, რომ ამ ოლქების ახალი წყობილება დამყარდება ოლქების მოსახლეობის მიერ თავისივე სურვილის მიხედვით და მეზობელ სახელმწიფოებთან, უპირველეს

✓ <sup>218</sup> Мирный договор между Россией с одной стороны и Германией, Австро-Венгрией, Болгарией и Турцией с другой. Москва, 1918, 5.



ყოველისა, თურქეთთან თანხმობით. მაგრამ ამ ფორმულას პრაქტიკულად არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან ეს იყო ფრაზა პირდაპირი ანექსიის შესანიღბავად. ანექსიის ამგვარი შენიღბვა გერმანია-თურქეთის ბლოკს სჭირდებოდა როგორც საშინაო, ისე გარე პოლიტიკური მოსახრებებით. ეს იყო გავლენა გერმანელ მილიტარისტთა იმ ჯგუფისა, რომელიც აუცილებლად თვლიდა თავისი დაპყრობითი მიზნები დემოკრატიული ფრაზებით შეენიღბა. ამიტომ დასჭირდა გერმანიის დელეგაციას გაემეორებინა თვით თურქების მიერ შეთხზული ლეგენდა მუსლიმანური მოსახლეობის „სურვილის“ შესახებ. რასაც ეს მოსახლეობა ვითომდა დაჟინებით გამოსთქვამდა როგორც კონსტანტინოპოლში, ისე ბერლინში<sup>319</sup>. ამასთან დაკავშირებით აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რაიმე ამგვარი თხოვნის შესახებ არავითარი კვალა არც ევროპულ, არც თურქულ და არც ქართულ და რუსულ წყაროებში შემონახული არ არის ისეთი ფორმითაც კი, როგორითაც იმ პერიოდში დგებოდა ყაზანელთა, აზერბაიჯანელთა და სხვათა „თხოვნები“.

თურქებისა და გერმანელების მიერ გამოცხადებული ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების მოსახლეობის „სურვილთან“ დაკავშირებით საბჭოთა დელეგაციამ ბრესტ-ლიტოვსკში აღნიშნა: „თურქეთის პროტექტორატი ამ ოლქებზე დამყარებულია ისე, რომ მხედველობაში ოდნავადაც არ იყო მიღებული ადგილობრივი მოსახლეობის სურვილი. ეს იმ დროს, როდესაც რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობამ ცნო ამ მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლება. ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ძალდატანება, ტერიტორიის ხელში ჩაგდება, ახალი დაპყრობისათვის მზადება — აი საითკენ არის მიმართული ახალი მოთხოვნები, რომლებიც 21 თებერვლის შემდეგ გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა ხელახლა ჩამოაყალიბეს“<sup>320</sup>.

დეკლარაციაში, რომელიც ზავის ხელისმოწერასთან დაკავშირებით ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა დელეგაციამ გამოაქვეყნა, ნათქვამი იყო: „.....აშკარად არღვევს რა თვით გერმანიის მთავრობის მიერვე ჩამოყალიბებული 21 (8) თებერვლის ულტიმატუმის პირობებს, ყარსის, არტაანისა და ბათუმის მოსახლეობის ქვეშაობრივი ნების საწინააღმდეგოდ, ამ ოლქებს, რომლებიც არც ერთხელ არ იყო დაპყრობილი თურქეთის ჯარების მიერ, გერმანია თურქეთს აძლევს. მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტების ასე აშკარად და ძალადობით ტე-

<sup>319</sup> ორცხა. ფონდი 41, საქმე 249. ფურცელი 174.

<sup>320</sup> გაზ. „Правда“ 1917 წლის 19 მარტი. იხ. აგრეთვე ორცხა. ფონდი 41, საქმე 249, ფურცელი 173.

რიტორიულად ხელში ჩაგდებას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მიზანი — რუსეთზე ახალი შეტევის მომზადება და კაპიტალისტური ინტერესების დაცვა მუშათა და გლეხთა რევოლუციის წინააღმდეგ<sup>321</sup>.

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებამ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების საშუალება მისცა. ვ. ი. ლენინი სტატიასი „იმძიმე, მაგრამ აუცილებელი გაკვეთილი“ წერდა: „სამშობლოს დაცვის თვალსაზრისით დანაშაულია სამხედრო შეტაკებაში ჩაბმა დაუსრულებლად უფრო ძლიერსა და მომზადებულ მტერთან, როდესაც აშკარად არა გყავს არმია. ჩვენ სამშობლოს დაცვის თვალსაზრისით ვალდებული ვართ ხელი მოვაწეროთ უმძიმეს, მჩაგვრელ, მხეცურ, სამარცხვინო ზავს — არა იმისათვის, რომ „კაპიტულაცია მოვახდინოთ“ იმპერიალიზმის წინაშე, არამედ იმისათვის, რომ ვისწავლოთ და სერიოზულად, საქმიანად ვემზადოთ მასთან საომრად“<sup>322</sup>.

1918 წლის 23 თებერვალს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიიდან არჩეული დელეგატებისაგან შედგებოდა. 26 თებერვალს თურქეთთან ზავის დასაღებად სეიმმა კომისია აირჩია. მოლაპარაკებების ადგილად თურქებთან შეთანხმებით არჩეულ იქნა ტრაპიზონი, როგორც ვითომ ნეიტრალური ტერიტორია. სეიმში კარგად იცოდნენ, თუ რასურდა თურქეთს და ესმოდათ ისიც, რომ თურქეთი დაინტერესებული იყო სეიმით როგორც მოკავშირეთი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ<sup>323</sup>.

ამიერკავკასიის სეიმმა ხალხისათვის თვალის ასახვევად გამოაცხადა, რომ ის ვერ დათმობს ყარსს, არტაანსა და ბათუმს და ამიტომ არ ცნობს ბრესტ-ლიტოვსკში დადებულ ზავს. ამავე დროს ცდილობდა საქმე ისე გამოეყვანა, რომ თითქოს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება აიძულებდა თურქეთს უარი ეთქვა ბათუმზე, ყარსზე და არტაანზე<sup>324</sup>.

ამიერკავკასიის დელეგაცია ტრაპიზონში მარტის პირველ რიცხვებში ჩავიდა. 10 მარტს ჩამოვიდა თურქეთის დელეგაცია, რომელსაც ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირველი რანგის კაპიტანი რაჟფ ბეი ხელმძღვანელობდა. 3

გარდა რაჟფ ბეისა, თურქეთის დელეგაციაში შედიოდნენ: მეკმედ ნუსრეთ ბეი — ოსმალეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამართ-

<sup>321</sup> Документы внешней политики СССР: т. I, Москва, 1957, 118.

<sup>322</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 27, 57.

<sup>323</sup> ორცხა. ფონდი 8, საქმე 41, ფურცელი 134.

<sup>324</sup> ორცხა. ფონდი 8, საქმე 41, ფურცელი 136.

ლის განყოფილების უფროსი; თევჭიფ სალომ ბეი—ოსმალეთის არმიის კავკასიის ფრონტის მთავარი ექიმი; ჰუსრეფ ბეი—ოსმალეთის არმიის კავკასიის ფრონტის ოპერატიული განყოფილების უფროსი; იუსუფ რიზა ბეი—დელეგაციის პირველი მდივანი; ისმაილ ჰამიდ ბეი—ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის 1 რანგის კაპიტანი; აბდურაჰმანი — ლეიტენანტი, თავმჯდომარის ადიუტანტი.

დელეგაციაში არ შედიოდა ოსმალეთის უმაღლესი რანგის არც ერთი მოხელე, ამიტომ დელეგაციას არ შეეძლო დამოუკიდებლად დაესვა ან გადაეწყვიტა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი, განსაკუთრებით ის, რაც ტერიტორიებთან იყო დაკავშირებული. ეს ნიშნავდა იმას, რომ ოსმალები ტრაპიზონში არ დაიწყებდნენ ნამდვილი მოლაპარაკების წარმოებას და ულტიმატუმების გზას დაადგებოდნენ. ბრესტის ზავის ხელის მოწერის შესახებ ცნობის მიღებისთანავე ამიერკავკასიის მთავრობამ მსოფლიოს ყველა დიდ სახელმწიფოს დებუშა გაუგზავნა და აცნობა, რომ ამიერკავკასია არ ცნობს და არ თვლის თავისთვის სავალდებულოდ ბრესტის ზავს და რომ ის ზავის დადების თაობაზე თურქეთთან მოლაპარაკებას აწარმოებს.)

თურქებისათვის შეტად ხელსაყრელი მდგომარეობა შეიქმნა. ამიერკავკასიის სამშვიდობო დელეგაცია მათ უკვე ტრაპიზონში ეგულეობდათ და ამავე დროს ხელთ ჰქონდათ ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარის გეგეჰკორისა და ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარის ჩხეიძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი იმის შესახებ, რომ ამიერკავკასია არ ცნობს ბრესტის ზავს. ახლა ოსმალებს შეეძლოთ მოეთხოვათ ყარსის, არტანისა და ბათუმის გადაცემა თურქეთისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასია არ ცნობდა ბრესტის ზავს და ამავე დროს ეწარმოებინათ მოლაპარაკება ამიერკავკასიასთან როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, და რამდენადაც ამიერკავკასიამ არ ცნო ბრესტის ზავი, მოეთხოვათ მისგან ახალი ზავის დადება, რომლის პირობები ბევრად უფრო მძიმე იქნებოდა, ვიდრე ბრესტის ზავი. ამრიგად, თურქები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ისინი წაუგებლად თამაშობენ.

10 მარტს ვეპიბ ფაშა ამიერკავკასიის ჯარების სარდალს ორ დეპეშას უგზავნის. პირველით წინადადებას იძლეოდა, რომ ამიერკავკასიის ჯარებს უმოკლეს ვადაში დაეტოვებინათ ბრესტის ზავში მოხსენიებული ტერიტორიები, ხოლო მეორე დებუშით იუწყებოდა, რომ თურქეთის არმია განაგრძობს შეტევას, რაც გამოწვეულია ვითომდა სომხების მიერ მუსლიმანური მოსახლეობის დარბევით<sup>255</sup>.

თურქეთს სჭირდებოდა, რომ ამიერკავკასიას რაც შეიძლება ზღაპრად, მანამდე, სანამ თურქეთის ჯარები 1878 წლამდე არსებულ ახლ-  
ვარს გადალახავდნენ, დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა. ამით პირ-  
სტის ზავის დასარღვევად იურიდიული საფუძველი შეიქმნებოდა.  
ტრაპიზონის კონფერენციის პირველსავე სხდომაზე თურქებმა ბრეს-  
ტის ზავით გათვალისწინებული ტერიტორიების დაუყოვნებლივ  
მათთვის გადაცემა და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოც-  
ხადება მოითხოვეს<sup>326</sup>.

ამიერკავკასიის სეიმის მიერ შემუშავებული „ძირითადი დებუ-  
ლებები“, რომლებიც საფუძვლად უნდა დასდებოდა თურქეთთან  
ზავს, შედგენილი იყო ისე, რომ თურქებს შეტევის გასაგრძელებ-  
ლად ახალი საბაზი ეძლეოდათ. „ძირითადი დებულებები“ ითვალის-  
წინებდნენ 1914 წლის საზღვრების აღდგენას და აღმოსავლეთ ანა-  
ტოლიისათვის თვითგამორკვევის უფლებას, კერძოდ ავტონომიის  
თურქეთის სომხეთისათვის<sup>327</sup>; რამდენადაც ამ დოკუმენტში ლაპარაკი  
იყო აღმოსავლეთ ანატოლიაზე, საერთოდ, უნდა ვიფიქროთ, რომ  
აქ იგულისხმებოდა არა მარტო სომხები, არამედ აგრეთვე ქურთე-  
ბი, აისორები და აღმოსავლეთი ანატოლიის სხვა არათურქი ერები,  
ცხადია, თურქეთი ამ პირობებზე არ დათანხმდებოდა, მაგრამ ზავია  
პირობების შემუშავებელი სეიმის კომისიის თავმჯდომარე ნ. რა-  
მიშვილი მაინც აცხადებდა, რომ ვითომც ზავის დადება ზემოაღნიშ-  
ნული პირობებით სრულიად რეალურია, რამდენადაც თურქეთში,  
მისი მტკიცებით, არსებობდნენ რომელიღაც საუკეთესო ადამიანები,  
რომლებიც მოითხოვდნენ, რომ თურქეთი ფედერაციულ საწყისებ-  
ზე აგებულიყო<sup>328</sup>. თუმცა ყველასათვის ცნობილი იყო, რომ ამგვარი  
თითო-ოროლა პირი თუ იყო კიდევ იმდროინდელ თურქეთში, არა-  
ვითარი ძალა და გავლენა მათ არ გააჩნდათ. )

რაუფ ბეის არ დაუმალავს ოსმალეთის ნამდვილი გეგმები ამიერ-  
კავკასიის მიმართ. პირველივე მისი სიტყვა, კონფერენციის გახსნი-  
სას წარმოთქმული, გაქლენთილი იყო თურქისტული რწმენით, რომ  
ამიერკავკასიის ტერიტორია თურანის შემადგენელი ნაწილია, მისი  
ისტორიული წარსული — თურქეთის კუთვნილება, ხოლო მოსახლე-  
ბა კი — თურქები. „ძაფები, რომლებიც ჩვენ გვაკავშირებენ, — ამბობ-  
და რაუფ ბეი, — წარმოადგენს არა მარტო ისტორიულ და გეოგრა-  
ფიულ საფუძველზე აღმოცენებულ ურთიერთობას, არამედ უფრო  
მეტად ნათესაურ კავშირს, რომელიც ჩვენი საერთო წარსულიდან

<sup>326</sup> ორცხა. ფონდი 41, საქმე 249, ფურცელი 159—166.

<sup>327</sup> Документы и материалы, 87.

<sup>328</sup> იქვე, 82.

გამომდინარეობს. სწორედ ამიტომ კავკასიისა და თურქეთის ხალხებს საერთო რელიგია აქვთ, წარმოადგენენ ერთ ერს და აქვთ თითქმის ერთნაირი ისტორია<sup>229</sup>.

ამრიგად, წინასწარ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ თურქეთი ტრაპიზონში მოლაპარაკების დროს უარყოფდა ამიერკავკასიის სეიმის მიერ წამოყენებულ ყველა პირობას. მაგრამ სეიმის მთავარ საზრუნავს ამ პერიოდში ხალხთა მასების რევოლუციურ გამოსვლებთან ბრძოლა წარმოადგენდა. თურქეთთან ურთიერთობის გამწვავება ერთგვარად ხელსაყრელიც კი იყო სეიმისათვის, ვინაიდან საშუალებას აძლევდა მას ქვეყნის მძიმე საშინაო მდგომარეობა ომისათვის გადაებრალბინა. სეიმის მესვეურთა აზრით, თურქების შემოსევა რევოლუციურ გამოსვლებთან შედარებით ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენდა. თურქების ცდის შესახებ, რომ თავისი აგენტურის საშუალებით ხელში ჩაეგდოთ არტაანი მანამდე, სანამ მას თურქეთის რეგულარული ჯარები დაიკავენდნენ, ესერმა გობეჩიამ სეიმში განაცხადა: „გორში, თელავში და ლეჩხუმის მაზრაში შეიძლება ხდებოდა ბევრად უფრო სამწუხარო ამბები, ვიდრე არტაანში“<sup>230</sup>.

თურქების შემოსვლას ამიერკავკასიაში დაბეჭივებით მოითხოვდნენ მუსავათელები. მუსავათელთა ორგანო გაზეთი „აზერბაიჯანი“ წერდა, რომ „როგორც თავისი საკუთარი ძალებით, ისე ამიერკავკასიის მთავრობის ძალებით ქვეყანაში შეუძლებელია აღდგენილი იქნეს კანონიერება და წესრიგი. ეროვნული საბჭოს ყველა წევრი განურჩევლად პარტიულობისა, დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ საგარეო ძალას შეუძლია გადაარჩინოს ხალხი დამანგრეველ ანარქიას და... ბოლშევიკურ მოძრაობას ბაქოს მხრიდან; მთელი აზრები და მისწრაფებანი მიმართული იყო იქითკენ, რომ რაც შეიძლება მალე გადაერჩინათ ბაქო მტრული ძალებიდან; ეროვნულმა საბჭომ ამოწურა მთელი თავისი შინაგანი ძალები.... ეროვნული საბჭოს ძირითად ამოცანას ოსმალეთის ჯარის მოწვევა წარმოადგენდა“<sup>231</sup>.

ტრაპიზონში კი ამიერკავკასიის დელეგაცია 5 აპრილამდე განავრძობდა თურქებთან დავას და წინანდებურად უარს ამბობდა მიელო ბრესტის ზავის პირობებზე. ამ დროისათვის თურქები თითქმის ყველგან გამოვიდნენ რუსეთ-თურქეთის 1914 წლის საზღვრის ხაზზე, და ამიერკავკასიის დელეგაციისათვის აშკარა გახდა, რომ შემდგომ დავას აზრი აღარა აქვს. ამიტომ ამიერკავკასიის დელეგაცია სეიმის

<sup>229</sup> ორცხა. ფონდი 8, საქმე 41. ფურცელი 175.  
<sup>230</sup> ორცხა. ფონდი 8, საქმე 41. ფურცელი 184.  
<sup>231</sup> E. A. Токаржевский, დასახ. ნაშრომი, 65.

დასტურით დათმობებზე მიდის. მაგრამ ახლა დავა დაიწყო თვით ამიერკავკასიის დელეგაციის წევრებს შორის, დაობდნენ იმაზე, თუ რა უნდა დაეთმოთ. ქართველები მოითხოვდნენ იმ რაიონების დაფარვას, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ (კალიზმანისა და ყარსის ოლქების ტერიტორიის ნაწილი). ხოლო სომხები—იმ რაიონებისა, სადაც უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ (ბათუმის ოლქი). რაც შეეხება მუსავათელებს, ისინი საერთოდ ზედმეტად თვლიდნენ მოლაპარაკების შემდგომ გაჭიანურებას და სურდათ რაც შეიძლება მალე ეხილათ თურქი ასკერები ბაქოში.

მუსავათის პარტიის წარმომადგენლებმა, რომლებიც მეტად ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ოსმალეთის დელეგაციის წევრებთან და შესანიშნავად იყვნენ ინფორმირებულნი ოსმალეთის გეგმების შესახებ, კარგად იცოდნენ, რომ თურქები ახალ და ახალ მოთხოვნებს წამოაყენებდნენ. სინამდვილეში მუსავათის პარტია „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის აზერბაიჯანულ ფილიალს წარმოადგენდა.

„თურქები ძლიერდებიან. — ამბობდა მუსავათის პარტიის წარმომადგენელი ტრაპიზონის კონფერენციაზე—გაჯინსკი,—ისინი მოიწვევენ წინ და მოასწრეს დაეკავებიანთ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები. ის, რასაც ჩვენ გუშინ თავისად ვთვლიდით, დღეს თურქების ხელშია. მალე მთელი ტერიტორია, რომლის შესახებაც ჩვენ ვკამათობთ, შესაძლებელია თურქებმა დაიკავონ, და დასათმობი უკვე აღარაფერი გვექნება, ვინაიდან მათ ძალით მიაკვთ ეს ტერიტორია. თურქებმა, პირიქით, შეიძლება ახალი მოთხოვნები წამოაყენონ“<sup>322</sup>. ასე გასთქვა გაჯინსკიმ თურქების სამოქმედო გეგმა.

სანამ ტრაპიზონში მოლაპარაკება მიმდინარეობდა, თურქებმა თითქმის ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მთლიანად დაიკავეს რუსეთის ჯარების მიერ ოკუპირებული ტერიტორია. ამის შემდეგ ტრაპიზონის კონფერენციამ თურქების თვალში ყოველგვარი აზრი დაკარგა. მათ შეეძლოთ დაეწყოთ იმ ტერიტორიის ოკუპაცია, რომელიც 1878 წელს სან-სტეფანოს ზავითა და ბერლინის ტრაქტატით რუსეთს გადასცეს. ამიტომ ამიერკავკასიის დელეგაციის 5 აპრილის განცხადების საპასუხოდ, რომ ის მზად არის ნაწილობრივ დათმობებზე წავიდეს, თურქეთმა 6 აპრილს ულტიმატური ფორმით მოითხოვა ბრესტის ზავის პირობების დაუყოვნებლივ მიღება. ულტიმატუმის ვადა იყო 48 საათი. ამავე დროს თურქეთის ჯარები ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების ოკუპაციას შეუდგნენ. 8 აპრილს, არტაანი უკვე აღებული იყო და თურქები ბათუმს მიადგნენ. 12

<sup>322</sup> ორცხა, ფონდი 41, საქმე 249, ფურცელი 15.

აპრილს თურქებმა ულტიმატუმი გადასცეს ბათუმის გარნიზონს და ქალაქის დანებება მოითხოვეს. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის დელეგაციამ სეიმის დასტურის გარეშე მიიღო ბრესტის ზავის შრომები. მიუხედავად ამისა სეიმი განაგრძობდა ბრესტის ზავის უარყოფას. სეიმის 13 მარტის სხდომაზე ევგენი გეგეჰკორმა კატეგორიულად განაცხადა, რომ სეიმი არ განიხილავს ბრესტის ზავის მიღების საკითხს <sup>322</sup>.

ამიერკავკასიის სეიმის ხელახალი უარი, დათანხმებულყო ბრესტის ზავის პირობებზე, თურქეთისათვის შესანიშნავ საბაბს წარმოადგენდა, რომ განეგრძო ამიერკავკასიის ტერიტორიების ოკუპაცია. ეს საბაბი თურქებისათვის აუცილებელი იყო, ვინაიდან ბრესტის ზავის თანახმად ყარსის, არტაანისა და ბათუმის ბედი თვით ამ ოლქების მოსახლეობის ნება-სურვილის თანახმად უნდა გადაწყვეტილიყო. რქ არაფერი იყო ნათქვამი ამ ტერიტორიების თურქეთისათვის ყოველგვარი პირობის გარეშე გადაცემის შესახებ. რადესაც საბჭოთა მთავრობამ თურქეთს პროტესტი განუცხადა იმის გამო, რომ თურქეთი ამ ოლქებში შემოჭრით არღვევს ბრესტის ზავს, თურქებმა თავისი მოქმედების გამართლება სცადეს იმით, რომ ამიერკავკასიამ აო სცნო ბრესტის ზავი და მათთან ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ცხადი იყო, რომ ბრესტის ზავის დადების პერიოდში, ამიერკავკასიის სეიმის მესვეურთა უგუნური პოლიტიკის შედეგად, თურქეთს ყველაზე ხელსაყრელი პირობები შეექმნა ამიერკავკასიაში თავისი დამპყრობლური გეგმების განხორციელებისათვის: კავკასიის ფრონტი დაიშალა, რუსეთის არმიამ სახლებს მიაშურა; კავკასიის ეროვნული ნაწილები მობილიზებული არ ყოფილა. ქართული ეროვნული ძალები და გვარდია გლენტა აჯანყებების ჩასახშობად იყო დაქსაქსული <sup>323</sup>. სეიმში თურქული ორიენტაციის მუსავათი პარტია ოცნებობდა, რომ თურქი ასკერები ბოლშევიკური ბაქოსთვის მიესია და აზერბაიჯანში ხან-ბეგების ძალაუფლება აღედგინა. სეიმი, რომელმაც თავისთავი გამოთიშა საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკიდან და დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებაში თურქეთის პირისპირ მარტოდმარტო აღმოჩნდა, ახლა იძულებული ხდებოდა თურქი დამპყრობლების ნებას დაჰყოლოდა და ახალ-ახალ დათმობებზე წასულიყო. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერთა საგარეო ღონისძიებანი რუსეთის თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის გეგ-

<sup>322</sup> Документы и материалы, 168.

<sup>323</sup> აკაცი სურგულაძე, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917—1918 წ.წ.), 1957, გვ. 454—455.

მებს უპასუხებდა. ორი ბანაკის — სოციალისტური და იმპერიალისტური ბანაკის სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებაში, ამიერკავკასიის ხელისუფალნი იმპერიალისტთა ბანაკში მოკალათდნენ, რომ წინტერვენციო ძალების გამოყენებით ჩვენში სოციალისტური რევოლუციის კერები ჩაენშოთ. გასაგებია, რომ ესენი იყვნენ ის პირობი, რომლებიც ბრესტის ზავის დადების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

15 აპრილს კონსტანტინოპოლში გამოქვეყნდა თურქეთის სარდლობის ოპერატიული ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო: „ბათუმი ჩვენს ხელში გადმოვიდა. მოწინააღმდეგე დაქინებით იცავდა თავის განაპირა ფორტებს. 13 აპრილს, საღამოს, ჩვენ მელდგრად მივიტანეთ იერიშები სიმაგრის სამხრეთ ფორტებზე. ზოგიერთი ფორტი უბრძოლველად დაგვებდა, სხვებმა მელგარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს“.<sup>326</sup>

თურქები აგრეთვე იუწყებოდნენ, რომ მათ ტყვედ წამოიყვანეს 600 ოფიცერი და 2.500 ჯარისკაცი<sup>326</sup>.

ბათუმის სიმაგრის კომენდანტი გენერალი გედევანიშვილი და პირველი ქართული დივიზიის მეთაური გენერალი ართემლაძე ტყვედ დანებდნენ თურქებს. ბათუმის დაცემის დღეს ე. გეგეჭკორი სეიმს არწმუნებდა, რომ ვითომც ბათუმის დაცვა სათანადო სიმაღლეზეა, რომ მცველი ჯარის რაოდენობის გასადიდებლად ზომებია მიღებული და რომ ცოცხალ ძალაზე ნაკლებობა არ იგრძნობა<sup>327</sup>.

იმავე დღეს სეიმმა მოსახლეობისადმი მოწოდებაში გამოაცხადა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკება თურქეთთან შეწყვეტილია და ამიერიდან დავა იარაღის ძალით ბრძოლის ველზე წყდება<sup>328</sup>.

სინამდვილეში ამიერკავკასიის სეიმი არც ფიქრობდა წინააღმდეგობა გაეწია თურქებისათვის. სამხედრო ნაწილები მას თურქეთის ფრონტიდან საჩქაროდ გადაყავდა გლეხობის წინააღმდეგ საბრძოლველად აფხაზეთში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა<sup>329</sup>.

გაზეთი „პრავდა“ ბეჭდავდა რა ცნობას კავკასიაში მდგომარეობის შესახებ, წერდა: „ბათუმი თურქებმა იმ დროს აიღეს, როდესაც ბათუმს ჰქონდა 100 ქვემეხი და 10.000 კაცისაგან შემდგარი გარნიზონი, რომელმაც თავგანწირული ბრძოლა გადაწყვიტა. საჭირო იქნებოდა თავეები იმისათვის, რომ თურქებს უახლესი არტილერიის დანმარებით ბათუმის მიუვალი ფორტები აეღოთ. მაგამ ჩხენკელის გამცემლუ-

<sup>326</sup> Документы и материалы. 195—196.

<sup>326</sup> M. Larcher, დასახ. ნაშრომი, 419.

<sup>327</sup> Документы и материалы, 163.

<sup>328</sup> იქვე, 186.

<sup>329</sup> გაზ. „Правда“, 1918 წლის 20 ივნისი.

რი პოლიტიკის შედეგად ბათუმი მთელი თავისი ქონებით, რომელიც 2 მილიარდს აღწევს, ალექსანდრე იქნა 3 საათის განმავლობაში<sup>300</sup>.

ამრიგად, ბათუმი და არტანუჯი თურქებმა აიღეს. ყარსი კი აღიარდა დღე და ცემას მოელოდა. ამით თურქებმა დაიკავეს უდიდესი ნაწილი იმ ტერიტორიისა, რომელიც მათ ბრესტის ზავით ეთმობოდათ. ახლა მათ შემდგომი წინწაწევის შემთხვევაში უნდა გადაეღახათ 1877—1878 წლების ომამდე არსებული საზღვრის ხაზი და დაეკავებინათ ტერიტორია, რომელიც ბრესტის ზავის თანახმად რუსეთის შემადგენლობაში რჩებოდა. ამ ტერიტორიის ოკუპაციისათვის რამდენადმე „კანონიერი“ ხაზის მიცემის მიზნით 13 მარტს ტრაპიზონში რაუფ ბეიმ ამიერკავკასიის დელეგატებს გამოუცხადა, რომ ოსმალეთის მთავრობა საჭიროდ თვლის, ამიერკავკასიამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადოს<sup>301</sup>. ახლა სეიმს თურქეთზე დაყრდნობით შეეძლო გაეყვებინა ის, რაც აქამდე ხალხის შიშით ვერ გაბედა — ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთიდან მოეწყვიტა. 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და შექმნა მთავრობა ნ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით. ნ. ჩხენკელს უკვე ჰქონდა პირადი კონტაქტი დამყარებული თურქებთან. მან ოსმალებს დაუყოვნებლივ აცნობა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება და სეიმის მიერ ბრესტის ზავის მიღება და სთხოვა მოლაპარაკების განახლება, მაგრამ ამჯერად — ბათუმში.

ამრიგად, თურქებმა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის პოლიტიკის შედეგად წარმატებით განახორციელეს თავისი გეგმის პირველი ნაწილი. ვ. ი. ლენინი იმ პერიოდში წერდა, რომ გერმანიას და თურქეთს „შეეძლოთ კვლავ და კვლავ წინ წამოეწიათ ისე, რომ არაფერზე პასუხი არ გაეცათ, არაფრისათვის ყურადღება არ მიექციათ და განეცხადებინათ: ჩვენ ავიღებთ იმას, რისი აღებაც შეგვიძლია. ჩვენ არ ვარღვევთ ბრესტის ზავს, იმიტომ რომ ამიერკავკასიის არმია მას არ სცნობს, იმიტომ რომ კავკასია დამოუკიდებელია“<sup>302</sup>.

თურქების სანუკვარი ოცნება თითქოს ხორციელდებოდა. ისინი უკვე იდგნენ რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომამდე არსებული საზღვრის ხაზზე. შემდეგი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო 1829 წელს ადრიანოპოლის ზავით დაკარგული ტერიტორიის კვლავ ოსმალეთის

<sup>300</sup> იქვე

<sup>301</sup> ორცხა. ფონდი 41, საქმე 249, ფურცელი 159—166.

<sup>302</sup> ვ. ი. ლენინი, ტ. 27, 453—454.

იმპერიასთან შეერთება, რაც განამტკიცებდა ახალგაზრდა თურქეთს და კერძოდ ენვერის შერყეულ ავტორიტეტს.)

[1918 წლის გაზაფხულისათვის თურქეთი უკვე იმდენად იყო დასუსტებული, რომ მას არ შეეძლო ერთდროულად ერომა ყველგან ფრონტზე. ამიტომ კავკასიის დაპყრობის პირველი პირობა — ეს იყო ყველა სხვა ფრონტების შემდგომი გაშიშვლება და მესოპოტამიიდან, სირია-პალესტინიდან და ევროპიდან ჯარების გადაყვანა კავკასიაში. ეს შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი გარანტირებული იქნებოდა, რომ ინგლისელები მის წინააღმდეგ შეტევაზე არ გადავიდოდნენ.

ანტანტისათვის თურქეთის მდგომარეობა კარგად იყო ცნობილი. 1918 წლის 21 იანვარს ანტანტის სამხედრო წარმომადგენელთა თათბირზე მიღებულ იქნა მემორანდუმი № 12, რომელშიაც ნათქვამი იყო: „თურქეთი ამჟამად სრული მატერიალური და მორალური გამოფიტვის მდგომარეობაში იმყოფება.“ თურქეთის არმია რიცხობრივად თანდათან კლებულობდა და ამჟამად, უკეთეს შემთხვევაში, მას მხოლოდ 250.000-მდე ჯარისკაცი ჰყავს. სერიოზული შეტევას შემთხვევაში რეზერვების სრული უქონლობის გამო თურქეთის არმია კიდევ უფრო შემცირდება. ამასთან ერთად თურქეთის ჯარები გაფანტულია და აუცილებლობის გამო კიდევ უნდა იყოს გაფანტული დიდ სივრცეებზე<sup>343</sup>. „...სამხედრო წარმომადგენლები თვლიან, რომ მოკავშირეთა ძალები პალესტინასა და მესოპოტამიაში რიცხობრივად, აღჭურვილობით და მორალური განწყობილებით უკვე ახლა მნიშვნელოვნად ჭარბობენ მოწინააღმდეგეს“<sup>344</sup>.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟორჟ კლემანსო 1917 წლის 28 ნოემბერს თავის მიმართვაში მოკავშირეთა უმაღლეს სამხედრო საბჭოსადმი წერდა: „არ უნდა დავივიწყოთ იმის შესახებ, რომ თურქეთი და ავსტრია აგრეთვე შორს არ არიან სრული განადგურებისაგან“<sup>345</sup>.

თურქებმა კრიტიკული მდგომარეობის მიუხედავად 1918 წლის ზამთრის მიწურულში გააძლიერეს ჯარების გადაყვანა მესოპოტამიიდან და სირია-პალესტინიდან კავკასიაში. ამის შედეგად თურქეთის არმიებმა მესოპოტამიასა და სირია-პალესტინაში ყოველგვარი ტასი დაკარგეს.) 1918 წლის აპრილის დასასრულს სანდერსი მოხსენებაში ენვერ ფაშასადმი მე-4 არმიის რიცხობრივ შემადგენლობას

<sup>343</sup> Д. Ллойд Джордж. Даказ. ნაშრომი, ტ. V, 134.

<sup>344</sup> იქვე, 135

<sup>345</sup> იქვე, 140

ავასებდა 3400 ჯარისკაცით<sup>346</sup>. სამხრეთის ფრონტებზე ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან თურქულ ლეგიონებში იყო მხოლოდ 350—400 მებრძოლი, მე-8 არმიის თავისი სამხრეთით, 28 კილომეტრის კვეთის სექტორის დასაცავად, ჰყავდა სულ 3. 902 ჯარისკაცი<sup>347</sup>. ეს იმ დროს, როდესაც ინგლისელთა ბატალიონები 800—1000 მებრძოლისაგან შედგებოდა (თურქეთის არმიის ბატალიონებს კი, რომლებიც ინგლისელების პირისპირ იდგნენ, საშუალოდ 120—150 მებრძოლი ჰყავდათ), სანდერსის მოხსენების თანახმად ფრონტის ამ უბანზე ინგლისელები ქვეითი ნაწილებით თურქებს 3—4-ჯერ ჰარბობდნენ, ხოლო ცხენოსანი ნაწილებით—10-ჯერ. ასევე მრავალჯერ ჰარბობდნენ ინგლისელები თურქებს არტილერიით<sup>348</sup>.

1918 წლის ივნისში თურქეთის გენერალური შტაბის უფროსი გერმანელი გენერალი ფონ სექტი ლუდენდორფს აცნობებდა, რომ არმიების ჯგუფს მე-4, მე-7 და მე-8 არმიების შემადგენლობით, რომელიც პალესტინის ფრონტზე იმყოფებოდა, ეკავა 100 კილომეტრის სიგრძის ფრონტი. რამდენადაც ეს არმიები ბრძოლის უნარს მოკლებულნი იყვნენ, სანდერსი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ მათ რაიმე საბრძოლო დავალება მისცემოდათ. ენვერ ფაშას წერილზე, სადაც ის პალესტინის არმიების ჯგუფის მოქმედების შესახებ ტაქტიკურ რჩევებს იძლეოდა, სანდერსმა მეტად მკვახედ უპასუხა: „არმიების ჯგუფს სჭირდება მთავარსარდლობის განუსაზღვრელი დახმარება. ეს დახმარება წარმოადგენს: მთელი კომპანიის საფუძველს, რომლისგანაც არის დამოკიდებული, თუ ვის ხელში იქნება სირია და პალესტინა, რის შესახებაც მე სრულიად გარკვეულად უხდა განფუცხადო თქვენს აღმატებულებას<sup>349</sup>.

მანამდე კი, სანდერსის სიტყვით, არავითარ ოპერაციულ გეგმებზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება და ყველაზე მეტი, რისი იმედიც სარდლობას შეიძლება ჰქონდეს, ეს არის არსებული პოზიციების შენარჩუნება<sup>350</sup>.

ამავე დროს სანდერსი ჩივის, რომ მრავალრიცხოვანი თურქული ნაწილების გადასროლა ამიერკავკასიაში პალესტინის ფრონტის

<sup>346</sup> К. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 298.

<sup>347</sup> O. L. v. Sanders, დასახ. ნაშრომი, 279.

<sup>348</sup> იქვე.

<sup>349</sup> К. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 312.

<sup>350</sup> O. L. v. Sanders, დასახ. ნაშრომი, 243.

ბარჯზე ხდება<sup>321</sup> და გეომანიის ელჩს კონსტანტინოპოლში აცნობებს, რომ „თურქული ნაწილები, რომლებიც აქ (პალესტინის ფრონტზე—ო. გ.) იმყოფებიან. ფრონტის შეკავებას თვითონ ვერ შეძლებენ, ამიტომ უმეტეს, რომ ლაპარაკია ჯარის შენაერთებზე, რომლებიც არასაკმარის კვების გამო დასუსტდნენ და ცუდად არიან ჩაცმულ-დანურულნი“. ამასთანავე სანდერსი გეომანიის ელჩს აფროთხილებდა, რომ გეომანიის დახმარების გარეშე პალესტინის ფრონტი უახლოეს ხანში განადგურებული იქნება<sup>322</sup>.

იმავ დღეებში სანდერსმა შენიშნა: „თურქების ფართო ღონისძიებებს ამიერკავკასიაში სირიასა და პალესტინასთან ერთად მთელი არაბეთის დაკარგვა მოჰყვება“<sup>323</sup>.

ამრიგად, პალესტინის ფრონტი ფაქტიურად გაშლავებული იყო. ასევე შეიფასა პალესტინის ფრონტის მდგომარეობა მუსტაფა ქემალ ფაშამაც. ქემალ ფაშა ერთხანს კავკასიის ფრონტზე იმყოფებოდა, მაგრამ რამდენადაც ენვერის ვარაუდით კავკასიის არმიები უახლოეს დროში აღმოსავლეთის სივრცეებს დაიპყრობდნენ და თურქებს შექმნიდნენ, ენვერმა თავისი პირადი მტერი და მოქიშპე მუსტაფა ქემალი კავკასიიდან პალესტინის ფრონტზე გადაიყვანა, სადაც თურქეთის იარაღისათვის არავითარი წარმატება არ იყო მოსალოდნელი. პალესტინის ფრონტზე ქემალი მე-7 არმიის სარდლად დაინიშნა. როდესაც ქემალს ეს აცნობეს, მან წამოიძახა: „იმისდამიხედვით, რაც მე ვიცი, არმია, ძალები და პოზიციები სირიაში მხოლოდ ნომინალურად არსებობენ“<sup>324</sup>.

შექმნილ ვითარებაში ინგლისელთა ინერტულობა და სრული უმოქმედობა გარკვეულ ეჭვებს გამოიწვევდა. უპირველეს ყოვლისა, მათ მოკავშირეთა შორის, განსაკუთრებით კი ფრანგებში. ბუნებრივად დაისმებოდა კითხვა, თუ რად სჭირდება ინგლისს ასეთი მრავალრიცხოვანი ჯარები იქ, სადაც ბრძოლები არ წარმოებს. ამიტომ ინგლისელები ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ თითქოს სირია-პალესტინასა და მესოპოტამიაში მძიმე ბრძოლებია. ისინი იწყებენ შეტევას. იღებენ იერიშით ამა თუ იმ პუნქტს და შემდეგ... ისევ სტოვებენ მას, რათა რამდენიმე ხნის შემდეგ ამ პუნქტზე კვლავ მიიტანონ იერიში. ის, თუ როგორ „შეტევენ“ ახორციელებდნენ ინგლისელები, კარგად ჩანს მათ მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ მდინარე

<sup>321</sup> K. MOULMAN, დასახ. ნაშრომი, 298.

<sup>322</sup> იქვე, 301.

<sup>323</sup> O. L. v. Sanders, დასახ. ნაშრომი, 232.

<sup>324</sup> Revue des Etudes Islamiques, Cahier II, Paris, 1927, Les souvenirs du Gazi Mustafa Kemal Pacha, 166.

იორდანის გასწვრივ გაშლილი ოპერაციებიდან. 1918 წლის 26 მარტს ინგლისელებმა იორდანი გადალახეს და ამანის მიმართულებით წინ-წაწევა დაიწყეს. მაგრამ... უკუტყეულნი იქნენ თურქების მიერ. თურქებს კი იმდენი ძალაც არ აღმოაჩნდათ, რომ ოღნავად მაინც აღეშინებოდნენ უკუტყეულ ბერს<sup>355</sup>.

ასეთივე „შეტევებს“ ჰქონდა ადგილი თურქების მე-4 არმიის წინააღმდეგ ტელ-ნიმრის სიმაღლეების მიმართულებით.

როგორც ვხედავთ, თურქები ყოველგვარი ყოყმანის გარეშე აშიშვლებდნენ თავის ფრონტებს არაბეთში. ისმება კითხვა, თუ რისი იმედი ჰქონდათ თურქებს. ერთი კი ცხადია — ინგლისელთა შემოტევის მათ არ ეშინოდათ, მეტიც, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ინგლისელები სირია-პალესტინის ფრონტზე იორდანს, ხოლო მესობოტამიაში ბაღდადს არ გამოსცილდებიან. მაგრამ ჯერჯერობით შეუძლებელია იმის თქმა, თუ როდის და როგორი სახით მიიღეს თურქებმა სათანადო გარანტიები ინგლისელებისაგან. თუ 1917 წლის ნოემბრამდე თურქები კავკასიის ფრონტს ერთგვარ პრიორიტეტს ანიჭებდნენ არაბეთის ფრონტებთან შედარებით, 1917 წლის ნოემბრის შემდეგ არაბეთის ფრონტებს ისინი მთლიანად აშიშვლებენ და მთელი თავისი ბრძოლისუნარიანი დივიზიები კავკასიაში გადაჰყავდათ. კავკასიაში გადაჰყავდათ აგრეთვე უკანასკნელი თურქული შენაერთები ევროპიდან. ეს გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ თურქებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ინგლისი გარკვეულად დაინტერესებულია ოსმალეთის მიერ ამიერკავკასიის მიმართულებით წარმოებულ ფართო მასშტაბის სამხედრო ოპერაციებში. ამ საკითხზე სათანადო კონტაქტი თურქებსა და ინგლისელებს შორის შესაძლებელია დამყარდა იმ სეპარატიულ მოლაპარაკებათა დროს, რომელიც ანტანტსა და თურქეთს შორის განსაკუთრებული ინტენსივობით ომის უკანასკნელ ეტაპებზე წარმოებდა.

თუ 1918 წლის გაზაფხულზე სირია-პალესტინასა და მესობოტამიაში ყოველ თურქულ არმიაში ჯარისკაცთა რაოდენობა 4000—5000 არ აღემატებოდა, კავკასიის ფრონტზე არა თუ არმიაში, არამედ დივიზიაში ჯარისკაცთა რაოდენობა 9000 აღწევდა<sup>356</sup>.

არაბეთის ფრონტებზე მხოლოდ დივიზიის ნომერი რჩებოდა, ჯარისკაცები კი იარაღითურთ კავკასიაში გადაჰყავდათ. იმ ოფიცერს, რომელიც სხვა ფრონტებიდან კავკასიის საომარ ასპარეზზე გადასვლის სურვილს განაცხადებდა, ენვერი ორმაგ ჯამაგირს და სამხედრო წოდების სწრაფ მომატებას პირდებოდა. ამ დაპირებებმა მოზიბლა თურქი ოფიცრობა, მით უმეტეს, რომ სხვა ფრონტებზე

<sup>355</sup> O. L. v. Sanders, დასახ. ნაშრომი, 248.

<sup>356</sup> O. L. v. Sanders, დასახ. ნაშრომი, 297.

ისინი წესიერად კუთვნილ ჯამაგირსაც კი ვერ იღებდნენ. ამრიგად, პარადოქსალური მდგომარეობა იქმნებოდა — ოფიცრებს პირდებთან ორმავე ჯამაგირს და წოდებების სწრაფ მომატებას, თუ არა ჩვენთვის მედ ფრონტებიდან იმ ფრონტზე გადავიდოდნენ, სადაც უფრო მეტი ლურად დაზავების მდგომარეობა იყო. თურქების ასეთი „ზრუნვა“ დაზავებული ფრონტებისადმი მათ მოკავშირეთა შორისაც ირონიულ დამოკიდებულებას იწვევდა: — „ეს იყო, შეიძლება ითქვას, ერთად-ერთი შემთხვევა ომების ისტორიაში“. ამბობდა სანდერსი, თუმცა აღმოჩნდა, რომ გერმანიის სარდლობაც არა ნაკლებ ინტერესს იჩენდა ამ „დაზავებული ფრონტისადმი“.

როდესაც თურქეთის არმიამ 1918 წლის 26 მარტს 1914 წლის რუსეთ-თურქეთის საზღვრის ზახი გადალახა, ვეპიბ ფაშას განკარგულებაში იყო კავკასიის 1-ლი საარმიო კორპუსი 59-ე და 36-ე დივიზიების შემადგენლობით, რომლებიც სარიყამიშის მიმართულებით მოქმედებდნენ. ბათუმის მიმართულებით მოქმედებდა მე-6 საარმიო კორპუსი მე-10 და 37-ე დივიზიების შემადგენლობით. მე-4 საარმიო კორპუსი მოქმედებდა კალიზმანის მიმართულებით, ხოლო მე-11 დივიზია რეზერვირებული იყო ქ. არზრუმში<sup>367</sup>. ამასთანავე, თურქეთმა ევროპიდან კავკასიაში გადაიყვანა მე-15 დივიზია. ეს იყო უკანასკნელი თურქული დივიზია, რომელიც კიდევ რჩებოდა ევროპის საომარ ასპარეზზე და თურქეთში მოქმედ დივიზიებთან შედარებით ბევრად უფრო კარგად იყო გაწვრთნილი და აღჭურვილი.

ამიერკავკასიისკენ ლაშქრობის დაწყებასთან ერთად ოსმალეთმა ამოქმედა მთელი თავისი აგენტურა, რომელიც მას რუსეთის ტერიტორიაზე ჰყავდა, და რომელსაც თურქები „ფარულ ენერჯიას“ უწოდებდნენ.

ეს ე. წ. „ფარული ენერჯია“ ამიერკავკასიაშიც ამოქმედდა. როგორც კი თურქეთის არმია შეტევაზე გადავიდა. რუსეთის მუსლიმანებით დასახლებულ რაიონებში ოსმალეთის ემისრები ირეგულარული ნაწილების შექმნას შეეცადნენ იმ ვარაუდით, რომ ამ ნაწილებს თურქეთის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შეიყვანდნენ. თურქებს იმედი ჰქონდათ, რომ კავკასიის მუსლიმანებში ისინი 300.000 მებრძოლს შეაგროვებდნენ. ამ „ფარულ ენერჯიას“ ყარსის ოლქში ოსმალეთის რეგულარული ნაწილების შემოსვლის წინ „ფურგონებით მიჰქონდა იარაღი არტაანსა და ოლთისში მუსლიმანი მოსახლეობისათვის დასარიცხვლად<sup>368</sup>, ერევნის მხრისკენ ანგრევდა რკინიგზებს და წყვეტდა მოძრაობას შარაგზეზე<sup>369</sup>. შვე-

<sup>367</sup> M. Larcher. დასაბ. ნაშრომი, 419.

<sup>368</sup> ორცხა. ფონდი 8, საქმე 41, ფურცელი 182.

<sup>369</sup> ორცხა. ფონდი 8, საქმე 41, ფურცელი 179.

ზღვის სანაპიროებზე ტრაპიზონიდან, ვიდრე აფხაზეთამდე გადაჰქონდა იარაღი იალქნინანი ხომალდებითა და ნავეებით<sup>201</sup>.

ომის პერიოდში ოსმალეთის ჯარების შესახვედრად მწადემა მესხეთშიც წარმოებდა. აქ ომარ ეფენდისთან და გუდრევთან ერთად მოქმედებდნენ ახალციხის, ახალქალაქისა და ფოცხოვის მუსლიმანების უმაღლესი სასულიერო პირი ვინმე ალი ეფენდი ეფენდიევი, ასევე ოსმალეთის დაზვერვის რეზიდენტი გუდრევია და მისი თანამოაზრეების დახმარებით ახალციხეში სამუშაოდ მოეწყო „ექიმი“ ლორთქიფანიძე, სინამდვილეში ოსმალეთის გენერალური შტაბის ოფიცერი. სამაზრო აგრონომად მუშაობდა ზია ბეგი ავალიშვილი. სამაზრო ექიმად აზიზბეკ კილიმბეკოვი — ორივე თურქეთის ჯარში იყო, აწყურის ბოქალური იყო ინგუში მუსაკიევი. ასევე თურქეთის დაზვერვის თანამშრომელი. ახალციხის მაზრის „ფარული ენერგის“ ხელმძღვანელთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ აგრეთვე ომერ ფაიქი — „მასწავლებელი“ სოფელ აწყურიდან. მას ჰყავდა მზვერავთა მთელი შტატი 40 კაცის შემადგენლობით, რომლებიც მის „მოწაფეებად“ ითვლებოდნენ. ომერ ფაიქი ისევე როგორც ახალციხეში ხე-ტყის სახერხი ქარხნის მფლობელი ომარ ეფენდი ნემან ზადე „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრები იყვნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდა თურქთა რევოლუციოში. ამ პირთა მოქმედების შესახებ არსებობს საკმაო და უტყუარი ცნობები. კავკასიის სამხედრო ოლქის კონტრაზვერვის განყოფილების უფროსი 1918 წლის 17 იანვარს კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს აწერს: „ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მუსლიმანურ სოფლებში ადგილობრივი მოსახლეობის წვრთნა სამხედრო მწყობრსა და სროლაში გაძლიერებული ტემპით წარმოებს. ინსტრუქტორებად უმთავრესად ტყვეობიდან გამოქცეული თურქი ოფიცრები და ჯარისკაცები გვევლინებიან. თუ რამდენად ძლიერია ომარ ეფენდის გავლენა, ამაზე მიგვიჩივებს ის გაოქმობა, რომ მის გამოჩენისას ყველა, ვინც სოფლად სამხედრო მომზადებას გადის, მას სამხედრო სალაშს აძლევს და ხმამალა ესალმება, რუსეთის ჯარის უკანდახევასა და ფრონტის გაწიშვლებათან დაკავშირებით ომარ ეფენდი ნემან ზადემ და როტმისტრმა გუდრევმა, რომლებიც აქამად ახალციხეში იმყოფებიან, თურქეთის სასარგებლოდ აქტიური გამოავლისათვის არსებული მომენტი ხელაყრელად ჩათვა-

<sup>201</sup> ორცა, ფონდი 41, საქმე 249, ფურცელი 91.

ლეს. მათი უახლოესი ამოცანაა რუსეთის არმიების ზურგში მტკიცე სამხედრო ძალის შექმნა; ამ მიზნით ისინი მუსლიმანური მრასალეობის სამხედრო სწავლებასა და ლეგიონების ჩამოყალიბებას უწოდებენ“<sup>362</sup>.

ოსმალების მიერ შექმნილმა ბანდებმა თავდასხმები დაიწყეს ყარსთან, არტანთან, ბათუმთან და ახალციხის რაიონში. ამ უკანასკნელ ბანდებს სათავეში ჩაუდგნენ ომერ ფაიქი. გუდიევი. მუსაკიევი და ომარ ეფენდი ნემან ზადე<sup>363</sup>.

პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ „ფარული ენერჯის“ დამცველად და ქომაგად ინგლისი მოგვევლინა. ამიერკავკასიაში ეს გამოიხატა ინგლისელთა მფარველობითა და ხელისშეწყობით სერვერ ბეგის „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობის“ შექმნასა და დახმარებაში, რომელსაც ისინი თურქისტებს უწევდნენ. ასეთივე პირდაპირ დახმარებასა და მფარველობას უწევდნენ ინგლისელები თურქისტულ ჯგუფებს რუსეთის სხვა ადგილებშიც<sup>364</sup>.

ოსმალეთის ჯარი 1914 წლის რუსეთ-თურქეთის საზღვართან არ შეჩერებულა და დაუყოვნებლივ დაიწყო ოზურგეთის, ახალციხე-აბაქალაქისა და ალექსანდროპოლის მიმართულებით წინსვლა. რამდენადაც ოზურგეთის მაზრა 1829 წელს აღრიანობოლის ზავით დაღვენილი თურქეთის სახელმწიფო საზღვრების გარეთ იმყოფებოდა, ვეპიბ ფაშამ განაცხადა, რომ ამ რაიონს ოსმალები დატოვებენ, მაგრამ იმ პირობით, თუ ბათუმის მოლაპარაკება ოსმალებისათვის სასურველ შედეგს გამოიღებს<sup>365</sup>. ბათუმში თურქების მიერ წამოყენებული მოთხოვნები ამიერკავკასიის სრულ ოკუპაციას მოასწავებდა. ეს მოულოდნელი არც სეიმისათვის უნდა ყოფილიყო, ვინაიდან სეიმის წევრები თვითონვე აღიარებდნენ, რომ „დამოუკიდებლობის გამოცხადება ისეთ პირობებში, რომელშიც ამჟამად ამიერკავკასია იმყოფება — ეს არის ამიერკავკასიის თურქეთის სრულ მონობაში გადასვლა“<sup>366</sup>.

28 აპრილს ვეპიბ ფაშამ ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჩხენკელს აცნობა, რომ ოსმალეთი თანახმაა აწარმოოს

<sup>362</sup> ორცა. ფონდი 57, საქმე 1, ფურცელ 57; ფონდი 12, საქმე 185, ფურცელი 34,37; ფონდი 13, საქმე 115, ფურცელი 3, 6, 7.

<sup>363</sup> ზემომოყვანილი ცნობების ნაწილი ჩვენს მიერ შეგროვებულია ახალციხის, აბაქალაქის, ასპინძისა და ადიგენის რაიონებში მგზავრობის დროს.

<sup>364</sup> Z. V. Toğan, დასახ. ნაშრომი, 276.

<sup>365</sup> Документы и материалы, 261.

<sup>366</sup> იქვე, 209.

მოლაპარაკება ბათუმში. ამასთანავე ვეპიბ ფაშა იტყობინებოდა, რომ ოსმალეთის დელეგაციასთან ერთად ბათუმს ჩრდილო კავკასიის დელეგაციაც ეწვევა. ჩრდილო კავკასიის დელეგაციის მიზანს ვითომც ამიერკავკასიასთან ჩრდილო კავკასიის გაერთიანება წარმოადგენდა<sup>367</sup>. სინამდვილეში ოსმალეთს უნდოდა ამიერკავკასიის ოკუპაციის საკითხის გადაწყვეტასთან ერთად ჩრდილო კავკასიის ოკუპაციის საკითხიც გადაეწყვიტა. ამ მიზნით თურქეთმა გერმანიის თანხმობითა და დახმარებით<sup>368</sup> გამოიყენა რამდენიმე მთიელი ჰაიდარ ბეგ ბამატის მეთაურობით, რომელიც ჰალილ ბეიმ კონსტანტინოპოლიდან ჩამოიყვანა. ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდა ჩრდილო-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება და თვითმარქვია მთავრობის შექმნა, რომელმაც 1918 წლის 13 მაისს ამიერკავკასიის მთავრობას ჩრდილო კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება აცნობა<sup>369</sup>. საბჭოთა მთავრობამ გერმანიის ელჩის მოსკოვში მირზახანის სახელზე გადაცემულ ნოტაში ამხილა ჩრდილო კავკასიისა და დაღესტნის მთავრობა, როგორც უზურპატორთა მცირე ჯგუფი, რომელთაც ფართო მასების ნება-სურვილი დთორგუნეს, მასებისა, რომელთაც სურთ ჰქონდეთ რუსეთის ფედერაციასთან ურღვევი კავშირი<sup>370</sup>.

✓ თურქებმა იცოდნენ, რომ ამიერკავკასიის ოკუპაციის საკითხის გადაწყვეტისას ისინი გერმანელების წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ, რომლებიც ასევე პრაქტიკულად სვამდნენ თავისი ჯარებით ამიერკავკასიის ოკუპაციის საკითხს. მაგრამ თურქებს თავისი თავი ამიერკავკასიის პატრონად მიაჩნდათ<sup>371</sup>, ამიტომ ოსმალებმა ბათუმის კონფერენციას ბევრად უფრო დიდი ყურადღება დაუთმეს, ვიდრე ტრაპიზონის კონფერენციას. ოსმალთა დელეგაციას ბათუმის კონფერენციაზე რაუფ ბეის მაგივრად, რომელსაც თურქეთში არავითარი პოლიტიკური წონა არ ჰქონდა, მეთაურობდა ჰალილ ბეი, ახალგაზრდა თურქთა ერთ-ერთი ლიდერი. დელეგაციაში აგრეთვე შედიოდნენ: ვეპიბ ფაშა, მუჰთარ ბეი — ოსმალეთის მთავრობის მდივნის თანაშემწე, ნუსრეთ ბეი — მთავრობის იურისკონსულტთა ბიუროს დირექტორი, ორჰან ბეი — პირველი დიპლომატიური მდივანი, ნიჰან-მედინ ბეი — დიპლომატიური მდივანი, თევქიფ სალიმ ბეი — კავკასიის ფრონტის სანიტარული სამსახურის უფროსი, იუსულ ბეი —

<sup>367</sup> ორცხა. ფონდი 41, საქმე 249, ფურცელი 215.

<sup>368</sup> ორცხა. ფონდი 13, საქმე 26, ფურცელი 87.

<sup>369</sup> ორცხა. ფონდი 13, საქმე 26, ფურცელი 92.

<sup>370</sup> ორცხა. ფონდი 13, საქმე 26, ფურცელი 92.

<sup>370a</sup> Д. Енукидзе, Крах, империалистической интервенции в Закавказье, Тбилиси, 1954, стр. 49.

მე-ნ საარმით კორპუსის შტაბის უფროსი, სადიქ ბეი—~~თამაზაძე~~  
გენერალური შტაბის ოფიცერი.

ამ დროისათვის გერმანელებმა ხელში ჩაიგდეს უკრაინა და ჯერ  
წევდნენ წინ ჩრდილო კავკასიის მიმართულებით. მაისის დასაწყის-  
ისათვის მათ როსტოვამდე მიალწიეს. მათ ხელში იყო აგოეთვე  
ყირიმი. ამიერკავკასიაში კი გერმანიას მეტოქეობას თურქეთი უწევ-  
და. ვინაიდან გერმანიამ ვერ შეძლო თურქების მთელი ყურადღება  
არაბეთის ფრონტებისადმი მიეპყრო, ახლა მისთვის აუცილებელი  
ყო თურქების მოქმედების მიმართ ამიერკავკასიაში კონტროლუ  
დაეწესებინა და არ დაეშვა თავისი ინტერესების შელახვა. ამიტომ  
გერმანიას არ სურდა, რომ ბათუმის კონფერენციაზე ამიერკავკა-  
სიის დელეგატები პაილ ბეის პირისპირ დაჩენილიყვნენ, მით  
უმეტეს, რომ თურქეთის არმიები წინსვლას განაგრძობდნენ. გერმა-  
ნიის სამხედრო რწმუნებული კონსტანტინოპოლში ფონ ლოსოვი  
ინიშნება გერმანიის წარმომადგენლად ბათუმის კონფერენციაზე.  
ფონ ლოსოვმა დავალება მიიღო დაეჩქარებინა კონფერენციის მუ-  
შაობა, რომ გერმანიას საშუალება ჰქონოდა, რაც შეიძლება სწრაფად  
და ხელშეუშლელად შედგომოდა კავკასიის ბუნებრივი რესურსების  
ექსპლოატაციას, ლუდენდორფს იმედი ჰქონდა, რომ ის თურქეთის  
არმიებს ამიერკავკასიის მხრიდან აღმოსავლეთში დაპყრობათა გან-  
სახორციელებლად გამოიყენებდა. ამ მხრივ ამიერკავკასია და უკ-  
რაინა გერმანელებისათვის ერთ მთლიან საკითხს წარმოადგენდა. გერ-  
მანიის აღმოსავლეთის არმიის სარდალი გენერალი ფონ კრაუსი თავის  
ანგარიშში წერდა, რომ „გერმანიას სურს თავისთვის დაიმკვიდ-  
როს მესოპოტამიასა და არაბეთისაკენ მიმავალი ყველაზე უფრო  
უშიშარი გზა, რომელიც ბაქოსა და სპარსეთზე გადის. ეს შესაძლებ-  
ლობა გერმანელებისათვის განსაკუთრებით მომზიბვლელია ახლა,  
როდესაც მათ უკრაინის ოკუპაცია მოახდინეს“<sup>371</sup>. ამავე საკითხს  
უხება ლუდენდორფი დებეშაში, რომელიც მან ბათუმში მყოფ ფონ  
ლოსოვს გაუგზავნა. „ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ, — ვკითხულობთ  
დებეშაში. — იქითკენ, რომ, მიიღებს რა აზერბაიჯანს, თურქეთი  
კასპიის ზღვასთან გამაგრდეს. ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს თურ-  
ქეთისა და მასთან დაკავშირებული ამიერკავკასიის ფედერაციის  
დახმარებით შევექმნათ ბაზა, რომელზედაც დაყრდნობით და ავღ-  
ნეთთან თანამშრომლობით დავემუქროთ ინგლისის ბატონობას ინ-  
დოეთში“<sup>372</sup>.

) ამასთანავე გერმანია ცდილობს თავისი გავლენა გააძლიეროს

<sup>371</sup> Разгром немецких захватчиков в 1918 г. Сборник материалов и документов. Москва, 1943, 247.

<sup>372</sup> К. Мольман, დასაბ. ნაშრომი, 268.

ამიერკავკასიასთან უშუალო კავშირის მეოხებით. <sup>v</sup> რაც, ლუდენ-  
დორფის სიტყვით, გერმანელებს საშუალებას მისცემდა „კავკასიის  
ნედლეულს თურქეთისაგან დამოუკიდებლად მისწვდომოდნენ და გავ-  
ლენა მოეპოვებინათ თბილისზე გამავალი რკინიგზების ექსპლოატა-  
ციასზე“<sup>373</sup>. ამ მიზნით თბილისში გერმანიის წარმომადგენლად და-  
ინიშნა პოლკოვნიკი ფონ კრესი, რომელიც მანამდე პალესტინაში  
თურქეთის არმიას სარდლობდა. კერძო საუბრის დროს ლუდენ-  
დორფმა ფონ კრესს დაავალა, რომ ამ უკანასკნელს ყველაფერი გაფ-  
ეთებინა. ოთხ კავკასიის სამეურნეო რესურსები გერმანიის სამხე-  
დრო მეურნეობისათვის მისაწვდომი გამხდარიყო და ამავე დროს  
ინგლისელებს წინააღმდეგ ინდოეთში გამოსაყენებლად კავკასიელ-  
თა სამხედრო ძალებიდან არმიის შექმნა ეცადა<sup>374</sup>.

ფონ კრესმა და ფონ ლოსოვმა კატეგორიულად მოითხოვეს, რომ  
გერმანიის გაეძლიერებინა თავისი სამხედრო ძალები ამიერკავკასი-  
აში, რამდენადაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი აზრით, არც თურ-  
ქეთი და არც ამიერკავკასია გერმანიას ანგარიშს არ გაუწევდნენ.  
გერმანელებმა საქართველოში გადაიყვანეს 2 ბატალიონი ყირიმ-  
დან, დაახლოებით 1000 ჯარისკაცის შემადგენლობით. ამავე დროს  
მათ თურქეთის მაგალითის მიხედვით პალესტინის ფრონტის გაშიშვ-  
ლება დაიწყეს, საიდანაც ბათუმში გადაისროლეს მე-11 გერმანუ-  
ლი შრომელთა ბატალიონი, რომელიც მანამდე სანდერსის განკარ-  
გულებაში იმყოფებოდა. ეს ბატალიონი დაახლოებით 800 მებრძო-  
ლისაგან შედგებოდა. შეიარაღებული იყო მრავალი ტყვიამფრტყე-  
ვით, შესანიშნავად იყო გაწვრთნილი და წარმოდგენდა პალესტინ-  
ის ფრონტის უმაღლესი ხარისხის საბრძოლო ელემენტს<sup>375</sup>. გარდა  
ამისა, გერმანიამ ამიერკავკასიაში სამხედრო ძალები გადაიყვანა  
აღმოსავლეთის ფრონტიდან და შეიარაღა გერმანელი ტყვე ჯარის-  
კაცები და გერმანელი კოლონისტები.

ბათუმის კონფერენციამ თურქეთ-გერმანიის ურთიერთობა კიდევ  
უფრო გამძწავა. 25 მაისს ლუდენდორფმა ფონ სექტს აცნობა.  
„თუ თურქეთის მთავრობა თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ  
მისწრაფებათა სხვა მიმართულებით წარმართვის გამო არ დაიცავს  
საკუთარ ტერიტორიას (ლაპარაკია სირია-მესოპოტამიასზე — ო. გ.) და  
საძნელეებს შეგვიქმნის კავკასიაში, საიდანაც ჩვენ ინგლისელებს  
შეგვიძლია დავარტყათ, მას არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ  
ჩვენა ხარჯზე მას ტერიტორიას დავუბრუნებთ“<sup>376</sup>.

<sup>373</sup> Э. Людендорф, *დასახ. ნაშრომი*, ტ. II, 188.

<sup>374</sup> К. Мюльман, *დასახ. ნაშრომი*, 269.

<sup>375</sup> O. L. v. Sanders, *დასახ. ნაშრომი*, 275.

<sup>376</sup> К. Мюльман, *დასახ. ნაშრომი*, 271.

თურქეთმა კონფერენციის გახსნისთანავე ახალი მოთხოვნები წამოაყენა. უპირველეს ყოვლისა, ოსმალეთმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა ის ფაქტი, რომ ამიერკავკასიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამასთან დაკავშირებით თურქებმა განაცხადეს, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება არ შეიძლება იყოს ბათუმის მოლაპარაკების საფუძველი, უინაიდან ამიერკავკასია არ არის ამ ხელშეკრულების მონაწილე და მან ტრაპიზონში შეწყვიტა თურქეთთან მოლაპარაკება, რის შედეგადაც თურქეთსა და ამიერკავკასიას შორის ომის მდგომარეობა შეიქმნა. ამიტომ, თურქების სიტყვით, ოსმალეთის იმპერიას ნება აქვს ამიერკავკასიას სრულიად ახალი მოთხოვნები წაუყენოს. ეს მოთხოვნები იყო: ახალციხის, ახალქალაქის, ალექსანდროპოლის, სურმალინის, ნახიჭევანისა და ჯულფის თურქეთისათვის გადაცემა და ამიერკავკასიის რკინიგზებზე თურქეთის კონტროლის დაწესება. ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში თურქების ხელში გადადიოდა სომხეთის ტერიტორიის სამი მეოთხედი, საქართველოს კი რჩებოდა ტერიტორიის ვიწრო ზოლი კავკასიონის ქედსა და აჭარა-მესხეთისა და თრიალეთის ქედებს შორის და ესეც ფაქტიურად თურქეთის ოკუპაციის ქვეშ უნდა ყოფილიყო.

თურქებმა, უპირველეს ყოვლისა, ჯულფა-ალექსანდროპოლის რკინიგზის ხაზი მოითხოვეს. ამ მოთხოვნას თურქები ასაბუთებდნენ იმით, რომ ვითომც მათ დახმარება უნდა გაეწიათ მესოპოტამიაში მყოფ თავის მე-6 არმიისათვის და ინგლისელებთან ბრძოლა ეწარმოებინათ ირანში. სინამდვილეში არც ინგლისელები და არც მე-6 არმია აქ არაფერ შუაში არ იყვნენ, ვინაიდან ხმ დროს გერმანია-თურქეთის წინააღმდეგობის მთავარი საკითხი სწორედ ის იყო, რომ თურქებს არ სურდათ არაბეთის ფრონტებზე აქტიური საშხედრო მოქმედების წარმოება, რის გამოც ისინი ასუსტებდნენ არა მარტო სირია-პალესტინის, არამედ მესოპოტამიის არმიასაც. სამაგიეროდ მზადდებოდა ახალი არმიების შექმნა ამიერკავკასიაში, კერძოდ „ისლამის არმიისა“, რომელიც განჯის რაიონში უნდა შემდგარიყო და შემდეგ ბაქოსა და პეტროვსკზე<sup>277</sup> გავლით ვოლგისპირეთი დაეპყრო. ამიერკავკასიის შემდეგ „ისლამის არმიისათვის“ საომარი მოქმედების პირველი ეტაპი ჩრდილო-კავკასია უნდა ყოფილიყო ყუბანისა და მდინარე კუმის მიდამოების ჩათვლით. სათანადო პოლიტიკური მომზადება უკვე ჩატარებული იყო და ჩრდილო-კავკასიისა და დაღესტნის „მთავრობა“ ბათუმის კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა. ახლა „ისლამის არმიის“ პრაქტიკულად შექმნის საკითხი იდგა. საამისოდ განკუთვნილი იყო ოსმალეთის კავკასიის მე-5

<sup>277</sup> ამჟამად მახაჩყალა.

დივიზია, რომელიც „ისლამის არმიის“ ბირთვი იქნებოდა. მესამე დივიზიის და მომავალი „ისლამის არმიის“ მეთაურად ენვერ ფაშა უმცროსი ძმა ნური ფაშა დაინიშნა, რომელიც მანამდე ტრამპოლინი იმყოფებოდა. ენვერ ფაშამ კავკასიის ფრონტზე სხვა თავისი საგვებიც გადაიყვანა. მაგალითად, მესოპოტამიიდან ბიძა ჰალილ ფაშა ჩაიყვანა.

1918 წლის 15 მაისს თურქებმა საომარი მოქმედება განაახლეს და ალექსანდროპოლი დაიკავეს, თუმცა ამიერკავკასიის სეიმი თურქეთის ჯარების ამიერკავკასიის რკინიგზებით გადაყვანის წინააღმდეგი არ იყო<sup>378</sup>.

ქ. ალექსანდროპოლისა და ჯულფა-ალექსანდროპოლის რკინიგზის ნაზის დაკავების შემდეგ თბილისის ხელში ჩაგდების მიზნით თურქებმა საკმაოდ დიდი ძალებით ლორეს მიმართულებით დაიწყეს წინსვლა.<sup>379</sup>

გერმანიის წარმომადგენლის ბათუმში ჩასვლას გერმანიისთვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. თურქები ხშირად გერმანელებთან შეუთანხმებლად მოქმედებდნენ, რაც ამ უკანასკნელთა შორის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. თურქეთიც და გერმანიაც ბაქოს უმიზნებდნენ და გერმანელებს საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი ჰქონდათ, რომ თურქეთი კავკასიაში თავისი ძალების სიჭარბით ისარგებლებდა და სიმდიდრის ძირითად ნაწილს ხელში ჩაიგდებდა. გენერალმა ფონ ლოსოვმა, რომელიც ბათუმის კონფერენციიდან მოხსენებისათვის ბერლინში ბრუნდებოდა, თურქეთში ავსტრია-უნგრეთის სამხედრო მისიის მეთაურ ეოზეფ პომიანკოვსკისთან საუბარში განაცხადა, რომ „თურქებს მთელი ამიერკავკასიის და კერძოდ ბაქოს ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდება სურდათ. მაგრამ თურქეთს არა აქვს არავითარი უნარი უხელმძღვანელოს ტერიტორიებს და ნავთობის საბადოების ექსპლოატაცია აწარმოოს. თურქეთის მიერ ნავთობის საბადოების ექსპლოატაციის შედეგი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ თვით თურქები და კიდევ ვინმე ფაშებიდან გამდიდრდება, ხოლო ყველაფერი დანარჩენი დასალუპად იქნება განწირული, რასაც გერმანია ვერ დაუშვებს.“<sup>380</sup>

გერმანიის წინადადებად, რომ მას თურქეთსა და ამიერკავკასიის შორის მოლაპარაკების დროს „კეთილი სამსახურის“ მისია ეკისრა, რაიმე არსებითი ნაყოფი არ გამოიღო. თურქეთი კავკასიის საკითხში განაგრძობდა თავისი პრიორიტეტისათვის ბრძოლას. გერმანია-

<sup>378</sup> ორცხა. ფონდი 13, საქმე 26, ფურცელი 65—67.

<sup>379</sup> Документы и материалы. 302

<sup>380</sup> Joseph Pomiankowski. Der Zusammenbruch des Ottomanischen Reiches. Zürich - Leipzig - Wien, 1928, 362.

თურქეთის ურთიერთობის გამწვავებია ერთ-ერთ გამოხატულებად წარმოადგენდა ამიერკავკასიის საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებად დაშლა. 1918 წლის 26 მაისს, ერთდგობა თურქები უკვე კარაკლისთან იდგნენ, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის საკითხში კარგად ჩანდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის არსებული ორი ორიენტაცია: გერმანული და თურქული და ასახავდა ამ ორ მოკავშირეს შორის არსებულ წინააღმდეგობებს. ასე შეაფასეს ეს ფაქტი გერმანიისა და თურქეთის მოკავშირეებმაც. ასე, მაგალითად, შემოხსენებული ე. პომიანკოვსკი წერს: „26 მაისს თბილისის საბჭოს ღია ფანჯრიდან გრაფმა შულენბურგმა კრესის დავალებით საქართველო გამოაცხადა დამოუკიდებელ რესპუბლიკად, რომელიც გერმანიის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება.“<sup>281</sup>

ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლით, უპირველეს ყოვლისა, გერმანიამ ისარგებლა, რათა ამიერკავკასიის რკინიგზები ჩაეგდო ხელში და ამით თურქების მოქმედებისათვის კავკასიაში კონტროლი გაეწია. ენვერ ფაშა კი თვლიდა, რომ რამდენადაც თურქეთმა გერმანიას ბრესტ-ლიტოვსკში პოლონეთის, ბალტიისპირეთის და უკრაინის მიმართ მოქმედების თავისუფლება მისცა, გერმანია ასევე უნდა მოიქცეს თურქეთის მიმართ კავკასიის საკითხში და ხელი შეუწყოს იქ თურქეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ დამკვიდრებას. ამასთანავე ენვერი აუცილებელ პირობად თურქეთისათვის ბაქოს ნავთობის გადაცემას აყენებდა. ენვერი დარწმუნებული იყო, რომ გერმანიასთან ურთიერთობის უკიდურესობამდე გამწვავების შემთხვევაშიც კი, გერმანია ისეთ კრიტიკულ მომენტში, როგორსაც მისთვის 1918 წლის გაზაფხული წარმოადგენდა, ვერ გაბედავდა ვერც ამკარა კონფლიქტის დაწყებას თურქეთთან და ვერც ენვერს შეელოდა, რომელსაც სხვებზე მეტად ენდობოდა.

გერმანიამ გადაწყვიტა თურქეთი მომხდარი ფაქტის წინაშე დაეყენებინა და 28 მაისს ფოთში გერმანიასა და მენშევიკურ მთავრობას შორის დაიდო დროებითი ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველოს რკინიგზები გერმანიის განკარგულებაში გადადიოდა.

ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლას მოვლენების მსვლელობა არ შეუცვლია. თურქეთმა 26 მაისს ულტიმატუმით მოითხოვა ბათუმში წამოყენებული პირობების მიღება. თურქები როგორც გერმანელებთან, ისე ამიერკავკასიის დელეგატებთან შეხვედრების დროს გამუდმებით აღნიშნავდნენ, რომ ამიერკავკასიაში მათი ამოცანაა რევოლუციისთან ბრძოლა და, უპირველეს ყოვლისა, ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების მოსპობა. სწორედ ამ გარემოებას უსვამ-

<sup>281</sup> Joseph Pomiankowski, დასახ. ნაშრომი, 361.

და ნახს ულტიმატუმის ტექსტი, რომელიც აგებული იყო თურქულ-თურანისტულ მოტივებზე, ულტიმატუმში აღნიშნული იყო, რომ ოსმალეთის იმპერია გულდამშვიდებით ვერ უყურებს, თუ რა ხდება კავკასიაში, რომლის მოსახლეობა „რასობრივად და რელიგიურად“ ახლოს დგას იმპერიის მოსახლეობასთან.<sup>200</sup>

თურქეთის ულტიმატუმში გადაეცა უკვე დაშლილი ამიერკავკასიის ფედერაციის დელეგაციაა. ულტიმატუმის ის მუხლები, რომლებიც საქართველოს ეხებოდა, მიიღო საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ და 4 ივნისს ოსმალეთის იმპერიასა და მენშევიკურ საქართველოს შორის დაიდო პირადად ენვერ ფაშას მიერ შედგენილი „შეგობრობისა და მშვიდობის“ ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების ძალით საქართველო-ოსმალეთის საზღვარი გადიოდა მდინარე ჩოლოქზე, აჭარა-მესხეთის ქედზე (აბათუმის საქართველოს საზღვრებში დატოვებით), აწყურზე, ტაბაწყურის ტბაზე, თავკვეთილისა და სამსარის მწვერვალებზე. ამავე ხელშეკრულებით ოსმალეთმა უფლება მიიღო ესარგებლა და თავისი სამხედრო კონტროლი დაეწესებინა საქართველოა რკინიგზებზე.

ბათუმში თურქებმა თავისი გაიტანეს და გერმანელებმა მდგომარეობის გამოსწორება იმით სკადეს, რომ ივნისში კონსტანტინოპოლში კონფერენცია მოაწვევინეს, სადაც ცენტრალური ბლოკის სახელმწიფოებმა კავკასიის სახელმწიფოებსა და თურქეთს შორის საზავო ხელშეკრულების დადების საკითხი განიხილეს.

ამ დროისათვის კავკასიაში გერმანია-თურქეთის ურთიერთობა მკვეთრად გამწვავდა. ალექსანდროპოლ-თბილისის რკინიგზის ხაზზე გერმანიისა და თურქეთის ჯარებს შორის საქმე სამხედრო შეტაკებადღე მივიდა. გერმანიასთან ურთიერთობის გამწვავებასთან დაკავშირებით ენვერმა დეპეშა გაუგზავნა თურქეთის წარმომადგენელს გერმანიის ჯარების მთავარსარდალთან გენერალ ზეჟი ფაშას. მაგრამ ამ უკანასკნელმა ენვერის ეს საიდუმლო დეპეშა შეცდომით გადასცა გერმანიის სარდლობას. ამ დეპეშაში ენვერი ამიერკავკასიაში კონფლიქტისათვის მთელ პასუხისმგებლობას გერმანიის აკისრებდა. დეპეშის პასუხად ლუდენდორფმა ენვერს გერმანიის საბასუხო პრეტენზიები წაუყენა. ლუდენდორფი ამტკიცებდა, რომ თურქეთი თავის მოკავშირე გერმანიას ანგარიშს არ უწევს. „შეუნდა განუუცნადო თქვენს აღმატებულებას, — წერდა ლუდენდორფი, — რომ გერმანიის მთავრობის მოქმედებას სავსებით ვიზიარებ. გენერალმა ფონ ლოსოვმა გერმანული ნაწილებით ფოთი-თბილისი ალექსანდროპოლის რკინიგზის ხაზის დაცვა მოაწყო. ფონ ლო-

<sup>200</sup> ორცა. ფონდი 13, საქმე 126, ფურცელი 7,8.

სოვი გამოძინარეობდა არა მარტო გერმანიის, არამედ აგრეთვე  
 ჯულფის მიმართულებით თურქეთის მიერ წარმოებული ოპერაცი-  
 ბის ინტერესებიდანაც. რაზმები, რომლებიც რკინიგზის ხაზს, რკინიგზის  
 გერმანულ სამხედრო ნაწილებს წარმოადგენდნენ და მე-3 არმიის  
 ვაცხადებ იმის გამო, რომ მე-3 არმიის სარდალი მათ სათანადო პა-  
 ტივისცემით არ ეპყრობა... მე წინასწარ ვაცხადებ, რომ არ მიეცემ  
 დასტურს იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც გერმანიის ზურგს უკან  
 თურქეთმა ამიერკავკასიის სახელმწიფოებთან დადო<sup>380</sup>. ასე ამზა-  
 დებდა გერმანია საფუძველს კონსტანტინოპოლის კონფერენციის მო-  
 საწვევად, რომ კავკასიის საკითხების გადაჭრისას მთავარი ხმა მისი  
 ყოფილიყო. მაგრამ ენვერი ამიერკავკასიაში წმინდა თურქულ საქმიან  
 განაგრძობდა. ბათუმის ხელშეკრულების დადების მეორე დღესვე  
 ენვერი ბათუმს გაემგზავრა, რომ სამხედრო მოქმედებისათვის  
 იქიდან ეხელმძღვანელა. ტრიუმფირატის მეორე წევრი ჯემალ ფაშა  
 უკვე კარგა ხანია, რაც ბათუმში იმყოფებოდა და მოლაპარაკების  
 პერიოდში სამხედრო მზადებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა. ბა-  
 თუმში ენვერს მომავალი შეტევისათვის კავკასიის ფრონტის არმიე-  
 ბის გადაჯგუფება უნდა მოეხდინა. მომავალი შეტევის გასამართ-  
 ლებლად ენვერი ფართოდ იყენებდა „ბოლშევიზმის საშიშროების“  
 ფანდს და თურქეთის მოკავშირეთა წინაშე თავის მისიას კავკასიაში  
 ბოლშევიზმთან ბრძოლის აუცილებლობით განსაზღვრავდა.

9 ივნისს ენვერმა ბათუმში გამოსცა ბრძანება, რომლის თანა-  
 ხმად კავკასიის ფრონტზე ბათუმის, ყარსისა და ბაიაზეთის რაიონ-  
 ნში ორი არმია შეიქმნა: 1. მე-3 არმია ოთხი დივიზიის შემადგენ-  
 ლობით (მე-3, მე-5, 36-ე და 37-ე დივიზიები). არმიის შტაბი და-  
 კომპლექტდა მე-6 საარმიო კორპუსის შტაბის ოფიცრებისაგან, რომ-  
 ლებიც გადაიყვანეს ევროპის ფრონტიდან (რუმინეთი). მე-3  
 არმიას სარდლობდა ვეჰიბ ფაშა, რომელიც შემდეგში მის-  
 მა ძმამ ესად ფაშამ<sup>381</sup> შეცვალა. 2. მე-9 არმია, რომლის შე-  
 მადგენლობაში იყო: კავკასიის 1-ლი საარმიო კორპუსი (კავკასიის

<sup>380</sup> К. Мюльман, даსაბ. ნაშრომი, 275.

<sup>381</sup> ესად ფაშა (1862 —) ოსმალეთის ერთ-ერთი ცნობილი გენერალია. სამხედ-  
 რო განათლება გერმანიაში მიიღო. შემდეგ მუშაობდა თურქეთში ფონ დერ  
 გოლცის (გოლც-ფაშას) თანაშემწედ. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ერთ  
 ხანს ჩანაქალეს ფრონტის არმიების ჩრდილოეთის ჯგუფს სარდლობდა. სიდაც  
 მის ხელქვეითთა შორის იყო მუსტაფა ქემალი. ახლოს იდგა ახალგაზრდა თურ-  
 ქების პარტიის ხელმძღვანელობასთან და ითვლებოდა გერმანელებთან დაახლო-  
 ვებულ პირად. აქვს დაბეჭდილი რამდენიმე კომპილაციური ხასიათის შრომა მა-  
 თემატიკასა და გეოგრაფიაში.

მე-9 და მე-10 დივიზიები და რუმინეთიდან გადაყვანილი მე-13 დივიზია) და მე-4 საარმიო კორპუსი (კავკასიის მე-11 დივიზია და მე-5 და მე-12 დივიზიები). არმიის სარდლად იაქუბ შევერდის დანიშნა.

იმავე ბრძანებით ენვერმა ახლად შექმნილი არმიების ამოცანები განსაზღვრა. მე-3 არმიის ძირითადად ბათუმ-ყარსის რაიონის (მთელი საქართველოსა და სომხეთის) ოკუპაცია ევალებოდა, ხოლო მე-9 არმიას უნდა დაეპყრო ბაქო, ებრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ და წინააღმდეგობა გაეწია ინგლისელებისათვის სპარსეთში (ინგლისელების შემოტევის შემთხვევაში — ო. გ.).

ცალკე იყო გამოყოფილი კავკასიის მე-5 დივიზია, რომელსაც ნური ფაშა სარდლობდა. მე-5 დივიზია პირველ ხანებში განჯაში უნდა დაბანაკებულიყო<sup>385</sup>, სადაც იმ დროს თურქების მიერ ბაქოს აღების მოლოდინში აზერბაიჯანის მუსავათური მთავრობა იმყოფებოდა. ნური ფაშას ერთ-ერთი ამოცანა იყო „ფარული ენერჯის“ გამოყენება თურქების შემდგომი წინსვლის გასააღვილებლად. ამ მიზნით ნური ფაშას ყოველნაირი შესაძლებელი დახმარება უნდა გაეწია მუსავათელებისათვის. „ჩვენ გვინდა კავკასიის მუსლიმანებთან მჭიდრო კავშირი დაეამყაროთ. — სწერდა საიდუმლო დეპეშაში ენვერ ფაშა გენერალ ზეჟი ფაშას. — და დავეხმაროთ მათ სახელმწიფო ცხოვრების ორგანიზაციასა და მმართველობაში, რათა დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო დაეუახლოვდეთ მათ და შევიყვანოთ ისინი ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში.“<sup>386</sup>

კავკასიაში მოქმედი არმიები თურქეთის უკანასკნელი გაწვრთნილი რეზერვებით დაკომპლექტდნენ. კავკასიის არმიები ენვერმა ორ არათანაბარ ნაწილად გაყო. მე-9 არმია ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე მე-3 არმია, ვინაიდან მე-9 არმიას შტრეკითი ოპერაციები ჰქონდა მინდობილი. კავკასიის ფრონტის სარდლად ენვერმა ჰალილ ფაშა დანიშნა. ჰალილს, გარდა იმისა, რომ ის თურქიზმის ფანტიკური მიმდევარი იყო, თურქეთის სარდლობის თვალში ერთი დადებითი თვისება ჰქონდა — გერმანელთა პრეტენზიების წინააღმდეგ ბრძოლაში საიმედო პიროვნებას წარმოადგენდა<sup>387</sup>, იმ დროს, როდესაც ესაღ ფაშა მე-3 არმიის სარდლად გერმანელების დასამშვიდებლად დანიშნეს.

<sup>385</sup> Joseph Pomiankowski დასახ. ნაშრომი, გვ. 363—369; M. Larcher დასახ. ნაშრომი, 422.

<sup>386</sup> K. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 292.

<sup>387</sup> ე. მიულმანი შენიშვნაში 290-ე გვერდზე, წერს, რომ წიგნში, რომელიც კავკასიის 1918 წლის ოპერაციის შესახებ თურქეთის გენერალური შტაბის

ენვერ ფაშას ბათუმში ყოფნის დროს კავკასიის საკითხის გადაჭრის საქმეში პინდენბურგი ჩაერია. მიმოწერაში, რომელსაც პინდენბურგი ბათუმში მყოფ ენვერთან აწარმოებდა, მეტად საინტერესო დეტალი გამოიკვა: თურქების მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დაოღვევის შემდეგ გერმანია გაჟღერებით ამტკიცებდა, რომ თურქეთის მოქმედებასთან ამიერკავკასიაში მას არავითარი კავშირი არა აქვს. ამავე დროს გერმანია თურქეთსა და ანტანტის ქვეყნებს შორის სეპარატული მოლაპარაკების შესახებ ცნობების ზეგავლენით, ეშინოდა რა თურქეთის ომიდან გამოსვლისა, პირდებოდა თურქეთს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებს. მაგრამ ამიერკავკასიის რკინიგზებს, კიათურას და ბაქოს თავისთვის იტოვებდა. „მე ვთვლიდი, — სწერს ენვერი ლუდენდორფს, — რომ ვმოქმედებდი თქვენს აღმატებულებასთან შეთანხმებით, როდესაც ულტიმატუმების წარდგენით და შეტევის მუქარით ზემოქმედებას ვახდენდი მოლაპარაკებაზე (ლაპარაკია ბათუმის კონფერენციაზე — ო. გ.). თქვენი აღმატებულება დათანხმდა, რომ თურქეთს ამიერკავკასიის ტერიტორია დაეკავებინა“ (იგულისხმება ის ტერიტორია, რომლის დაკავება ბრესტის ზავით გათვალისწინებული არ იყო — ო. გ.).

✓ 1918 წლის პირველ ნახევარში გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მაგრამ მდგომარეობამ გაუარესება განსაკუთრებით სწრაფად 1918 წლის ივლისიდან დაიწყო. ამან გერმანია აიძულა თურქეთის მიმართ ერთგვარ დათმობებზე წასულიყო. გერმანიის პოლიტიკაზე იმოქმედა აგრეთვე ფონ კრესის მოხსენებებმა კავკასიაში მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებებიდან გერმანიისათვის აშკარა გახდა, რომ მისი იმედი, რომელსაც ის საქართველოს მენშევიკურ მთავრობაზე ამყარებდა, არ გამართლდა. კრესის ცნობის თანახმად, საქართველოს მენშევიკური მთავრობა მეტად სუსტი იყო. კრესი შეშფოთებით წერდა, რომ საქართველოს მოსახლეობაში დიდი მღელვარებაა<sup>388</sup> და მოითხოვდა ამიერკავკასიაში გერმანული სამხედრო ნაწილების დამატებით გაგზავნას. ამავე დროს კავკასიის საკითხში თურქეთთან დამოკიდებულების შესახებ კრესი ახალ თვალსაზრისზე იდგა. ეს არის თურ-

შევეთით დაიწერა. მოყვანილია პალილ ფაშას 1918 წლის 28 ივნისით დათმობიებული დებეში: „თუ საჭიროება მოითხოვს, მე გერმანელებთან ომისაც არ შეშემინდება“. ზემოდასახელებული ნაშრომი მიულმანს ხელთ არ ჰქონია და მის შესახებ იცოდა აღმოსავლეთმცოდნე პროფესორ ემკეს ვადმოცემით.

<sup>388</sup> K. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 281.

ქეთისათვის სრული მხარდაჭერა, ვინაიდან აზერბაიჯანიდან თურქეთის სამხედრო ნაწილების ევაკუაცია, კრესის რწმენით, იქ ბოლშევიზმის გამარჯვებას გამოიწვევდა. ბოლშევიზმთან ბრძოლის მიზნით კრესი აუცილებლად თვლიდა თურქულ-გერმანული ან მხოლოდ თურქული ჯარებით ბაქოს დაკავებას. „რამდენადაც არავითარი საშუალება არა გვაქვს, რომ კავკასიაში მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები გავგზავნოთ, — წერდა კრესი. — ჩვენ არაფერი გვრჩება გარდა იმისა, რომ თურქებს სამხედრო მოქმედების თავისუფლება მივცეთ და დავკმაყოფილდეთ იმ ეკონომიური დათმობებით, რომლებზედაც თურქეთი წავა.“<sup>289</sup>

საბჭოთა მთავრობამ 1918 წლის 25 ივლისს და 19 აგვისტოს გერმანიის მთავრობას გერმანელებისა და თურქებისა ბაქოზე შეტევის გამო პროტესტი განუცხადა. გერმანია, რომელსაც იმ დროს დასავლეთ ევროპის საომარ ასპარეზზე მეტად მძიმე მდგომარეობა შეექმნა, გაურბოდა გართულებას აღმოსავლეთში და ცდილობდა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ თითქოს ის არ არღვევს ბრესტის ზავის პირობებს. ინგლისელთა მიერ ბაქოს დაკავებამ გერმანიას მხოლოდ გაუადვილა ბაქოზე შეტევის გამართლება.

ინგლისელების ბაქოში შესვლასთან დაკავშირებით 17 აგვისტოს ენვერმა ფონ სექტს აცნობა, რომ საკითხის გადაწყვეტას ის ბაქოზე შეტევის დაუყოვნებლივ განხორციელებაში ხედავს. თუ აქამდე გერმანია ცდილობდა შეენიღბა თავისი მოქმედება ბაქოს მიმართ, რათა კრიტიკულ მომენტში არ გამოეწვია საქმის გართულება აღმოსავლეთში, ახლა, გერმანიის აზრით, მდგომარეობა შეიცვალა და ბაქოზე შეტევა მას ინგლისელების იქ ყოფნით შეეძლო გაემართლებინა.<sup>290</sup>

ინგლისელებმა, რომლებმაც თავისი ძირითადი სამხედრო შენაერთები „უკანდასახევი გზის დასაცავად“ სპარსეთში დატოვეს, ბაქოში თურქებთან და გერმანელებთან საბრძოლველად აშკარად არასაკმარის ძალები შეიყვანეს. თურქებთან შებრძოლებას, როგორც ჩანს, ინგლისელები არც კი ფიქრობდნენ, ვინაიდან ომის გამარჯვებით დამთავრებისა და ზავის დადების შემდეგ ინგლისელები მაინც მიიღებდნენ იმ ტერიტორიების ოკუპაციის უფლებას, რომლებიც თურქებსა და გერმანელებს ჰქონდათ დაკავებული. მანამდე კი თურქები, როგორც ამას ინგლისელები იმედოვნებდნენ, მოსპობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას ბაქოში და გზას გაუკაფავდნენ ინგლისელთა მომავალ ოკუპაციას.

<sup>289</sup> იქვე.

<sup>290</sup> К. Мюльман, დასახ. ნაშრომი, 286.

უკანასკნელ მომენტში, როდესაც, გერმანელთა აზრით, მათ ხელთ  
ჰქონდათ ბაქოს წინააღმდეგ მოქმედების გასასამართლებელი სა-  
ბუთი, ლუდენდორფმა კვლავ მოინდომა, რომ ბაქოს აღებზე ვერ-  
მანულ სამხედრო ნაწილებს მიეღოთ მონაწილეობა. **143. 15 სექტემბერი**  
ტემბერს ლუდენდორფმა თბილისში შემდეგი შინაარსის დეპეშა გა-  
გზავნა: „მოაზნადეთ შეტევა და მომზადების დამთავრების შესახებ  
შემატებობინეთ, რის შემდეგ მოგცემთ ბრძანებას, სასურველია, რომ  
ოკუპაცია მხოლოდ გერმანელთა ძალებით ჩატარდეს. თურქული და  
აზერბაიჯანული ნაწილები შეიძლება გამოვიყენოთ იმდენად, რამ-  
დენადაც ეს წარმატების მისაღწევადაა აუცილებელი.“<sup>391</sup>

თურქების კავკასიის მე-5 დივიზიას, რომელმაც 11 ივლისს  
აღსტაფა გაიარა, მოჰყვა კიდევ ორი დივიზია. კავკასიის მე-5  
დივიზია „ისლამის არმიის“ შესაქმნელად განჯაში შეჩერდა.  
მაგრამ მკაცრი ტერორისა და ძალდატანებითი მობილიზაციის  
მიუხედავად, „ისლამის არმიის“ შექმნა ვერ მოხერხდა და კავ-  
კასიის მე-5 დივიზიას ბაქოზე შეტევა თავისი საკუთარი ძა-  
ლებით მოუხდა. ამრიგად, იმედები, რომლებსაც ენვერი ამიერ-  
კავკასიის მუსლიმანურ მოსახლეობაზე ამყარებდა, არ გამარ-  
თლდა. აზერბაიჯანელი ხალხი მძლავრ წინააღმდეგობას უწევდა  
თავის „მხსნელებს“ და თურქეთის არმიის მრავალრიცხოვან შენა-  
ერტებს ზურგის კომუნიკაციების დაცვა უხდებოდათ. მე-3 არმია  
მთლიანად საქართველოს ოკუპაციისათვის იყო განკუთვნილი და  
არ ჰქონდა საშუალება ფრონტისათვის რაიმე დამატებითი შენაერ-  
თები გამოეყო.

✓ 15 სექტემბერს თურქეთის ჯარი გერმანელ მრჩვეელთა და ინსტ-  
რუქტორთა თანხლებით ბაქოში შეიჭრა, რასაც ქალაქის დარბევა  
და მშვიდობიანი მოსახლეობის ქლექტა მოჰყვა. ✓

თურქების მიერ ბაქოს აღების გამო საბჭოთა მთავრობამ 20 სექ-  
ტემბერს ოსმალეთის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მი-  
მართა ნოტიო, რომლითაც მას ბრესტის ზავის გაუქმება აუწყა. ნო-  
ტაში საბჭოთა მთავრობა აღნიშნავდა, რომ თურქეთი თავისი რეგულა-  
რული ნაწილებით და ყაჩაღთა ბრბოვებთან კავშირში საბჭოთა რეს-  
პუბლიკის ტერიტორიას იკავებს, ძალადობას აწარმოებს და მოსახ-  
ლეობას ხვრეტს. აქვე აღნიშნული იყო, რომ თურქეთმა ყარსის, არ-  
ტაანისა და ბათუმის მიმართ ბრესტის ხელშეკრულება დაარღვია,  
რამდენადაც ეს რაიონები მან თავისი ჯარებით დაიკავა და რეფე-  
რენდუმი ტერორის პირობებში ჩაატარა.

<sup>391</sup> К. Мюльман, даსაბ. ნაშრომი, 288.

ბაქოს აღების შემდეგ თურანის შექმნის საკითხი თურქებს დაწი-  
ლობრივად უკვე შესრულებულად მიაჩნდათ, და მათ დღის წესრიგ-  
ში ჩრდილო კავკასიისა და თურქესტანის დაპყრობის საკითხი დას-  
ვეს. 23 სექტემბერს თურქეთმა და გერმანიამ კავკასიის საკითხებ-  
ზე ხელი მოაწერეს საიდუმლო ხელშეკრულებას, რომელშიც ნათ-  
ქვამი იყო, რომ თურქეთი იბრძოლებს, რათა ჩრდილო კავკასიისა  
და თურქესტანში დამოუკიდებელი სახელმწიფოები შექმნას და  
ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ამ სახელმწიფოებთან  
კავშირი შეკრას.

თურქებმა და გერმანელებმა ამიერკავკასიაში სასტიკი საოკუპა-  
ციო რეჟიმი დაამყარეს. თურქეთის არმიის მოქმედება ამიერკავკა-  
სიაში—ეს იყო მშვიდობიანი მოსახლეობის რბევა, ძარცვა და განა-  
დგურება. ძარცვა-გლეჯას თურქები გერმანელებთან ერთად აწარმო-  
ებდნენ. ქართველებითა და სომხებით დასახლებული სოფლები იყ-  
რებოდნენ და მოსახლეობა გარბოდა. ასე მოხდა ყარსში, არტანში,  
გურიაში, მესხეთში და სხვაგან.<sup>392</sup>

1918 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ამიერკავკასიის ხალხ-  
თა ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ მკვეთრად გაძლიერდა, რის  
შედეგად თურქეთის არმია დიდ ზარალს განიცდიდა. ოსმალები  
იძულებულნი გახდნენ ზურგში საპოლიციო სამსახურისა და დამს-  
ჯელი ექსპედიციებისათვის ჯარის დიდი შენაერთები გამოეყოთ,  
რის გამო შემდგომი წინსვლისათვის საკმარისი ძალები აღარ დარ-  
ჩათ.

ახლა, როდესაც თურქები ბაქოში კასპიის ზღვის სანაპიროებ-  
თან იდგნენ, ძნელი იყო მათი დარწმუნება იმაში, რომ თურანის  
იდეა ისევე შორს იყო თავის განხორციელებიდან, როგორც მე-19  
საუკუნეში, როდესაც ეს ტერმინი პირველად გამოჩნდა პოლიტიკურ  
ვეგებებში. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მე-19 საუკუნის პოლი-  
ტიკური ფანტაზია პირველი მსოფლიო ომის წლებში პოლიტიკურ  
ავანტიურად იქცა.

1918 წლის შემოდგომაზე ოსმალეთს თავისი საოცნებო თურანის  
სივრცეების დასაპყრობად შეეძლო გამოეყო მხოლოდ ერთი, სა-  
ხელდობრ 39-ე დივიზია, რომლის ავანგარდი 2000 ჯარისკაცის  
შემადგენლობით პეტროვსკში შევიდა, რათა ვოლგისა და ურალისა-  
კენ განეგრძო გზა. ჩრდილო-კავკასიაში ისევე, როგორც ამიერ-  
კავკასიაში თურქ ინტერვენტთა წინააღმდეგ მშრომელი მასების  
შეიარაღებული ბრძოლა გაიმართა. კომუნისტების ხელმძღვანელო-

<sup>392</sup> ორცა. ფონდი II, საქმე 222, ფურცელი 3. ფონდი II, საქმე 217,  
ფურცელი 17.

ბით დალესტინის მშრომელები ანადგურებდნენ ინტელექტუალურ ტურქეთის დანაკარგები იზრდებოდა. დეზერტირობამ შევეთრად იმატა, ჯარისკაცები ბრძოლაზე უარს აცხადებდნენ და შემდგომში წინსვლისათვის თურქებს ძალები აღარ დარჩათ.

4 ოქტომბერს ღამით თურქეთმა ანტანტის ზავი სთხოვა. რამდენიმე დღით ადრე—29 სექტემბერს ბულგარეთმა თავი დამარცხებულად ცნო. 18 სექტემბერს ინგლისელთა არმია პალესტინაში გენერალ ალენბის მეთაურობით შეტევაზე გადავიდა. ეს მოხდა თურქების მიერ ბაქოს ალების 3 დღის შემდეგ, როდესაც თურქეთის შესაძლებლობანი კავკასიაში ამოიწურა და მისი შემდგომი მნიშვნელოვანი წინსვლა უკვე შეუძლებელი იყო. მაგრამ არა თუ წინსვლა, არამედ თურქეთს ამიერკავკასიის ოკუპაციის შენარჩუნებაც აღარ შეეძლო.

ალენბის არმიას არაფერი უშლიდა ხელს. ინგლისელების წინ მოწინააღმდეგის არმია ფაქტიურად არ არსებობდა. ამ თავისებური „ფრონტის“ გარღვევის შემდეგ ინგლისელებმა მიმართულება ჩრდილოეთ სირიისაკენ აიღეს. 8 ოქტომბერს ისინი ბეირუთში შევიდნენ კონსტანტინოპოლის დასაცავად, სინამდვილეში კი შინაგან უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით თურქეთი იძულებული გახდა რამდენიმე დივიზია კავკასიიდან წაეყვანა.

7 ოქტომბერს თალათი, ენვერი და ჯემალი გადადგნენ და ოსმალეთის იმპერიის მთავრობას სათავეში მარშალი აჰმედ იზეთ ფაშა ჩაუდგა. როგორც სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე თავის წინამორბედებს ის ბევრად ჩამოუვარდებოდა, თუმცა თურანის შექმნაზე მათზე ნაკლებად არ ოცნებობდა. მაგრამ ახლა მისი ხელისუფლების სათავეში ჩადგომა თურქეთის ომიდან გამოსვლას მოასწავებდა.

30 ოქტომბერს, მუდროსის ყურეში, ინგლისის კრესიერ „ავამენონზე“ ხელმოწერილი დროებითი ზავით თურქეთი ანტანტის ქვეყნებს დანებდა. დროებითი ზავის პირობების თანახმად თურქეთის მიერ ომის განმავლობაში ოკუპირებული ტერიტორიები ანტანტის სახელმწიფოთა ხელში გადადიოდა. 10 ნოემბერს იარალი გერმანიაშიც დაყარა. კომპიენის ტყეში ხელმოწერილი დროებითი ზავი, მსგავსად მუდროსის დროებითი ზავისა, ითვალისწინებდა, რომ ანტანტის ქვეყნები მოწინააღმდეგეთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიას დაიკავებდნენ. თურქი და გერმანელი ოკუპანტები საქართველოში ინგლისელმა ოკუპანტებმა შეცვალეს.

ქართველმა ხალხმა მოძმე საბჭოთა ხალხების დახმარებით თავისი ქვეყნიდან განდევნა დამპყრობლები და ჰერმარტიკოროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა, რო-

მელსაც მას ვერავინ ვერ წაართმევს. მაგრამ თურქეთის ბევრ პოლიტიკურ მოღვაწესა და თურქეთის ყოფილ მოკავშირეებსა და მოწინააღმდეგეებს ამიერკავკასიის დაპყრობის ოცნებაზე უარს უთხრა.

ოსმალეთის ომში დამარცხების შემდეგ თურქიზმი, უკეთეს დროთა მოლოდინში, შეტევიდან თავდაცვაზე გადადის. თანამედროვე თურქეთის იდეოლოგიურ ცხოვრებაზე გარკვეული გავლენა ზია გიოკალპის მოძღვრებამ მოახდინა. ამის გამოხატულებაა ბრძოლა, რათა თურქეთში იყოს მხოლოდ ერთი კულტურა — თურქული, ერთი ენა — თურქული, ერთი ერი — თურქები.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდა გზას უღობავდა თურქეთს, ამის გამოხატულებას წარმოადგენდა რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მონაწილეობით საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკების მიერ 1921 წელს თურქეთთან ყარსში დადებული ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ, რომელიც თურქეთის ხელმძღვანელთა ნაწილმა შეაფასა, როგორც თავისი იდეალების მარცხი. ამ წრებთან მეტად დაახლოებული ფრანგი ავტორი ბ. გოლი წერს: „ეს მოასწავებდა დროებით უარის თქმას თურქანზე — იდეალზე, რომელიც თურქ ახალგაზრდობაში აღტკინებას იწვევდა და მის მისწრაფებათა გამოსავალ გზას წარმოადგენდა“<sup>303</sup>.

გერმანია დამარცხდა, ინგლისის მზე ჩაესვენა, საფრანგეთის დიდება წარსულს ჩაბარდა, მაგრამ თურქიზმს გამოუჩნდა ახალი ქომაგი — ამერიკის შეერთებული შტატები.

1950 წლის მარტში გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა, რომ ხვალ ან ზეგ საბჭოთა რუსეთი აზიაში თურქიზმის საშიშროების წინაშე აღმოჩნდება. ამ გაზეთის სიტყვით, თურქეთი ხმელთაშუა ზღვიდან სინცხიანის შუაგულამდეა გადაჭიმული. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იმავე სტატიაში მოითხოვდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს გამოეყენებინათ თურქიზმი თავისი პოლიტიკის სასარგებლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ვინმე ოგიუზ თურქანმა სტამბოლურ გაზეთში „ლა რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „თურქული სამყარო და ამერიკის აღმოსავლური პოლიტიკა“, სადაც წერდა: „თურქებს თურქეთსა და ანკარაში შეუძლიათ და უნდა მიიღონ კიდევ მონაწილეობა ამერიკის აზიური პოლიტიკის ჩამო-

<sup>303</sup> B. Georges—Gaulis, La question turque, 369.

ყალიბების პროცესში. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ თვითონვე უნდა ვიყოთ დარწმუნებულნი და ასევე დავარწმუნოთ ჩვენი მეგობრები, რომ თურქული მასა, რომელიც მახლობელი აღმოსავლეთიდან შორეულ აღმოსავლეთამდეა გადაჭიმული, ათასწლოვანი ცივილიზაციის ნაყოფს წარმოადგენს<sup>194</sup> და „თავისუფალი თურქეთის რესპუბლიკა უნდა გახდეს თურქული სამყაროს ბელადი იმ დიდ რეალში, რომელსაც ის ზეალ შეასრულებს“<sup>195</sup>.

როგორც ვხედავთ, თურქისტულ-თურანისტული რეაქციული იდეები დღესაც ცოცხლობენ და მათ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ამერიკის იმპერიალიზმის გეგმებში. ამიტომ ვფიქრობთ, რომ წინამდებარე ნაშრომში აღძრული საკითხები ერთგვარ ინტერესს არ არის მოკლებული.

---

<sup>194</sup> გახ. La République, 1950 წლის 29 მარტი.

ს ა რ ა მ ბ რ ი

წინასიტყვაობა	3
თურქიზმი — ახალგაზრდა თურქთა პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძველი	5
კავკასიის ფრონტი და ახალგაზრდა თურქთა პოლიტიკა პირველი მსოფლიო ომის დროს	<u>77</u>
თურანის შექმნის ცდა და მისი პარტები	<u>144</u>

რედაქტორი ა. სურგულაძე  
გამომცემლობის რედაქტორი ვ. ნიქაბაძე  
კორექტორი ა. სტურუა

Отар Исидорович Гигинеишвили

*ПАНТЮРКИЗМ  
И ВНЕШНЯЯ ПОЛИТИКА  
ОСМАНСКОЙ ИМПЕРИИ*

(На грузинском языке)

Государственное издательство «Цодна»  
Тбилиси — 1963

გადაეცა წარმოებას 30/VII-62 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/XI-63 წ.  
ანაწილების ზომა 6×10. ქაღალდის ზომა 60×92. ნაბეჭდი თაბახი 1725.  
საფურცლო თაბახი 11,8. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.

ფ ა ს ი 34 კაბ.

შეკვეთის № 1133

უე 05063

ტირაჟი 1000

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჯავახიშვილის პროსპექტი, 1.  
Типография Тбилисского университета, проспект И. Чавчавадзе 1.

K 113-196  
3

საქართველოს  
ბიბლიოთეკები